

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის
დეპარტამენტი

თამარ კუტალაძე

რომაული სამყარო ქართულისტორიოგრაფიაში

ისტორიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. კახაბერ სურგულაძე

Batumi Shota Rustaveli State University

Department of History, Archaeology and Ethnology

Tamar Kutaladze

Roman world in Georgian historiography

Presented for the acadimid degree of Doctor of History (Ph.D)

D i s s e r t a t i o n

Scientific Supervisor, Doctor of Historical sciences,

Prof. Kakhaber Surguladze

Batumi - 2021

ანოტაცია

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული ნაშრომი „რომაული სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში“ მიზნად ისახავს საქართველოში რომის ისტორიის წარმოჩენისა და გაშუქების ძირითადი საკითხების დასმასა და შესწავლას, გამოკვეთას, თუ რა დროში როგორ აისახებოდა რომი, რომაული სამყარო, ანტიკურ რომთან დაკავშირებული მოვლენები ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამის შესაბამისად, ჩვენ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი გამოყოფილი ეპოქების შესაბამისად ოთხ ნაწილად დავყავით, თითო თავში კი თითოეულ ცალკე მდგომ ეპოქაზე, მთავარ სამეცნიერო ნაშრომებსა და მეცნიერებზე ვისაუბრებთ.

ცხადია, ჩვენ ვერ ავუვლიდით გვერდს თითოეული ეპოქისა თუ კონკრეტული მწერლების დახასიათებას და ეპოქის ზოგადი ტენდენციების გამოკვეთას. სხვადასხვა ავტორებზე და მათ ნაშრომებზე დაყრდნობით ჩვენ შევეცადეთ ნათლად წარმოგვეჩინა ის ძირითადი ტენდენციები, რომელთაც ჩვენ ავტორებთან ვხვდებით. ამასთან, ვეცადეთ ცალკე ყურადღება გაგვემახვილებინა იმ წყაროებზე, რომელსაც სხვადასხვა ავტორები ეყრდნობიან თავიანთ შრომებში.

Annotation

The dissertation “Roman World in Georgian Historiography” written for obtaining the degree of Doctor of History aims to ask and study the main issues of presentation and coverage of Roman history in Georgia, to find out and what time and how Rome was reflected in Georgian historiography. Accordingly, we have divided the present dissertation into four parts, according to the respective epochs, and in each chapter we discussed one separate epoch, major scientific papers and scholars.

Clearly, we could not ignore the general description of each epoch, or a particular writer, and highlights general trends. Based on various authors and their papers, we have tried to clearly present the main trends that we encounter with the authors. Moreover, we have paid special attention to the sources that different authors rely on in their works.

შინაარსი

<i>შესავალი</i>	6
თავი I: საკითხის ისტორიოგრაფია	14
თავი II: რომაული სამყარო ფეოდალური ხანის ისტორიოგრაფიაში	24
2.1 „ქართლის ცხოვრება“ და რომაული სამყარო.....	27
2.2 ვახუშტი ბაგრატიონი და რომაული სამყარო.....	35
2.3 იოანე ბატონიშვილი და რომაული სამყარო.....	41
თავი III: რომაული სამყარო XIX საუკუნის ისტორიოგრაფიაში	48
3.1 თეიმურაზ ბატონიშვილი და რომაული სამყარო.....	49
3.2 სულხან ბარათაშვილი.....	56
თავი IV: რომის ისტორიის შესწავლა და სწავლება XX-XXI საუკუნეების საქართველოში	68
4.1 რომის ისტორიის საკითხები ძველი მსოფლიოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში.....	68
ა) ანტიკური რომის ისტორიის საკითხები ალ. წერეთლის საავტორო სახელმძღვანელოებში.....	69
ბ) დ. უზნაძის რომის ისტორიის ახელმძღვანელო.....	72
გ) რომის ისტორიის საკითხები საბჭოთა საქართველოს პერიოდის სახელმძღვანელოებში.....	74
დ) რომის ისტორიის საკითხები დამოუკიდებელ საქართველოში გამოცემულ სასკოლო სახელმძღვანელოებში.....	81
4.2 რომის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები.....	83
4.3 რომის ისტორიის შესწავლა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში (1921-1991).....	94
4.4 რომის ისტორიის შესწავლა დამოუკიდებელ საქართველოში (1991 წლიდან დღემდე).....	116
დასკვნა	128
გამოყენებული ლიტერატურა	132

შესავალი

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ქართულ ანტიკურ ისტორიოგრაფიაში რომაული თემატიკის ასახვის თავისებურებების წარმოჩენა.

უდაოა, რომ მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ანტიკურ რომს. საქმე იმაშია, რომ ანტიკურმა რომმა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში დაგვიტოვა ძალიან მდიდარი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, რომლებსაც მნახველი დღესაც მოჰყავთ აღტაცებაში. ამასთან, ანტიკური რომი მარტო ისტორიული კატეგორია არ არის. რომაულ მემკვიდრეობაზე პრეტენზია ევროპის მონარქებში პოლიტიკური ინტრიგა-ვაჭრობის საგანი იყო. საუკუნეების მანძილზე ლათინური ენა ევროპაში საღვთისმეტყველო და საგანმანათლებლო ენად რჩებოდა. რომაელი მწერლები ითვლებოდნენ მიმბაძველ ავტორებად, ხოლო რომაული სამართალი უმეტეს სახელმწიფოებში მიიჩნეოდა ერთადერთ კანონმდებლობად [სურგულაძე, 2019:8]. აქედან გამომდინარე, ანტიკური რომის ისტორიის კვლევა დაწყებული იმპერიის მსხვერვიდან, ამ შემთხვევაში, ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე მრავალი მეცნიერის კვლევის ინტერესის ობიექტია.

ვინაიდან კვლევის მიზანია ანტიკური რომის ისტორიის შესახებ არსებული ნაშრომების კვლევა ისტორიოგრაფიული კუთხით, ამიტომაც შესავალ ნაწილში მცირედით მიმოვიხილავთ საისტორიო მეცნიერების დამხმარე დისციპლინის - ისტორიოგრაფიის მიზანს.

ისტორიოგრაფია არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს საისტორიო მწერლობას, მის ისტორიას. ამასთან, ისტორიოგრაფიის დანიშნულება არა ემპირიული კვლევის ჩატარება და ისტორიული პროცესის განვითარების შესწავლაა, არამედ იმის გაანალიზება, თუ როგორ განიცდიდა ისტორიული აზრი გარკვეულ ევოლუციას სხვადასხვა პერიოდებში. სწორედ ამ თვალსაზრისითაა განხილული წინამდებარე ნაშრომიც, რაც ნაწილობრივ განსაზღვრავს მის აქტუალობას.

ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ისტორიოგრაფიის დისციპლინარულ ტრანსფორმაციას საფუძვლად უდევს ე.წ. ანთროპოლოგიური შემობრუნება, რომელმაც მოიცვა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების ცოდნის სისტემა. საისტორიო მეცნიერება თავისი რთული დისციპლინური სტრუქტურით და წარსული ეპოქის ადამი-

ანის ცხოვრების სამყაროში ტოტალური ჩაძირვის მეცნიერული ამოცანებით, აქტიურად შევიდა ამ პროცესში და გახდა, ალბათ, ინტერდისციპლინური მიდგომის ლიდერი ჰუმანიტარული დისციპლინების სისტემაში [Алеврас, 2010:174].

. ისტორიოგრაფიის ამოცანები: 1. საზოგადოების შესახებ ცოდნის დაგროვების პროცესის შესწავლა, უცნობი წყაროების მიმოქცევაში შემოტანა, ისტორიული ძეგლების სპექტრის გაფართოება და ა.შ.; 2. საისტორიო წყაროების შესწავლის მეთოდების სრულყოფის პროცესის ანალიზი; 3. საისტორიო კვლევის პრობლემების განვითარების პროცესის შესწავლა; და 4. სხვადასხვა თეორიების ანალიზი, რომელთა პოზიციებიდანაც შეისწავლეს ისტორიული პროცესი.

ისტორიოგრაფიის უპირველესი ამოცანაა ისტორიული და შემეცნებითი პროცესის არსებითი მახასიათებლების, ნიმუშების იდენტიფიცირება, საისტორიო ცოდნის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების დადგენა, წყაროთმცოდნეობის ბაზის და წყაროებთან მუშაობის მეთოდები, ისტორიული კვლევის პრობლემები და. ამა თუ იმ საფუძვლებზე ჩამოყალიბებული, ამ შემთხვევაში ანტიკური რომის ისტორიის ზოგადი და კონკრეტული ცნებების, ისტორიული მეცნიერების განვითარების ეტაპის განსაზღვრა.

ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს საისტორიო კვლევის მეთოდოლოგიისა და ტექნიკის შესწავლა, რა მას აახლოებს სხვა სპეციალურ საისტორიო დისციპლინებთან (წყაროთმცოდნეობა, არქეოგრაფია, საარქივო მეცნიერება, არქეოლოგია...). მათ შორის კავშირი მდგომარეობს იმაში, რომ ისტორიოგრაფია სწავლობს ამ დისციპლინების განვითარების ისტორიას და მეორეც, ისტორიოგრაფი იყენებს მათ ინსტრუმენტებს თავის მუშაობაში. ისინი აწვდიან ისტორიოგრაფს ცოდნით, თუ რა თეორიული იდეები და წყაროები იყო მკვლევარის ხელთ მოცემულ კონკრეტულ პირობებში, როგორი იყო მათი შესწავლის მეთოდები და მეთოდები, რამ განსაზღვრა ისტორიული კვლევის პრობლემები. ეს ყველაფერი, თავის მხრივ, აკავშირებს ისტორიოგრაფიას ფილოსოფიის, სოციოლოგიის, კულტურის ისტორიასთან, ისტორიულ ფსიქოლოგიასთან და თავად რომის ისტორიასთან და საშუალებას აძლევს მას თავი დააღწიოს გამოქვეყნებული ლიტერატურის აღწერილობით, ბიბლიოგრაფიულ, მარტივ რეგისტრაციას, პრეზენტაციას [Чернобаев, 2014:36].

როგორც შევნიშნეთ, ისტორიოგრაფიის შესწავლის ობიექტი ხდება არა ისტორიული განვითარების პროცესები, არამედ საისტორიო აზრის ისტორია [Кузищин, 1980:4]. აქედან გამომდინარე, თუ ძველი რომის ისტორიის შესწავლის ობიექტია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება დაწყებული ძვ.წ. II ათასწლეულიდან ახ.წ. 476 წლამდე, სამაგიეროდ, ანტიკური ისტორიოგრაფია იკვლევს შუა საუკუნეებში და ახალ დროში ძველი რომის ისტორიის შესახებ არსებულ სხვადასხვა კონცეფციებს, მიმდინარეობებს და მეცნიერ-მკვლევართა პუბლიკაციებს [სურგულაძე, 2019:99].

ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ტერმინ „ისტორიოგრაფია“ ორმაგი გაგება აქვს: 1) მას განიხილავენ სხვადასხვა ეპოქის საისტორიო ნაწარმოებების ერთობლიობად და 2) როგორც საისტორიო მეცნიერების განვითარების ისტორიას. მაგ., როდესაც საუბარია „განმანათლებლობის ეპოქის ისტორიოგრაფიაზე“, ამ შემთხვევაში ტერმინი „ისტორიოგრაფია“ იხმარება განსახილველი ეპოქის საისტორიო ნაწარმოებების ერთობლიობის მნიშვნელობით. რაც შეეხება „ისტორიოგრაფიის კურსზე“ საუბრისას, მაშინ მხედველობაში აქვთ მხოლოდ საისტორიო მეცნიერების განვითარება [სურგულაძე, 2019:110].

ისტორიოგრაფიის განვითარება ორგანულად არის დაკავშირებული კონკრეტული საისტორიო პროცესის შემცნებასთან. მისი ამოცანაა განმარტოს საისტორიო პროცესების ერთი ასპექტის პოპულარობა და სხვა დროში მათი მეორე პლანზე გადატანის მიზეზები.

კვლევის განსხვავებული მიზნების და მეთოდების მიუხედავად, ისტორიოგრაფია კავშირშია წყაროთმცოდნეობასთან. საქმე იმაშია, რომ ყოველ ეპოქაში მომხდარი წყაროთა წრის გაფართოება და მათი კრიტიკული გამოყენება, არა მარტო განსაზღვრავს კონკრეტული პრობლემის დამუშავებას, არამედ გამოხატავს საისტორიო აზროვნების ზოგად სურათსაც [სურგულაძე, 2019:110; Кузищин, 1980:6].

ისტორიოგრაფიამ, როგორც ცოდნის დამოუკიდებელმა დარგმა, გამოკვეთილი სახე ჰეროდოტეს შემოქმედებაში მიიღო. ორიათას ხუთასი წლის ისტორიის მიუხედავად, როგორც დარგი იგი გვიან ჩამოყალიბდა. ამის მიზეზი იყო საზოგადოებრივი აზროვნების ზოგადი დონე და გაბატონებული ისტორიულ-ფილოსოფიური სისტემები. მხედველობაში ისიც არის მისაღები, რომ ისტორიოგრაფიის განვითარებაზე გავლენას ახდენს ტრადიციული, ანდა ახალ კონცეფციაზე გაცოცხლებული ძველი თეორიები.

მსოფლიო მეცნიერებაში ძველი რომის ისტორიის წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის საკითხების კვლევას თხუთმეტ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. მისი შესწავლა იწყება V ს., დას. რომის იმპერიის განადგურების შემდგომი დროდან. ამ ხნის მანძილზე საისტორიო მეცნიერებამ შინაგანი ევოლუცია და რიგი სტადიები გაიარა. V-VII სს. ევროპულ საისტორიო აზროვნებაში ე.წ. რეაქციის პერიოდი იყო. ამ დროს ერთბაშად წერტილი დაესვა ანტიკურობის გაგებას და შესაბამისად მიივიწყეს რომაული ისტორიოგრაფიის ყველა მიღწევები [სურგულაძე, 2019:111; Кузищин, 1980:8].

საისტორიო აზროვნებაში შედარებითი გამოცოცხლება იწყება IX ს., თუმცა კვლევებს ემპირიული სახე ჰქონდა. მთავარ შემაფერხებელ გარემოებად ბიბლიური ორთოდოქსალიზმი იქცა. ევროპულ ცივილიზაციაში საერთოდ მივიწყებული იყო რომის ფაქტოლოგიური ისტორია და თუ რაიმე იყო შემორჩენილი, ეს ყოველივე იხსნებოდა მთავარი იდეოლოგიური სქემატიკით. პრინციპში, ევროპაში მაშინ სხვა ღირებულებები იყო. მათ არც იცოდა ძველი რომის ისტორია და თუ მაინც ხდებოდა მისი ხსენება, იგიც მისადაგებული იყო ბიბლიურ სქემებთან. ნეტარი ავგუსტინეს და კათოლიკური ეკლესიის სხვა „მამების“ წყალობით, ძველი რომის ისტორიას განიხილავდნენ მხოლოდ ბიბლიურ-ქრისტიანულ მიმართებაში. აქ ზედმეტი იყო რაიმე სამეცნიერო საკითხზე საუბარი. ადრეულ შუა საუკუნეებში ისტორიზმის პრინციპი იგნორირებული იყო და ანტიკური საისტორიო აზროვნების ყველა მიღწევა (მსოფლიო ისტორიების წერა...) დავიწყებას მიეცა. ზოგჯერ საქმე ანაქრონიზმამდეც მიდიოდა - რომის კონსულებს მეფეებად იხსენიებდნენ, ხოლო მათ მეუღლეებს დედოფლებად. ასევე სჯეროდათ, რომ რომის იმპერია არსებობდა სხვა განზომილებასა და ადგილმდებარეობაში [სურგულაძე, 2019:111; Кузищин, 1980:8].

ნიშანდობლივია, რომ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის იდეოლოგიური დაპირისპირების გარდა, იყო სხვა ობიექტური გარემოებებიც, რაც ზღუდავდა ბიზანტიიდან ძველი რომის ისტორიის შესახებ ინფორმაციების გავრცელებას ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. საქმე იმაშია, რომ X-XI სს. ევროპისკენ მიმავალი სახმელეთო გზა კონსტანტინოპოლიდან ბალკანეთსა და დუნაისპირეთში გადაკეტილი ჰქონდათ ბარბაროს ტომებს. დარჩენილი იყო მხოლოდ საზღვაო გზა, რამაც შეამცირა შესაძლო კონტაქტები და გაართულა კულტურათა ურთიერთგაცვლა. ევროპელებს ვერ წარმოედგინათ, რომ

ბიზანტიელები შესაძლოა ძველი რომის მემკვიდრეები ყოფილიყვნენ. სირთულეს ქმნიდა ენობრივი ბარიერი. მაგ., დანტემ და ადრეული თაობის ჰუმანისტებმა არ იცოდნენ ბერძნული ენა და აქედან გამომდინარე მათვის უცნობი იყო ბიზანტიური საისტორიო ნააზრევები. თავის მხრივ, ბიზანტიელი სწავლულები ლათინურ ენას სწავლობდნენ მხოლოდ თომა აკვინელის (1225-1274 წწ.) და სხვა საღვთისმეტყველო ნაწარმოებების თარგმნისთვის. გაუცხოების შედეგად X-XV სს. ევროპისთვის ძველი რომის უფრო მახლობელი რჩებოდა ვიდრე ბიზანტიური ცივილიზაცია [სურგულაძე, 2019:111].

1204 წელს ლათინების და განსაკუთრებით 1453 წელს ოსმალების მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობების შემდეგ ბიზანტიელ მეცნიერთა ნაწილმა თავი დასავლეთ ევროპას შეაფარა, სადაც ჩაიტანეს ბიზანტიური (რომაული) საისტორიო ნააზრევების მიღწევები. მართალია ბიზანტიელი მემკვიდრეების მხრიდან ძველი რომის ისტორიის შესწავლას ბერძნული ელფერი დასდევდა, მაგრამ მთავარი იყო, რომ იმ მომენტისთვის მათ შესძლეს ანტიკურობის შესახებ ინტერესის გააღვიძება და ემპირიუს სტადიაზე მყოფ ევროპულ საისტორიო ნააზრევების განვითარებისთვის ბიძგის მიცემა.

პაპების მისწრაფებები, რომ რომი გადაექციათ დას. ევროპის რეგიურ ცენტრად, ირიბად ხალხის ცნობიერებაში ხელს უწყობდა წარსული დიდების აღორძინების საქმეს. 1300 წელს პაპმა ბონიფაციუს VIII (1294-1303 წწ.) კათოლიკურ სამყაროში დაამკვიდრა ტრადიცია, რომლითაც პილიგრიმებს ნება მიეცათ კალენდარული წლის მანძილზე დარჩენილი იყვნენ რომში. მომლოცველების ნაწილი იყო ცნობადი და მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლები. ნება მიეცათ მათ შორის იყვნენ სწავლულებსაც, რომლებიც მოგზაურობის პროცესში ეწეოდნენ არქეოლოგიური სიძველეების და ძველი ხელნაწერების შესწავლას. საზოგადოებისგან მალულად მსგავს საქმიანობას ეწეოდნენს პაპის კანცელარიის მდივნები, რომელთა მითითებით კურიას დაევალა ძველი ხელნაწერების კოლექციების შედგენა, ანტიკური მონეტების შეგროვება, ქანდაკებების და დეკორატიული ხელოვნების ნიმუშების სისტემატიზაცია და შენახვა, რომის და მიმდებარე ტერიტორიაზე არქიტექტურული ძეგლების შესწავლა და ა.შ. [სურგულაძე, 2019:112].

XIII-XIV სს., რენესანსის დროიდან, ევროპულ საისტორიო აზროვნებაში იწყება ძველი რომის ისტორიის შესწავლისადმი მეცნიერული მიდგომა. ასპარესზე გამოსულმა ჰუმანისტებმა პაპიზმის დოქტრინასთან ჭიდილის ფონზე საფუძველი ჩაუყარეს წყარო-

თმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევის პირველ სახეს. რენესანსის დროს ინტენსიურად იწყება ძველი დოგმების ძირეული ცვლილება. ამასთან, საისტორიო აზროვნება ითხოვდა აბსტრაქტული მსჯელობების შეცვალას კონკრეტულით [Кузи-щин, 1980:8].

ჰუმანისტური ისტორიოგრაფიისთვის მახასიათებელი იყო ანტიკური ნიმუშებზე მიბაძვა. ადრეულ შუა საუკუნეებში ამისთვის გამოიყენებოდა „ბიბლია“. აღორძინების დროს ისტორიკოსები შეეცადნენ ყოფილიყვნენ მეტი რიტორები და ჰქონოდათ უფრო დრამატული თხრობის სტილი. ჰუმანისტების პირველ თაობას ენობრივი ბარიერები ჰქონდათ. მათ ბერძნული ენა ნაკლებად იცოდნენ და ამიტომაც რომაული ნაშრომები, განსაკუთრებით ლივიუსი, სანიმუშო თხზულებად მიიჩნეოდა. განსხვავებული გახდა მასალის შეგროვების პრინციპიც. ჰუმანისტი მწერლები ნაკლებად ჩერდებოდნენ ამა თუ იმ ქვეყნის, ანდა ხალხის შინაგან მხარეზე, მათ აინტერესებდათ იგივე პრობლემატიკა რაც კლასიკური ეპოქის მწერლებს - ეს იყო ომების და პოლიტიკური გადატრიალებების ისტორია.

იყო ერთი ნიშანი რაც გამოარჩევდა ჰუმანისტებს - ყველა ისინი იყვნენ ძველი ხელნაწერების დაულალავი „მონადირეები“. მათი დამსახურება იყო, არა მარტო ანტიკური მანუსკრიპტების პოვნა, არამედ თანადროული ეპოქის სხვა ქრონიკების გადარჩენაც. ისინი აწყობდნენ ექსპედიციებს, მათ შორის კონსტანტინოპოლშიც და ამ საქმეს ხშირად საკუთარი ფინანსებით აკეთებდნენ. მათ გამაფრებული ჰქონდათ ხელნაწერების შეგროვების და მათი დამუშავება-სისტემატიზაციის ჟინი. თავისი საქმიანობით ისტორიკოს-ჰუმანისტებმა მომდევნო თაობების მეცნიერებებს დაუტოვეს ფაქტებით და ქყარობით მდიდარი მასალა, რომლებიც მანამდე უცნობი იყო [სურგულაძე, 2019:113].

ჰუმანისტების კვალდაკვალ ძველი რომის ისტორიის კვლევის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს განმანათლებლებმა. მაშინდელ საისტორიო აზროვნებაში მიმდინარე კარდინალური ცვლილებები განაპირობა ზუსტი მეცნიერებების განვითარებამ და კაპიტალიზმის გაბატონებამ. საქმე იმაშია, რომ ეპოქის მოთხოვნებიდან გამომდინარე ისტორიის ძველ პერიოდზე საზოგადოებას უკვე სჭირდებოდა ზუსტი და კონკრეტული შეხედულებები. ასეთ ფონზე, თანდათან, ბიბლიური სქემები და პაპიზმის დოქტრინები მეორე მხარეს გადაიწია. თუ ჰუმანისტებმა მხოლოდ გააღვივეს ინტერესი ანტიკურობის

შესახებ და სამყაროს შექმნა-განვითარების საქმეში ღმერთის როლს დუმილით გვერდი აუარეს, განმანათლებლებმა პირიქით, მათ უარყვეს მისი როლი ისტორიის საქმეში [Кузищин, 1980:8]. XVI-XVII სს. განმანათლებლების წყალობით საისტორიო მეცნიერებაში შეიქმნა ფუნდამენტური გამოკვლევები, რომლებიდან ზოგი დღესაც სამაგიდო ნაშრომებად ითვლება [სურგულაძე, 2019:114].

XIX-XX სს. მიჯნაზე თეოდორე მომზენის, ეტორე პაისის და სხვა მეცნიერის მეოხებით ანტიკურ ისტორიოგრაფიაში პოპულარული გახდა ჰიპერკრიტიკული მიმდინარეობა. იგი, როგორც მეთოდი წყაროების სანდოობის დადგენის საფუძველს იძლეოდა და ასაბუთებდა მათში არსებულ არსებით შეცდომებს. ჰიპერკრიტიკული მიმდინარეობის მიმდევრებმა ზოგადად უარყვეს ძველი ბერძნულ-რომაული საისტორიო ტრადიციების რეალობა. მათი მხრიდან კრიტიკის ძირითადი მიზეზი იყო სხვადასხვა წყაროებში მნიშვნელოვანი სხვაობების პოვნა [სურგულაძე, 2019:114; Кузищин, 1980:6].

ლიტერატურაში შენიშნულია, რომ დღეისთვის ძველი რომის ისტორიის რიგი საკითხების შესახებ გვაქვს დეტალური ინფორმაცია. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ძველი რომის ისტორიას უკვე კომპლექსურ ფორმატში სწავლობენ არა მარტო იტალიელები, არამედ მას კომპლექსურად იკვლევენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ისტორიკოსები, ფილოლოგები, იურისტები და ა.შ. [სურგულაძე, 2019:114]. შესაბამისად, 15 საუკუნეზე მეტი ტრადიციის ფონზე ჩამოყალიბდა სხვადასხვა სკოლები (იტალიური, ფრანგული...), რომლებიც წარმართავენ კვლევის მსოფლიო კარდინალურ ხაზს. მართალია ისინი ვითარდებოდნენ ცალ-ცალკე, მაგრამ მათ აერთიანებთ მთავარი მიზანი – ძველი რომის ისტორიის შესწავლა [იქვე].

აქვე განვმარტავთ, რომ სიტყვა „ანტიკური“, ანუ იგივე „ძველი“, ჰუმანისტებისათვის (XIV-XVI სს.) მხოლოდ საბერძნეთ-რომის ისტორიას და კულტურას ნიშნავდა. ვინაიდან რენესანსის პერიოდში არ იყო ცნობილი სხვა ძველი ქვეყნებისა და არც კაცობრიობის წინარეისტორიული, ანუ სახელმწიფოებამდელი ხანა. ტერმინი პირველად გამოჩნდა XVIII ს-ის ფრანგულ სამეცნიერო ლიტერატურაში და მის ქვეშ მოიაზრებოდა უძველესი წარსულის ხელოვნების განსაკუთრებული სფერო. იმ მნიშვნელობის გამო, რაც ძველბერძნულ და რომაულ კულტურებს მიუძღვით ევროპის შემდგომი ცივილიზაციის განვითარებაში, ტერმინ „ანტიკურის“ ქვეშ მხოლოდ ჩვენ მიერ დასახელებულ

ბული ძველბერძნული და რომაული კულტურები, ცივილიზაციები მოექცა [Словарь... 1989:37].

იგივე სურათია ქართულ მეცნიერებაშიც, სადაც ძველი რომის ისტორიაც მოიაზრება ცნება „ანტიკური ეპოქის“ ქვეშ. შენიშნულია, რომ იგი რუსული საისტორიო სკოლის გავლენის შედეგია. მართლაც, ევროპული ისტორიოგრაფია „Antique“ (ლათ. „Antiquus“, „Old“, „Ancient“) ფართო მნიშვნელობას ანიჭებს და მის ქვეშ გულისხმობს ზოგადად ძველ სამყაროს (აღმოსავლეთი და საბერძნეთ-რომი). შესაბამისად, ისტორიის ანტიკური პერიოდი ჯდება გვაროვნულ საზოგადოებას და შუა საუკუნებს შორის მონაკვეთში [სურგულაძე, 2019:22]. ჩვენთვის ორივე მიდგომა მისაღებია და წინამდებარე დისერტაცია ამ პრინციპს მისდევს.

ჩვენს ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია ქართული ანტიკურ ისტორიოგრაფიაში რომაული სამყარო ასახვის საკითხები. მკითხველი შენიშნავს, რომ XIX-XX ს-ბის პერიოდზე საუბრისას ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ მხოლოდ სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების საკითხებს და იქმნება შთაბეჭდილება, რომ სხვა ტიპის ფუნდამენტური კვლევები მიღმა რჩება. ნაწილობრივ ასეცაა. დავსძენთ, რომ ისტორიოგრაფიული კუთხით მუშაობას ჩვენ ვაგრძელებთ და მათ შემდგომ კვლევებში წარმოვაჩენთ. სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები მაინც შემაჯამებელი განზოგადებული ტიპის ნაშრომებია და ისინი განსაზღვრავენ ქვეყანაში ანტიკური მეცნიერების შესწავლის დონეს და შემდგომი კვლევების მიმართულებას.

ჩვენი აზრთ, ნაშრომი ანტიკური რომის ისტორიის პრობლემატიკაზე მომუშავე მეცნიერთა წვლილის წარმოჩენის, პოპულარული შეხედულებების გადასინჯვისა და ობიექტური სურათის დადგენას მოემსახურება, რაც საკვალიფიკაციო ნაშრომის აქტუალობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად გვესახება. კვლევის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია შემდგომში განხორციელდეს ისტორიული და წყაროთმცოდნეობითი კვლევა-ძიების ჩატარება.

თავი I საკითხის ისტორიოგრაფია

წინამდებარე ნაწილში მიმოვიხილავთ იმ წყაროებს რომელზე დაყრდნობითაც ავაგეთ ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი.

წყაროთმცოდნეობა. პირველ რიგში გამოვიყენეთ „ქართლის ცხოვრება“. ნაშრომში ჩვენ მოხმობილი და დამოწმებული გვაქვს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი, რომელიც 1955 წელს, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქტორობით გამოიცა [ქართლის ცხოვრება, 1955]. რაც შეეხება გამოჩენილ ქართველ გეოგრაფ, ისტორიკოს და კარტოგრაფვახუშტი ბატონიშვილზე (1696-1757) საუბრისას, იქ ვიყენებთ „ქართლის ცხოვრების“ IV ტომს, სადაც ვახუშტის შრომებია შესული და რომელიც 1973 წელს, აგრეთვე სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქტორობითაა გამოცემული [ქართლის ცხოვრება, 1973]. აგრეთვე ვახუშტიზე საუბრისას ჩვენი ყურადღების ქვეშ მოექცა მისი „საქართველოს ისტორია“. იგი 1885 წელს გამოიცა და რომელზე ბატონიშვილი მუშაობა 1742-1745 წლებში მიმდინარეობდა, თუმცა მის დასრულებას წინ უძღვოდა 30 წლიანი ინტენსიური და დაუღალავი მუშაობა [ვახუშტი, 1885]. რიგ შემთხვევაში ვიყენებთ „ქართლის ცხოვრების“ 2012 წელს გამოცემულ სამტომეულს ვიყენებთ [ქართლის ცხოვრება, 2012].

ძველ ქართულ წყაროებში რომის ასახვის მეტნაკლებად სრულად წარმოსაჩენად, ცხადია გვერდს ვერ ავუვლიდით „ქართლის მოქცევას“. მისი ტექსტი 2009 წელს ელგუჯა გიუნაშვილმა და ვახტანგ გოილაძემ შესაბამისი რედაქტირებითა და კომენტარებით გამოსცემულს [ქართლის მოქცევა, 2009].

ამავე თავში ჩვენ ვსაუბრობთ იოანე ბატონიშვილის „კალმასობაზე“, რომელიც მართალია იგი კომპილაციაა, თუმცა ამ ნაშრომით კარგად შეგვიძლია დავინახოთ XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნის ქართული მეცნიერების დონე, თავად იოანე ბატონიშვილის განსწავლულობა.

მესამე თავში სულხან ბარათაშვილზე საუბრისას ვიყენებთ მის შემდეგ ნაშრომებს – ა) საქართველოს ისტორია, რვეული I, საქართველოს ძველი ისტორია და ბ) საქართველოს საშვალო საუკუნეთა ისტორია, რვეული II, ქრისტიანობის მიღებიდან არაბების შემოსევამდე [ბარათაშვილი, 1895]. ორივე მათგანი ქუთაისში, 1895 წელს გამოიცა, თუმცა ეს გამოცემები თარგმანის სახითაა სილოვან ხუნდაძის (1860-1928) მიერ. თუმცა, შევნი-

შნავთ, რომ ისინი რამდენიმე ათეული წლით ადრე, პეტერბურგში, რუსულ ენაზე გამოიცა ხუთ რვეულად.

ისტორიოგრაფია. როგორც წინასიტყვაობაში აღვნიშნეთ, განსახილველ საკითხზე ლიტერატურა თითქმის არ მოგვეპოვება, რაც იყო კიდევ ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი იმისა, რის გამოც ჩვენ სწორედ ამ საკითხზე გადავწყვიტეთ მუშაობა.

ანტიკური რომის ისტორიის ისტორიოგრაფიული კუთხით შესწავლას ქართული მეცნიერება განებივრებული არ არის. სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება განზოგადებული ნაშრომები, რომელშიც შესწავლილი იქნებოდა ანტიკური რომის ისტორიოგრაფიის საკითხები. არადა, ამ მხრივ, მსოფლიო ანტიკური მეცნიერება მნიშვნელოვნად წინ წავიდა. მაგ., რუსულ ისტორიოგრაფიაში აქვთ ვ. კუზნიშინის (1930-2013) რედაქციით გამოცემული განზოგადებული ნაშრომი - „Историография античной истории“(1982), ანდა აღნიშნულ პრობლემატიკაზე ე. ფროლოვის (1933-2018) [2002; 2004; 2006] და სხვების პუბლიკაციები, რომლებშიც ეპოქების მიხედვით არის წარმოდგენილი ძველი რომის ისტორიის შესწავლის თავისებურებები და ა.შ. იგივე სურათი გვაქვს ფრანგულ და გერმანულ ისტორიოგრაფიაშიც. სამწუხაროდ ასევე არ გვაქვს შესწავლილი ცალკეული მკვლევართა წვლილიც. ამ მხრივ სანიმუშოდ მიგვაჩნია კ. კრისტი (1897-1944), რომელმაც შესანიშნავად შეაფასა ედუარდ გიბონის (1737-1794) შემოქმედება [1972], ანდა პ. გრიმალის (1912-1996) პუბლიკაცია ცნობილ ფრანგ ანტიკოსზე ჟ. კარკოპინოზე [1981].


ნიშანდობლივია, რომ დასავლურ ისტორიოგრაფიაში ანტიკური რომის ისტორიის შესწავლა მიდის სხვადასხვა კუთხით. მაგ., ფილოლოგიის კუთხით კლასიკური ნაშრომი ჯერ კიდევ 1923 წელს შექმნა რ. ფარიესმა - Ancient Rome in the English Novel. ჩვენ ვნახეთ ნაშრომის 2018 წლის გამოცემა, რომელშიც ნაჩვენებია ინგლისურ მხატვრულ საისტორიო ლიტერატურაში ანტიკური რომის შესწავლის მდგომარეობის შესახებ. და მსგავსი მაგალითები ბევრია, რომელთა ჩამოთვლა ამ ეტაპზე ჩვენს მიზანს არ შეადგენს.

უდაოა, რომ მსგავსი კვლევების არსებობა სამეცნიერო აუდიტორიას უადვილებს გაერკვეს იმ ტენდენციებში რაც განსაზღვრავდა საუკუნეების მანძილზე ანტიკური რომის ისტორიის შესწავლის მაგისტრატულ ხაზს.ეს აუცილებელია, რადგანაც ანტიკური


რომის ისტორიის კვლევას განსაზღვრავდა პოლიტიკური ნება და ქვეყანაში გაბატონებული იდეოლოგია. შევნიშნავთ, რომ ამ მხრივ ქართული ანტიკური მეცნიერების „ჩამორჩენას“ თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები ჰქონდა. რიგი გარემოებების გამო (რეპრესიები, ომები...) ჩვენს მეცნიერებაში ანტიკური რომის ისტორიის თემატიკაზე არ გვქონდა ფუნდამენტური ორიგინალური თუ უცხოური სკოლებიდან თარგმნილი ნამუშევრები. ყოველივეს ემატებოდა XIX-XX სს. რუსეთის იმპერიის თუ სსრკ განათლების სამინისტროს მხრიდან საისტორიო მეცნიერების „მოთვინიერება“ ცენზურის მეშვეობით.

ფაქტია, რომ იმპერიული აზროვნებისთვის მიუღებელი იყო ქვეშევრდომი ერის ისტორიის სიდიადე. იქ არსებული საისტორიო ნააზრევი უნდა ჩამჯდარიყო იმპერიის ინტერესებში. ასეთ ვითარებაში ხდებოდა ანტიკური ისტორიის მკვლევარ-მეცნიერების მოთვინიერება, მათვის კვლევის თემატიკის და მიმართულების კარნახი, ანდა ფიზიკური ლიკვიდაცია. აღნიშნული პოლიტიკის ნიმუშია ქართველი ფილოლოგ-ელინისტის, პაპიროლოგიის სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, კლასიკური ფილოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლის შემქმნელის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დამაარსებლის, რუსეთის მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის (რუსეთის მეცნიერებათა აკადემია) წევრ-კორესპონდენტის (1917) გრიგოლ წერეთლის (1870-1939) ცხოვრება. მსოფლიო აღიარების მიუხედავად, პიროვნება, რომელიც შორს იდგა პოლიტიკისგან, იგი მაინც რეპრესირებული იყო [დულარიძე, 2017:48]. და ეს ერთეული შემთხვევა არ იყო.

ცხადია, შექმნილი პოლიტიკური ვითარება ქართველ ანტიკოსებს აიძულებდათ ემოქმედათ იმ სივრცეში რომელსაც მათ საშუალებას აძლევდა რუსეთის იმპერიის ანდა სსრკ განათლების და მეცნიერების სამინისტრო. ერთ-ერთი ასეთი სფერო იყო წყაროთმცოდნეობით, ანუ ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდებოდა მთარგმნელობით საქმიანობაზე. თუმცა, აქაც შეზღუდვა იყო და ამიტომაც სიმონ ყაუხჩიშვილის (1895-1981) მეთაურობით საქართველოში ჩამოყალიბდა ძლიერი მთარგმნელობითი სკოლა, რომლის



გრიგოლ წერეთელი



სიმონ ყაუხჩიშვილი

მიზანი იყო საქართველოსთან მიმართებაში ბერძენი და ლათინი მწერლების ცნობების მიწოდება ქართველი აუდიტორიისთვის.

ბერლინში მსოფლიო მეცნიერების კორიფეებთან (უ. ვილამოვიც-მოლენდორფი, ედ. მაიერი...) მიღებული კომპეტენციებით, ს. ყაუხჩიშვილმა, თსუ-ში სათავე დაუდო ბიზანტიოლოგიას (1927) და ასევე ფართო წყაროთმცოდნეობით საქმიანობას. აქ იგულისხმება ბერძნულ-ლათინური ასევე ქართული წყაროების გამოცემა. მარტო რად ღირს მის მიერ 1961 წელს „გეორგია“-ს ცნობილი სერიის გამოცემის დაწყება. საქართველოს შესახებ ბიზანტიელი მწერლების ცნობების გვერდით, ს. ყაუხჩიშვილმა მიმოქცევაში შემოიტანა ნიკეის საეკლესიო კრების (325), ევსევი კესარიელის (263-340) და სხვების ცნობები საქართველოს შესახებ [გეორგია, 1961].

ქართულ ანტიკურ მეცნიერებაში ს. ყაუხჩიშვილის ტრადიციები განაგრძო თინათინ ყუხჩიშვილმა (1919-2011) და შემდგომში რისმაგ გორდეზიანის (დ. 1940) მეთაურობით 1997 წლიდან ჩამოყალიბებულმა თსუ-ს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტმა. თუმცა, გავიმეორებთ, რომ 70-80-იან წლებში მიდიოდა საქართველოსთან მიმართებაში ბერძენ-რომაელი მწერლების ცნობების პუბლიკაცია [ყაუხჩიშვილი, 1959 და ა.შ].

თვითონ ძველი ავტორების შრომების თარგმნის საკითხში თამამი ნაბიჯი იყო ა. ურუშაძის მიერ „რჩეული ბიოგრაფიების“ გამოცემა [ტ. 1-2, 1975-1882]. ამ პუბლიკაციით სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა რომის ისტორიის არაერთი პირი. 80-90 წლებში მთარგმნელობითი საქმიანობა გაფართობდა და აუდიტორიას მიეწოდა სვეტონიუსის [1994; 2011] და სხვა რომაელი მწერლების ნაწარმოებები ანთოლოგიის სახით (2009). იმავდროულად დაიწყო რომაელი მწერლების შემოქმედებების შეფასება. ამ მხრივ დღემდე ძირითად ნაშრომად რჩება პროფ. გ. ქავთარიას (დ. 1936) მონოგრაფია [1998].



აკაკი ურუშაძე

მაგრამ ზემონახსენები პუბლიკაციები მხოლოდ ქართული ანტიკური სკოლის წყაროთმცოდნეობით საქმიანობას ეხება. მართალია, მოგვეპოვება პროფ. ვ. ასათიანის (დ. 1950) ნაშრომები – „ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში“ (1987) და „ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში“ (1996), მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მონოგრაფიაში ავტორი უფრო მეტ ყურადღებას ბერძნულ და ბიზან-

ნტიურ მოტივებს უთმობს, შესაბამისად ანიკური რომის საკითხი მეტნაკლებად ჩრდილში ექცევა. არადა, სახელწოდება „ბიზანტია“ ხელოვნურია და იგი 1557 წელს ხმარებაში შემოიღო გერმანელმა ჰუმანისტმა ჰიერონიმუს ვოლფმა (1516-1580) [სურგულაძე, 2019:9]. ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა, ნაშრომში ვ. ასათიანს ამ საკითხზეც გაეკეთებინა განმარტება, რადგანაც VI-XVI სს. ეს სახელმწიფო ევროპელების აზროვნებაში ბიზანტია მაინც რომად მოიაზრებოდა. ისინი ვერ აკეთებდნენ განსხვავებას მათ შორის. თვით ლეგენდარული ე. გიბონი (1737-1794) ბიზანტიას ანტიკური რომის ლოგიკურ გაგრძელებად მიიჩნევდა. ინგლისელმა მეცნიერმა ფუნდამენტურ მრავალტომეულში - „რომის იმპერიის დაკნინების და დაცემის ისტორიაში“ ანტონინებიდან დაწყებული რომაული მატთანე ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობამდე ერთ სიბრტყეში განიხილა [იქვე:10]. ცოტა ხნის წინ გამოიცა ამავე ავტორის ახალი წიგნი – „ანტიკური კულტურა, ბიზანტია და საქართველო“ [ასათიანი, 2021].



ვალერი ასათიანი



ჰიერონიმუს ვოლფი

წინასიტყვაობაში შევნიშნეთ, რომ განსახილველ პრობლემაზე სამეცნიერო ლიტერატურის ნაკლებობაა, რასაც, როგორც ზემოთ ვთქვით მისი სუბიექტური და ობიექტური გარემოება აქვს. ისტორიოგრაფიული საკითხების კვლევა მეცნიერისგან მოითხოვს ღრმა განსწავლულობას, რადგანაც ნებისმიერ პუბლიკაციას დაღად ადევს ეპოქაში მიმდინარე ტენდენციები, იდეოლოგია და სხვა ფაქტორები.



ედუარდ გიბონი

ქართულ მეცნიერებაში პირველი რომელმაც წამოსწია ანტიკური სამყაროს შესწავლა ისტორიოგრაფიული კუთხით იყო პროფ. ომარ ნიშნიანიძე (დ. 1952). მეცნიერი თანამედროვე ქართველ ანტიკოსებში წონადი მკვლევარია. 1987 წელს მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია - „ანტიკური სამყარო შუა საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში“. უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული კვლევა მეცნიერის მხრიდან თამამი ნაბიჯი იყო. საქმე იმაშია, რომ ამ მხრივ ის იყო პირველმკვლევარი და მას მოუწია V-XIV ს-ბის

შუა საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში, საისტორიო მწერლობაში თუ კულტურაში ანტიკური ტრადიციების მიმართ კვლევა. ავტორმა სწორად შენიშნა, რომ ბერძნულ-რომაული სამყაროს ტრადიციები ქართულ სივრცეში ძირითადად ბიზანტიის შუამავლობით ვრცელდებოდა [Нишнანიძე, 1987:7]. მეცნიერს მხედველობიდან არ რჩება ბერძნულ-რომაული კულტურის გავლენა დასხვა საკითხები.

თემის ზოგადმა სათაურმა, იგულისხმება ერთიან სივრცეში ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის კვალის კვლევამ, მეცნიერს არ მისვა საშუალება ვრცლად წარმოეჩინა რომაული ტემატიკის ასახვა საისტორიო მწერლობაში. კარგი იქნებოდა წამოწყება ო. ნიშნიანიძეს გაეგრძელებინა მეცნიერებისთვის უაღრესად საჭირო ისტორიოგრაფიული კუთხით პრობლემის კვლევა, უბრალოდ მისი მეცნიერული ინტერესი სხვა კუთხით წავიდა. ამის მიუხედავად ვიტყვით, რომ სწორედ ჩვენი ინტერესის საფუძველი სწორედ მისი კვლევა გახდა.



ომარ ნიშნიანიძე

პროფ. ო. ნიშნიანიძის კვლევის შემდეგ ქართულ ანტიკურ ისტორიოგრაფიული მთელი 30 წელი აღნიშნულ პრობლემაზე კვლევა არ განხორციელებულა. თან დროის მოთხოვნა იყო ელინური და რომაული სამყაროს ცალკე გამიჯნულად შესწავლა. არადა, ამ კუთხით ნებისმიერი პუბლიკაცია საშუალებას მისცემდა სწავლულებს გაერკვიათ ის ტენდეციები, რაც განსაზღვრავდა აღნიშნული სფეროს განვითარებას. ამიტომაც, ეს გახდა ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი რის გამოც ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, რომ წამოგვეწია იგი და მკითხველისთვის აღნიშნულ პრობლემაზე კვლევა მიგვეწოდებინა.



კახაბერ სურგულაძე

ელინურისაგან გამიჯვრებით, ცალკე, რომის ისტორიის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ისტორიოგრაფიული კუთხის შესწავლა მოგვცა პროფ. კ. სურგულაძემ (დ. 1964). 2013 წელს აუდიტორიას მან მიაწოდა ნაშრომი – „ძველი რომის ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია“. ეს იყო ანთოლოგიური ტიპის პუბლიკაცია. შესავალში ავტორი განმარტავდა, რომ „ქართულ ისტორიოგრაფიაში ძველი რომის ისტორიის შესწავლას ორ საუკუნეზე მეტი ხნის ტრადიციის მიუხედავად,

შევნიშნავთ, რომ წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის საკითხების შესახებ განმაზოგადებელი ნაშრომი არ გვექონდა. რამდენიმე ლათინი ისტორიკოსის თხზულების თარგმნის გარდა, ისტორიოგრაფიაში აქცენტი გადატანილი იყო რომაულ-ქართული ურთიერთობების ამსახველი წყაროების თარგმნა-გამოცემაზე“ [სურგულაძე, 2013:7].

წინამდებარე ნაშრომი ორი ნაწილისგან შედგება. პირველში საუბარია წყაროთმცოდნეობის, ხოლო მეორეში ისტორიოგრაფიის საკითხებზე. მკითხველი შეამჩნევს, რომ წყაროთმცოდნეობაზე საუბრისას, ავტორის სტილია, ყურადღების გამახვილება ჯერ ბიოგრაფიულ ცნობებზე და შემდეგ ისტორიკოსების შემოქმედებაზე – აღნიშნავს წიგნის რედაქტორი ომარ ნიშნიანიძე [იქვე:7].

რადგან ნაშრომი ანთოლოგიის პრინციპზე იყო აგებული, ამიტომაც ავტორმა მასში მოკლედ არის განიხილული ის ნაწარმოებები და ავტორები, რომლებიც ეხებიან ანტიკური რომის ისტორიას. თუმცა აღნიშნულ ნაშრომში ავტორი არა კონკრეტულად ქართულ, არამედ ზოგად, მსოფლიო სამეცნიერო და არასამეცნიერო სივრცეს მიმოიხილავს. მას არჩეულია აქვს ე.წ. „სკოლის“ პრინციპი. შესაბამისად მას გამოყოფილი აქვს: „ფრანგული სკოლა“, „გერმანული სკოლა“ და ა.შ. ამ ჩამონათვალის რიცხვში ნახსენებია ქართული სკოლაც. საინტერესო ისეო ის გარემოებაც, რომ მკვლევარი ინტერესდება რომაული სამყაროს ასახვაზე მწერლობაშიც. ამის საილუსტრაციო ნიმუშად ავტორს მოჰყავს უ. შექსპირის (1564-1616) და ბ. ჯონსონის (1572-1637) და სხვების შემოქმედება.

ცხადია, ე.წ. „სკოლებზე“ საუბრისას ავტორი გვერდს ვერ აუვლიდა ქართულ ანტიკურ ისტორიოგრაფიას და მის განხილვასაც უთმობს დროს, იწყებს რა მოკლე მიმოხილვას შუა საუკუნეებიდან ვიდრე 21-ე საუკუნის დამდეგამდე [სურგულაძე 2013:215-227]. წინამდებარე ნაშრომის გადამუშავებული ვარიანტი ავტორმა შეიტანა მის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში [სურგულაძე, 2019:241-257].

ჩვენ ერთის მხრივ მოგვწონს კ. სურგულაძეს მიერ ისტორიოგრაფიული საკითხების კვევისას ე.წ. „სკოლების პრინციპის“ დანერგვა. თუმცა შევნიშნავთ, რომ სასურველი იქნებოდა ხაზი გაესვა თითოეული ქართველი ისტორიკოსი რომელი კლასიკური სკოლის გავლენას განიცდიდა. მაგ., ჩვენი დაკვირვებით ლ. სანიკიძე გერმანული სკოლის (მომზენის...) გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. რაც შეეხება ა. წერეთელს, მას აკად. ვ. ბუ-ზესკულის (1858-1931), წერის მანერა ჰქონდა. ვფიქრობთ, რომ საკითხისადმი ასეთი მი-

დგომა უფრო წარმოაჩენდა და წარმოაჩენს ქართველს ანტიკოსებს და მკთხველისთვის ნათელი იქნებოდა მისი ორიგინალობა.

კვლევის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, შევნიშნავთ, რომ ჩვენთვის წყაროსთან ერთად მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ისტორიკოსთა კვლევებსაც. თითოეული ტექსტი, რომელიც ნაშრომშია გამოყენებული, როგორც წყარო, სამეცნიერო საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, გამოყენებულ წყაროთა სიმრავლისა და, რაც მთავარია, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი თითოეული ტექსტის ავთენტურობა და შინაარსი, ავტორთა ვინაობა და შექმნის პერიოდი, ასევე მათი ღირებულება, არ არის სადავო, გამოყენებული მასალების უფრო დეტალური აღწერის საჭიროება, ვფიქრობთ, არ დგას. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ, თუმცა ისინი კარგადაა ცნობილი სამეცნიერო საზოგადოებისათვის, ქართული სამეცნიერო ლიტერატურა დაინტერესდა სხვადასხვა სამეცნიერო შრომებითა და მონოგრაფიებით გამოთქმული საინტერესო მოსაზრებებით და ამ კონტექსტში ანტიკურობის ციტირებებით იკვლევენ სხვადასხვა მკვლევარები, რომელთა ნაშრომები ეფუძნება ფაქტობრივ მასალებს. მათგან გამოვყოფთ შემდეგს:

ვინაიდან, საკვალიფიკაციო მაშრომში აქცენტი გაკეთებული გვაქვს ქართულ სივრცეში მოქმედ სასკოლო და საუნივერსიტეტო ტიპის სახელმძღვანელოებზე, მოკლედ შევნიშნავთ, რომ ეროვნულ ენაზე ძველი რომის ისტორიის შესახებ პირველი ზოგადი სახის სახელმძღვანელო ნაშრომი ეკუთვნის დიმიტრი უზნაძეს (1886-1950). ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მხარდაჭერით, 1918-1919 წლებში, ქუთაისში სამ ნაწილად გამოიცა მეცნიერის „მსოფლიო ისტორია“ და შესაბამისად, თითო მონაკვეთი დაეთმო ძველი აღმოსავლეთის, ელადისა და რომის ისტორიებს.

შემდგომში, ე.წ. საბჭოთა პერიოდი, რომლის დროსაც პროვინციებში ოფიციალურად იკრძალებოდა ზოგადი ხასიათის განმაზოგადებელი ნაშრომების წერა და ისინი მხოლოდ მოსკოველი მეცნიერების პრეროგატივა იყო. შესაბამისად, ისტორიოგრაფიაში ყოველგვარი არსებული ხარვეზის შევსება ხდებოდა ნათარგმნი წიგნებით. ამიტომაც იყო, რომ ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ვ.სერგეევის „ძველი რომის ისტორიის ნარკვევები“ [სერგეევი, 1940; 1941], ნ.მაშკინის „რომის ისტორია“ [მაშკინი, 1951] და ა.შ.


ასეთ ფონზე, საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ნათელი ფიგურა გახლდათ ალექსანდრე წერეთელი (1889-1967 წწ.) და ლევან სანიკიძე (1925-2001). ა. წერეთელმა სახელმძღვანელოში წარმოაჩინა ანტიკური რომის ისტორიის მეფეთა ხანის და რესპუბლიკის პერიოდი [წერეთელი, I-II: 1957-1961; 2002], ხოლო ლ. სანიკიძემ კი იმპერიის პერიოდი [სანიკიძე, I-II, 1969-1972; 1982]. მართალია, მათ ეწერა დამხმარე სახელმძღვანელოს სახელი, მაგრამ ვიტყვით, რომ ორივე ავტორის ნაშრომები საკმარისი დარჩა ქართველ ანტიკოსთა არაერთი თაობის აღზრდისთვის. აქვე შევნიშნავთ, რომ სხვადასხვა მიზეზებით ორივე ავტორი გვერდს უვლის ისტორიოგრაფიული საკითხის წარმოჩენას.

XXI ს-ში ანტიკური რომის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს მიეწოდა გრანი ქავთარიას (დ. 1936) „რომის ისტორია“ [I-II, 2016-2021] და კ. სურგულაძის [სურგულაძე, I, 2019] სახელმძღვანელოები. მათზე ქვემოთ ვისაუბრებთ შესაბამის ნაწილში.


დასასრულ დავსძენთ, რომ წინამდებარე ნაშრომი თეორიულ, ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლემიკის მუხტი გააჩნია, რომელიც მიზნად ისახავს იმ მარქსისტული სტერეოტიპისა და შტამპების არგუმენტირებულ გაბათილებას, რომელმაც, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ფართოდ მოიკიდა ფეხი ქართული საზოგადოების ცნობიერებაში.

სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო სიახლეზე საუბრისას უნდა გამოვყოთ მეოთხე თავი – „რომაული სამყარო XX საუკუნის ისტორიოგრაფიაში“, რომლის ფართო მოცულობიდან გამოდინარე, ჩვენ მხოლოდ კონკრეტულ მეცნიერთა ნაშრომებსა და სამეცნიერო სფეროში ზოგიერთ ტენდენციას შევხებით.

წინამდებარე ნაშრომს არ აქვს პრობლემის სრულად ამოწურავის პრეტენზია, მით უფრო, როდესაც საქმე ეხება კონკრეტულად XX საუკუნის ისტორიოგრაფიის მიმოხილვას. სწორედ მეოცე საუკუნის ისტორიიდან, როდესაც ძველი რომის შესახებ ზღვა ლიტერატურას ვხვდებით, ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ამოვარჩიეთ. დავძენთ,



ალექსანდრე წერეთელი



ლევან სანიკიძე

რომ ამ კუთხით ჩვენი კვლევა გაგრძელდება, შესაბამისად, ნებისმიერი შენიშვნა ხელს შეგვიწყობს და დაგვეხმარება საკითხის მომავალ დახვეწასა და განვითარებაში.

ნაშრომი ისტორიული და წყაროთმცოდნეობითი ხასიათის ინტერდისციპლინარულ კვლევას წარმოადგენს. იგი ითხოვს საკითხისადმი არსებული მიდგომების რადიკალურ რევიზიას. თუმცა, ცახდია, სასურველი და მნიშვნელოვანიც კია, რომ არ მიიჩქმალოს იმ მეცნიერთა მოღვაწეობა, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს საკითხის კვლევის საქმეში.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ ობიექტურობისა და სისტემატურობის პრინციპების დაცვით, ახალი ასპექტების წარმოჩენითა და შესაბამისი არგუმენტებით შეგვესწავლა ის პრობლემატური საკითხები, პარალელები და შესაბამისი კონტექსტი, რომლებიც, ჩვენი აზრით, არასაკმარისადაა წარმოჩენილი იმ მეცნიერთა შრომებში, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ეხებიან ამ საკითხს. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ისტორიის მეთოდოლოგიური მიდგომა. მოცემული საუკუნეების რეკონსტრუქციისას ვეყრდნობით ორივე მხარის წყაროებს. გარდა ამისა, ვიყენებთ რელევანტურ წერილობით წყაროებსაც, რომლებიც დამატებით სინათლეს ჰფენს ზოგიერთ საკითხს.

ზოგადად, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დროს გამოიკვეთა ქართულ სამეცნიერო სივრცეში ამ საკითხთან დაკავშირებული მწირი თეორიული მასალების არსებობა. ჩვენი ნაშრომი, ერთგვარად, აღნიშნული სიცარიელის შევსების მცდელობაა. შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომი შეასრულებს სასწავლო მასალის ფუნქციასაც ისტორიის მიმართულების (და არა მხოლოდ) სტუდენტებისთვის. ამასთან, დაეხმარება საკითხით დაინტერესებულ მკითხველსა თუ მეცნიერს, რომ ზოგადი წარმოდგენა შეიქმნას საკითხზე და გაუიოლდეს საკვლევე პრობლემაზე მუშაობა.

თავი II

რომაული სამყარო ფეოდალური ხანის ისტორიოგრაფიაში

ანტიკური კულტურის ტრადიციების გააზრებამ, შეთვისებამ, ძველ ქართულ კულტურას და უპირველესად კი მწერლობას მრავალი დადებითი რამ შესძინა, მნიშვნელოვნად გააფართოვა მასშტაბები და ნათლად წარმოაჩინა ჩვენი წინაპრების ინტელექტუალური პოტენციალი [ასათიანი, 1996:5]. ცხადია, ანტიკურში მხოლოდ რომი არ მოიაზრება და მასთან ერთად (თუ მეტი წილი არა) დიდი დამსახურება ბერძნულ ცივილიზაციას, მის სხვადასხვა ნაყოფსაც მიუძღვის. უტყუარი მოცემულობაა, რომ „ბერძნულ-ელინისტური და რომაული კულტურების ნაკადებს საქართველო შეხვდა თავისი თვითმყოფადი კულტურით, რომელსაც ღრმა ტრადიციები და საკუთარი სახე ჰქონდა“ [იქვე:5-6]. მით უმეტეს, რომ რომისა და საქართველოს ურთიერთობები ჯერ კიდევ ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება და ურთიერთობა დროის სვლის ფონზე უფრო მეტად აქტიური ხდებოდა. ამას გარდა, „შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველურ სამყაროსა და იტალიაში დამკვიდრებულ ხალხებს შორის კონტაქტები უფრო შორეულ წარსულს უნდა უკავშირდებოდეს. ამაზე მიგვითითებს ძლიერი მითოლოგიური ტრადიცია, აიეტის დის, კოლხი კირკეს, იტალიასთან მდებარე კუნძულზე გადასახლების, მასთან განსაწმენდად მედეასა და იასონის მისვლის, კირკესა და ოდისევის შვილის, ტელეგონოსის, განსაკუთრებული როლის შესახებ რომის მითოლოგიურ ისტორიაში. ამ უკანასკნელს ხომ ძველი იტალიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქის, ტუსკულუმის დაარსება და ტროელი ენეასისათვის ლაციუმში ძალაუფლების მოპოვებაში დახმარება მიეწერება“ [გორდეზიანი, 2013:70-71]. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, „რომ იტალიის უძველესი მოსახლეობის, ეტრუსკების, უმნიშვნელოვანეს ბირთვს მცირე აზიიდან გადმოსახლებული ტირსენიელები წარმოადგენდნენ, ხოლო დღემდე არასრულყოფილად გაშიფრული ეტრუსკული, მსგავსად წინაბერძნული ენებისა, მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ქართველურ ენობრივ სამყაროსთან ავლენს საგულისხმო კავშირებს“ - [იქვე:71].

ცხადია, ამ კულტურათა ათვისებას ცალკეული სპეციფიკები გააჩნია, რამაც განაპირობა საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიაში მათი ასახვის თავისებუ-

რებები. უმთავრესი პროცესი, რაც განაპირობებს რაიმე სახის რემინისცენციას, მთარგმნელობითი საქმიანობაა, რომელსაც სათავე ჯერ კიდევ ადრეფეოდალური და ფეოდალური ხანის მიჯნაზე დასდებია. „იმ ნათარგმნ ლიტერატურულ ნაწარმოებთა შორის, რომელნიც შედარებით ახლოს იდგნენ ანტიკურობასთან და მეტ მასალას იძლეოდნენ ანტიკური ისტორიისა და კულტურის შესაცნობად, უნდა დასახელდეს: „ალექსანდრიანი“, იოსებ ფლავიუსის „იუდეველთა სიძველენი“, „ელინთა ზღაპრობანი“ და ბიზანტიელი ისტორიკოსის გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფი“ [ნიშნინიძე, 1986:154].

იოსებ ფლავიუსის ნაშრომში „იუდეველთა სიძველენი“ საყურადღებო ცნობებია ქართველთა წარმომავლობის შესახებ. მის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბიბლიური თუბალები შემდგომი ხანის იბერები არიან „...თობელები, რომლებსაც ახლა იბერები ეწოდებათ.“ შემდგომ აღნიშნულ წყაროს იყენებს თეიმურაზ ბატონიშვილიც. აი, რას წერს ის: „...ძველ ებრაელთა მოთხრობათა შინა წიგნსა პირველსაა, ნაწილსა და თავს 6-სა, მოუთხრობს ესრეთ: „სულ ძველად ქართველთა, ესე იგი ივერთა, თობელი ეწოდებისო, ვინაჲდგან იგინი შთამომავლობანი არიან იაფეთის ძის იობელისანი.“ იოსებ ფლავიუსის ნაშრომიდან მოდის აგრეთვე ბიბლიური „მეშხის“ დასახვა კაპადოკიელების წინაპრად და დედაქალაქ მაზაკასთვის მათი სახელის დაკავშირება [მელიქიშვილი, 2014:54].

იოსებ ფლავიუსის თხზულება საქართველოში ადრიდანვე ცნობილი იყო და მას დიდი ინტერესითაც ეცნობოდნენ. „იუდეველთა სიძველენი“ ჯერ კიდევ XII საუკუნეში ითარგმნა ძველ ბერძნულიდან ქართულად. მთარგმნელად ერთი პერიოდი XI-XII საუკუნეების გამოჩენილი მოღვაწე იოანე პეტრიწი¹ ითვლებოდა (მაგ., აკად. კორნელი კეკელიძე), თუმცა სამეცნიერო სივრცეში გამოითქვა ვერსია, რომ ის არა პეტრიწს, არამედ „სამშობლოდან გადახვეწილ სულ სხვა პიროვნებას“ უნდა ეთარგმნა [მელიქიშვილი, 1984:103-114]. 20 წიგნიდან თარგმნეს პირველი თხუთმეტი. ამ თარგმანს XII საუკუნისას დედნის სახით, ჩვენამდე არ მოუღწევია. იგი შემორჩენილი XIII და XVI საუკუნეების ორი ხელნაწერით. იოსებ ფლავიუსის ნაშრომით შემდგომში ინტერესდებიან აფხაზეთის კათალიკოსი ეფთვიმე (XVI ს.) და ქართლის მთავარეპისკოპოსი

¹ იოანე პეტრიწი XI-XII საუკუნეების ქართველი ფილოსოფოსი, ნეოპლატონიკოსი იყო. მის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ მგოვეპოვება. მე-18 საუკუნის წყაროთა ცნობით, ის მესხი უნდა ყოფილიყო, იოანე ბატონიშვილის აზრით კი გურიიდან.

იოანე (XVIII). აფხაზეთის კათალიკოსმა ეფთვიმემ ხელახლა გადააწერინა ნაშრომი, ხოლო ქართლის მთავარეპიკოპოსმა იოანემ XIII საუკუნის ხელნაწერი ააკინძვინა. უკვე XIX საუკუნის 30-40-იან წლებში აღნიშნული საკითხით ინტერესდება სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი. მან მიიღო გადაწყვეტილება გადაეწერათ ძველი თარგმანი, ხოლო თხზულების უთარგმნელი ნაწილი (XVI-XX თავები) ეთარგმნათ. აღნიშნული საქმე დავით დადიანმა კარის მღვდელს დავით ინანიშვილს დააბარა. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში მიკვლეულ იქნა რამდენიმე ფრაგმენტი, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ XII საუკუნეში იოსებ ფლავიუსის თხზულების ქართული თარგმანის შემცველი კიდეც ორი ხელნაწერი არსებულა, რომელთაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს [მელიქიშვილი, 2014:23].

შემთხვევითი, არაა რომ იოსებ ფლავიუსის ამ თხზულებას შუა საუკუნეების საქართველოში დიდი ინტერესით ეკიდებოდნენ. ამის მიზეზი, გარდა იმისა, რომ ეს თხზულება მოგვითხრობს „უფლის რჩეული ხალხის“ მძიმე ისტორიას, მასში, როგორც ვნახეთ, საყურადღებო ცნობებია დაცული ქართული მოდგმის ტომებისა და ქართველთა წარმომავლობის შესახებ. როგორც ჩანს, ეს გარემოება კიდეც უფრო ზრდიდა ქართველი მთარგმნელების ინტერესს იოსებ ფლავიუსის თხზულების „იუდეველთა სიძველენისადმი“ [მელიქიშვილი, 2014:16].

გარდა ამ ნაწარმოებისა, იოსებ ფლავიუსის მეორე თხზულებას – „იუდეველთა ომი“ – იცნობენ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი და ჟამთააღმწერელი [ნიშნიანიძე, 1986:155]. მესამე საუკუნის მოღვაწის, იპოლიტე რომაელის ქრონიკა უნდა ეთარგმნა და დაემუშავებინა XI საუკუნის დასაწყისში ექვთიმე ათონელს, რომლითაც ლეონტი მროველი სარგებლობდა [ბარამიძე, 1968:49]. აღნიშნული ეპოქის ქართულ თხზულებებში ვხვდებით ანტიკური ღმერთებისა და გმირების სახელებს: კრონოსი, ზევსი, აპოლონი, პლუტონი, იქედნე, ერმიონი და სხვა. ქართველი ავტორები აგრეთვე იცნობენ მითოლოგიურ სხვა პერსონაჟებსაც, მაგალითად ისეთს, როგორიცაა ჩვენთვის საინტერესო რომულუსი.

XI-XIV საუკუნეების ქართველ ავტორთათვის ცნობილია რომის იმპერატორების ტიტუსისა და ვესპასიანეს სახელები. მათთან ერთად ქართულ წყაროებში ვხვდებით კონსტანტინე დიდს, მის ძმისწულს ივზიმეანოსს, იულიანე განდგომილს და ა.შ.

მომდევნო ქვეთავში ჩვენ ყურადღებას ცხადია მხოლოდ რომზე შევაჩერებთ და უპირველესად „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკას შევხებით.

2.1. „ქართლის ცხოვრება“ და რომაული სამყარო


ფეოდალური საქართველოს ხანაში, პასაჟები ანტიკური რომის ისტორიიდანაიხსნა „ქართლის ცხოვრების“ კრებულში. თუმცა, უნდა ვთქვათ, რომ როგორც ასეთი, ცალკე განყენებულ „რომის ისტორიას“ „ქართლის ცხოვრებაში“ არ ვხვდებით და ავტორებს რომი მხოლოდ საქართველოს კონტექსტის გავლით აქვთ ნახსენები. ეს გასაკვირი არცაა, ვინაიდან ვიდრე XIX საუკუნემდე, საქართველოში არ შექმნილა სპეციალური ნაშრომი, რომელიც კონკრეტულად მსოფლიოს ისტორიას მიემდვინებოდა და საქართველოს ისტორიის შესახებაც ერთადერთი წყარო სწორედ „ქართლის ცხოვრების ქრონიკა“ იყო. შესაბამისად, მხოლოდ „ქართლის ცხოვრებით“, შეუძლებელია რომის ისტორიაზე, რომაულ სამყაროზე წარმოდგენის შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ მასში გარდა რომისა, ზოგადად გარე სამყარო ნაკლებადაა ნახსენები, „ქართლის ცხოვრება“ იყო სამაგიდო წიგნი და მის მეშვეობით ხდებოდა საქართველოს ისტორიის და გარე სამყაროს გაცნობა“ [სურგულაძე, 2013:216].

„ქართლის ცხოვრება“, იგივე „ქართველთ ცხოვრება“ ერთგვარი კრებულია სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორთა მიერ დაწერილი თხზულებებისა და ის ჩვენი ქვეყნის ისტორიის უმთავრესი წყაროა. ყველა თხზულება მასში ქრონოლოგიურადაა შესული და ერთიანი ისტორიის სურათის წარმოჩენის საშუალებას იძლევა.

„სადღეისოდ არსებობს „ქართლის ცხოვრების“ ორი ციკლი, ე.წ. „ძველი ქართლის ცხოვრება“ და „ახალი ქართლის ცხოვრება“ [ლორთქიფანიძე, 1989:3]. ჩვენი ინტე-

რესის ქვეშ სწორედ „ქართლის ცხოვრება“ ე.წ. „ძველი ციკლი“ ექცევა, რომელიც საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან მე-14 საუკუნის დასაწყისამდე მოიცავს. მასში შესულია ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველ მეფეთა და პირველთაგანთა მათა და ნათესავთა“, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“, „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი“, ჯუანშერის „ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა“, „მატიანე ქართლისა“, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ბასილი ეზოსმოდვარის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიათა თხზულება, ჟამთა-აღმწერლის „ასწლოვანი მატიანე“.

ნაშრომში ჩვენ სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ კრებულით ვსარგებლობთ. აკად. ს. ყაუხჩიშვილმა 1955-1959 წლებში იმდროისთვის ცნობილი ყველა ხელნაწერის მიხედვით კრიტიკულად დადგენილი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი გამოსცა. ცხადია, ამ პუბლიკაციამ დიდი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში. აგრეთვე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ ხარვეზის გამო, რაც თავს დაატყდა სიმონ ყაუხჩიშვილის შედგენილ ტომეულებს (კერძოდ გამოსაცემად გამზადებული მესამე ტომი ადიდებულ მტკვარს ემსხვერპლა), ზოგიერთ ადგილას ჩვენ 2012 წელს გამოცემულ „ქართლის ცხოვრების“ სამტომეულს ვეყრდნობით.



„ქართლის ცხოვრებაში“ ანტიკური რომის ისტორიის შესახებ ცნობები მწირია და სახელმწიფოს ისტორიის სრული სურათის შექმნის შესაძლებლობას არ გვაძლევს. ამასთან, ხშირია ფაქტოლოგიური ცთომილებებიც.

„რომი“ „ქც“-ში გამოყენებული არის სხვადასხვა ვარიაციებში („ჰრომნი“...) და არის ადამიანის საკუთარი სახელის („ჰრომოსი“), ქალაქის და ქვეყნის აღმნიშვნელად. ქვეყნის სინონიმად საუბრისას უნდა შევნიშნოთ, რომ მემატიათა „რომის“ ქვეშ მოიაზრებდა ანტიკური რომის იმპერიის დასავლეთ [ქართლის ცხოვრება, 1955:162] და აღმოსავლეთ ნაწილებსაც. უკანასკნელის მიმართ მემატიათა ხშირად საბერძნეთსაც მოიაზრებდა [ქართლის ცხოვრება, 1955:18; 80]. ამ შემთხვევაში ნაწილობრივ ფიქსირდება ისტორიული რეალობა, რადგანაც იმ პერიოდში მსოფლიო რუკაზე ბიზანტია, როგორც სახელმწიფო

არ არსებობდა. მართალია, „ქართლის ცხოვრებაში“ ნახსენებია ბიზანტია, მაგრამ აქ იგი არის მხოლოდ პიროვნების სახელის და ქალაქის სინონიმად: ალექსანდრე მაკედონელმა „...ბიზანტიონს მისცა საბერძნეთი და ქართლი... და მან აღაშენა ქალაქი ბიზანტია“ [ქართლის ცხოვრება, 1955:20; სურგულაძე, ... 2022:11].

აქვე კიდევ ერთხელ შევნიშნოთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული სახელწოდება „ბიზანტია“ ხელოვნურია და იგი 1557 წელს ხმარებაში შემოიღო გერმანელმა ჰუმანისტმა და ისტორიკოსმა ჰიერონიმუს ვოლფმა (გერმ. Hieronymus Wolf, 1516-1580). მართლაც, ისტორიის 395-1453 წლების მონაკვეთში აღმოსავლეთ რომის იმპერიის სახელწოდებები იყო: „რომის იმპერია“ (ლათ. Imperium Romanum; ბერძნ. βασιλείαν Ῥωμαίων [basileia ton romaion]), „რომაელების იმპერია“ (ლათ. Imperium Romanorum; ბერძნ. Ἀρχιτάν Ῥωμαίων), „რომანია“ (Ῥωμανία), ანდა „რომაისი“ (Ῥωμαῖς [Romais]). იმპერიის მცხოვრებლები თავს უწოდებდნენ „რომაიო“-ს – რომაელებს (Ῥωμαῖοι [romaioi]). მათ მართავდა რომის იმპერატორი – „ბასილევსი“ (Βασιλεὺς τῶν Ῥωμαίων [basileus ton romaion]) [სურგულაძე, 2019:9; სურგულაძე, ... 2022:11]

სამწუხაროდ, აღმოსავლეთ რომის იმპერიის აღმნიშვნელი ჩვენს მიერ მოტანილი ისტორიული სახელწოდებები ქართველი მეისტორიესთვის უცნობია. კრებულში ნახსენები არის რომის პაპი – „წმიდისა პატრიარქმან ჰრომისამან“ [ქართლის ცხოვრება, 1955:124]. ქართლის გაქრისტიანების და წმ. ნინოს მისიონერული მოღვაწეობის ამბებთან დაკავშირებით მემატთანე წერდა: „მათ დღეთა შინა მოვიდა წიგნი ჰრომით, წმიდისა პატრიარქისა“ (იქვე). ამ შემთხვევაში დაფიქსირებულია წმ. საყდრის როლი გაქრისტიანების საქმეში. ამ პასაჟის გაგრძელებაა „...ვიყო მორჩილ ნინოსა ზედა ჰრომ თასა“ [ქართლის ცხოვრება, 1955:110]. კრებულში ნახსენებია: „ვიგილიოს წმიდისა ჰრომთა პაპისა“ [ქართლის ცხოვრება, 1955:215]. ამ შემთხვევაში მემატთანეს მხედველობაში ყავდა რომის პაპი ვიგილიუსი (Vigilius PP.; 535-555), რომელმაც უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო 553 წელს კონსტანტინოპოლში მიმდინარე მეხუთე მსოფლიო კრების მუშაობაში [სურგულაძე, ... 2022:12].

რომაული სამყარო ნახსენებია „მეფესთან შედარების მომენტში ან რაიმე ფაქტთან დაკავშირებით... საეკლესიო რეფორმის თაობაზე საუბრისას, დავით აღმაშენებელი შედარებულია კონსტანტინე დიდთან: „და ესეცა მიმსგავსებულად დიდისა კონსტანტი-

ნესა აღასრულა მეფემან დავით“ [ქართლის ცხოვრება, 1955:328]; ანდა „მიიღო მაღლი მოციქულობისა, ვითარცა პავლე და ვითარცა დიდმან კონსტანტინე“ (ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი)“ [სურგულაძე, 2013:216]. დავითი ზოგ ადგილას შედარებულია ალექსანდრე მაკედონელთან და ამ შედარების დროს რომსაც ვხვდებით – ალექსანდრემ, „რამეთუ პირველად მამულისა თვისანი შეკრიბნა და მით დაიპყრნა დასავლისანი ევროპი, იტალია, რომი და აფრიკეთი...“ [ქართლის ცხოვრება, 1955:358] და ავტორი შემდეგ აგრძელებს, „თუმცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი, უადრესნი სხუათა ქებულთანი“ [იქვე:359].

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“ მეფე გიორგი III (1156-1184) შედარებულია იმპ. კონსტანტინე დიდთან (306-337) [ქართლის ცხოვრება, 1959:116].

XII-XIII ს-ბის ქართველი ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოდვარი მეფე თამარის (1184-1213) საქმიანობას სასულიერო კუთხით აგრეთვე იმპ. კონსტანტინეს ადარებს – „ხოლო სჯულთათჳს სულითთა მეორე კოსტანტინე იქმნებოდა და მისებრვე ჰგოროვნებდა დაწყებასა საღმრთოსა საქმეთასა...“ [ქართლის ცხოვრება, 1959:117].

ჟამთააღმწერელი ჯალალ-ედ დინის მიერ 1226 წლის თბილისის აოხრებას ადარებს იმპ. ვესპასიანესა და ტიტუსის მიერ 70 წელს იერუსალიმის აღებას: „და ესე ვითარნი ჭირნი მოიწივნეს, რომელ არაოდეს ძუელთა სადამე წიგნთა მიერ სმენილ არს, რომელნი თანა-შეესწორებიან ქრისტეს ჯუარისა მცმელთა იუდიანთა ზედა ქმნულთა მიერ იერუსალიმისა სრულიადსა მოსკოლვასა ტიტეს და უესპასიანეს მიერ...“ [ქართლის ცხოვრება, 1955:176].

ასეა თუ ისე, ჩვენ მაინც შევისწავლეთ ქართლის ცხოვრების ტექსტი და გვსურს წარმოვაჩინოთ ზოგიერთი ნაწილი.

ლეონტი მროველის თხზულებაში „ცხოვრება ქართველ მეფეთას“ მესამე თავში, სადაც ავტორი ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობაზე საუბრობს, შემდეგ რამეს წერს: „...და მისცა ასი ათასი კაცი ქუეყანათ ჰრომით, რომელსა ჰქვან ფროტათოს. ესე ფროტათოსელნი იყვნეს კაცნი ძლიერნი და მკნენი, და ელორთებჳდეს ქუეყანასა ჰრომისასა“ [ქართლის ცხოვრება, 1955:18]. აქ საუბარია იმაზე, რომ ალექსანდრე მაკედონელმა აზონს, რომელიც მან აქ ქვეყნის სამართავად დატოვა, ჩააბარა ჯარიც –

ფროტატოსელნი. სხვას რომ თავი დავანებოთ, გაუგებარია, თუ რატომ თვლის ლეონტი მროველი აზონისათვის დატოვებულ ჯარისკაცებს რომაელებად (იგივეს იმეორებენ შემდგომში ვახუშტი და თეიმურაზ ბატონიშვილები, რასაც შევხებით). ის ფაქტი, რომ ქართლის ცხოვრებაში ნახსენები ჰრომის/ჰრომნ უნდა ნიშნავდეს რომს/რომაელებს, დღესდღეობით, ქართულ სამეცნიერო სივრცეში დადგენილი ფაქტია. აქედან გამომდინარე გაურკვეველია რომაელთა ხსენება ალექსანდრე მაკედონელის თანადროულად. ამასთან, უნდა შევნიშნოთ ის ტენდენციაც, რომ თავდაპირველად საბერძნეთი საბერძნეთს აღნიშნავს, შემდეგში კი საბერძნეთით ძირითადად რომის სახელმწიფოს აღნიშნავენ (მოგვიანო პერიოდისთვის კი უკვე ბიზანტიას).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეორე წყარო, რომელიც ამ პერიოდზე გვაწვდის ინფორმაციას, „ქართლის მოქცევა“, აზო(ნი)ს შესახებ სხვა ვერსიას გვაწვდის: „ხოლო ესე აზოდ წარვიდა არიან-ქართლად, მამისა თვისისა, და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი და დაჯდა ძუელ მცხეთას, და თანაჰყვანდეს კერპნი ღმრთად: გაცი და გა“ [ქართლის მოქცევა, 2009:38]. როგორც ამ მონაკვეთიდან ჩანს, აზო(ნი)სთვის ალექსანდრე მაკედონელს არავითარი ჯარი არ დაუტოვებია. „მოქცევაი ქართლისაის აზოს პიროვნების მორგების საჭიროებამ „მეფეთა ცხოვრების“ კონცეფციასთან ქართველთა ავტოქტონობისა და მათი პირველი, ადგილობრივი მეფის ფარნავაზის შესახებ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი (თუ რედაქტორი) აიძულა, აზო „მაკედონელი“ აზონით, ხოლო აზოს თანამემამულეები არიან-ქართლიდან – აზონის თანმხლები „რომაელი ჯარისკაცებით“ – „ფროტატოსელებით“ შეეცვალა“ [ქავთარაძე, 2009:41].

ამასთან, როგორც პროფ.გ. ქავთარია აღნიშნავს, „მოქცევაჲ ქართლისადში“ დადებითად დახატული აზო „ცხოვრება ქართველთ მეფეთამ“ უბოროტეს პიროვნებად დაახასიათა“ [ქავთარია, 2018:20]. ცხადია, ეს ყველაფერი პოლიტიკური, იდეოლოგიური მოტივით იყო განპირობებული, რაც მორგებული იყო ლეონტი მროველის თანადროულ პოლიტიკურ სიტუაციას. საჭირო იყო ერთიანი, უწყვეტი ჯაჭვის შექმნა, ფარნავაზის, როგორც განმათავისუფლებელის წარმოჩენა.

როგორც ჩანს, აქ საქმე პერიოდების აღრევასთან უნდა გვქონდეს, ვინაიდან რომი ამიერკავკასიაში მას შემდეგ აქტიურდება, რაც ისინი მითრიდატულ ომებს წარმატებით ამთავრებენ, ე.ი. ძვ.წ. 60-იანი წლების მეორე ნახევარში. ერთი კი შესამჩნევი ფაქტია, რომ

„ქართულმა მატრიანებმა ვერ შემოინახეს ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში რომაელთა ინტენსიური აქტიურობის შესახებ ცნობები, არადა რომაელთა კავკასიური პოლიტიკის შესახებ ინფორმაციას უხვად გვაწვდიან ბერძნული და რომაული წერილობითი წყაროები“ [ქავთარია, 2018:20].

ჩვენ ამ საკითხს დაბლაც შევხებით, თუმცა აქვე უნდა გაესვას ხაზი იმ ფაქტს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ მეფე არტაგზე საუბრისას არც კი იხსენიებიან რომაელები. არადა, რომაელთა სარდალი გნეუს პომპეუსი სწორედ მეფე არტაგის/არტოკის ზეობის დროს შემოდის ქართლში და დებს ზავს მასთან.

იმ დროს, როდესაც პოლიტიკურ სარბიელზე ფარნავაზი გამოდის და ტახტის დაკავებას და აზონის ჩამოგდებას ცდილობს, ლეონტის რომაელები ფარნავაზის მხარეს მებრძოლ ძალად წარმოუდგენია – „მაშინ ათასი მკედარი რჩეული ჰრომთა მათგანი, რომელთა ბოროტი წაჰკიდებოდა აზონისაგან, განუდგეს აზონს და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისა...“ [ქართლის ცხოვრება, 1955:23]. აზონის ჯარში კი ბერძნებს მოიხსენიებს – „ხოლო წელსა მეორესა აზონ მოირთნა სპანე საბერძნეთთ, განძლიერდა ფრიად და მომართა ფარნავაზს“ [იქვე:23]. ცხადია, აქ საქმე ცთომილებასთან გვაქვს.

ერთი რამ უცილობელი ფაქტი უნდა იყოს, კერძოდ ის, რომ ორივე მხარე – აზონიც და ფარნავაზიც – ცდილობდნენ დახმარება საგარეო მოკავშირეებისაგან მიეღოთ. პირველი მათგანი დახმარებას პონტოს სამეფოსგან ელოდა, ფარნავაზი კი პონტოს მეტოქეს, სელევკიდების სამეფოს დაუკავშირდა: „ამან ფარნავაზ წარავლინნა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურასტანისა, და წარსცა ძღუენი დიდძალი. და აღუთქა მას მსახურება, და ითხოვა მისგან შეწევნა ბერძენთა ზედა“ [ქართლის ცხოვრება, 1955:23]. თუ გავითვალისწინებთ, რომ რეგიონში ერთმანეთის მეტოქეებად სელევკიდებისა და პონტოს სამეფოები გვევლინება და ანტიოქოსი სელევკიდთა მეფეა, „შეწევნა ბერძენთა ზედა“ პონტოელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებად უნდა მივიჩნიოთ.

ზოგადად, აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ ლეონტი მროველთან რომი თავიდანვე მცდარად შემოდის. ივანე ჯავახიშვილი თავად ავტორზე შენიშნავდა: „ლეონტი მროველმა იმ საკითხს, რომლის გამოკვლევაც იკისრა, ვერ სძლია, ვერც საკმაო ცოდნა გამოიჩინა, რომ „ნათესავნი“ უცხოაგან განერჩია... წყაროები, რომლებიც ლეონტი მროველს მოხსენებული აქვს და სარგებლობს, თითქმის ყოველგვარ ისტორიულ ღირსებას

არის მოკლებული. ამიტომ მისი თხზულება, როგორც სანდო მასალა, ქართველი ხალხის უძველესი ისტორიისათვის, თითქმის სრულეობით გამოუსადეგარია“ [ჯავახიშვილი, 1977:186-187].

ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლის შესახებ ლეონტი მროველი წერს: „მერმე მოიყვანა (ალექსანდრე მაკედონელმა – ავტ.) ოთხნი კაცნი, ტომნი მისნი, რომელი იყვნეს სახელით: ანტიოქოზ, ჰრომოს, ბიზანტიოს და პლატონ... ხოლო ჰრომოსს მისცა თრიმიკოსი, და უჩინა კერძო დასავლეთისა. და მან აღაშენა ქალაქი ჰრომი“ [ქართლის ცხოვრება, 1955:19]. ცნობილი ფაქტია, რომ ალექსანდრეს იმპერია მართლაც დაიშალა ოთხ ნაწილად – ელინისტური ეგვიპტე პტოლემაიოსებით სათავეში, სელევკიდების სამეფო სელევკოსთა დინასტიით, მაკედონია და საბერძნეთი და თრაკია. მათთან ერთად იყო პონტოს სამეფოც. ამ პერიოდში, როდესაც ალექსანდრე მაკედონელის იმპერია დაიშალა და დიადოქოსების ომი დაიწყო, რომს ჯერ თავისი დაპყრობები აღმოსავლეთით არ აქვს მომართული. სიტუაცია მეორე პუნიკური ომის შემდეგ იცვლება (მეორე პუნიკური ომი დასრულდა ძვ.წ. 201 წელს და რომმა თავისი საზღვაო მეტოქე – კართაგენის სახელმწიფო საბოლოოდ დაამარცხა), როდესაც „რომმა თავისი აგრესია ბალკანეთის ნახევარკუნძულისაკენ მიმართა. ეს იყო აღმოსავლური პოლიტიკის დასაწყისი“ [ქავთარია, 2016:250]. შესაბამისად, რომაელების მოხსენიება ან ფარნავაზის, ან აზონის ლაშქარში, ცთომილებად მიგვაჩნია. ამ მხრივ გამართლებული შეიძლება იყოს ის ფრაზა, რომელსაც ლეონტი მროველთან ვხვდებით – „და ვერღარა იძიეს შური ბერძენთა მის ზედა, რამეთუ უცალო იყვნეს ბერძენნი ბრძოლისაგან ჰრომთასა“ [ქართლის ცხოვრება, 1955:25].

ჩვენ ვთლით, რომ საქმე გვაქვს გარკვეულ პერიოდთა აღრევასთან, ვინაიდან ახლო აღმოსავლეთში რომი ძვ.წ. 190 წლამდე არ ჩანს, როდესაც გაიმართა მაგნეზიის ბრძოლა სელევკიდების სამეფოსთან. სწორედ ამის შემდეგ იმტკიცებს პოზიციებს რომი აღმოსავლეთში. აგრეთვე ზემოხსენებულ მოსაზრებას ისიც გვიმტკიცებს, რომ შემდეგში ბარტომსა და ფარნავაზის ძე მირვანზე საუბრისას, ე.ი. ძვ.წ. I საუკუნის სიტუაციაზე, ლეონტი მროველი თურქებსა და არაბებს ახსენებს: „ესე მირვან იყო კაცი ქუელი, მკნე, მკედარი, და მრავალგზის გამოიცადა იგი ბრძოლასა თურქთა და არაბთასა,“ [ქართლის

ცხოვრება 1955:31-32], შესაბამისად ხალხთა თვითნებური გადასროლა სხვადასხვა პერიოდებში, ლეონტიმროველთან ერთეული შემთხვევა არ არის.

საინტერესოა კიდევ ერთი მომენტი. ზოგადად, დღეს არსებული ცოდნით, დადგენილი ფაქტია, რომ რომაელთა და ქართველთა შორის კონკრეტული ურთიერთობა იწყება ძვ.წ. 66/5 წელს, პომპეუსის ქართლში ლაშქრობით [სანიკიძე, 1956; Ломоური, 1982 ა.შ.], რა დროსაც აქ არტაგი (არტოკი) მეფობს, „პირველად რომაელებმა საქართველოში ფეხი შემოდგეს 65 წელს ქრ.წ. თავის თანამომძიებებს გზა გაუკვლია სარდალმა პომპეუსმა, რომელიც ამ დროს მითრიდატ მეფეს ეომებოდა. მეფედ მაშინ იბერიაში არტაგი, ანუ, როგორც მას ბერძენი ისტორიკოსი დიონ კასიოსი ეძახის, არტოკი“ [ჯავახიშვილი, 1979:205]. მიუხედავად ამისა, ლეონტისთან ისე ჩანს, თითქოს რომაელები მეორე მეფის, საურმაგის დროს უკვე ახლო ურთიერთობაში არიან ქართლთან. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეფე არტაგზე საუბრისას, ლეონტი მროველი ერთხელაც არ ახსენებს რომს. იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ი. ჯავახიშვილის ფრაზა – „თავის თანამომძიებებს გზა გაუკვლია სარდალმა პომპეუსმა“, იმის დასტურია, რომ რომაელები პომპეუსამდე ქართლში არ ყოფილან და მით უფრო გასაკვირია, რომ ლეონტი რომაელთა პირველ შემოსვლას სწორად ვერ ასახელებს.

რაც შეეხება უშუალოდ ბარტომის მეფობას. სამეცნიერო ლიტერატურაში ის სხვადასხვაგვარად განმარტავენ. მაგ., ს. გიორგაძე და პ. ინგოროყვა ფიქრობდნენ, რომ დიონ კასიოსის ფარნავაზ მეფე ლეონტი მროველის თხოულებებში შესულია ბრატმან/ბრაცმანის სახელით. პავლე ინგოროყვა წერდა, რომ სახელ ბრაცმანის სრული ვარიანტი უნდა იყოს ბარაცმან-ავაზ, იგივე ფარსმან-ავაზ. მისი აზრით, ქართულ ონომასიკონში დამოწმებულია, რომ ერთსა და იმავე პირს მიემართებოდა სახელად როგორც ფარსმან-ავაზ, (ბრაცმან-ავაზ), ისე ფარნავაზ. გიორგი მელიქიშვილის აზრით კი ბრაცმანი და ფარნავაზი სხვადასხვა მეფეები იყვნენ“ [საქართველოს მეფეები, 2007:23-24]. ასეა თუ ისე, ქრონოლოგიური კუთხით მეტად საფიქრებელია, რომ ბარტომი მართლაც ფარნავაზ II-ა, ვინაიდან ეს უკანასკნელი ძვ.წ. I საუკუნის 30-იან წლებში მეფობდა, ლეონტი კი ამ ბარტომ/ფარნავაზამდე წინა მეფედ არტაგს იხსენიებს [იქვე:23; ქართლის ცხოვრება, 1955:30], რომელიც პომპეუსის ლაშქრობის დროს, ე.ი. ძვ.წ. 65 წელს ქართლის მეფეა.

2.2. ვახუშტი ბაგრატიონი და რომაული სამყარო

XVIII საუკუნე განსაკუთრებული ფურცელია ქართული ისტორიოგრაფიის ისტორიაში, რაც ერთი მხრივ XVII, საუკუნის ბოლო წლების შედეგია. შოთა ხანთაძის შენიშვნით, XVIII საუკუნის დასაწყისში, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების თვალსაზრისით ორი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: „1. ჩატარდა ძველი ქართლის ცხოვრების რედაქტირება და შევსება და 2. დაიწერა ქართლის ცხოვრების გაგრძელებები“. საბოლოო ჯამში კი მივიღეთ „ახალი ქართლის ცხოვრება“.

მართლაც, ეს მოვლენა, მით უმეტეს გამორჩეულია იქიდან გამომდინარე, რომ „XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე, ამ ძეგლის მდგომარეობა უკვე აღარ აკმაყოფილებდა ქართველ საზოგადოებას, რომელსაც მიაჩნდა, რომ ქართლის ცხოვრება „გარყუნილ იყო რომელიმე მწერალთა მიერ, მოითხოვდა გამართვასა და შევსებას.“

ამ საკითხზე მეტის თქმა შორს წაგვიყვანს, ერთი კი უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში „სამაგალითოდ მიიჩნეოდა ანტიკური ისტორიოგრაფია და მიბაძვა ამ ანტიკური ავტორებისადმი მოდად იქცა. მრავალ ღირსებასთან ერთად ანტიკური ისტორიოგრაფიიდან გადმოღებულ იქნა მისი ნაკლოვანი მხარეებიც: თხრობის რიტორიკული სტილი, შემთხვევითობისათვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება, უპირატესად პოლიტიკური ისტორიის გადმოცემა და სხვ.“ ამის ნათელი მაგალითი ვახუშტი ბატონიშვილთანაც (1696-1757) გვხვდება. „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ პირველივე გვერდზე ვახუშტი პლინიუსის სიტყვებს ციტირებს: „იტყუის ბრძენი პლინი სთოიკი, რამეთუ „ყოველი ჟამი იგი წარწყმდეს, რომელიცა სწავლასა ზედა არა სახმარ ვყოთ“ [ბატონიშვილი, 1973:1].

ალბათ არ შევცდებით, თუ საკითხზე გადასვლამდე მცირედს ვახუშტი ბატონიშვილის ბიოგრაფიასა და ზოგად სამეცნიერო საქმიანობაზეცვიტყვით, ვინაიდან მისი შემოქმედებაც სწორედ ამ საუკუნის პირველი ნახევრის ნაყოფია.

ვახუშტი ბაგრატიონი იყოვახტანგ VI-ის უკანონო შვილი იყო. ვახუშტის უმუშალო აღმზრდელად დეკანოზი იესე გარსევანიშვილი მიიჩნევა, ისე კი მის აღზრდაში ქართველ წარჩინებულ მოღვაწეთა გარდა, თბილისში მყოფმა კათოლიკე ფრანგმა მისი-

ონერებმაც მიიღეს მონაწილეობა.² „იგი მალე გახდა ქართული მწიგნობარი, ჯერედ 20 წლის არც კი იყო, რომ მან დაიწყო ქართული ისტორიული და გეოგრაფიული წიგნების კრება, კითხვა და საქართველოს წარსულის შესწავლა“ [საქართველოს ცხოვრება, 1913: I]. 1724 წელს ვახუშტი იძულებული გახდა ქართულ დელეგაციას გაჰყოლოდა რუსეთში.

ქართველმა ემიგრანტებმა, რომლებიც მოწყდნენ პოლიტიკურ საქმიანობას, მწერლობას მიჰყვეს ხელი, იქნებოდა ეს სამეცნიერო თუ მხატვრული ნაწარმოებები. „აქ ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ვახტანგ VI, მისი ვაჟიშვილები ბაქარ და ვახუშტი ბატონიშვილები, სულხან-საბა ორბელიანის ძმები ნიკოლოზი, დიმიტრი და ზოსიმე, თომა ბარათაშვილი, მამუკა გურამიშვილი, ფავლენიშვილი (ისტორიული პოემა „ვახტანგის“ ავტორი), გაბრიელ გელოვანი, პაპუნა თუმანიშვილი, შიოშა ჯავახიშვილი, ერასტი თურქესტანიშვილი და სხვ. მაგრამ არავის ისე ინტენსიურად და ნაყოფიერად არ უმუშავია, როგორც ვახუშტი ბაგრატიონს“ [გაბაშვილი, 1969:70]. „1733 წელს, მოსკოვში ვახტანგ მეფის ბრძანებით, პაპუნა თუმანიშვილმა დაასრულა კვინტოს კორციოსის „ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრების“ თარგმანის გადაწერა. რუფუსი I საუკუნის რომაელი ისტორიკოსია. მის თხზულება - „ალექსანდრე მაკედონელის ისტორია“ დაწერილია 10 ტომად, რომლის პირველი ორი წიგნი დაკარგულია. 1740 წელს ვახუშტი ბაგრატიონმა რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნა ვილჰელმ სტრატემანის „საპოლიტიკო თეატრი“ [იქვე:68]. ამასთან დაწერა ისეთი მნიშვნელოვანი წიგნები, როგორცაა საქართველოს გეოგრაფია და საქართველოს ისტორია დაარსებიდან 1744 წლამდე [იქვე:68].



1755 წელს დაარსდა მოსკოვის უნივერსიტეტი, რომელიც იყო პირველი უნივერსიტეტი რუსეთში და ვახუშტი ბატონიშვილი დიდ რუს მოღვაწეებთან ერთად იხსენიება ერთ-ერთ წევრ-თანადამფუძნებლად. მოსკოვის უნივერსიტეტში მარმარილოს დაფაზე ოქროს ვარაყით ამოქრწილი იყო ვახუშტის სახელი [იქვე:85].

²<http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00007073/> – ვახუშტი ბატონიშვილის ბიოგრაფია. ბოლოს დამოწმებულია 31.08.2021.

ნიშანდობლივია, რომ ვახუშტი ბაგრატიონი კარგად იცნობდა იმდროინდელი ევროპული ისტორიოგრაფიის სამ სკოლას: ჰუმანისტურს, საისტორიო-საეკლესიოს და ერუდიტულ-ისტორიულს. „ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ვახუშტი ბაგრატიონმა გამოჰყო ავტორის ტექსტი („ავტორის სიტყვა“) და სქოლიო („სხოლიო“), რაც ნიშანდობლივი და დამახასიათებელი ხდება მხოლოდ XVII-XVIII სს. ევროპული ისტორიოგრაფიისთვის“ [გაბაშვილი, 1969:145].

ამასთან, რაც ალბათ მართლაც რომ გამოსაკვეთი მომენტიცა, ვახუშტი ის ისტორიკოსია, რომელიც „ძალიან ზუსტად განმარტავს ისტორიისა და ისტორიული ნაწარმოების შექმნის აუცილებლობას შიდაჯგუფური კავშირების განმტკიცებისათვის“ [თარგამაძე, 2019:138], რაც წინამდებარე ციტატიდან კარგად ჩანს: „მატიანე მოგვაქსენებს დასაბამითგანსა ჟამსა, წელსა და საუკუნოსა; მატიანე განარჩევს კეთილსა და ბოროტსა; მატიანე აღამაღლებს კეთილის ქმნულებასა და გმობს უკეთურთ ქმნულებასა, მატიანე მეტყუელებს ჭეშმარიტსა და არა სცბის, და მოწმობს სხუათა და სხუათა; მატიანე განამჷნობს კაცსა და ერთგულ ჰყოფს ქუეყნისად; მატიანე აცნობებს ნათესავთ-ჩამომავლობასა, და დასდებს თავსა სარწმუნოებისათჳს, და მოყუარულ ჰყოფს მოყუასსა მოყუსისა მიმართ“ [ქართლის ცხოვრება, 1973:4].

უნდა შევნიშნოთ, რომ ვახუშტის შეხედულებით, ისტორია ორი ნაწილისგან შედგება: საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიებისაგან. მისივე აზრით, „საისტორიო თხზულება უნდა შეიცავდეს: გეოგრაფიულ მიმოხილვას („ადგილის აღწერა“) გენეალოგიას („ნათესავთმეტყველება“), ქრონოლოგიას („წლისმრიცხველობა“ და საკუთრივ ისტორიას, ამბის მოთხრობას („მოქმედების აღწერა“))“ [გაბაშვილი, 1969:102]. სწორედ ამ უკანასკნელს მიაქცია ყურადღება ვახუშტიმ განსაკუთრებით. ისტორიის წერისას კი, შეიძლება ითქვას, ძველ ისტორიას მან დიდი ყურადღება არ დაუთმო, განსხვავებით ახალი ისტორიისა. „საქართველოს ისტორიის“ ძველ ნაწილში ვახუშტის მაინცდამაინც დიდი ორიგინალურობა არ გამოუჩენია: არსებული ნუსხების მიხედვით წარმოადგინა შემოკრებული ისტორია XIV საუკუნემდე...“ [ქართლის ცხოვრება, 1973:7]. ალბათ სწორედ ამით უნდა იყოს განპირობებული ის ფაქტიც, რომ ის ნაწილი, რომელიც ჩვენთვისაა საინტერესო, საკმაოდ მწირ ინფორმაციას შეიცავს წინამდებარე თემასთან და-

კავშირებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვახუშტიზე საუბრისას ჩვენ ორი წიგნი განვიხილეთ – 1. „საქართველოს ისტორია“ და 2. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

„იტყვის ბრძენი ციცერონ...“ – ამ სიტყვებით იწყება ვახუშტის „საქართველოს ისტორია“ და ამით ალბათ გამოიხატება კიდევ ის მნიშვნელობა, რასაც ვახუშტი რომაულ სამყაროს ანიჭებდა და ის ცოდნა, რაც მას გააჩნდა რომაულ კონტექსტში. იქვე, წინასიტყვაობაში ვახუშტი ხშირად იხმობს რომს. აღნიშნავს, რომ „გარნა უწყება ჯერ არს, უკეთუ ცხოვრებისა ჩვენისა ქორონიკონნი არიან იშვით, არამედ ნოედამ მირიანისამდე რაოდენნი მოიპოვებინ, უმეტეს მოწმობენ რომაულსა;“ [ბატონიშვილი, 1885:II]; ქრისტიანობის ქართლში შემოსვლის დათარიღებისას კი აგრეთვე რომს იხმობს: „არამედ პირველი იგი არა არს დღე იგი მოქცევისა, რამეთუ კოსტანტინე დიდი ჯერეთ არა იყო მოქცეულ ქრისტეს მიმართ და არცა დაეპყრა რომი და სრულიადი მეფობა...“ [იქვე:II]. მისივე წინასიტყვაობიდან კარგად ჩანს, რომ ვახუშტი კარგად იცნობს რომის იმპერიას, ვინაიდან საქართველოს ისტორიის ყოველი მოვლენის დასახელებისას ის პარალელს ავლებს მსოფლიოს ისტორიასთან – ანუ რომის იმპერიის რომელიმე კეისრის მმართველობასთან.

მეფე საურმაგზე საუბრისას, რომლის მეფობასაც ავტორი ქრისტეს შობამდე 237-162 წლებით ათარიღებს, ვახუშტი წერს, რომ ქართველებს ის გაუძევებიათ ქვეყნიდან, საურმაგი ჩრდილოეთ კავკასიაში გადასულა, თუმცა რომაელთა დახმარებით მან შეძლო ქვეყანაში დაბრუნება და კვლავ ტახტზე ასვლა – „გარნა რომნიცა იგი მიივლტოდენ ყოველნი საურმაგისა თანა კეთილ-ყოფისათვის ფარნავაზისა;...“ სახელმწიფოს მართვის სადავეების კვლავ ხელში აღების შემდეგ საურმაგმა „დაამდაბლნა ქართველნი და აღამაღლნა დედეულნი თვისნი და აზრაურნი რომაელნი იგი“ [ბატონიშვილი, 1885:39]. მსგავს ამბავს გადმოგვცემს თეიმურაზ ბატონიშვილიც. ისიც, ვახუშტის მსგავსად წერს, რომ საურმაგს გვერდში რომაელები დაუდგნენ. აღნიშნულს ჩვენ ქვემოთ შევხებით.

საურმაგის შემდეგ რომაელები ვახუშტისთან აღარ ჩანან. ისინი არ გვხვდებიან არც მეფე არტაგზე საუბრისას, რომლის მეფობასაც ვახუშტი ძვ.წ. 81-66 წლებით ათარიღებს, ჩვენ კი დღეს ვიცით, რომ პომპეუსი ქართლში ძვ.წ. 65 წელს ლაშქრობს და ამ დროს აქ სწორედ რომ არტაგი მეფობს. ვახუშტი ახ.წ. 55-72 წლის მოვლენების დროს,

მეფე ბარტომ II-ზე საუბრისას მხოლოდ მოკლედ იხსენიებს იმ ფაქტს, რომ როდესაც ვესპასიანემ აიღო იერუსალიმი, ქართლში „მოვიდნენ ურიანი ლტოლვილნი“ [ბატონიშვილი, 1885:46].

შემდეგ უკვე რომი საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების კონტექსტში ჩნდება. რიგ წინაპირობებზე საუბრის შემდეგ, ვახუშტი წერს: „მაშინ წარგზავნა დესპანი დიდისა კოსტანტინეს წინაშე და მოითხოვა ეპისკოპოსნი და მღვდელნი“ [ბატონიშვილი, 1885:68]. ამის შემდეგ „რომი“ ბატონიშვილთან არ ჩანს და ეს გასაკვირიც არაა, ვინაიდან ჩვენ ზემოთვე აღვნიშნეთ, რომ მან საქართველოს ძველი ისტორიის კვლევას ნაკლები ყურადღება მიაქცია.

ბატონიშვილის ნაშრომში – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ჩვენი ინტერესი მიიპყრო თავმა – საქართველოს ძველი ისტორია: ბაგრატიონთა მეფობა [ქართლის ცხოვრება, 1973]. აქ ავტორს „რომი“ ფარნავაზის მეფობის დროს შემოჰყავს. ბატონიშვილი წერდა: „დაადგინა შიდა ქართლსა სპასპეტად ყოველთა ერისთავთა და სპათა ზედა, და ესევე მოიღებდა ამათ მიერ ხარკთა ქუეყანისაგან. ხოლო რომნი იგი ათასნი განყო ადგილთა და ხეობათა შინა და დასხნა და უწოდა აზნაური“ [იქვე:57]. აღნიშნული ფაქტი მროველისეული ცნობის სახე შეცვლილი ვარიანტია. ამ შემტხვევაში ბატონიშვილთან არ სჩანს საისტორიო ცნობის მიმართ კრიტიკა და არ შეინიშნება მცდელობა არსებული ნაკლის გადაფარვის მიმართულებით.

ვ. ბატონიშვილთან ნათელია, რომ ანტიკური რომის მისამართით იყენებს ტერმინ - „ჰრომს“, „ჰრომთასა“, ანდა „რომნი“. მაგ., ქრისტიანობის გავრცელების საკითხთან დაკავშირებით იგი წერდა: „ღირს ვართ ბოროტის-ყოფად კერპთა ღმერთთა ჩუენთაგან, რამეთუ დაუტევეთ იგინი და ვისმინეთ დედაკაცისა მის ჰრომისა, რომელი ქადაგებს ჯვარცმულსა. აწ მნებავს, რათა ვსტანჯო იგი და დედოფალი ნანაცა, უკეთუ არა დაუტევონ სჯული ჰრომთა.“ [ქართლის ცხოვრება, IV:86].

ნიშანდობლივია, რომ ტერმინ „რომს“ ბატონიშვილი არ ხმარობს ბიზანტიის იმპერიის მიმართებაში. იგი გაურბის „აღმოსავლეთ რომის იმპერიის“, ანდა ბიზანტიის იმპერიის მიმართ ტერმინ „რომის“ ხმარებას და მიმოქცევაში შემოაქვს იმპერატორების ტიტული - „კეისარი“. მაგ., ბატონიშვილი წერდა: „შემდგომად მცირედისა ჟამისა განდგნენ კახნი და გამოაძნეს ერისთავნი გიორგი მეფისანი და იპატრონეს პირველი უფალი

მათი; შემდგომად წელსა მეფობისა გიორგისსა ზ^ასა გამოვიდა ბასილი კეისარი მეფესა ზედა“ [ქართლის ცხოვრება, IV:142]. ცხადია, ამ შემთხვევაში იგულისხმება იმპ. ბასილი II (958-1025) და 1021-1022 წლების მოვლენები. არადა, ბასილი II მმართველობისას ბიზანტიის იმპერია იწოდებოდა „რომანია“ (Ρωμαία), ანდა „რომაისი“ (Ρωμαίς [Romais]). შესაბამისად, იმპერიის მცხოვრებლები თავს უწოდებდნენ „რომაიო“-სებს (Ρωμαίοι [romaioi]).

იგივე სურათი გვაქვს ბატონიშვილთან, როდესაც იგი ახსენებს „მაქსიმე კეისარს“ „რამეთუ რაჟამს დიდი მთავარ-მოწამე გიორგი იწამა ქრისტესთვის კაბადოკიას, იყო კაცი კაბადოკიას ნათესავი წმინდის გიორგისა, მთავარი და მონა ღვთისა ზაბილონ; ესე წარვიდა რომედ წინაშე მაქსიმე კეისრისა ნიჭისა მოღებად.“ [ქართლის ცხოვრება, IV:72]. „მაქსიმე კეისარი“ - იგულისხმება იმპ. მაქსიმიანე (285-310). წესით მას შეხება არ უნდა ჰქონოდა წმინდა გიორგისთან, რადგანაც მისი მართვის არეალი დას. რომის იმპერია იყო, თუმცა მაქსიმიანე გახლდათ ის პიროვნება, რომელმაც გავლენა მოახდინა დიოკლეთიანეს მხრიდან ანტიქრისტიანული ტერორის დაწყებას.

ამ შემთხვევაში გვაქვს სუბიექტური აზრი და ვთლით, რომ ტერმინ „რომის“ ცვლილებებში ბატონიშვილი ვერ გაერკვა და ამიტომაც, დაზღვევის მიზნით, ამჯობინა აღმოსავლეთ რომის ნაცვლად გამოეყენებინა მხოლოდ საიმპერატორო ტიტული - „კეისარი“.

2.3. იოანე ბატონიშვილი და რომაული სამყარო

ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველი ნაშრომი, რომელში მოკლედ, მაგრამ ზოგად ჩარჩოში იყო გადმოცემული ანტიკური რომის სამივე პერიოდის ისტორია გახლდათ იოანე ბატონიშვილის (1711-1832) „კალმასობა“.

ი. ბატონიშვილი გამორჩეული გამორჩეული ფიგურა გახლდათ XVIII-XIX სს. მიჯნაზე ქართულ აზროვნებაში, რამდენადაც იყო ენციკლოპედიური ტიპის მოაზროვნე. მის მრავალრიცხოვან შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკაცია „კალმასობას“. მართალია იგი კომპილაციური ნაშრომია, მაგრამ ამ თხზულებით ნათლად ჩანს არა მარტო მეცნიერის, არამედ თანადროული პერიოდის ქართული საისტორიო მეცნიერების დონეც [სურგულაძე, 2019:246].

იოანე ბატონიშვილი იყო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის (1797-1800) ძე. იგი ძმებთან, დავითთან და თეიმურაზთან ერთად იოანეც აქტიურ მწიგნობრულ მოღვაწეობას ეწეოდა. იბრძოდა კრწანისის ბრძოლაში, შემდეგ კი მამამისს, გიორგი XII-ს წარუდგინა სახელმწიფო წყობილებაში რიგი რეფორმების ჩატარების აუცილებლობის შესახებ მოხსენება („სჯულდება“). უპირველესად მას საჭიროდ მიაჩნდა დიდ ქალაქებში (თბილისი, გორი, თელავი) გახსნილიყო უმაღლესი ტიპის საერო სასწავლებლები, დაარსებულიყო ბიბლიოთეკები [ბატონიშვილი, 1990:6].

ნიშანდობლივია, რომ ი. ბატონიშვილს სამეცნიერო მოღვაწეობა არც რუსეთში გადასახლების შემდეგ შეუწყვეტია, პირიქით, იქ ის ამ საქმით უფრო აქტიურად დაკავდა. „ავტორის ფართო ენციკლოპედიური განათლება, ცხოვრებისეული გამოცდილება და მხატვრული ნიჭი სწორედ ამ ვეებერთელა თხზულებაშია გამოხატული. „ხუმარსწავლა“ მეცნიერული ცოდნის ენციკლოპედიია“ [ბატონიშვილი, 1990:7].

„კალმასობა“ 1813-1828 წლების შუალედში იქმნებოდა, ანუ 15 წლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ შექმნის თარიღით ის მეცხრამეტე საუკუნეს განეკუთვნება, მისი სამწერლობო სტილიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, უფრო მართებული იქნებოდა თუ მას სწორედ ამ თავში შევიტანდით, რადგანაც, ჩვენი აზრით, იგი შეჯამებას უკეთებს ფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მეცნიერების ნააზრევს.

ავტორის სტილი მხატვრულია, რათა მკითხველი უფრო მეტად მიიზიდოს და არამოსაწყენი კითხვის გზით მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია. სახელიც შესაბამისია – „ხუმარსწავლა“. სიუჟეტი ვითარდება ორი მთავარი პერსონაჟის – იონა ხელაშვილისა და ზურაბა ღამბარაშვილის გარშემო. ამ ორი პიროვნების „დაპირისპირებულობა გარკვეულ იდეურ-შინაარსობრივ ელფერს უქმნის თხზულებას“ [ბატონიშვილი, 1990:8].

სხვადასხვა ამბების გადმოცემამდე „ავტორი იძლევა თვით მითოლოგიის განმარტებას: „იოანე: მეტოლოდა (მითოლოდია) არს ხელოვნება, ანუ აღმოჩინება ზღაპარსიტყვაობათა ღმერთათვის და სარწმუნოებათა ძველთა ბერძენთა და რომაელთასა“ [ასათიანი, 1987:101]. იოანე ბატონიშვილი რომაული რედაქციის მიხედვით განმარტავს თითქმის ყველა ღვთაებას, აგრეთვე მოგვითხრობს ბერძნული მითოლოგიიდან ცნობილი გმირების – აქილევსის, ჰექტორის, იაზონისა და სხვათა შესახებ [იქვე:101]. ყველასთვის ცნობილი ფაქტია, რომ იოანე ბატონიშვილი კარგად იცნობს ანტიკურ და ძველ ქართულ ფილოლოგიურ მემკვიდრეობას, ამასთან მთელს ანტიკურ მითოლოგიურ პანთეონებს. ის უმეტესად, რუსული წყაროებით სადგებლობს და „აქ მითოლოგია რომაული რედაქციითაა წარმოდგენილი“ [იქვე:103] და სწორედ ამიტომაც იქცევს ის ჩვენს ყურადღებას.

დავითის კითხვას: „რაი არს მეტოლოდია?“ მოსდევს ცალკე თავი – „მეტოლოდიისათვის“, რომელიც ასე იწყება:

„იოანემ: მეტოლოდია არს ხელოვნება, ანუ აღმოჩინება ზღაპარსიტყვაობათა, ღმერთათვის და სარწმუნოებათა ძველთა ბერძენთა და რომაელთასა“ [ბატონიშვილი, 1990:307].

ამის შემდეგ კი დიალოგი შემდეგი თავების (ანუ შესაბამისი თემის ახსნით) მიხედვით ვითარდება: იუპიტერისათვის, ნეპტუნისათვის, პლუტონისათვის, აპოლონისათვის, დიანასათვის, მინერვასათვის, მარსისთვის, ვენერასათვის, ვულკანისათვის და ა.შ.

„კალმასობა“: დავითი: ვინ იყო ვენერა?

იოანე: ყოვლად შვენიერი ღმერთებთაგანი, ღმერთი სიყვარულისა და შვენიერებისა; მომთხობელობენ, რომელ იგი შობილ იყო ზღვისა ქაფისაგან. ოდესცა იშვა იგი, მყისვე მიიღეს მათა და გრაციათა, რომელიცა დიდებულისა სახითა მიიყვანეს იგი მთასა ზედა



ოლიმპოისასა; ყოველნი უკვე ღმერთნი აღტაცებულ იყვნენ შვენიერებითა მისითა და ყოველნი უკვე ღმერთნი აღტაცებულ იყვნენ შვენიერებითა მისითა და ყოველნი თვითეულნი მათგანნი მოსურნე იყვნენ, რათამცა ესვათ მათ იგი ცოლად. გარნა იუპიტერმან მისცა იგი ცოლად ყოვლად დუხჭირსა სხვათა ღმერთებთა ზედან ვულკანსა (ანუ ჰეფესტოს – ავტ.), ჯილდოდ მისა, რომელ იგი, ვულკან, უკეთებდა მარადის იუპიტერს მეხისა ისრებსა მტერთა ზედა მოსახმარებლად.

დავითი: ვენერა ეგო სარწმუნოდ მეუღლესა თვისსა თანა?

იოანე: არა, იმას უყვარდა მრავალნი ღმერთნი, ესე იგი: აპოლონ, მარსი და ბახუს, და აგრეთვე მრავალნი სხვანი მოკვდავთაგანი, ესე იგი: ანხიზია, ადონისა და სხვანი.

დავითი: ესხნეს მას უკვე შვილნი?

იოანე: იტყვიან, რომელ ვითომცა გრაციანნი იყვნენ ასულნი მისნი, ხოლო ანხიზი-საგან ჰყვანდა მას შვილი ენეია, რომელმანცა დააფუძნა რომის მეფობა, გარნა ყოველთაგან უფრორე ცნობილი შვილი მისი იყო კუპიდონ (ეროსი – ავტ.), რომელიცა შვა მან ბახუსისაგან...

დავითი: ვითარ გამოხატულ ჰყოფენ ვენერას?

იოანე: ყოვლად-შვენიერის სახით, მომაცდუნებელ ქალად ანუ დედაკაცად, და მდინარისა ეტლსა ზედა მჯდომარედ, რომელსაცა შინა აბიან ორნი თეთრნი უკვე ტრენდნი; და ოდესმე უბიან ორნი აკაურნი ანუ ყუნი, თეთრნი და წმინდები. სარტყელითა არს მორტყემულ სამისნოსითა, რომელსა ზედა არს გამოხატულ-თამაშობანი, სიცილნი და ნუგეშინის-ცემანი. ხოლო ოდესმე უპყრიეს ხელითა ოქროისა ვაშლი, რომელიცა მიიღო მან ნიშნად შვენიერებისა სხვათა ყოველთა ღმერთებთა ზედან პარისისაგან“ [ბატონიშვილი, 1990:320-321].

როგორც ქვესათაურებიდანაც გამოჩნდა, იოანე ბატონიშვილს ამ მოცემულ მონაკვეთში ბერძნული და რომაული მითოლოგია ერთიანობაში აქვს წარმოდგენილი, ღმერთების თანმიმდევრობაშიც კი ერთმანეთს ენაცვლება ბერძნული და რომაული ღვთაებები. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ის ამ შემთხვევაში არა ცალკეულ რომელიმე ცივილიზაციას, არამედ ზოგადად, ანტიკურ ეპოქას ახასიათებს.

იოანე ბატონიშვილი თავის ნაშრომს შესავლის სახით ურთავს ისტორიის არსს. აქაც, ინფორმაციის გადმოცემა დიალოგის სახით მიმდინარეობს.

ტრიფილეს კითხვაზე – „ბერო, რაი არს ისტორია?“ იოანე პასუხობს: „ისტორია არს მოთხრობა წარმოებათა საქმეთა შემთხულებთა სოფელსა შინა...“ [ბატონიშვილი, 1991:290]. ისევე როგორც ვახუშტი ბატონიშვილი, ისიც ისტორიას ორ – საეკლესიო და მსოფლიო ისტორიებად ჰყოფს [იქვე:290). ავტორი აგრეთვე ეხება ისტორიის პერიოდიზაციას. ტრიფილე კითხულობს: „ვითარ და ანუ რაოდენ განიყოფების მსოფლიო ისტორია?“ იოანე პასუხობს: „ესეცა განიყოფება სამ დროდ, ესე იგი: 1) დროი არაუწყებული ანუ ბნელი. 2) დროი ზღაპარსიტყობითი, ხოლო 3) დროი ისტორიებრი“ [იქვე:291]. რათა მეტი სინათლე შეიტანოს ამ მოცემულობაში, ავტორი ტრიფილეს კითხვას ასმევენებს: „რაი იგულისხმების სახელსა ქუეშე დროისა ბნელისა და არაუწყებულისათვის?“ [იქვე]. ამ კითხვაზე პასუხის მიღების შემდეგ ტრიფილე კვლავ სვამს კითხვას: „რაი არს დროი ისტორიებრივი?“ [იქვე].

გარდა მითოლოგიისა, იოანე ბატონიშვილი თხზულებაში იხება მსოფლიოს ისტორიასაც. მას გადმოცემული აქვს სხვადასხვა ქვეყნების ისტორიაც - „ისტორია პორტუგალიისა“, „ისტორია ანტილიისა“, „ისტორია კიტაისათვის“ და ა.შ. [სურგულაძე, 2019:246]. ჩვენ დავაკვირდით და ი. ბატონიშვილთან თხრობა და შევნიშნეთ, რომ საბერძნეთისგან განსხვავებით იგი პრიორიტეტს ანიჭებდა რომის ისტორიას. იგი ბატონიშვილთან ასევე დიალოგის სახითაა გადმოცემული – „ისტორია რომისა“, ასე ჰქვია შესაბამის თავს [ბატონიშვილი, 1991:321].

ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ღიმილის მომგვრელია ბატონიშვილისეული თხრობა, მაგრამ XIX ს. ფონზე იგი პირველი შემთხვევა იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში, როცა მოკლე ფორმით მკითხველს მიეწოდა ანტიკური რომის ზოგადი ისტორია. მაგრამ აქ მთავრია, რომ ბატონიშვილი იზიარებს რომი ისტორიის პერიოდიზაციის სამწვეროვან დაყოფის პრინციპს. ამ შემთხვევაში ბატონიშვილს მისი ტერმინოლოგია აქვს - მეფეთა ხანა, „კონსულთათვის“ (რესპუბლიკის პერიოდი) და „კეისართაგან“, იგივე იმპერიის პერიოდი.

მეფეთა ხანის მონაკვეთში ავტორმა იცის შვიდივე მეფის არსებობა. მეფეების სახელები მასთან დამახინჯებული (ტულილოსტილმანი, ანკამარკინა, თრაკიან პრისკი...) და მათ მართველობა შემჭიდროებული ფორმით არის გადმოცემული [სურგულაძე, 2019:246]. თხრობას იოანე იწყებს: „რომი აღეშენა წელსა დასაბამიდაგან 3199 შინა, ჰრო-

მულოსის მიერ, რომლისა გამო სახელიცა უწოდა რომი; და ესე იქმნა პირველი მეფე რომისა“ [ბატონიშვილი, 1991:321]. ავტორი იქვე დასძენს, რომ რომულუსმა თავისი ძმა „ორგულებითა“ მოკლა [იქვე]. შემდეგ მეფედ იოანე ნუმა პომპილიუსს ასახელებს, ტექსტში ის გვხვდება შემდეგი ფორმით: „ნუმაპომპილია“. „ამან იწყო შენებად ქალაქებთა და განაწესა სამოქალაქო ჰსჯული.“ შემდეგი მეფე იოანე ბატონიშვილთან ტულიდოსტილია, რეალობაში ტულუს ჰოსტილიუსია. რომის მესამე მეფეს, ანკუს მარციუსს იოანე ანკამარკინას უწოდებს. მეხუთე მეფის შესახებ „ხუმარსწავლაში“ ვკითხულობთ – „ამის შემდგომ მეფე იქმნა თარაკიან პრისკი, პირველ ლუკუმად წოდებული“. მისი სახელი დღევანდლობაში ასე ვიცით – ლუციუს პრისკუს ტარკვინიუსი, მეექვსე მეფე – სერვიუს ტულიუსი იოანესთან სერივონტელია, ხოლო ბოლო მეფე ლუკი ტარკვინი სუპერბუსი – ანუ ლუციუს ტარკვინიუს სუპერბუსი. ავტორს მხედველობიდან არ რჩება უკანასკნელი მეფის ზედმეტსახელი – ამაცი. „შემდგომად მეფე იქმნა ლუკი ტარკვინი სუპერბუს, რომელიც ითარგმნების (სუპერბუს) ამპარტავნად. ამან ჰსცვალა ჰსჯულნი რომაულნი და მთავარნი ექსორია ჰყუნა. მერეთ შეუხდა სახლსა შინა ერთსა მოქალაქეთაგანსა და დაამდაბლა ცოლი მისი...“ [იქვე:322-323], რის გამოც რომაელებმა ტარკვინიუს ამაცი გააძევეს რომიდან, რის შემდეგაც იწყება ქვეთავი სახელწოდებით „დიკტატორთათვის“, რომელიც სულ რამდენიმე ხაზია და თხრობა შედეგ უკვე კვლავ დიალოგის სახით გრძელდება თავში – „კეისართათვის“.

რესპუბლიკის პერიოდიდან ბატონიშვილი ახსენებს ბრუტუსს და ციცერონს, ხოლო დიქტატორებიდან მარიუსს, ცინას და სულას [სურგულაძე, 2019:247]. ცხადია, ბრუტუსში უნდა იგულისხმებოდეს რომისრესპუბლიკის დამაარსებელი და პირველი კონსული ლუციუს იუნიუს ბრუტუსი (ძვ.წ.?-509), ხოლო ციცერონი (ძვ.წ. 106-43), კი აქ ნათელია ფიგურირებს რომაელი პოლიტიკოსი, ადვოკატი და ორატორი. გაიუს მარიუსის (ძვ.წ. 157-86), ლუციუს ცინას (ძვ.წ. 135-84) დაკორნელიუსსულას (ძვ.წ. 138-78) მოხსენიება დიქტატორებად უნდა იყოს ძვ.წ. 1 საუკუნეში რომში მიმდინარე სამოქალაქო ომების ანარეკლის შედეგი.

„კეისართათვის“, იგივე იმპერიის ხანის ისტორიის გადმოცემისას განმანათლებელ-ენციკლოპედისტი ჩამოთვლის I-III ს-ში მოღვაწე ძირითად იმპერატორებს (იულიუს კეისარი, ოკტავ ავგუსტი, ტიბერი კლავდი, გაი კალიგულა და აშ.). ბატონიშვილი

თხრობას ასრულებს იმპ. კონსტანტინეს (306-337) რელიგიური საქმიანობის მიმოხილვით.

მეცნიერი წერდა: „ტრიფილემ: ვითარ იქმნა იულიოს კეისრად რომისა?

იოანემ: რა მიიღეს რომაელთა კონსულად იულიოს, მართვიდა რიგიან ქუეყანასა მას და მოიგო მრავალთა ერთა გული და მერე იწოდა თუით კეისარად. და დაიპყრა დალილია, ეგვიპტე და აფრიკა.³ ამან განაწესა სენათი ნებისამებრ თუისისა და მოკუდა“ [ბატონიშვილი:323].

მის შემდეგ მეცნიერი სამართლიანად ასახელებს „ოკტავ ავგუსტს“. ზოგადად, იოანე ბატონიშვილი საკმაოდ მცირედით, სულ რამდენიმე ხაზით გადმოსცემს კონკრეტული პიროვნებების მართველობისა თუ ცხოვრების ისტორიას. აქ ცოტა ვრცლად გვინდა მოვიტანოთ „გაი კალიღულას“ ბატონიშვილისეული მონათხრობი. „ამან (კალიღულამ - ავტ.) შეიპყრა პილატე უფრო მიზეზითა ამით, რომელ მარიამ მაგდანელმან, მისრულმან რომსა შინა, წინაშე კეისარისა გააგორვა კვერცხი, წითლად შეღებული. ხოლო კეისარმან მან გამოჰკითხა მიზეზი ამისა და მან ჰრქვა, რომელ პილატემ თვინიერ თქუენისა და თვინიერ სენათისა შეიპყრო იესო ნაზარეველი, კაცი განჩინებული ღვთისა მიერ, რომელიცა იქმოდა ძალითა ნიშებთა და სასწაულებთა, რომლისათუის გსმენიესთ თქუენცა, და ჰსტანჯა იგი და მერეთ შემჰსჭუალა ჯუარსა ზედა და დასთხია სისხლი გულსა ზედა ქუეყნისასა. ესე არს სახე კვერცხისა ამის – სიმგრგულე ქუეყნისა და სიწითლე შეღება სისხლითა იესოსითა და მაშინ განაჩინეს პილატეს შეპყრობა და დასჯა. ოდეს შეიპყრეს პილატე, შესუეს საპყრობილესა შინა, გარნა პილატემ გადმოიგდო თავი თუისი სარკმელით და წარწყმდა უკეთური იგი“ [ბატონიშვილი, 1991:324-325]. ამ პასაჟის შემდეგ ავტორი პრიდაპირ კალიღულაზე გადადის და აღნიშნავს, რომ „შემდგომად გაიმ იწყო ფრიად ბოროტისა ყოფა და სამაგელთა საქმეთა აღსრულება...“ [იქვე:325]. შემდეგ ისტორიის თხრობა კარგავს დიალოგის სახეს, ავტორი თითოეულ იმპერატორზე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ცალკე მოკლე ისტორიას გვთავაზობს. მაგ., იმპერატორ „დომენტი ნერონზე“ (იგულისხმება იმპ. ნერონი, 37-68, ავტ.) საუბრისას, იოანე ბატონიშვილი წერს – „შემდგომად ამისა (გულისხმობს „კლავდი ტიბერს“ – ავტ.) იქმნა კეისრად მე მისი

³იოანე ბატონიშვილი „დალილიაში“ ჩვენი აზრით უნდა გულისხმობდეს გალილევას – ისტორიულ ოლქს ისრაელის ჩრდილოეთით, სადავ ტრადიციით ბავშვობა გაატარა იესო ქრისტემ.

დომენტი ნერონ, რომელიც იყო პირველ ფრიად კეთილი სული. ხოლო უკანასკნელ იქმნა უბოროტეს ყოველთა კაცთა. ამან, ნადიმსა ზედან მჯდომარემან, დიდებულთა თუისთა თანა აღურივნა მეძავნი და მით შეაგინნა ყოველნი, დასწუა რომისა ქალაქი, რომელიცა ჭურეტასა ზედა ცეცხლისა აღისასა იხარებდა“ [ბატონიშვილი, 1991:325-326]. ავტორი ვრცლად გვიხასიათებს ნერონის პიროვნებას და გვიამბობს იმ სისასტიკეებზე, რომელიც იმპერატორს ჩაუდენია. ნერონთან მიმართებაში რომის დაწვის ფაქტი ბატონიშვილს საეკლესიო ტრადიციიდან უნდა ჰქონოდა ინფორმაცია. არადა, ამ ფაქტთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე განსხვავებული პოზიციაც არსებობს.

ნერონის მომდევნო იმპერატორად იოანე ბატონიშვილი ასახელებს სერგი ღალფს, რომელიც ჩვენთვის ცნობილი სერვიუს სულპიციუს გალბაა. ნათლად ჩანს, რომ ავტორი კარგად იცნობს რომის ისტორიას იმპერატორების (პრინციპატის პერიოდი) ხანაში, ვინაიდან ყოველ იმპერატორს ზუსტად ახასიათებს და თავისი მტკიცებულების გასამყარებლად მოჰყავს იმპერატორების შესაბამისი ქმედებებიც. აღსანიშნავი ფაქტია, რომ იოანე ბატონიშვილი ადრიანესა და ანტონიუს პიუსის შესახებ საუბრის დროს არ ახსენებს საქართველოსკონტექსტს და იმპერატორების ურთიერთობას ფარსმან ქველთან. შესაძლებელია ეს იმითაც იყოს განპირობებული, რომ იმ წყაროში, რომლითაც ის სარგებლობდა (მხედველობაში გვაქვს რუსული წყაროები), აღნიშნულ საკითხს ყურადღება არ ჰქონდათ მიქცეული. ისევე როგორც არაფერია ნახსენები კონსტანტინეს იმპერატორობის დროს ქართლის გაქრისტიანებაზე. თხრობის დასასრულს ავტორი დასძენს: „და ესე კმა გეყავნ. ხოლო სხვანი ისტორიანი იხილე დიდსა ისტორიასა შინა და ზემორე მოკლედ ლეოღრაფიასა შინა“ [ბატონიშვილი, 1991:337]. შემდეგ თხრობა უკვე მსოფლიო საეკლესიო კრებებს ეხება.

ამგვარად, შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იოანე ბატონიშვილი პირველია ქართულ აზროვნებაში, რომელმაც მეტნაკლები სიზუსტით გადმოსცა რომის ისტორია და ამასთან ეს ყველაფერი დიალოგის სახით, რაც მკითხველისთვის უფრო გააიოლებდა და საინტერესოს გახდიდა კითხვისა და შემეცნების პროცესს. ჩვენი ვარაუდი, ბატონიშვილი რუსული წყაროებით სარგებლობდა. ერთი ფაქტია, იოანე საკმაოდ კარგად იცნობდა ანტიკური რომის ისტორიას, იქ მოღვაწე პიროვნებებსა და მმართველებს.

თავი III

რომაული სამყარო XIX საუკუნის ისტორიოგრაფიაში

XVIII-XIX საუკუნეებში საქართველოში ანტიკური კულტურით დაინტერესების ტრადიცია არათუ განელდა, პირიქით, გაძლიერდა. მაგრამ სამეცნიერო საქმიანობას პოლიტიკური სიტუაცია ართულებდა.

1801 წელს რუსეთის იმპერიამ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსირება მოახდინა. ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ვიდრე „პეტერბურგში მიიჩნევდნენ, რომ ბაგრატიონების სამშობლოში ყოფნა ქართველ ხალხში სახელმწიფოებრიობის განახლების წყურვილს ასაზრდოებდა. ვიდრე სამეფო ოჯახის მრავალრიცხოვანი შთამომავლობა საქართველოში ეგულებოდა, რუსთ ხელმწიფე თავს მშვიდად ვერ იგრძნობდა“ [ჯანელიძე, 2005:15]. დაიწყო ბაგრატიონთა იმპერიის ცენტრში გადასახლების ხანგრძლივი პროცესი.

საქართველოს ტერიტორიაზე XIX საუკუნის პირველი მეოთხედი შეიძლება „სახალხო აჯანყებათა“ პერიოდად მოვიხსენიოთ, ვინაიდან ადგილი ჰქონდა მრავალ გამოსვლას (მაგ. 1804, 1812, 1819-20). უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა ქართველთა მოძრაობა 1832 წელს, როდესაც ქართული ინტელიგენციის წევრები „შეთქმულებით მოძრაობაში“ ჩაებნენ [შველიძე, 2013:247-260]. ვიდრე თერგდალეულების გამოჩენამდე, საქართველოში ე.წ. „სტატიკური“ ვითარება იყო შექმნილი.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის ნიმუშების საქართველოს ტერიტორიის გარეთ, უშუალოდ რუსეთის შიგნით იქმნებოდა, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო იმით, რომ საქართველოდან გადასახლებული ქართველი ბატონიშვილები, რომლებიც აქამდე აჯანყებების მოწყობით იყვნენ დაკავებულნი, პოლიტიკურ საქმიანობას გამოაკლდნენ და უმეტესად სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩაებნენ. ბაგრატიონების გადასახლებას რუსეთში სათავე დაუდო ე.წ. „პეტერბურგის სამეცნიერო სკოლის“ არსებობას.

1805 წელს, პეტერბურგში, რუსულ ენაზე დავით ბატონიშვილმა (1767-1819) გამოაქვეყნა საქართველოს მოკლე ისტორიის ნაშრომი. ამასთან, მან „დაგვიტოვა მეტად

საინტერესო ისტორიული ხასიათის სხვა მასალებიც, რომელთაც საქართველოს XIX ს. ისტორიის შესწავლაში სერიოზული მნიშვნელობა ენიჭებათ“ [ნადირაძე, 2012:83].

კიდევ ერთი ბატონიშვილი, რომელმაც ხელი მიჰყო საისტორიო საქმიანობას გახლდათ ბაგრატ ბაგრატიონი (1776-1841). ამ უკანასკნელმა ნაშრომი სახელად „ახალი მოთხრობა“ თეიმურაზ მეორისა და მისი შვილის, ერეკლე მეორის მეფობის პერიოდს მიუძღვნა. აღნიშნული ნაშრომი პეტერბურგში, 1819 წელს დაისტამბა.

მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწე ქართველ მეცნიერებში გამოკვეთილი ადგილი უნდა მივანიჭოთ (აქვე დავძენთ, რომ არა მხოლოდ მეცხრამეტე, არამედ ზოგადად, ქართულ ისტორიოგრაფიაში) თეიმურაზ ბატონიშვილს თავისი ნაშრომით „ივერიის ისტორია“. აკად. მარი ბროსე თეიმურაზ ბატონიშვილის შესახებ წერდა: „მე არ შემიძლია განუცვიფრებლად წარმოვსთქვა თეიმურაზის სახელი, რომელშიაც მაღალი ზნეობა შეერთებულია განათლებულ გონებასა და ვრცელ მეცნიერებასთან, რომელიც მწერლობით შრომაში პოულობს კეთილშობილურს გასართობს, რომლის მიზანი არის თავისი შრომით უკვდავყოს ხსენება თავისი ერისა, რომლის მდაბალ მოწაფედ, სვინდისის ქვეშ უნდა ვთქვა – აღვიარებ ჩემს თავს“ [მესხია, 1939:19].

3.1 თეიმურაზ ბატონიშვილი

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „მკვლმა საქართველომ, ვახუშტის შემდეგ, ახალ ეპოქაში არ იცის თეიმურაზ ბაგრატიონზე (1782-183) უფრო დიდი მეცნიერის სახელი; თეიმურაზი, ამასთან, პირველი ქართველი ევროპული ტიპის მეცნიერიცაა – პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის შემქმნელი, პირველი ქართველი

აკადემიკოსი და ჩვენს დროში აღორძინებული ახალი ქართული მეცნიერების ერთ-ერთი წინამორბედი“ [შარაძე, 1972:5].

თეიმურაზ ბატონიშვილი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის (1746-1800) შვილი იყო. თავად თ. ბატონიშვილის ერთ-ერთი წერილიდან ირკვევა, იგი კათალიკოზ ანტონ პირველის სკოლაგავლილ, ცნობილ რექტორ დავით ალექსიშვილის ხელმძღვანელობით იზრდებოდა. ზოგადად, მისი ბავშვობის შესახებ ცნობები მწირია, თუმცა ბიოგრაფიული ჩავარდნა არ ვრცელდება გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდგომ პერიოდზე, მაგრამ ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ერთი კი უნდა ითქვას, რომ ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმების შემდეგ, გარკვეული პერიოდის მანძილზე, რუსული ხელისუფლებით უკმაყოფილო თეიმურაზი სპარსეთშია და ალექსანდრე ბატონიშვილთან (1770-1844) (თეიმურაზის ბიძა) ერთად აქტიურად ცდილობს რუსეთის უღელის გადაგდებას. ამ ბრძოლაში მისი მონაწილეობა 1810 წლამდე გაგრძელდა, რა დროსაც ის, როგორც ჩანს რწმუნდება ამ ჩანაფიქრის შეუძლებლობაში და რუსეთთან შერიგება ამჯობინა. ცხადია, ეს შერიგებაც ისე არ მომხდარა, როგორც თეიმურაზის წარმოდგენებში იყო. ამის მიუხედავად, 1810 წელს ის გაემგზავრა სანქტ-პეტერბურგში და მთელი დარჩენილი ცხოვრება იქ გაატარა.



ჩვენ ვახსენეთ თეიმურაზის სპარსეთში ყოფნის ფაქტი, ვინაიდან იგი მის შემდგომ სამეცნიერო მოღვაწეობასაც თავის კვალს ასვამს. როგორც ქეთევან ნადირაძე შენიშნავს, „აქ (თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნში „ივერიის ისტორია“ – ავტ.) ისტორია განხილულია ახლო აღმოსავლეთის ისტორიის გათვალისწინებით...“ [ნადირაძე, 2012:84]. მან სპარსეთში ყოფნისას ისწავლა სპარსული ენა. აქ ის ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას, ეცნობოდა ირანის ისტორიასა და იქაურ ლიტერატურას, რომლითაც შემდეგში დიდად ისარგებლა. „ივერიის ისტორიაში“ თავად თეიმურაზი წერს: „ესე თავრიზს ყოფასა ჩემსა წელსა 1809-სა გამოიწერა წიგნისა მისგან სპარსულისა მოთხრობისაგან ადრიბეჟანისა, რომელსაცა წიგნსა ეწოდების სპარსულად „თარიყი-ადრებეჟან“, რომელსა შინა წერილ არიან ზემოდ თქმულნი ესე“ [ბატონიშვილი, 1848:80].

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ: „უცხო ენების ცოდნა თეიმურაზს ბატონიშვილს ხელს უწყობდა მთარგმნელობით მუშაობაში – ამ პერიოდში მან თარგმნა არისტოტელე, ტაციტი, ციცერონი, ვოლტერი, ნაპოლეონი, პუშკინი, ჩამჩიანი, დოსითეოზ პატრიარქი, დავითნი, ამასთან სწავლობდა ცოდნის სულ სხვადასხვა დარგებს...“ [შარაძე, 1972:103].

შ. მესხიას შენიშვნით, თ. ბატონიშვილს „სპარსეთში ყოფნისას, შეუგროვებია მას მასალები თავისი შრომისათვის „აღწერა აწინდელთა სპარსეთისა ყეენთა (ანუ შაჰთა) და გვარეულობისათვის ყაჯართასა თუ საიდგან წარმოებენ“, დაწერილი ს. პეტერბურგს მოსვლისთანავე 1811 წ. გრაფ ნიკოლოზ რუმიანცევისათვის. ჩვენი აზრით, ირანში ყოფნისას აქვს ნათარგმნი თეიმურაზს ირანულიდან „წიგნი ათნი გვირგვინნი, ანუ შირვან სპარსთა მეფისაგან ქმნული“. ასევე, აქვე უნდა ჰქონდეს დაწერილი „პრაქტიკა არტილერიისა...“, როცა იგი აბას-მირზას ლაშქარში არტილერიას მეთაურობდა“ [მესხია, 1939:33].

თეიმურაზ ბატონიშვილის შემოქმედებიდან ჩვენ შევეხებით მის ნაშრომს – ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა. ჩვენ აქ არას ვიტყვით ამ ნაშრომის სამეცნიერო მნიშვნელობაზე, მხოლოდ აღვნიშნავთ რამდენიმე, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან მომენტს. თხზულების წერა ავტორს 1843 წლის 22 მაისს დაუსრულებია. თუმცა გამოცემით ის სანქტ-პეტერბურგში, 1848 წელს გამოცემულა დ. ჩუბინოვის მიერ და მარი ბროსესა და თეიმურაზის მეუღლის, ელენეს შუამდგომლობით. ზაქარია ჭიჭინაძის თქმით, თეიმურაზს დაწერილი ჰქონდა მეორე ტომიც, თუმცა ის დაკარგულა [საქართველოს ცხოვრება, 1913:32]. თ. ბატონიშვილი, კონკრეტული ფაქტების დათარიღებისას რამდენიმე სხვადასხვა ათვლის მეთოდს იყენებს: „ესე იქმნა წელთა დასაბამიდგან სოფლისა ბერძულითა 3901, რომაულითა იულიოსის იცხვითა 3106, ქართულსა ქვარონიკონსა მერვისა მოქცევისასა 273“ [ბატონიშვილი, 1848:74] და ასე სხვა მრავალი.

ნაშრომში რომაელები პირველად ალექსანდრე მაკედონელზე საუბრისას გვხვდებიან. ამ შემთხვევაში ბატონიშვილი ქართულ ტრადიციას იმეორებს და ავტორი ვახტანგ მეექვსის სიტყვებს იშველიებს: „ვახტანგ მეფე სწერს: „ალექსანდრემან დაუტევაო ქართველთა ზედა პატრიკად სახელით აზონ ძე იარედისა, ნათესავი მისით ქვეყანით მაკე-

დონით და მისცაო ასი ათასი კაცი ქვეყნით რომით, რომელსა ჰქვიან ფროტატოს..., მოიყვანა ქართლად იგინი ალექსანდრემან და მისცნა კელის-ქვემედ აზონს პატრიკსა“ [ბატონიშვილი, 1848:110]. თავად თეიმურაზი ამ ხალხს იტალიელებად მოიხსენიებს [იქვე:111]. ჩვენ აქ არ დავიწყებთ ამ საკითხის განხილვას, ვინაიდან მას ქვემოთ შევეხებით, მხოლოდ ერთს დავძენთ, როგორც ჩანს, თეიმურაზ ბატონიშვილი ამ შემთხვევაში „მოქცევაი ქართლისაის“ ქრონიკით უნდა სარგებლობდეს.

თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, მის მიერვე ნახსენები იტალიელები, მეფე ფარნავაზს (ძვ.წ. 303-237) თავისი სამეფოს სხავადასხვა ტერიტორიებზე დაუსახლებია, ხოლო ფარნავაზის მომდევნო მეფის, საურმაგის დროს, რომელსაც ქართველები განუდგნენ, „ხოლო იტალიელნი იგი, რომელნიცა აზონის მიერ იყვნეს მოყვანილ არა გაუდგნენ საურმაგს კეთილის ყოფისათვის ფარნავაზისა, ვინაიდგან ასხომდათ მოწყალებანი მისნი მამათა თუისთა ზედა და სახლთა მათთა ზედა“ [ბატონიშვილი, 1848:117].

ბატონიშვილი, ტრადიციისამებრ, თავის თხრობას ცალკეულ მეფეებზე აგებს. რომაული საკითხი ნაშრომში მას მერე ჩნდება, რაც ტახტზე მეფე არტაგი ადის. მიუხედავად ამისა, ჩვენ თეიმურაზ ბატონიშვილთან ამ სახელს არ ვხვდებით. პომპეუსის ლაშქრობათა თანამედროვე მეფედ თეიმურაზ ბატონიშვილი არშაკს ასახელებს და თავადვე განმარტავს – „არშაკ მეორემან მიიღო მეფობაი სრულიად ივერიისა წელსა დასაბამითგან სოფლისათ ბერძნულითა რიცხვითა 5450, ქართულსა ქვარონიკონსა მეათერთმეტესა მოქცვისასა 226-სა. უწინარეს ქრისტეს შობისა 58-თა წლითა“ [ბატონიშვილი, 1848:125]. ჩვენთვის გაუგებარია ასეთი შეცდომის საფუძველი, მით უმეტეს, რომ სომხეთის მეფედ ამავე პერიოდზე საუბრისას ის სწორად ასახელებს – „მოვიდა პომპეი და დაიპყრა სომხითი (ესე იგი დიდი არმანია - ავტ.) და შეიყვანა მეფეი მათი ტიღრან მონებასა ქვეშე რომაელთასა“ [იქვე:125].

ისტორიკოსი წერს, რომ მითრიდატე ევპატპროს (120-63) გარდაცვალების შემდეგ „დაიპყრნა ყოველნი ადგილნი პონტოისანი პომპეიმ, დამოვიდა მახლობელ სამზღვართა ზედა ივერიისათა სომხითით და მოუვლინა მოციქული მეფესა არშაკ მეორესა, რათა დაემორჩილოს მას [ბატონიშვილი, 1848:126]. ბატონიშვილს მცირედი ცდომილება აქვს. მეფე არშაკის ნაცვლად უნდა იყოს ტიგრანი. ეს ცდომილება საიდან არის უცნობია,

რომ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ მართო პლუტარქეს მეშვეობის იმდროის სამეცნიერო წრეებისთვის ცნობილი იყო პომპეუს-ტიგრანის დაპირისპირების თემა.

ბატონიშვილი სწორად აღნიშნავს, რომ ვიდრე პომპეუსი საქართველოში ილაშქრებდა, მას ბრძოლა მოუხდა ალბანელებთან, რომელთაც მეცნიერის სიტყვით „ალბანიელთა ზედა დადგენილ იყო მაშინ მეფისა მიერ არშაკისა ძმაი თუისი მმართველად და მბრძანებლად მეფის ძეი, რომელსა ეწოდებოდა ორეზეს“ [ბატონიშვილი, 1848:126]. ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ეს ფაქტი გამოწვეული იყო იმით, რომ ვიდრე პომპეუსი ალბანელებს იგერიებდა, ივერიელთა მეფე „იმრავლებდა მხედრობასა“. ბრძოლის შემდეგი მსვლელობისას, ავტორის თქმით პომპეუსი შემოიჭრა ქართლში მაშინ, როდესაც მიხვდა „არშაკის“ მზაკვრულ ჩანაფიქრს, თუმცა ბრძოლების შემდეგ პომპეუსი დამარცხებულა და სწორედ ამიტომ გადასულა დასავლეთ საქართველოში. „მაშინ მოინება პომპეი ზავი მეფისა თანა და მოსცნა ცხრა ასნი იგი ტყვენი, რომელნი შეეპყრათ მხედრობათა მისთა და თუით უკუნ იქცა, რაცა ქვეყანად თუისად წასვლისა მგულვებელ, განზრახვითა ამით, რათა შეაცდინოს მეფეი და შთავიდა ქვემოსა შინა საქართველოსა, მივიდა მდინარესა ზედა ფაზისისასა, ადგილსა მას, რომელსა ჭოროხად უწოდენ და იხილა მუნ ნავნი თუისნი...“ [ბატონიშვილი, 1848:127]. აქ მას შეუვსია თავისი სამხედრო რესურსი, უკან გამობრუნებულა და თავიდან უცდია საქართველოს დამორჩილება. ბატონიშვილის ცნობით მას ბრძოლა მოუხდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთელებთან, რომელთა შემართება და სიმამაცეც, ბრძოლის სტილიც, პომპეუსს ისე მოსწონებია, რომ პირველად მათ შესთავაზა დამოყვრება და მის მხარეს გადასვლა, უარის მიღების შემდეგ კი „დაუტევნა იგინი მშვიდობით პომპეიმ და წარვიდა...“ [ბატონიშვილი, 1848:128]. ამის შემდეგ რომაელები დასავლეთ საქართველოში გადადიან, სადაც, როგორც ისტორიოგრაფიაში ვიცით, ტყვედ იპყრობს ოლთაკს და მიჰყავს ის რომში. ამ საკითხს თეიმურაზ ბატონიშვილიც ეხება, თუმცა ოლთაკს ის არშაკის მიერ დანიშნულ მმართველად მიიჩნევს. „და დღესა ერთსა განმგესა კოლხიდიისასა და მხედართ-მძღვანსა, რომელიცა დაედგინა მათ ზედა მეფესა სრულიად ივერიისასა არშაკს ბრძოლასა შინა დაეფლა ცხენი ლიასა შინა და გარე მოეხვივნეს მას მხედრობანი რომაელთანი და შეიპყრეს იგი. ხოლო იყო სახელი მხედართ-მთავრისა მის განმგისა ოლტაკ და იყო იგი ნათესავი მეფისა არშაკისა, მიჰგვარეს იგი მხედართა მისთა პომპეის და მყის მოაკვდინა

იგი“ [იქვე:129]. ამის შემდეგ, პომპეუსი კრებს ჯარს და გემების საშუალებით ტოვებს ამიერკავკასიას, ვინაიდან იულიუს კეისართან უწევს ბრძოლა, სადაც კვდება: „ხოლო შემდგომად სიკვდილისა პომპეუსისა დაშთა საქართველოი მშვიდობასა შინა და თავისუფლებასა“ [იქვე:129].

ამ პასაჟით, თეიმურაზ ბატონიშვილის ნაშრომში პომპეუსის ქართლში ლაშქრობის საკითხი სრულდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დღევანდელი ჩვენთვის ცნობილი ფაქტებისგან განსხვავებული მოსაზრებები პომპეუსის ლაშქრობასთან დაკავშირებით [სანიკიძე, 1956; Ломоури, 1882...], აგრეთვე გამოთქმული აქვს ამავე საუკუნის ქართველ ისტორიკოსს, სულხან ბარათაშვილს, რომელზეც ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ.

საქართველოს ისტორიის შემდეგი თხრობის დროს თეიმურაზ ბატონიშვილი ეხება იმპერატორ ანტონინეს. მისი ცნობით, რომის იმპერატორი სომეხთა დასახმარებლად 60 ათასიანი ლაშქრით დაძრულა, დახმარებისთვის მოუწოდებია „ივერიის“ მეფე არშაკ მესამისათვის, რომელმაც უარი უთხრა მას. ამის გამო ივერიის მეფესა და იმპერატორის სარდალს შორის ბრძოლა მომხდარა. აქაც, ორივე მხრიდან დიდი დანაკარგის მიუხედავად, ქართველებს გაუმარჯვიათ [ბატონიშვილი, 1848:131]. საქართველოს დამორჩილების შემდეგი ცდებიც აგრეთვე წარუმატებლად დასრულებულა [იქვე:131]. ამის მიზეზად ბატონიშვილი შემდეგს ასახელებს: „რომაელნი ვერა ეგრე იპყრობდენ ივერიელთა სიშორისა, სიმაგრისა ძლით ადგილის-მდებარეობისა, სიმხნისა და სიმამაცი-საგამო მათისა; ივერიელთა, ვითარცა ყოვლით კერძო სიმტკიცით, ეგრეთვე მამულისა სიყვარულითა აქვნდათ თავნი თუისნი შეზღუდვილ, უყვარდათ მათ ზომისაგან უმეტეს მეფეი თუისი, მორჩილებდენ და უსმენდენ ჯეროვნად, არა მისცნეს მათ თავნი თუისნი რომაელთა“ [იქვე:147].

შემდეგში ავტორი რომს უკვე ზოგადად გეოპოლიტიკური სიტუაციის ნათლად წარმოსაჩენად მოიხმობს, ამიტომ ჩვენ მას დეტალურად აღარ შევხებით. მით უმეტეს, რომ ავტორი მეტნაკლებად ზუსტად მოგვითხრობს ქართლის მეფის სომხეთში გამეფების პერიპეტეებს და ამ ბრძოლაში რომის მონაწილეობაზე.

ამ პერიოდის რომისა და საქართველოს ურთიერთობის დეტალები, უფრო მართებულად მივიჩნიეთ, რომ მომდევნო პარაგრაფში, სულხან ბარათაშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობაზე საუბრის დროს გაგვეჩიხა. აქ კი ერთს დავძენთ. სამწუხაროდ

არ ვიცით თუ ზუსტად რა წყაროებით სარგებლობდა ამ ნაშრომის შექმნის დროს თეიმურაზ ბატონიშვილი, რაც ართულებს მისი მცდარი ფაქტებისა თუ პიროვნებების დასახელების მიზეზის გარკვევას.

თ. ბატონიშვილი გახლდათ ენციკლოპედიური ტიპის მოაზროვნე. უცხოური ენების ბრწყინვალე ცოდნამ მას შესაძლებლობა მისცა ასევე ეწარმოებინა ფართო მთარგმნელობითი საქმიანობა. ევროპული და აღმოსავლური მწერლობებიდან მან თარგმნა საერო, სასულიერო, ფილოსოფიური თუ საისტორიო ჟანრის არაერთი ნაშრომი.

რომაული თემატიკიდან თეიმურაზ ბაგრატიონს ნათარგმნი ჰქონდა რომაელი ორატორის მარკუს ციცერონის „ბუნებისათვის ღმერთთა“. სამწუხაროდ, მეცნიერის აღნიშნული თარგმანი დაკარგულია, რის გამოც ჩვენ მასზე არ შეგვიძლია ვისაუბროთ. ბატონიშვილს მიეწერება ანონიმური თხზულების „დოღმატიკა ღმრთისმეტყულების“ თარგმნა. ნაშრომში ღმერთის საკითხებზე მსჯელობისას მეცნიერის მიერ გამოყენებული იყო რომაელი ორატორის ციცერონის ცნობილი ნაშრომები „ბუნებისათვის ღმერთთა“ და „ტუსკულანური საუბრები“-ს რამოდენიმე ფრაგმენტი [შარაძე, 1972; სურგულაძე, 2019:248].

ციცერონის გარდა, თ. ბატონიშვილს უთარგმნია რომაელი ისტორიკოსის კორნელიუს ტაციტუსის „ანალების“ 4 ფრაგმენტი. „ანალების“ თარგმნა ავტორს სჭირდებოდა I ს. იბერია-სომხეთის ურთიერთობის საკითხების გაშუქებისათვის. „ანალები“, როგორც გ. შარაძემ გაარკვია, ბატონიშვილს უთარგმნია XIX ს. 10-იან წლებში, რუსეთის იმპერიაში პოლულარული ფ. პოსპელოვას რუსული თარგმანიდან (ტ. I-III, 1805-06) [შარაძე, 1972].

დასასრულს, შევნიშნავთ, რომ თეიმურაზ ბატონიშვილმა დასაბამი დაუდო პეტერბურგის ქართველ მეცნიერთა პლეადას. აქვე გვინდა ვახსენოთ თეიმურაზ ბატონიშვილის სკოლის თანამედროვე, პეტერბურგში მოღვაწე მწერალი და მთარგმნელი იოანე ბაზლიძე (1777-1888 წწ.). მას ნათარგმნი ჰქონდა ციცერონის „ლეღი ანუ მეგობრობისათვის“. აღნიშნული ნაშრომის თარგმნისას ი. ბაზლიძეს უსარგებლია ციცერონის 1781 წლის რუსული გამოცემიდან [შარაძე, 1972].

3.2 სულხან ბარათაშვილი

XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი გამოჩენილი ადგილი უნდა მივაკუთვნოთ სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილს.⁴ სამწუხაროდ, ამ პიროვნების წინაშე ქართული ისტორიოგრაფია ვალშია, ამიტომაც თავს ვალდებულად მივიჩნევთ მცირედით შევხვოდ მის ბიოგრაფიას.

სულხან ბარათაშვილმა (1821-1866) თავისი ახალგაზრდული ასაკი, 44 წელი, თავი საქართველოს ისტორიის შესწავლას მიუძღვნა. 1828 წელს ის თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მიაბარეს, 1834 წელს კი იგი მისივე თხოვნის საფუძველზე პეტერბურგში გაუშვეს კადეტთა კორპუსში ჩასარიცხად, რომელიც 1841 წელს მან წარმატებით დაამთავრა და იმავე წელს დაბრუნდა თბილისში [ცაიშვილი, 1946:155]. ახალგაზრდა სულხანისთვის საამაყო იქნებოდა, როდესაც ის ჯერ კიდევ პეტერბურგში მყოფი, მარი ბროსემ საკუთარ კორესპონდენტად დანიშნა და მთელი რიგი დავალებები მისცა საქართველოში სიძველეთა შეკრება-შესწავლისა და მათი აკადემიაში მიწოდებისთვის [იქვე:157].

ს. ბარათაშვილი რუსულ ენაზე წერდა. მისი სტატიები გაბნეულია იმდროინდელი პრესის ფურცლებზე. საგაზეთო სტატიების წერის პარალელურად ის მუშაობდა საქართველოს სრული ისტორიის გამოცემაზე. დაწერილი ხუთი რვეულიდან მის სიცოცხლეში მხოლოდ პირველი, დანარჩენი ოთხი კი უკვე გარდაცვალების შემდეგ გამოიცა. სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიის“ ხუთი რვეული, რუსულ ენაზე ქ. პეტერბურგში გამოიცა 1865-1871 წლებში. ს. ბარათაშვილი პირველი იყო, ვინც დაინტერესდა პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორის წარმომავლობის საკითხით და სცადა მისი მეცნიერული შესწავლა [ნადირაძე, 1997:141], ამასთან, მოუწოდებდა სხვა მეცნიერებსაც, რომ ყურადღება მიექციათ ამ საკითხისთვის, მით უმეტეს, რომ მითრიდატე ევპატორი მას ქართული წარმომავლობის მქონედ მიაჩნდა [კავკაზი, 1861:№53-70].

ა. ბარამიძე ასე ახასიათებს სულხან ბარათაშვილის ნაშრომს – „თხზულება პროპედევტიკული და პრაგმატული კურსია და კომპოზიციურად იმდროინდელ ისტორი-

⁴ რუსები მას გრიგორის ძედ იხსენიებენ, რაც გამოწვეული უნდა იყოს გრიგოლ ნათაძის შეცდომით, რომელმაც ის გრიგორის ძედ მოიხსენია. სხვა ყველა ავტორი, იგივე გიორგი ნადირაძე და სოლომონ ცაიშვილი, მას გერმანოზის ძედ მოიხსენიებენ, რაც რეალობას უნდა შეესაბამებოდეს.

ოგრაფიაში გავრცელებული წესის მიხედვით არის შედგენილი. მასში ძირითადად გადმოცემულია პოლიტიკური ისტორია, გაშლილი მსოფლიო ისტორიის ფონზე. ქართულ ისტორიოგრაფიაში ესაა პირველი ნაშრომი, რომელიც მსოფლიო ისტორიის სქემის პრინციპზეა აგებული. ნაშრომი სამეცნიერო ლიტერატურისა და პირველწყაროთა ისეთ ფართო წრეზეა დაფუძნებული, რომ დიმიტრი ბაქრაძე გაკვირვებული დარჩენილა მათი მრავალრიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით“ [ბარამიძე, 1971:189].

ს. ბარათაშვილის ხუთ რვეულად (წიგნად) დაბეჭდილი „История Грузии“ ქართულად ითარგმნა და სამ რვეულად, უცვლელად, გამოიცა ქუთაისში 1895 – I და II, ხოლო 1913 წელს III რვეული. სამივე რვეული სილოვან ხუნდაძემ (1860-1928) თარგმნა. ისტორიის თხრობა მასში რუსუდანის მეფობამდე მოდის. მის იქით პერიოდის მიმოხილვა ავტორს არ დასცალდა. ამის მიუხედავად, ბარათაშვილი ბუნებრივია, მაინც ეხება ჩვენთვის საინტერესო პერიოდს. თავად ნაშრომის სამეცნიერო კუთხით განხილვა ჩვენ საკმაოდ შორს წაგვიყვანს, შევნიშნავთ მხოლოდ ერთს – „ისტორიული კვლევა-ძიების დროს ს. ბარათაშვილმა იმჟამად მის ხელთ არსებული ყველა მასალა გამოიყენა („ქართლის ცხოვრება“, ბერძენ-რომაელ-ბიზანტიელ-სომეხ ისტორიკოსთა ცნობები, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოები). ამ რიგის წყაროთა მონაცემების ურთიერთშეჯერება, მათში წინააღმდეგობის შემცველ შეხედულებათა გამოვლენა და ამის საფუძველზე ისტორიული რეალობის დადგენა – აი, ძირითადი დამახასიათებელი ელემენტები ს. ბარათაშვილის ისტორიული შემოქმედებისა“ [ბარამიძე, 1971:195].

ასეთი შეფასების მიუხედავად, ავტორთან ვხვდებით რიგ უზუსტობებს. ჩვენ ყურადღებას მხოლოდ იმათზე გავამახვილებთ, სადაც რომი ფიგურირებს. ბარათაშვილის შემოქმედებაში „რომი“ პირველ რვეულში შემოდის, როდესაც ავტორი საუბარს იწყებს მეფე არტაგის შესახებ, თავსაც შესაბამისი სახელი აქვს – „რომაელთ ომების ეპოქა საქართველოში“ [ბარათაშვილი, 1895:91]. ომების დაწყების საბაზად მითრიდატე ევპატორის პოლიტიკა სახელდება. ფაქტია, ზოგ შემთხვევაში ავტორი რუსული წყაროებით სარგებლობს, რაზეც მეტყველებს კერძო სახელთა ფორმები. მაგ., მითრიდატესთან მებრძოლ რომაელ სარდლად ს. ბარათაშვილი ლუკულს (ტექსტში გვხვდება ფორმები – ლუკული, ლუკულის, ლუკულმა. ცხადია, აღნიშნული ტენდენცია არა მხოლოდ სულხანთან, არამედ რიგ მე-20 საუკუნის ისტორიკოსებთანაც გვხვდება. ცხადია, იგი

რუსული სკოლის გავლენითაა - ავტ.) ასახელებს, რომელიც თითქმის ყველა ენაზე ჩვენთვის ნაცნობი ლუკულუსია, მხოლოდ რუსულშია ფორმით – ლუკული. დღევანდელი მოსაზრებისგან განსხვავებით, ს. ბარათაშვილის მიხედვით, საქართველოს მეფე არტაგი არ ერეოდა რომისა და პონტოს სამეფოს შორის მიმდინარე ომში და ის მხოლოდ მას შემდეგ ჩაერთო, რაც ლუკულუსმა „გაიარა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის საერისთაოები, რომელთაც პლუტარხი ტიბარენების ქვეყანას ეძახის (და აქ ავტორი შესაბამის დამოწმებასაც აკეთებს – ავტ.), და რაც კი რამ შეხვდა იქ, ყოველიფერი თვისის გაუმადლარ ანგარებისმოყვარების მსხვერპლად გახადა. არტაგი აქამდის არ იღებდა მონაწილეობას მიტრიდატისა და ტიგრანის ომში რომაელებთან, მაგრამ ლუკულის ამგვარმა საქციელმა იძულებულყო იგი, რომ თვისი სამთავროები დაეცვა...“ [ბარათაშვილი 1895:95]. ამასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი წერდა: „როცა რომაელების სარდალმა სომხებზედაც გაიმარჯვა (იგულისხმება პომპეუსი – ავტ.), არტაგმა იფიქრა, ვაი თუ ჩემ ქვეყანასაც მოადგეს და დაიპყროსო, და თითონაც მის საწინააღმდეგოდ მზადებას შეუდგა“ [ჯავახიშვილი, 1979:205].

არტაგის შესახებ მომდევნო საუბარში მეცნიერი ეხება აგრეთვე ქართლის სამხედრო მდგომარეობას და იგი ჯარის რაოდენობის დასადგენად ორ წყაროს იყენებს – პლუტარქესა და აპიანეს, რომლებიც სხვადასხვა რიცხვებს ასახელებენ. განსხვავებული მოსაზრება აქვს ს. ბარათაშვილს აგრეთვე პომპეუსის (ტექსტში გვხვდება „პომპეი“-ს ფორმით, რაც რუსული ენის კალკაა - ავტ.) ლაშქრობის მარშრუტთან დაკავშირებით. მისი თქმით, პომპეუსი სომხეთიდან ალბანეთში ლაშქრობს, იქიდან კი საქართველოში. თავადვე წერს: „თითქმის მისი თქმაც კი არ შეიძლება, თუ საიდან მოვიდა პომპეი საქართველოს: სომხეთიდან, თუ ალბანიიდან; შუაგულ მაზრებში გაიარა მან თუ მისი მოქმედება განისაზღვრებოდა საქართველოს რომელმე ნაწილით. ჩვენ გვგონია, რომ პომპეი უნდა დაცემოდა მხოლოდ მესხთა ქვეყანას, ახლანდელ ახალციხის მაზრას, და ბორჯომის ვიწრო ხეობას სურამამდის“ [ბარათაშვილი, 1895:99]. საინტერესოა, თუ რატომ არ გვხვდება სულხან ბარათაშვილთან პომპეუსის მცხეთაში ლაშქრობის საკითხი. ამასთან, ავტორი დანაწევრებით და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ამ ლაშქრობაზედ არავითარი ხსენება არ მოიპოვება საქართველოს უმთავრეს მატრიანეში „ქართლის-ცხოვრებაში“, რომელიც საზოგადოდ ღარიბია ცნობებით იმ გარემოებათა შესახებ, რომელიც ქართლში

არ მომხდარა“ [ბარათაშვილი, 1895:99]. თუმცა კი, ის ლაშქრობის წელს ზუსტად ასახელებს, რაშიც თავისი თქმით, რომაელ ავტორებს დაეყრდნო. განვიხილოთ ის რომაული წყაროები, რომელსაც ეყრდნობა სულხან ბარათაშვილი, ესენია, როგორც თვითონ ასახელებს – პლუტარქე, დიონ კასიოსი და აპიანე.

პირველ რიგში უნდა ვთქვათ ის, რომ არც ერთ ავტორთან არაა ნახსენები, რომ ლუკულუსმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიები მოარბია, რის გამოც არტაგი ერთგვება თითქოს პონტო/სომხეთი–რომის დაპირისპირებაში. პირიქით, არტაგი თავიდანვე მითრიდატეს ერთგულ თანამებრძოლად ჩანს. მეტიც, პლუტარქე არტაშატის მისადგომების დამცველთა შორის იბერებს ასახელებს, რომლებიც „ტიგრანის მიერ კეთილგანწყობილებით თუ საჩუქართა მიღების სურვილით ამომრავებულნი“ ყოფილან [პლუტარქე, 1975:82]. რაც შეეხება პომპეუსის ლაშქრობას. დიდი ალბათობით, ეს ყოველივე ავტორის მოსაზრებაა. თუმცა დიონ კასიუსის გაცნობის შემთხვევაში, ამის გაგებაც შეგვიძლია, ვინაიდან დიონ კასიუსთან იხსენიება, რომ პომპეუსმა ახალქალაქიდან ილაშქრა [კასიოსი, 1966:94]. პომპეუსის სამცხე-ჯავახეთის მხარეში მოქმედებებზე XX საუკუნეშიც გამოითქვა მოსაზრებები თუმცა ნოდარ ლომოურმა ისინი უარყო [ლომოური, 1971:29-33].

საინტერესო ისიცაა, თუ საიდან იღებს ავტორი ცნობას იმის შესახებ, თითქოს სომხეთიდან პომპეუსი ჯერ ალბანეთში ლაშქრობს, ხოლო იქიდან კი გადმოდის უკვე საქართველოში. ის კი ფაქტია, რომ ვიდრე პომპეუსი სომხეთიდან ქართლში შემოვიდოდა, მან ბრძოლა გამართა ალბანელებთან. მაგრამ ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ პომპეუსმა ალბანეთში ილაშქრა, არამედ იმიტომ, რომ „მდინარე კირნოსის ზევით მცხოვრებ ალბანელების მეფემ, ერთი მხრით ახალგაზრდა ტიგრანის მეგობრობის გამო, ხოლო მეორე მხრით, რადგან რომაელების ალბანიაში შეჭრისა ეშინოდა და ფიქრობდა, რომ ყოველ შემთხვევაში რაიმეს გააწყობდა თუ-კი ზამთარში მოულოდნელად თავს დაესხმოდა სხვა და სხვა ადგილას დაბანაკებულ რომაელებს, გამოილაშქრა მათ წინააღმდეგ სწორედ კრონოსის დღესასწაულის წინ“ [კასიოსი, 1966:57-58]. ამ თხრობის შემდეგ კი დიონ კასიუსი დასძენს, რომ ზამთრის გამო, პომპეუსს ზავის დადება მოუწია ალბანელებთან, მომდევნო წელს კი (ანუ მაშინ, როდესაც შესაძლებელი გახდა ლაშქრობა), ის არა ალბანეთში, არამედ იბერიაში ლაშქრობს – „ხოლო მომდევნო წელს,... მას ომი მო-

უხდა იბერებთანაც.“, რომლებიც კასიუსის ცნობით, მდ. კირნოსის ორივე ნაპირზე ცხოვრობდნენ და ემეზობლებოდნენ როგორც არმენიელებს, ისე ალბენელებს [კასიოსი, 1966:59].

დაახლოებით მსგავს ამბავს გვიყვება პლუტარქეც. ავტორის თქმით, „როცა რომაელები მდ. კრონოსის დღესასწაულს იხდიდნენ, ალბანელებმა სულ ცოტა ორმოცი ათასი მეომრის შემადგენლობით მდ. კირნოსი გადალახეს და პომპეუსს თავს დაესხნენ.“ იქვე კი დასძენს, რომ მდინარე კირნოსი იბერთა მთებიდან გამოდის [პლუტარქე, 1975:328]. შემდეგ კი პლუტარქე აზუსტებს, რომ ალბანელებთან ზავის შემდეგ, პომპეუსი იბერთა წინააღმდეგ სალაშქროდ მიდის [პლუტარქე, 1975:329].

თუ გავითვალისწინებთ, რომ მდ. კირნოსი, დღევანდელი მდ. მტკვარია და მხედველობაში მივიღებთ სულხან ბარათაშვილის ცნობას, რომ პომპეუსმა „ახალციხის მაზრაში ვიდრე სურამამდის“ ილაშქრა, გაუგებარი ხდება თუ რატომ უნდა ელაშქრათ ალბანელებს და თავს დასხმოდნენ პომპეუსის ჯარს ისეთ შორ ტერიტორიაზე, როგორც სამცხე-ჯავახეთია. თუ ვიფიქრებთ, რომ პომპეუსი მტკვრის ზემო წელზე იყო დაბანაკებული (სამცხის ტერიტორიაზე მდებარე მტკვრის ნაპირებთან), მაშინ გაუგებარი ხდება ის მოცემულობა, თუ რატომ ეშინიათ ალბანელებს რომაელთა ჯარის „მდინარე კირნოსზე“ ყოფნისა, მათი თავდასხმის მიზეზიც ხომ სწორედ ესაა. ამასთან, დიონ კასიუსი ალბანელებს, მდ. კირნოსის ზევით მცხოვრებებად მოიხსენიებს [კასიოსი, 1966:57]. სამცხის ტერიტორიაზე ალბანურ ტომებს რომ ეცხოვრათ, ამის შესახებ ჩვენ ცნობები აუცილებლად გვექნებოდა. ეს ჩვენი კრიტიკა, არაფრით არ ისახავს მიზნად ავტორის და მისი შრომის დაკნინებას, უბრალოდ თავს ვალდებულად ვთვლით, რომ ზოგიერთი სიზუსტე შემოვიტანოთ.

სულხან ბარათაშვილთან აგრეთვე ვხვდებით ვინმე „ოლტაკსა“ და „არისტარხეს“. დიონ კასიუსი არც ერთ მათგანს არ ასახელებს. ისინი ჩვენ პლუტარქესთან და აპიანესთან გვხვდებიან და როგორც ჩანს ავტორი ამ შემთხვევაში უკვე ამ ორ ავტორს ეყრდნობა. ეს ორი უკანასკნელი პიროვნება პომპეუსის ლაშქრობის ჟამს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის კონტექსტში გვხვდება. პირველი მათგანი იხსენიება მაშინ, როდესაც პომპეუსი რომში ბრუნდება და მათ ტყვეთა შორის არის კოლხთა სკეპტუხი ოლთაკი, ხოლო არისტარქე, მას დასავლეთ საქართველოში მმართველად დაუტოვებია

[ქავთარია, 2010]. აპიანესთან ნახსენები ოლთაკი, დღევანდელ ისტორიოგრაფიაში, კოლხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთაგან ერთ-ერთის (ან რამდენიმე ტომის გაერთიანების) სკეპტუხი („მეფე“) უნდა ყოფილიყო [აპიანე, 1959:25]. ს. ბარათაშვილთან კი ისე ჩანს, თითქოს ოლთაკი მთლიან დასავლეთ საქართველოს განაგებდა – „[პომპეუსმა] ოლტაკი მძევლად წაიყვანა, ხოლო მის მაგიერდანიშნა ერთი თავისს თანამოღვაწეთაგანი, არისტარხი“ [ბარათაშვილი, 1895:102].

ს. ბარათაშვილი სწორად შენიშნავდა კავკასიონის გადმოსასვლელების მნიშვნელობას რომისთვის. ის წერს – „ამიტომ იგინი (რომაელები – ავტ.) პომპეის დროიდან მოკიდებული ყოველთვის ცდილობენ საქართველოს მეფეების დამროჩილებას. იმათ იცოდნენ, რომ ქართველები თვითონაც მეომარნი იყვნენ და ამას გარდა იმათ ეპყრათ კავკასიონის მთების გასავალი ადგილები, რომელიც იმათის სურვილით იხსნებოდა სარმატიის ველურისა და მტაცებელ ურდოებისათვის, რომელთ შემოსევა ისეთივე ამოხრებული იყო ზედა აზიის ხალხებისათვის, როგორი საშიშიც იქ მყოფ რომაელთა ჯარებისათვის“ [ბარათაშვილი, 1895:103].

შემდეგი თავი უკვე იმ სიტუაციას ეძღვნება, როდესაც რომაული ჯარები ტოვებენ ქართლს, ხოლო მეფე არტაგი კვდება. ამ პერიოდიდან, მის თხრობაში რომი უმეტესად სპარსეთთან ერთად იხსენიება.

უნდა შევნიშნოთ, რომ ბარათაშვილის კალამს არ გამოპარვია ის სიტუაცია, რომელიც ოთხ სახელმწიფოს – პართიას, რომს, სომხეთსა და იბერიას შორის წარიმართა ახ. წ. I საუკუნეში. ავტორის თქმით, იმის სანაცვლოდ, რომ იბერიის მეფე დაეხმარა რომს პართიის ტახტზე სასურველი კანდიდატის, ტირიდატის დასმაში, იმპერატორმა იბერიის მეფე ფარსმანს უფლება მისცა ქართველი მეფისწული, მითრიდატი, ფარსმანის ძმა, სომხეთის ტახტზე აეყვანა [ბარათაშვილი, 1895:112]. აქ ს. ბარათაშვილი ცდება, როდესაც საქართველოს მეფედ იმ პერიოდში მას ფარსმანი მიაჩნია. სინამდვილეში, ქართლის მეფე იმ დროს მითრიდატეა, რომელსაც ჰყავს შვილები – ფარსმანი (მისი სარდლობით შედის ქართველთა ჯარი სომხეთში) და მითრიდატე (რომელიც უნდა ავიდეს სომხეთის ტახტზე) [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970:349]. ამ ლაფსუსის მიუხედავად, ავტორი მოვლენათა განვითარების იმავე ჯაჭვს აწვითარებს, რომელიც დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაშია გავრცელებული.

V თავში უკვე საუბარია ფარსმანის მოგზაურობაზე რომში და ამ პერიოდის სხვა მთავარ მოვლენებზე, რა თქმა უნდა, ჩვენ მხოლოდ იმ ნაწილს გამოვყოფთ, სადაც ანტიკური რომის იმპერია ფიგურირებს. ამ პერიოდში ის უმთავრეს წყაროდ „ქართლის ცხოვრებას“ უნდა იყენებდეს და მომენტებში მას კომენტარებსაც უკეთებს. მაგალითად, ციტატაში „სომხებმა დაიწყეს თუ არა რომაელებთან და სპარსელებთან ჩხუბი...“ – აქ, რომაელების შემდეგ ავტორი აღნიშნავს აკეთებს და უთითებს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ რომაელები ბერძნებთან არიან მოხსენიებულნი, მაგრამ ის უთუოთ სომხებისა და იმპერატორ დომიციანის ჯარების ჩხუბზედ უნდა ამბობდეს“ [ბარათაშვილი, 1895:128].⁵ ამასთან, შემდეგში, ს. ბარათაშვილი ამბობს – „ჩვენ კიდევაც შევნიშნეთ, რომ „ქართლის ცხოვრება“ იხსენიებს არტაშანისა და რომაელებს შორის მომხდარ ჩხუბსაო; როგორც ლათინთა და ბერძენთ ისტორიკოსთაგან სჩანს, ეს ჩხუბი იმ უკმაყოფილების გამო წარმომდგარა“ [ბარათაშვილი, 1895:129). ამ ფრაზიდან ნათლად ჩანს, რომ ავტორი ერთ წყაროს არ ჯერდება და მის გადამოწმებას, შევსებას, უცხოური წყაროებით ცდილობს.

ს. ბარათაშვილი წერდა, რომ ფარსმან III-ს იმპ. ადრიანეს ზეობის დროს რომი მოუნახულებია, სადაც ის დიდი პატივითაც მიუღიათ [ბარათაშვილი, 1895:132]. ისტორიოგრაფიაში დღეს დადგენილია, რომ საუბარია ფარსმან ქველზე და მისი რიგითი ნომერი იყო II და არა III, როგორც ეს ს. ბარათაშვილთან ერთად პავლე ინგოროყვასაც მიაჩნდა. გარდა ნუმერაციისა, ავტორს აქ იმპერატორის სახელიც შეცდომით აქვს მოყვანილი. ს. ბარათაშვილს ისე აქვს გამოყვანილი, თითქოს ფარსმან ქველი რომში ადრიანესთან ჩავიდა. სინამდვილეში კი ფარსმან ქველი რომში იმპერატორ ანტონინუს პიუსის ზეობის დროს ჩადის. მეტიც, ადრიანესთან ფარსმანმა, არა თუ რომში, არამედ კაპადოკიაში ხლებაც კი არ იკადრა, რის გამოც იმ პერიოდში ქართლის სამეფოსა და რომის იმპერიას შორის ურთიერთობა მეტწილად დაიძაბა.

შემდეგში ავტორი ხაზს უსვამს ქართლის მეფეთა პროდასავლურ კურსს, რომლის დაგვირგვინებაც ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად მიღება გახდა. თუმცა მანამდე, ს. ბარათაშვილი მეფე რევიზე საუბრისას აღნიშნავს, რომ „...ამ მეფის გემოვნება და

⁵ 132-ე გვერდზე მითითებაში ავტორი თავადვე ხსნის ამ მოვლენას – „...ამის საფუძველი ალბად ის იყო, რომ აღმოსავლეთში რომაელთა ჯარებში ბერძნების რიცხვი მეტი იყო.“

შეხედულება უფრო ბერძენ-რომაელთ განათლებას ეთანხმებოდა, ვიდრე დაძველებულისა და დავრდომილ აღმოსავლეთისას [ბარათაშვილი, 1895:139].

ნაშრომის მომდევნო VII თავიდან, რომელშიც საუბარი სასანიანთა დინასტიის შექმნაზე საუბრით იწყება, რომი უკვე ნახსენებია უმთავრესად ირანთან დაპირისპირების კონტექსტში, როდესაც ეს ორი იმპერია ცდილობს გავლენების გადანაწილებას ამიერკავკასიაში. აღნიშნული თავი საკმაოდ მოკლეა, ლაკონურადაა წარმოდგენილი დაპირისპირება ირანსა და რომს შორის და იმპერატორ ვალერიანის დატყვევებითა და გარდაცვალებით სრულდება [ბარათაშვილი, 1895:142-149].

მომდევნო თავი მირიანის გამეფებაზე საუბრით იწყება, ანტიკური რომის საკითხი კი მალევე იკვეთება და ავრელიანეს და მის მომდევნო ორ იმპერატორს ეხებათ (ახ.წ. III ს.), რომლებიც აწარმოებენ ალანებთან ბრძოლას. ს. ბარათაშვილს მოკლედ აქვს აღწერილი ამ იმპერატორების ბრძოლის ამბები.

მე-9 თავი საკმაოდ პატარაა და უკვე სათაურშივე გამოკვეთილია რომი – „რომაელთ ომი სპარსეთთან და ამ ომის გავლენა საქართველოზე“ [ბარათაშვილი, 1895:155]. თხრობა იწყება ტირიდატის სომხეთში გამეფებით, რაშიც უშუალო მონაწილეობა მიუღია რომს. შემდეგ ბრძოლაზე მირიანსა (ქართლის მეფე) და ტირიდატს შორის, ხოლო შემდეგ კი დიოკლეტეანეს გადაწყვეტილებით, რომ დაპირისპირებოდა სპარსეთს. საბოლოოდ კი თხრობა სრულდება ნიზიბინის ზავზე მოკლე სიტყვით.

X თავი იწყება იმით, რომ ს. ბარათაშვილი თავადვე შენიშნავს იმ ანაქრონიზმებს, რაც ერთი მხრივ ქართულ, ხოლო მეორე მხრივ უცხოურ წყაროებს შორის გვხვდება. ამ უზუსტობების გამოსწორება კი მას იოლ ამოცანად მიაჩნია [ბარათაშვილი, 1895:159]. ამ თავში ის ცალსახად „მეფეთა ამბავს“ ეყრდნობა. მე-9-ს მსგავსად, ეს თავიც საკმაოდ მოკლეა და მხოლოდ იმის ახსნით შემოიფარგლება, თუ რა ურთიერთობა დამყარდა მირიანსა და ტირიდატს შორის რომის იმპერიის ჩარევით. ამით სულხან ბარათაშვილის საქართველოს ისტორიის პირველი რვეული სრულდება.

მეორე რვეული – „საქართველოს საშუალო საუკუნეთა ისტორია“ ქრისტიანობის გავრცელებით იწყება და არაბების შემოსევით სრულდება. ს. ბარათაშვილი შუა საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოდ ქართლში ქრისტიანობის გავრცელებას და XV საუკუნის ბოლოს საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლას გვთავაზობს. ქრონოლოგიის ეს

პრინციპი იყო ორიგინალური მიდგომა მაშინდელ აზროვნებაში. ბარათაშვილტან რომს ამ რვეულშიც ვხვდებით, მართალია ხანმოკლე ისტორიით, მაგრამ მაინც. აქ ვხვდებით იმპ. ტრაიანეს (98-117) ხსენებას. შემდეგში, ავტორი ვიდრე უშუალოდ ქართლის გაქრისტიანებაზე გადავა, წანამძღვრების სახით საუბრობს ქრისტეს მიმდევართა მოღვაწეობის გაფართოებაზე „რომის იმპერიის სხვადასხვა ნაწილებში“, შემდეგ კი უკვე მის „მთავარ სარწმუნოებად აღსარებაზე იმპერიაში“. ქრისტიანთა მოღვაწეობის სწრაფ გაფართოებაში ავტორი რომს „ადანაშაულებს“: „რომის მმართველობის დევნათა გამო ეს საზოგადოებანი (ქრისტიანული – ავტ.) მჭიდროდ შეერთდნენ, ერთმანერთს შველიდენ და თავიანთ წევრებს მატერიალურ გაჭირვებისაგან იფარავდენ“ [ბარათაშვილი, 1895:12]. შედარებით ვრცლად ეხება ბარათაშვილი იმპ. დიოკლეტიანეს (284-305) მიერ 303 წლიდან ქრისტიანობის დევნის ფაქტს. ავტორი ტარილს არ ასახელებს. დევნის საბაზად იგი თვლის, რომ „ის გარემოება შეიქნა, რომ ერთხელ ქრისტიანთა ჯარებმა, რომელნიც სამსახურის გამო ვალდებულნი იყვნენ წარმართების ერთ დღესასწაულობაში მონაწილეობა მიეღოთ, თავიანთ ჩაჩქნებზე ჯვრები გამოხატეს...“ ქურუმებს უჩივლიათ იმპერატორთან ამ ფაქტის გამო, მაგრამ თავდაპირველად იმპერატორი ვერ ბედავდა მათი რიცხოვნობიდან გამომდინარე ქრისტიანთა დასჯას, „მაგრამ შემდეგ კეისარმა გალერიმ (იგულისხმება იმპ. გალერიუსი, 293-311 - ავტ.) დაარწმუნა ის, რომ ამისთანა შემთხვევაში დათმობა არ ვარგაო, რადგან ქრისტიანები მაშინ უფრო გათავხედდებიანო“ [ბარათაშვილი, 1895:13]. ამის შემდეგ იმპერატორს ბრძანება გაუცია, რომ დაეკეტათ და აეოხრებინათ ტაძრები, გაენადგურებინათ ჯვრები და ხატები, ქრისტიანები კი სხვადასხვა თანამდებობებიდან გაენთავისუფლებინათ. უნდა ითქვას, რომ დიოკლეტიანე რელიგიურ საკითხებში კონსერვატორი იყო, თუმცა ავტორების – ევსები კესარიელისა (263-340) და ლაქტანციუსის (?250-?325) ცნობით, ქრისტიანთა წმენდის უპირველესი მხარდაჭერი და მთავარი წვლილის შემტანი არა დიოკლეტიანე, არამედ გალერიუსი იყო. მიუხედავად მრავალი გამოცემული ედიქტისა დევნის შესახებ, მრავალი ქრისტიანი სასჯელს გაექცა.

ქრისტიანობის კონტექსტში შემოჰყავს ავტორს კონსტანტინე დიდი (306-337). ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან იგი ერთგვარი შესავალია იმ საკითხისა, თუ როგორ გამოცხადდა საქართველოში ქრისტიანობა. ეს მოვლენა კი პირდაპირ იყო დაკავშირებული

რომის იმპერიაში მიმდინარე პროცესებთან. დიოკლეტიანეს გარდაცვალების შემდეგ სათავეში ექვსი იმპერატორი მოსულა, „მათ შორის ერთი, სახელდობ კონსტანტინე, კეისრის პოსტანცი ხლორის შვილი, რომელსაც ხელთ ეპყრა გალლია – კიდევაც ემხრობოდა ქრისტიანობას, ისე როგორც აგრეთვე მამა მისი...“ [ბარათაშვილი, 1895:15]. საბოლოოდ საქმე იქამდე მივიდა, რომ ექვსი ავგუსტუსი ერთმანეთს დაუპირისპირდა, გადამწყვეტ ბრძოლამდე მაქსენციუსსა და კონსტანტინეს შორის, ცოტა ხნით ადრე, ამ უკანასკნელს ჰქონდა გამოცხადება (საეკლესიო ტრადიციით მას ქრისტე გამოეცხადა სიზმარში, ზოგიერთი კი ამბობს, რომ ცაზე გამოისახა ჯვარი – ავტ.). ბრძოლის წინა საღამოს, როდესაც „მზე დასავლეთისკენ მიდრკა კონსტანტინემ ცაზე სხივოსანი ჯვარი იხილა, რომლის თავზეც ეწერა: „ამით სძლევ!“ მისმა მეომრებმაც დაინახეს ეს საოცრება და შეშფოთდნენ, რადგან ჯვარი სამარცხვინო სასჯელის იარაღად მიაჩნდათ და ავისმომასწავებელ ნიშნად ითვლებოდა. დაღამდა... კონსტანტინეს ძილში გამოეცხადა თავად ქრისტე და აუწყა – დაემზადებინათ განსაკუთრებული, ჯვრიანი დროშა (ლაბარუმი – ავტ.) და მეომართა ფარებსა და მუზარადებზეც ჯვარი გამოესახათ...“⁶ როგორც ჩანს ეს ლეგენდა სულხან ბარათაშვილისთვის უცნობი იყო, ან მან ის არარეალურად მიიჩნია და სამეცნიერო ნაშრომშიც მისი ჩასმა მიზანშეუწონლად ჩათვალა. ეს უკანასკნელი ვარაუდი მით უმეტეს სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან სულხან ბარათაშვილის ცნობით: „მაშინ კონსტანტინე წინ გაუძღვა გალლებს და მაქსენცის ჯარებში მოსამსახურე ქრისტიანებს გამოუცხადა: „მე მივდივარ მაქსენცის წინააღმდეგ, ვითარცა ქრისტიანთა დამცველიო“, აკურთხა თავისი დროშები ჯვრის გამოხატულებითა და მაცხოვრის სახელით, და 312 წელს დაამარცხა თავისი მოცილე და დაიპყრო რო [ბარათაშვილი, 1895:15]. როგორც ამ პასაჟით ირკვევა, ავტორისთვის ცნობილია (თანაც ხაზგასმით აღნიშნავს), რომ იმპ. კონსტანტინე ამ ბრძოლაში ლაშქარს ქრისტიანული ატრიბუტიკით მიუძღვება. აქ სრულდება თხრობა ამ ამბების შესახებ და მესამე თავი უკვე უშუალოდ ქართველების მიერ ქრისტიანობის მიღებას ეხება.

მესამე თავში ხელახლა ვხვდებით იმპ. დიოკლეტიანეს, ვინაიდან ს. ბარათაშვილის აზრით „წმ. ნინოს მოსვლა საქართველოს უნდა მომხდარიყო დიოკლეტიანეს მე-

⁶ქრისტიანთა მეთავე დევნა – martlmadidebloba.ge/eklesiis_istoria_31.html ბოლოს დამოწმებულია 10.07.2021.

ფობის უკანასკნელ წლებში“ [ბარათაშვილი, 1895:16]. თუმცა აქ ავტორი სცდება. საქმე იმაშია, რომ ავტორის თქმით, წმ. ნინო საქართველოში მას შემდეგ შემოვიდა, რაც რიფსიმე გარდაიცვალა [იქვე:16], ე.ი. 318 წელს, ვინაიდან რიფსიმე 317 წელის 30 მარტს გარდაიცვალა. ამ დროს კი რომის იმპერატორი კონსტანტინე დიდია, 313 წელს მილდებუ-ლია მილანის ედიქტიც. თუმცა შემდეგში, ავტორის თქმით მეფე მირიანი ქრისტიანო-ბის სახელმწიფო რელიგიად მიღების შემდეგ ელჩებს იმპ. კონსტანტინესთან აგზავნის [ბარათაშვილი 1895:21]. ს. ბარათაშვილი წერს – „როცა იმპერატორ დიოკლეტიანეს აცნობეს რიფსიმეს სიმშვენიერე, მან მოიწადინა მისი გამოყვანა მონასტრიდან. ამ წადი-ლმა აიძულა ქალწულნი, დაეტოვებიათ ღამით მონასტერი და შორ ქვეყნებისაკენ გაქცე-ულიყვნენ. ნინომ თან წაიყვანა რიფსიმე, გაიანე და ზოგიერთი სხვებიც და მოვიდა სო-მხეთს, რადგან ფიქრობდა, რომ იქ დაიფარავდა მათ. მაგრამ მალე, დიოკლეტიანეს წე-რილისა გამო, ტირიდატმა მოძებნა ისინი ყველანი, ნინოს გარდა, და, რადგან ქო-რწინებაზე ცივი უარი გაუცხადეს, ამიტომ აწამეს ისინი და მოკლეს.“

მით უმეტეს გასაკვირია დიოკლეტიანეს ხსენება იქიდან გამომდინარე, რომ ის 305 წელს ნებაყოფლობით ჩამოშორდა იმპერატორის ტახტს, თუმცა ის ფაქტი, რომ წმინდანები რაიმეს გაურბოდნენ, უეჭველია და ეჭვს არ იწვევს. მიზეზი ალბათ ის უნდა იყოს, რომ ეს ქალწულნი იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში იმყოფებოდნენ, რომელსაც 313-324 წლებში ქრისტიანთა მდევნელი ვალერიუს ლიცინიანე ლიცინიუსი მართავდა [ნიკოლოზიშვილი, 2003:3-67] და ს. ბარათაშვილთან, გარკვეული მიზეზების გამო არა ამ უკანასკნელს, არამედ იმპერატორ დიოკლეტიანეს სახელს ვხვდებით. მიზეზი ალბათ ის უნდა იყოს, რომ ავტორს ძირითადი აქცენტი საქართველოს ისტორიის სიღრმისეულ თხრობაზე აქვს.

ამის მიღმა ავტორი იმ შედეგებზე საუბრისას, რაც მოჰყვა ქრისტიანობის ოფი-ციალურ რელიგიად გამოცხადებას, შენიშნავს, რომ „ეს იმპერია (იგულისხმება რომის იმპერია – ავტ.) და მისი უმაღლესი მართველობა ანტიოქიის პატრიარქის შემწეობით ქა-რთველ საღვდელოებაზე მოქმედებდენ და ისე წაიყვანეს საქმე, რომ საქართველოს მა-რთველობას თავიანთ ნებაზედ ატრიალებდენ. შემდეგში თუმცა ჩვენ დავინახავთ, რომ ქართველები საბერძნეთ-რომის იმპერიასაც ეომებოდენ, მაგრამ ამ ომებს ორის ხალხის ერთმანერთთან მტრობის ხასიათი კი არ ქონია, არამედ – პირად მტრობისა, რომელიც ამ

შემთხვევაში მეფეებს შეეხებოდა, – და ესეც იშვიათი გარემოება იყო, შემთხვევით გამოწვეული“ [ბარათაშვილი, 1895ბ:27]. იქვე გამოხატავს ბარათაშვილი იმ კურსს, რომელიც ამ აქტით, საქართველოს ვექტორმა მიიღო: „საღვდელოებამ საქართველო სარწმუნოებრივ კავშირით იმპერიას დაუმეგობრა და მით მოსპო სპარსეთსა და მას შორის დამოკიდებულობა“ [ბარათაშვილი, 1895ბ:27]. მისივე თქმით, ამან საარსებოდ გადაჯაჭვა ქართული პოლიტიკა რომისას „და ბოლოს ქრისტიან სამეფოთა შორის მარტოდ-მარტო დარჩა ის სპარსეთისა და თურქეთის მსხვერპლად“ [იქვე].

„რომი“ ს. ბარათაშვილთან კიდევ ერთხელ ჩნდება, როდესაც ავტორი ვარაზ-ბაქარის მეფობის პერიოდზე საუბრობს. ვარაზ-ბაქარი ქართლის მეფე 379-394 წლებში უნდა ყოფილიყო. ბარათაშვილთან კი ის მმართველობას 393 წელს ასრულებს. ვარაზ-ბაქარის იმ პოლიტიკით, რომელსაც ის სპარსელებთან მიმართებით ატარებდა, რომი უკმაყოფილო იყო, რის გამოც „შეუსიეს მას კლარჯელები; ამათ შემწეობით დაიჭირეს თუხარისი და მთელი კლარჯეთი ზღვის ნაპირად არსიანამდი და მართველად იქ დააყენეს ბოსერორის ერთი თავადთაგანი, სავრომატი“ [იქვე:32]. შემდეგ კი ქართლის სამეფო იყოფა ორად და სამხრეთს სავრომატი უდგება სათავეში, ჩრდილოეთს კი ვარაზ-ბაქარი. „სავრომატის უფლებაში ყოფილიყვენ ჭანეთი და მტკვრიდან სამხრეთისაკენ მდებარე მიწები, ვარაზ-ბაქარისაში კი – ჩრდილოეთისაკენ მდებარენი და აგრეთვე ალბანია“ [იქვე:33]. შემდეგში ავტორი სწორად ანვითარებს მოვლენათა ჯაჭვს, როდესაც აღნიშნავს, რომ სპარსეთსა და რომს შორის გაიმართა მოლაპარაკებები ქართლის გაყოფის თაობაზე [იქვე].

საბოლოო ჯამში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ს. ბარათაშვილი საქართველოს ისტორიაზე საუბრისას საკმაოდ კარგად გვაწვდის იმ საგარეო კონტექსტებს, რაც აუცილებელია კონკრეტული მოვლენის ზუსტად აღსაქმელად. ამასთან, ზოგ შემთხვევაში, ის თემის ჩაშლასაც არ ერიდება და დაზუსტების სახით ზედმეტ ინფორმაციასაც გვაწვდის ანტიკური რომის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ვხვდებით ცთომილებებს, მაგ., სახელებსა და პიროვნებების აღრევაში, იმაში რომ ზოგჯერ რომი საბერძნეთად იხსენიება ან ზოგადად კონკრეტულ ფაქტებში, ეს არანაირად არ აკნინებს მის სამეცნიერო ფასეულობას. მით უმეტეს გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ეს ყოველივე მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში იწერებოდა.

თავი IV

რომის ისტორიის კვლევა და სწავლება XX-XXI საუკუნეების საქართველოში

4.1 რომის ისტორიის საკითხები ძველი მსოფლიოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიას მოჰყვა რუსული განათლების სისტემისა და სწავლების რუსულ ენაზე დანერგვა. XIX ს-ის II ნახევარში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული „სამოციანელთა“ თაობა, აქტიურად იბრძოდა განათლების მშობლიურ ენაზე მიღებისთვის. ამ მიმართულებით განსაკუთრებულია იაკობ გოგებაშვილის (1840-1912) ღვაწლი. იგი წერდა: „სადაც-კი ჭეშმარიტის განათლების ლამპარი და-ნთებულა, დედა-ბოძად მას ჰქონია და აქვს დედა-ენა, სწავლება დედე-ენაზედ, როგორც საუკეთესო ღონე გონების განვითარებისა და ცოდნის შეძენისა, ღონე ბუნებისაგან და ღვთისაგან მინიჭებული და დალოცვილი“ [გოგებაშვილი, 1990:50].

XX საუკუნის დასაწყისიდან ეროვნული განათლების სისტემისათვის ბრძოლაში ახალი თაობა ერთვება, რომელიც აგრძელებს „თერგდალეულთა“ გაკვალულ გზას. საბოლოოდ, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭომ, 1914 წელს მიიღო კანონი, რომელიც იმპერიაში შემავალ ერებს ნებას რთავდა სკოლებში სწავლება მშობლიურ ენაზე წარემართათ [ბასილაძე, 2013:389]. ამ კანონმა სასიცოცხლო აუცილებლობით დასვა საკითხი, რომ შექმნილიყო ქართულენოვანი სახელმძღვანელოები, მათ შორის რომის ისტორიაშიც, რასაც პირველად ხელი ცნობილმა ქართველმა ფსიქოლოგმა, ფილოსოფოსმა და პედაგოგმა დიმიტრი უზნაძემ და ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა ალექსანდრე წერეთელმა მოჰკიდეს ხელი.

ქართული ეროვნული სკოლის მშენებლობას კიდევ უფრო ფართო გასაქანი მიეცა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ეს პერიოდი ქართველ მკვლევართაგან სამართლიანადაა შეფასებული, როგორც „ქართული სკოლის მკვდრეთით აღდგომა“ (საყვარელიძე 1992).

აქვე აღვნიშნავთ კიდევ ერთ გარემოებას – სახელმძღვანელო არის მნიშვნელოვანი წყარო თანადროული ეპოქის ისტორიოგრაფიული ტენდენციებისა და ორიენტი-

რების შესასწავლად, ამიტომაც გადავწყვიტეთ წარმოვაჩინოთ ისტორიის ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოების ის ნაწილები, რომლებიც რომის ისტორიას შეეხება

ა) ანტიკური რომის ისტორიის საკითხები ალ. წერეთლის საავტორო სახელმძღვანელოებში

ალექსანდრე იოსების ძე წერეთელი გახლდათ ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, ძველი მსოფლიოს ისტორიის შესწავლის ქართული სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1909 წელს ქუთაისის რეალური სასწავლებლის დასრულების შემდეგ მან სწავლა განგრძო ქალაქ ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიო-ფილოლოგიის მიმართულებაზე, რომელიც 1915 წელს დაასრულა. ხარკოვში მას ასწავლიდნენ ანტიკურობის შემსწავლელი რუსული ისტორიოგრაფიული სკოლის გამორჩეული წარმომადგენლები პროფესორი ივანე ნეტუმილი და აკადემიკოსი ვლადისლავ ბუზესკული. ამ უკანასკნელს ალექსანდრე წერეთელი თავის ნაშრომებში ყოველთვის დიდი პატივისცემით მოიხსენიებდა. ხარკოვის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ალექსანდრე წერეთელი საქართველოში დაბრუნდა. იგი ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდეგ თბილისში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. ამასთან, წერეთელი აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ საქმიანობაშიც. იგი გახლდათ სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, ამასთანავე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში იკავებდა განათლების მინისტრის ამხანაგის (მოადგილის) თანამდებობას. თავისი აქტიური სამოქალაქო პოზიციისა და პოლიტიკური წარსულის გამო 1935-1955 წლებში იმყოფებოდა გადასახლებაში ცენტრალურ აზიაში.

პროფ. ალ. წერეთლის სამეცნიერო მემკვიდრეობა საკმაოდ მრავალფეროვანია. იგი გახლავთ არა ერთი ნაშრომის ავტორი ძველი მსოფლიოს ისტორიაში. 1918-1921 წლებში მან გამოაქვეყნა სახელმძღვანელოები ძველი მსოფლიოს, შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიაში. ცხადია, ძველი მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოში თვალსაჩინო ადგილი რომის ისტორიას უკავია. 1921-1935 წლებში გამოაქვეყნა მისი ძალზედ საინტერესო ნაშრომები: „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“ (ორ ნაწილად 1928 და 1935 წლებში), „ებრაელთა ძველი ისტორია“ (1935 წელს), „ხეთელები და მათი სამყარო“ (1931 წელს), „კრეტა-მიკენის ანუ ეგეოსის კულტურა (1923 წელს), „სკოლა და სახალხო განათლება ძველ საბერძნეთში“ (1923წელს), „ჰომეროსის საზოგადოება“ (1924 წელს), „სოლონის სეისახთეა“ (1925 წელს). ამავე პერიოდში, 1927 წელს დაიცვა დისერტაცია ლუკიანე სამოსატელის შესახებ და დაიკავა ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის გამგის თანამდებობა.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ გამოსცა შემდეგი ნაშრომები: „სირია და ფინიკია“ (1955), საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის ისტორიაში, „ძველი საბერძნეთის ისტორიის წყაროთმცოდნეობა“ (1963), „მარკუს ტულიუს ციცერონი“ (1959).

ალ. წერეთლის სახელმძღვანელო „ძველ საუკუნეთა ისტორია“, რომელშიც რომის ისტორიაც თავსდება, სამჯერ გამოიცა: 1918 წელს ქუთაისში, ხოლო 1919 და 1920 წლებში თბილისში. სახელმძღვანელო ძველი აღმოსავლეთისა და ძველი საბერძნეთის ისტორიის განხილვით იწყება, მათი განხილვის შემდეგ წერეთელი გადადის რომის ისტორიაზე. სახელმძღვანელოში რომის ისტორია განხილულია მისი დაარსებიდან დასავლეთ რომის იმპერიის დაცემამდე. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოში ზემდიწევნითი სიზუსტითაა გადმოცემული რომის რესპუბლიკისა თუ იმპერიის ისტორიული მოვლენები. წერეთელი, რომელიც უფრო ისტორიის მატერიალისტური ახსნისკენ იხრებოდა, ნაკლებ ყურადღებას უთმობს რომაულ კულტურას, არქიტექტურას თუ ხელოვნებას, იგი რომის ისტორიას, ძირითადად, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კუთხით აცნობს მოწაფეებს. ალექსანდრე წერეთელი საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს ბერძნულ და რომაულ რელიგიურ პანთეონს შორის არსებული განსხვავებების შესახებ: „რომაელები არ იცნობდნენ ბერძენთა ცოცხალისა და ნათელი

ღმერთების სახეებს; მათ არც ბევრი მითი ჰყავდათ. რომაელები დარწმუნებული იყვნენ, რომ ღმერთებსა და ადამიანებს შორის ხელშეკრულებაა დადებული: თუ ადამიანი ყველა წესს სავსებით შეასრულებს, ღმერთიც ვალდებულია მას დაეხმაროს; ხოლო თუ ის არ ეხმარება ადამიანს, მაშინ, რომაელების აზრით, წესების შესრულებაში მან რაღაც დაივიწყა და არ შეასრულა“ [წერეთელი 1920: 109]. ცხადია, ავტორი გვერდს ვერ აუვლიდა რომის იმპერიაში ქრისტიანობის გავრცელების საკითხს, რასაც მეტად ხატოვნად აღწერს: „...იწყება ქრისტიანობის გამარჯვება; მაგრამ ამასთან ერთად აქვე იწყება მისი ნათელისა და მაღალი მხარეების მიჩქმალვაც, რადგან იესო ნაზარეტელის მოძღვრება პირველყოფილი ქრისტიანობის სულისა და სახის შემრყვნელმა უკანონო მიმდევრებმა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ დაბალი მისწრაფებების გასამართლებლად გაიხადეს“ (წერეთელი 1920: 161).

წერეთლის სახელმძღვანელო, სავსებით აკმაყოფილებდა იმდროინდელი ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს და მასრუსული ისტორიოგრაფიის გავლენაც ეტყობა. ეს წიგნი ხარვეზებისგან თავისუფალი არ არის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წიგნი წლიდან წლამდე იხვეწებოდა. ალექსანდრე წერეთელი მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში ასეთ რამეს წერს: „თუ საშუალება გვექნა, შემდეგ გამოცემაში ვეცდებით სხვა შესწორებანიც შევიტანოთ, რომ სახელმძღვანელო, რაც შეიძლება, უნაკლო იყოს. ამიტომ ვსთხოვთ ამხ. მასწავლებლებს გვაცნობონ თავიანთი შენიშვნები ამ სახელმძღვანელოს შესახებ.“ ეს მიდგომა სავსებით შეესება მება იმ პრაქტიკას, რაც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებობდა და რასაც წერტილი საქართველოს გასაბჭოებით დაესვა.

ბ) დ. უზნაძის რომის ისტორიის სახელმძღვანელო

დიმიტრი უზნაძე გახლდათ ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. იგი გახლდატ განწყობის ტეორიის ავტორი, რომელმაც მეცნიერს მსოფლიო აღიარება მოუტანა.

1909 წელს, ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დასრულების შემდეგ უზნაძემ სწავლა, გერმანიაში, ლაიფციგის უნივერსიტეტში განაგრძო. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ სადოქტორო ხარისხი ფილოსოფიაში ჰალეს უნივერსიტეტში დაიცვა. მისი სადოქტორო დისერტაცია ვლადიმერ სოლოვიოვის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას შეეხებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაშრომი ამ საკითხზე დაცულ პირველ დისერტაციას წარმოადგენდა. 1913 წელს დიმიტრი უზნაძემ ექსტერნის წესით დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური მიმართულება. ამ ყველაფრის შემდეგ იგი საქართველოში დაბრუნდა და აქ აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ჯერ ქალაქ ქუთაისში, ხოლო შემდეგ თბილისში. იგი განეკუთვნებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამაარსებელთა კოჰორტას.

დ. უზნაძემ რომის ისტორიის სახელმძღვანელო, პირველად, 1919 წელს ქალაქ ქუთაისში გამოაქვეყნა. ერთი წლის შემდეგ კი ამ სახელმძღვანელოს გადამუშავებული ვერსიათბილისშიც გამოიცა. იგი ამ ფაქტის შესახებ წინასიტყვაობაშივე მიუთითებს და გვაცნობს იმ ცვლილებებს, რაც სახელმძღვანელოს გადამუშავებულ ვერსიაში შევიდა: „ჩემი „რომის ისტორიის“ მეორე გამოცემა საკმაოდ განირჩევა პირველისგან (რომელიც დაახლოვებით ამ ერთი წლის წინად გამოვიდა) არა მარტო გარეგნულად (პირველი გამოცემა ილუსტრაციებს სრულებით არ შეიცავდა), არამედ შინაარსის მხრივაც. ცვლილებები განსაკუთრებით შემდეგ ნაწილებს შეეხო: იტალიის მოსახლეობა, რომელთა სარწმუნოება, რომის ძველი წყობილება, რომის რესპუბლიკის პირველი ხანების საგარეო პოლიტიკა (რომელიც სიცხადისთვის თავდაცვითი და შეტევითი ომების ხანად გაიყო), დემოკრატიული წესწყობილება (პირველი გამოცემის მცირე შენიშვნიდან იგი მთელს თავად გადაიქცა), რევოლუციის ხანის დასაწყისი (შინაგანი პირობები, როგორც შედეგი მსოფლიო მონარქიის დამკვიდრებისა), მარიუს-სულას ხანა (მეორე გამოცემაში მე შევეცადე ამ ხანის საშინაო ცხოვრება ცალკე დამეხასიათებია და საგარეო-ცალკე,

მაგრამ ისე, რომ რომის იმდროინდელი ცხოვრების ბუნება, როგორც სინთეზი ორივე ამ მიმდინარეობისა, ჩრდილში არ დარჩენილიყო); ტრიუმვირატების ხანა გარდამავალ ხანად იქნა გამოყოფილი“ (უზნაძე 1920: I). ეს ვრცელი ციტატა იმისთვის მოვიტანეთ, რომ გვეჩვენებინა შემდეგი გარემოება: საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამ სახელმძღვანელოების, (აქ ვგულისხმობთ როგორც უზნაძის, ასევე წერეთლის სახელმძღვანელოებს) სრულყოფა და დახვეწა ჯერ კიდევ დასრულებული არ ყოფილა. სახელმძღვანელოთა ავტორები წლიდან წლამდე აუმჯობესებდნენ სახელმძღვანელოების სამეცნიერო დონეს, რასაც საბოლოოდ, წერტილი საქართველოს გასაბჭოებით დაესვა. სწორედ, ამიტომაც სავსებით ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ „...სახელების მხრივ მცირედენი უზუსტობის და ისტორიის შემჭიდროებული ფორმით თხრობის მიუხედავად, მთლიანობაში, ეპოქის შესაბამისად რომთან მიმართებაში იგი (ე.ი. უზნაძის სახელმძღვანელო) მკითხველს საკმარის ცოდნას აძლევდა“ (სურგულაძე 2013:222).

უზნაძე რომის ისტორიაზე საუბარს აპენინის ნახევარკუნძულის აღწერით იწყებს. რაც შეეხება აპენინის ნახევარკუნძულის ისტორიულ მოსახლეობას, დ. უზნაძე მათ ორ ნაწილად ჰყოფს. პირველ ჯგუფში იგი ათავსებს ეტრუსკებს, მათთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს შემდეგს: „სხვათაშორის ისეთი აზრიც არსებობს, რომლის მიხედვითაც ეს ხალხი (ე.ი. ეტრუსკები) ქართველების მონათესავე უნდა იყოს“ [უზნაძე, 1920:8]. აღნიშნული მოსაზრება გამოძახილია იმ ეპოქაში და შემდგომაც საკმაოდ გავრცელებული შეხედულებისა, რომლის მიხედვითაც ინდოევროპელთა გამოჩენამდე ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზში ერთი წინარე ინდოევროპული მოდგმის ხალხს უნდა ეცხოვრა (გორდეზიანი 2007). რაც შეეხება იტალიის ისტორიული მოსახლეობის მეორე ჯგუფს, მეცნიერი მათ ინდოევროპული მოდგმის მოსახლეობას მიიჩნევდა.

წინასიტყვაობაშივე, ავტორი მიუთითებდა იმ პრინციპების შესახებ, რითიც იგი სახელმძღვანელს შედგენის პროცესში მუშაობდა: „მკითხველი დაინახავს, რომ „რომის ისტორიის“ შედგენის დროს მე სანიმუშოდ არც ერთს სახელმძღვანელოს არ მივსდევდი. მე ხელთ მქონდა სახელმძღვანელოდ, ერთის მხრივ, საუკეთესო გამოკვლევები ამ დარგში, ხოლო მეორეს მხრივ-ის პირადი მუშაობა, რომელსაც თავის დროზე ისეთი სპეციალისტების ხელმძღვანელობით ვაწარმოებდი, როგორნიც იყვნენ პროფ. ნიზე და ვილკენი. ჩემს სახელმძღვანელოში ზოგი ისეთი ცნობებიცაა მოყვანილი, რომ შეიძლება

საშუალო სკოლაში ყველა მათი შესწავლა საჭირო არ აღმოჩნდეს. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჩვენს პირობებში, როდესაც საკითხავი წიგნები ჯერ კიდევ თითქმის სრულიად არ მოგვეპოება, ეს გარემოება შეუძლებელია ნაკლად ჩაითვალოს. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელს ადვილად შეუძლია, წიგნში შესაფერი შემოკლება შეიტანოს“ (უზნაძე 1920: I-II). როგორც ვხედავთ, მეცნიერი ანტიკური რომის ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენისას გერმანული ისტორიოგრაფიის გამორჩეული წარმომადგენლების ედუარდ მაიერის, ბენედიქტ ნიზესა და ულრიხ ვილკენის გავლენას განიცდის.

უნდა აღინიშნოს, რომ დიმიტრი უზნაძის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო იმ დროისთვის იყო ერთადერთი, რომელიც საშუალო სკოლის მოწაფეებს აწვდიდა ინფორმაციას რომაული ხუროთმოძღვრების, ფილოსოფიის, პროზისა და პოეზიის შესახებ. ეს საკითხები ალ. წერეთლის ავტორობით გამოსულ სახელმძღვანელოში, თითქმის არ გვხვდება. უზნაძე, პოლიტიკურ ისტორიასთან ერთად, განსაკუთრებულ აქცენტს კულტურის ისტორიაზე აკეთებს. ეს შემთხვევითი არ არის, რადგანაც დიმიტრი უზნაძე ისტორიის მატერიალისტურ ახსნას უარყოფდა და ისტორიული მოვლენების შესასწავლად პოზიტივისტურ მეთოდს იშველიებდა.

დიმიტრი უზნაძის მიერ შედგენილ რომის ისტორიის სახელმძღვანელოს იმ პერიოდშივე დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ეს სახელმძღვანელო თავისი ეპოქის გათვალისწინებით, სავსებით აკმაყოფილებდა მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.

გ) რომის ისტორიის საკითხები საბჭოთა საქართველოს პერიოდის სასკოლო სახელმძღვანელოებში

1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიით შეჩერდა ეროვნული სკოლის მშენებლობის პროცესი. საქართველოს გასაბჭოებით წერტილი დაესვა იმ მიღწევებს, რასაც ადგილი

ჰქონდა დამოუკიდებელი საქართველოს განათლების სისტემაში, მათ შორის სახელმძღვანელოების მიმართულებითაც.

1922 წლიდან სკოლების სასწავლო გეგმებსა და საგნების შინაარსს განსაზღვრავდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განათლების სახალხო კომისარიატი (განსახკომი), რომელიც ყველა საბჭოთა რესპუბლიკისათვის ერთსა და იმავე გეგმას ამტკიცებდა. 1923 წლის 16 ივნისის ბრძანებით განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაამტკიცა ე.წ. „ახალი პროგრამები ერთიანი შრომის სკოლისთვის.“ ამ ბრძანებით მათ შემოჰქონდათ ახალი საგანი საზოგადოებათმეცნიერება, რომელსაც სკოლებში ისტორიის სწავლება უნდა ჩაენაცვლებინა (ზინოვიევი 1950: 33.). ახლადშემოტანილ საგანს, საზოგადოებათმეცნიერებას, ისტორიასთან საერთო არაფერი ჰქონდა, იგი მთლიანად მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პრინციპზე იყო აგებული და მოსწავლეებს არა ისტორიას, არამედ მარქსისტულ თეორიასა და ბოლშევიკური პარტიის რევოლუციურ მოღვაწეობას აცნობდა (დაწ. იხ. საზოგადოებათმეცნიერება სკოლაში 1924). ამ „რეფორმის“ ავტორთა მტკიცებით „ისტორიის შესწავლა იქნებოდა მნიშვნელოვანი დაბრკოლება მშრომელი მასებისათვის სოციალიზმის მშენებლობის გზაზე“ (ვარდოსანიძე, ჩიმაკაძე, ცქიტიშვილი 1999: 17). ამრიგად, დაახლოებით ათი წლის განმავლობაში, საბჭოთა საქართველოში ისტორია, როგორც დამოუკიდებელი საგანი, არ არსებობდა და შესაბამისად, მოსწავლეები არც რომის ისტორიის საკითხებს ეცნობოდნენ.

1930-იანი წლების დასაწყისიდან ისტორიის სწავლებისადმი მიდგომა თანდათან იცვლება. საბჭოთა კავშირში იწყება დისკუსია ისტორიის, როგორც დამოუკიდებელი საგნის სწავლების აღდგენასთან დაკავშირებით. საბჭოთა პედაგოგიკამ და ისტორიოგრაფიამ ისტორიის სასწავლო პროგრამებიდან გაქრობის „ცოდვა“ განათლების სახალხო კომისარ ა. ლუნაჩარსკის და სასწავლო პროგრამების შემდგენი კომისიის ხელმძღვანელ მ. პოკროვსკის აჰკიდა, რომელთაც თურმე, სწორად ვერ გაიგეს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პრინციპები. სინამდვილეში კი ლუნაჩარსკისა და პოკროვსკის მიერ გატარებული რეფორმა ნაწილი იყო იმ კამპანიისა, რომელიც საბჭოთა კავშირში 20-იან წლებში მიმდინარეობდა და მას თამამად შეიძლება ვუწოდოთ „წარსულთან ანგარიშსწორება.“

1934 წლის 16 მაისს გამოიცა განკარგულება „სსრ კავშირის სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ.“ ისტორია, როგორც დამოუკიდებელი საგანი კვლავ დაუბრუნდა საშუალო სკოლებს. ამ დადგენილების გამოცემის შემდეგ კი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორთა კოლექტივებიც ჩამოყალიბდა, რომელთაც უმოკლეს დროში ისტორიის ახალი სახელმძღვანელოები უნდა დაეწერათ. აღსანიშნავია, რომ ი. სტალინი და ა. ჟდანოვი ხელნაწერში უნდა გაცნობოდნენ სახელმძღვანელოებს და საჭიროების შემთხვევაში გამოთქვამდნენ შესწორებებსა და შენიშვნებს. ცხადია, რომ ამ შესწორება-შენიშვნათა მიზანი იყო ისტორიის სახელმძღვანელო გადაექციათ პროპაგანდისტულ იარაღად და ისტორიის სწავლებაში დაენერგათ მარქსისტული და საბჭოთა იდეოლოგიური დოგმები. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმძღვანელოთა ავტორები არ ყოფილან ქართველი მკვლევრები, ჩვენ მაინც მართებულად მივიჩნიეთ რუსი ისტორიკოსების მიერ დაწერილი და ქართულ საბჭოთა სკოლაში სახელმძღვანელოდ გამოყენებული მათი წიგნების ის ნაწილები, რომელნიც რომის ისტორიის საკითხებს შეეხება, ორიოდ სიტყვით განგვიხილა.

ქართულ საბჭოთა სკოლაში რომის ისტორიის სწავლება, რომელიც ნაწილი იყო ძველი მსოფლიოს ისტორიის კურსისა, მეხუთე კლასში მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ სწავლების საერთო ხანგრძლივობა ზოგჯერ იცვლებოდა,⁷ ძველი მსოფლიოს ისტორიას მოსწავლეები ყველა შემთხვევაში მეხუთე კლასში სწავლობდნენ. 1934 წლის 16 მაისის დადგენილების შემდეგ მოსწავლეები რომის ისტორიის საკითხებს ნ. ნიკოლსკის სახელმძღვანელოთი ეცნობოდნენ. ნიკოლსკის სახელმძღვანელოს ბოლო მეხუთე თავი, სწორედ, რომის ისტორიის საკითხებს ეძღვნებოდა (ნიკოლსკი 1934: 161-208). 1942 წლიდან ნიკოლსკის სახელმძღვანელო ჩაანაცვლა ალ. მიშულინის რედაქტორობით გამოსულმა წიგნმა (მიშულინი 1942). 1954-დან 1958 წლამდე მცირე პერიოდში გამოიყენებოდა ცნობილი რუსი ისტორიკოსის ს. კოვალიოვის სახელმძღვანელო (კოვალიოვი 1954). 1957 წელს კი მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით და მათ შორის, საქართველოშიც ძველი მსოფლიოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოდ დამტკიცდა ფიოდორ კოროვკინის ავტორობით გამოცემული წიგნი (კოროვკინი 1958). კოროვკინის

⁷საწყის ეტაპზე საბჭოთა სკოლა 10 კლასიანი იყო, 1946 წელს შემოიღეს 11 კლასიანი სწავლება, 1964 წელს კი საბჭოთა სკოლა ისევ 10 კლასიან სისტემაზე გადაეწყო.

სახელმძღვანელო საბჭოთა კავშირის დაშლამდე და გარკვეული პერიოდით სსრკ-ის დაშლის შემდგომაც ძველი მსოფლიოს ისტორიის უცვლელ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველი მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოთა ავტორები ცნობილი რუსი ისტორიკოსები იყვნენ. ეს ისტორიკოსები რომის ისტორიის საკითხებზე წმინდა სამეცნიერო კუთხითაც მუშაობდნენ, თუმცა მათი სამეცნიერო ნაშრომები იმ დონეზე იდეოლოგიზებული არ ყოფილა, როგორც მათი ავტორობით გამოსული სასკოლო სახელმძღვანელოები. მაგ.: ნ. ნიკოლსკი (1877-1959) რელიგიის ისტორიის საკითხებზე მუშაობდა; ალ. მიშულინი (1901-1948) რომის ისტორიის სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებსა და ანტიკური ესპანეთის ისტორიას იკვლევდა, ასევე იგი იყო ავტორიტეტული გამოცემის „Вестник древней истории“-ის მთავარი რედაქტორი. ჩვენი აზრით, ამის მიზეზს ის გარემოება წარმოადგენდა, რომ წმინდა სამეცნიერო ლიტერატურა, რომელსაც შედარებით ნაკლები მკითხველი ჰყავდა, უფრო ნაკლებად იყო იდეოლოგიზებული, ხოლო სასკოლო სახელმძღვანელოები ყველა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში პროპაგანდის მძლავრ იარაღს წარმოადგენს, ამიტომაც სასკოლო სახელმძღვანელოები უფრო იდეოლოგიზებული იყო.

სავსებით სწორად შენიშნავს ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი მარკ ფერო, რომ ისტორიის სახელმძღვანელო ისტორიული ცნობიერების ჩამოყალიბების ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა, ამიტომაც ასკვნიდა იგი, რომ „ჩვენი წარმოდგენა საკუთარ თავსა და სხვა ხალხებზე დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გვასწავლიდნენ ბავშვობაში ისტორიას“ (Феро, 2010:7). სწორედ ამიტომაც მარქსისტულ-ლენინური დოგმებით უხვად გაჯერებული სახელმძღვანელო, მოსწავლეებში მარქსისტული ისტორიული ცნობიერების ჩამოყალიბების საშუალება იყო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ სახელმძღვანელოებში თავად იდეოლოგიზაციის დონე განსხვავებული იყო და წლიდან წლამდე ძველი მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოთა პათოსი თანდათან იცვლებოდა. მაგ., 1942 წელს მიშულინის რედაქტორობით გამოსულ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „ისტორიის ცოდნა შესაძლებლობას გვაძლევს გავიგოთ, თუ რად უნდა გაიმარჯვოს სოციალიზმმა მთელს მსოფლიოში“ (მიშულინი 1942: 11). 1954 წელს, კოვალიოვის ავტორობით გამოცემულ სახელმძღვანელოში კი წერია: „ისტორიის ცოდნა

გვიადვილებს იმის გაგებას, თუ როგორ იცვლება ადამიანთა ცხოვრება და რატომ გაიმარჯვებს კომუნიზმი მთელს მსოფლიოში“ (კოვალიოვი 1954: 4).

საბჭოთა კავშირში გამოსული ძველი მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოებიდან იდეოლოგიური მარწუხებისგან ყველაზე თავისუფალი ფ. კოროვკინის სახელმძღვანელოა. მასში ვერ შევხვდებით ისეთ ციტატებს, რომელნიც უფრო ადრე გამოცემულ ისტორიის სახელმძღვანელოებში გვხვდება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ სახელმძღვანელოები მთლიანად ეპოქის კონიუნქტურას იყო მორგებული. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის, თუ როგორ იყო განხილული სახელმძღვანელოებში მონათმფლობელური ფორმაციისა და ე.წ. „მონათა რევოლუციის საკითხი.“

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ წერენ: „დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია. თავისუფალი და მონა, პატრიცი და პლემი, ბატონი და ყმა, ოსტატი და ქარგალი, მოკლედ – მჩაგვრელი და დაჩაგრული მუდმივ ანტაგონიზმში იყვნენ ერთმანეთთან, ეწეოდნენ შეუწყვეტელ – ხან მალულ, ხან აშკარა ბრძოლას, -ბრძოლას, რომელიც ყოველთვის თავდებოდა რევოლუციური გარდაქმნით ან მებრძოლ კლასთა საერთო დაღუპვით“ (მარქსი, ენგელსი 1954: 36-37). ამ ზოგადი ხასიათის თეზას მარქსი და ენგელსი ამყარებდნენ ახალ დროში ევროპაში განხორციელებული მთელი რიგი რევოლუციებით: გლეხთა ომი გერმანიაში, ჰოლანდიის რევოლუცია, ინგლისის რევოლუცია, განმანთავისუფლებელი ომი და რევოლუცია ამერიკაში, საფრანგეთის დიდი რევოლუცია და ა.შ. ახალი დროის ისტორიულ მოვლენებზე მარქსსა და ენგელსს არა ერთი ნაშრომიც აქვთ დაწერილი. მაგ.: „სტატიები ამერიკის სამოქალაქო ომზე“ (კ.მარქსი), „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ (კ.მარქსი), „ლუი ბონაპარტის 18 ბრიუმერი“ (კ.მარქსი), „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ (ფ.ენგელსი), „გლეხთა ომი გერმანიაში“ (ფ. ენგელსი), „რევოლუცია და კონტრრევოლუცია გერმანიაში“ (ფ.ენგელსი).

მარქსსა და ენგელსს, რომის ისტორიისა და საზოგადოდ ძველი მსოფლიოს ისტორიის შესახებ რაიმე სპეციალური ნაშრომი არ დაუწერიათ.⁸ საბჭოთა კავშირში კი მათი ზოგადი თეზა რევოლუციების შესახებ მოარგეს ძველი მსოფლიოს ისტორიასაც

⁸ძველი მსოფლიოს ისტორიის გარკვეულ საკითხებს ეხება ფ. ენგელსი თავის ცნობილ ნაშრომში „ოჯახის, სახელწიფოსა და კერძო საკუთრების წარმოშობის შესახებ.“

და გამოაცხადეს, რომ მონათმფლობელური ფორმაციის დასრულების მთავარი მიზეზი მონათა რევოლუციები იყო. ამ მტკიცების ერთ-ერთი აქტიური დამცველი გახლდათ ი. სტალინი. იგი თავის ნაშრომებში საუბრობდა ე. წ. „მონათა რევოლუციების“ შესახებ. თუმცა, საისტორიო წყაროებში ამგვარი რევოლუციების შესახებ არავითარ ცნობებს არ ვხვდებით. ეს სტალინისეული თეზა „მონათა რევოლუციების“ შესახებ აქტიურად ინერგებოდა იმ დროის სახელმძღვანელოებშიც. ნიკოლსკის, მიშულინისა და კოვალიოვის სახელმძღვანელოებში რომის იმპერიის დაცემის მთავარ მიზეზად არა ხალხთა დიდი გადასახლება და მომთაბარე ბარბაროსების შემოსევები, არამედ „მონათა რევოლუციებია“ გამოცხადებული. ამრიგად, 1934-1954 წლებში გამოცემულ სახელმძღვანელოებში რომის ისტორიის საკითხები, სწორედ ამ სტალინისეული თეზის პრინციპზეა აგებული. პოსტ-სტალინურ ეპოქაში, 1957 წელს დამტკიცებულ კოროვკინის სახელმძღვანელოში მტკიცებას მონათა რევოლუციების შესახებ აღარ ვხვდებით. კოროვკინის სახელმძღვანელოში რომის იმპერიის დაცემის მთავარ მიზეზად ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან დაძრული მომთაბარე ტომების შემოსევებია დასახელებული. ეს მეტამორფოზი, ცხადია, სტალინის კულტის დაგმობითა და ხრუმჩოვისეული ცნობილი „დათბობის“ პოლიტიკით უნდა აიხსნას. შემთხვევითი არაა ისიც, რომ ალექსანდრე გორგაძე 1957 წელს გამოცემულ თავის წიგნში „ისტორიის სწავლების მეთოდთა“ წერს: „ისტორიული სწავლებისა და ისტორიული განათლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კომუნისტური XX ყრილობის ისტორიულ დადგენილებებს“ (გორგაძე 1957: 80). სწორედ, პიროვნების კულტის დაგმობასა და რეპრესიული პოლიტიკის შერბილებას უნდა დაუკავშიროთ ის ცვლილებები, რომლებიც კოროვკინის სახელმძღვანელოსა და ზოგადად პოსტსტალინური ეპოქის საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შევიდა.

როგორც ვახსენეთ 1957 წლამდე გამოცემულ სახელმძღვანელოებში რომის ისტორიის საკითხები ფორმაციული მოდგომისა და კლასობრივი ბრძოლის მიხედვით იყო გაშუქებული, რის გამოც მოსწავლეები საერთოდ არ ეცნობოდნენ ლათინურ კულტურას, ლიტერატურას, ისტორიოგრაფიასა და მათ მნიშვნელობას. ეს ხარვეზიც ასევე გამოსწორდა კოროვკინის სახელმძღვანელოში. აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი საკითხიც. ამ სახელმძღვანელოებში ერთ-ერთი ყველაზე ტენდენციურად წარმოდგენილი საკითხი არის ქრისტიანობა. საბჭოთა ისტორიკოსები, საკმაოდ ვრცლად ეხებიან

ქრისტიანობის დამკვიდრებას რომში, თუმცა მათი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი მეტწილად ნეგატიურია, იმდენად, რომ ვერც კი ამჩნევენ იმ ფაქტს, თუ როგორ გაუხანგრძლივა ახალმა რელიგიამ მომაკვდავ და მორალურ ჭაობში მყოფ რომის იმპერიას არსებობა და ახალი სული შთაბერა რომულუსისა და რემუსის დაარსებულ ქალაქს.

ამ საკითხზე საუბრის მიწურულს აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა საქართველოში რომის ისტორიის სწავლებისთვის არსებობდა ე.წ. დამხმარე სახელმძღვანელოებისა და დამხმარე მასალების პრაქტიკა. ეს დამხმარე სახელმძღვანელოები ძირითადად ორი სახისა იყო: 1. მასწავლებელთათვის და 2. მოსწავლეთათვის. მოსწავლეთათვის განკუთვნილი იყო ისტორიული ატლასები, რაც ეპოქასა და სივრცეში ორიენტაციისათვის მნიშვნელოვანი დამხმარე მასალაა. დღეს ასეთი ატლასების გამოცემა პრაქტიკულად შეწყვეტილია. მასწავლებელთათვის გამოიცემოდა დამხმარე სახელმძღვანელოები, რომელთა გამოყენება საკლასო მუშაობის პროცესში იყო მიზანშეწონილი. მაგ., ასეთი წიგნი იყო „ძველი მსოფლიოს ისტორია მხატვრულ სახეებში“ (შესტაკოვი, ვოლობუევი 1979), რომელიც ქრესტომათიული ტიპის წიგნი იყო და მასში მოთავსებული გახლდათ ნაწყვეტები რომაელი ისტორიკოსების თხზულებებიდან, ლიტერატურული და სამეცნიერო ნაშრომებიდან. ამ დამხმარე სახელმძღვანელოს შინაარსი შეესაბამებოდა მეხუთე კლასის ისტორიის პროგრამას. დღეს მასწავლებელთათვის დამხმარე სახელმძღვანელოს ფუნქცია შეითავსა ე.წ. მასწავლებლის წიგნმა, თუმცა იგი სულ სხვა დატვირთვისაა და უფრო მეთოდურ დამხმარე საშუალებას წარმოადგენს, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვასა და საგაკვეთილო პროცესის წარმართვას უადვილებს.

საბოლოოდ, დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად მთელი რიგი ხარვეზებისა, რაც საბჭოთა საქართველოს სკოლებში რომის ისტორიის სწავლებას სდევდა თან, სახელმძღვანელოები შეძლებისდაგვრად მაინც ასრულებდნენ თავიანთ ფუნქციას და საკმაო ინფორმაციასაც აწვდიდნენ ახალგაზრდა მოწაფეებს რომის ისტორიის საკითხების შესახებ, განსაკუთრებით ფ.კოროვკინის სახელმძღვანელო, რომელიც ბოლოს 1991 წელს გამოიცა და სანამ თანამედროვე საქართველოში სახელმძღვანელოების ბეჭდვა დაიწყებოდა, დამოუკიდებელი საქართველოს სკოლებშიც გამოიყენებოდა.

რაც შეეხება რომის ისტორიის საკითხებს დამოუკიდებელ საქართველოში გამოცემულ სახელმძღვანელოებში, მას მომდევნო ქვეთავში შევხებით.

დ) რომის ისტორიის საკითხები დამოუკიდებელ საქართველოში გამოცემულ სასკოლო სახელმძღვანელოებში

სსრკ-ის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს განათლების სისტემაში სერიოზული ცვლილები განხორციელდა. სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობა უკვე უშუალოდ ქართველმა ავტორებმა დაიწყეს. 11-კლასიან ქართულ სკოლაში ძველი მსოფლიოს და მათ შორის, რომის ისტორიის საკითხებს მოწაფეები მეექვსე კლასში ეცნობოდნენ. დამოუკიდებელ საქართველოში ძველი მსოფლიოს ისტორიის პირველი ქართული სახელმძღვანელო 1995 წელს გამოვიდა, ქეთევან თვალაშვილისა და ცირა ჩიკვაიძის ავტორობით.⁹ საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს გამოცემული სახელმძღვანელოები პოლიგრაფიული ხარისხით ვერ დაიკვეხნიდა, რაც 90-იანი წლების საქართველოს მდგომარეობით მარტივად აიხსნება და იმ პერიოდის სამეცნიერო გამოცემებისთვის არც თუ იშვიათი მოვლენაა.

ქ. თვალაშვილისა და ც. ჩიკვაიძის ავტორობით გამოსული სახელმძღვანელო ორნაკვეთიანი იყო. პირველი ნაკვეთი ძველ აღმოსავლეთსა და უძველეს საბერძნეთს [თვალაშვილი, ჩიკვაიძე, 1995], ხოლო მეორე ნაკვეთი ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორიას შეეხებოდა (თვალაშვილი, ჩიკვაიძე 1995ბ). იმის გათვალისწინებით, რომ ავტორებს პირველად მოუწიათ სსრკ-ის დაშლის შემდეგ სახელმძღვანელოებში რომის ისტორიის საკითხების განხილვა, მათ ამ საქმეს საკმაოდ კარგად გაართვეს თავი. იმ

⁹უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოთა ავტორთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა პროფ. კონსტანტინე ანთაძე, რომელიც რედაქტორობდა არა მარტო ძველი მსოფლიოს ისტორიის, არამედ შუა საუკუნეებისა და ახალი და უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოებს.

ფაქტმა, რომ ავტორებს არამარქსისტული თეორიის ფარგლებში, პირველად მოუწიათ სახელმძღვანელოს დაწერა, წიგნს გარკვეული ხარვეზები შესძინა, კერძოდ, სახელმძღვანელოში საერთოდ არ არის განხილული რომის ისტორიის სოციალურ-ეკონომიკური საკითხები. ეს მეორე უკიდურესობაა, საბჭოთა სახელმძღვანელოებში აქცენტი მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ პროფილზე იყო გაკეთებული, 1995 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში კი ეს საკითხი საერთოდ ამოღებულია.

ქ. თვალაშვილისა და ც. ჩიკვაიძის ავტორობით გამოსული სახელმძღვანელოს ხარვეზები რომის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით მეტ-ნაკლებად გამოსწორდა 2002 წელს მერაბ მოდებაძის ავტორობით გამოსული დამხმარე სახელმძღვანელოთი VI კლასის მოსწავლეთათვის (მოდებაძე 2002). ეს დამხმარე სახელმძღვანელო ყურადღებას აქცევდა რომის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხებს, მათ შორის ცალკე არის გამოყოფილი რამდენიმე თავი მონობის შესახებ. სახელმძღვანელოსთვის დადებით მომენტად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ავტორი ცდილობს წინ წამოსწიოს რომსა და ქართულ სახელმწიფოებს შორის არსებული ურთიერთობები, რაც კიდევ ერთხელ ავსებს თვალაშვილისა და ჩიკვაიძის სახელმძღვანელოს ხარვეზს. ის კითხვები და სადისკუსიო თემები, რომელიც საგაკვეთილო მასალას ერთვის თან ანალიტიკური მუხტითაა გაჯერებული და განსაკუთრებულად აქცენტირებენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე. მოდებაძის დამხმარე სახელმძღვანელო რომის გაბმულ ისტორიას კი არ მოუთხრობს მოწაფეებს, არამედ გარკვეულ მნიშვნელოვან ცნობებს აწვდის მათ, რაც სავსებით აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რაც დამხმარე სახელმძღვანელოს მოეთხოვება. ასევე განსაკუთრებულად აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელ საქართველოში დაინერგა სამუშაო რვეულები, რომელიც ტესტებისა და დავალებების კრებულს წარმოადგენს. ასეთი სამუშაო რვეული ძველი მსოფლიოს ისტორიაშიც გამოიცა (იხ. გამყრელიძე, გელაშვილი 2000), რითიც, ერთგვარად, სახელმძღვანელოს კომპლექტი შეიკრა.

2006-2007 წლებში განხორციელებული განათლების რეფორმის შემდეგ ისტორიის სწავლება ქრონოლოგიურ რიგზე მოისპო, რის გამოც მოსწავლეები რომის ისტორიის საკითხებს გაბნეულად სხვადასხვა კლასებში სწავლობდნენ. 2018 წელს მინისტრ მიხეილ ბატიაშვილის ბრძანების საფუძველზე ეროვნული სასწავლო გეგმის დეპა-

რტამენტმა სახელმძღვანელოთა ხელახალი გრიფირების კონკურსი გამოაცხადა (ჭანტურია, ქადაგიძე, მელიქაძე, 2020: 145). ამ რეფორმის წყალობით ძველი მსოფლიოს ისტორიის სწავლება უნდა წარმართულიყო მეშვიდე კლასში. კონკურსის შედეგად გრიფი მიენიჭა მეშვიდე კლასის ისტორიის ორ სახელმძღვანელოს (ახმეტელი, ლორთქიფანიძე 2019; სურგულაძე, გამყრელიძე, კიკნაძე, პატარიძე, კერესელიძე 2019). სახელმძღვანელოებს თან ერთვის სამუშაო რვეული და მასწავლებლის წიგნი. განსაკუთრებულად აღსანიშნავია, რომ რომისა და საქართველოს ისტორიის საკითხები ამ სახელმძღვანელოებში ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რაც შეეხება მათ სხვა ღირებებსა და ნაკლოვანებებს ისინი ნათლად, თანდანობით სასწავლო პროცესში გამოჩნდება.

4.2 რომის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები

ქართული მეცნიერების და მათ შორის, ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1918 წლის 8 თებერვალს (ძველი სტილით 26 იანვარს) პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. სწორედ პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებით ჩაეყარა საფუძველი ქართულ სამეცნიერო სივრცეში არაერთი დარგის სამეცნიერო კვლევას, მათ შორის ანტიკური ისტორიისაც.

ახალგაზსნილ უნივერსიტეტში ერთადერთი – სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი არსებობდა. პირველ ქართულ უნივერსიტეტში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ისტორიის სწავლებას. ცხადია, რომ ახალგაზსნილი პირველი ქართული უნივერსიტეტისათვის პირველ რიგში გადასაჭრელ პრობლემას საუნივერსიტეტო სახელმძღვა-

ნელოების საკითხი წარმოადგენდა. ამ პრობლემის წინაშე დადგა ძველი მსოფლიოს ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო სკოლაც. ამ მიმართულებით მეტად ნაყოფიერი გამოდგა ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის პირველი ხელმძღვანელის, პროფ. ალ. წერეთლის მოღვაწეობა. XX საუკუნის 20-30-იან წლებში, ალექსანდრე წერეთლის ავტორობით გამოვიდა სახელმძღვანელოები ძველი აღმოსავლეთისა (ორ ნაწილად) და ძველი საბერძნეთის ისტორიაში (ორ ნაწილად). უნდა აღინიშნოს, რომ ალექსანდრე წერეთელს ჯერ კიდევ იმ დროს ჰქონდა დაგეგმილი რომის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერა, თუმცა 1935 წელს მისმა გადასახლებამ ცენტრალურ აზიაში ქართველი ავტორის ეს მიზანი, საკმაო ხნით, გადაავადა.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებად გამოიყენებოდა რომის ისტორიის რუსულენოვანი წიგნები, რასაც მოწმობს ისიც, რომ იმ დროს გამოცემულ სასწავლო პროგრამებში, სწორედ, რუსულენოვანი სახელმძღვანელოებია მითითებული (საბერძნეთისა და რომის... 1937; საბერძნეთისა და რომის... 1939). უკვე 40-50-იან წლებში რომის ისტორიის სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა იმ დროის ცნობილი რუსი ისტორიკოსის ვლადიმირ სერგეევის „ძველი რომის ისტორიის ნარკვევები“, რომელიც ორი მოზრდილი ტომისაგან შედგებოდა. ვ. სერგეევის ნაშრომი რუსულიდან თარგმნა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ მაქსიმე ბერძენიშვილმა, ხოლო გამოცემის რედაქტორი გიორგი გოზალიშვილი იყო. სერგეევის „რომის ისტორიის ნარკვევების“ პირველი ნაწილი 1940 წელს გამოიცა და იგი მოიცავდა მეფეთა ხანასა და რესპუბლიკის პერიოდს (სერგეევი 1940), ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც 1941 წელს გამოვიდა, რომის იმპერიას შეეხებოდა (სერგეევი 1940; სერგეევი 1941). ამ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ იგი წყაროთა საკმაოდ ფართო სპექტრს ეყრდნობა. სერგეევს გამოყენებული აქვს, პრაქტიკულად, ყველა ის წყარო, რაც რომის ისტორიის შესახებ იმ დროისთვის იყო ცნობილი. გარკვეულ შეუსაბამობას ქმნის სახელმძღვანელოში მასალათა განაწილების პრინციპი, სერგეევი ნაკლებ ყურადღებას უთმობს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, როგორც პუნიკური ომებია. ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ თავად ვლადიმირ სერგეევის უშუალო კვლევის საგანსა და ვიწრო სპეციალიზაციას რესპუბლიკის მიწურული და პრინციპატის პერიოდი წარმოადგენდა, ამიტომაც უფრო ადრეული პერიოდის ისტო-

რია სქემატურადაა გაშუქებული. ამასთანავე, სახელმძღვანელოსათვის ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ მასში არ არის განხილული რომელიმე წარმართობა და აღმოსავლური კულტების შემოსვლა რომის იმპერიის რელიგიურ ცხოვრებაში. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ქრისტიანობა, რომელსაც სახელმძღვანელოში ერთი მოზრდილი თავი ეთმობა. რომის იმპერიის რელიგიური ცხოვრების სათანადოდ შეფასება ეგვიპტური, ანატოლიური და სირიულ-ფინიკიური კულტების განხილვის გარეშე შეუძლებელია, ამიტომაც სერგეევის ნაშრომისთვის ეს გარემოება სერიოზულ ხარვეზს წარმოადგენს. ამასთანავე, ვლადიმირ სერგეევი თავის „რომის ისტორიის ნარკვევებში“ გვერდს ვერ უვლის სტალინისეულ თეზას მონათა რევოლუციების შესახებ. ცხადია, იგი რომის იმპერიის დაცემის მიზეზებს შორის ბარბაროსული ტომების შემოსევებსაც აღნიშნავს, მაგრამ იძულებულია რა ანგარიში გაუწიოს ეპოქის კონიუნქტურას, ნაშრომი სტალინის ციტატებითაა სავსე.

ამავე პერიოდში გამოდიოდა მეთოდური სახელმძღვანელოები მსოფლიოს და მათ შორის, რომის ისტორიაში. ეს მეთოდური სახელმძღვანელოები პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებისათვის იყო განკუთვნილი. რომის ისტორიის შესახებ მეთოდური მითითებანი განხილული იყო 1950 წელს გამოცემულ წიგნში, „ძველი ქვეყნების ისტორია: სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო“, რომლის ავტორებიც იყვნენ პროფ. ნ. მაშკინი და დოც. დ. რედერი. ამ სახელმძღვანელოს გარდა 1951 წელს ცალკე გამოიცა რომის იმპერიის სპეც. კურსი, რომელიც ბევრად უფრო გაფართოებული და შევსებული გამოცემა იყო. საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ ამგვარი მეთოდური სახელმძღვანელოების გამოცემას ორი ძირითადი მიზეზი ჰქონდა: 1. მეთოდური სახელმძღვანელოები, ცხადია, ისტორიული მატერიალიზმისა და კლასთა ბრძოლის პრინციპზე იყო აგებული და მარქსისტულ-ლენინურ-სტალინური დოგმების დამკვიდრებას ისახავდა მიზნად; 2. იმ დროს ჯერ კიდევ ქართულენოვანი სამეცნიერო ნაშრომები რომის ისტორიის შესახებ მწირად იწერებოდა. ეს შემჭიდროებული სპეც. კურსები და ნათარგმნი ლიტერატურა კი ამ ვაკუუმს ერთგვარად ავსებდნენ. ამ ვაკუუმს საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების მიმართულებით, როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. კახაბერ სურგულაძე, განაპირობებდა ის გარემოება, რომ იმ დროის საბჭოთა კავშირის პროვინციებში განმაზოგადებელი ნაშრომების წერა

იკრძალებოდა და ეს საქმიანობა მოსკოველი და ლენინგრადელი მეცნიერების პრეროგატივა იყო. „შესაბამისად ისტორიოგრაფიაში ყოველგვარი არსებული ხარვეზის შევსება ხდებოდა ნათარგმნი წიგნებით“ (სურგულაძე 2013: 222).

ამ ფონზე გამორჩეულ გამოჩენილ წარმოადგენდა პროფ. ალ. წერეთელი, რომლის სიტყვებია: „ჩვენ მაშინ გვექნება ნამდვილი უნივერსიტეტი, როცა გვექნება ჩვენი, ქართველი ავტორების კარგი სახელმძღვანელოები“ (ყორანაშვილი 2020: 10). თავად ალ. წერეთელი, მხოლოდ ლიტონი სიტყვებით არ შემოფარგლულა და მთელი მისი სამეცნიერო მოღვაწეობა ამისი ნათელი დადასტურებაა. 1955 წელს გადასახლებიდან დაბრუნებულმა ალ. წერეთელმა აქტიურად დაიწყო მუშაობა რომის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებზე. მისი ნაშრომი „ძველი რომი“ ორ ნაწილად გამოიცა. პირველი ტომი მკითხველმა 1957 წელს იხილა და ის მოიცავდა პერიოდს რომის დაარსებიდან ძვ.წ. II საუკუნის II ნახევრამდე, სამოქალაქო ომების ეპოქამდე, ხოლო 1961 წელს გამოცემული მეორე ტომი სამოქალაქო ომების ეპოქას მოიცავდა და პრინციპატის გამოცხადებით მთავრდებოდა. როგორც ჩანს, ავტორს რომის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო სამ ნაწილად ჰქონდა ჩაფიქრებული, თუმცა მესამე ნაწილი, რომელიც რომის იმპერიას უნდა შეხებოდა აღარ გამოუცია. 1992 წელს პროფესორ ნ. ლომოურის რედაქტორობით ალ. წერეთლის ეს ორ ტომიანი სახელმძღვანელო ერთ წიგნად გააერთიანეს და ხელახლა გამოსცეს.

ალ. წერეთელი „ძველი რომის“ წინასიტყვაობაშივე მიუთითებს, იმ გარემოებების შესახებ, რამაც მას საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერა გადააწყვეტინა: „სამწუხაროდ, ქართულ ენაზე დღემდე არ მოგვეპოვებოდა რომის ისტორიის მეცნიერულად გაშუქებული კურსი. წინამდებარე ტომი ამ მხრივ პირველ ცდას წარმოადგენს და შეიცავს რომის ისტორიას უძველესი პერიოდიდან სამოქალაქო ომების ეპოქამდე. მას საფუძვლად უდევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩემ მიერ თავის დროზე წაკითხული ლექციების ჩანაწერები და ჩემთვის მისაწვდომი ახალი საბჭოური და საზღვარგარეთული სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემები. რა თქმა უნდა, ამ წიგნს, ალბათ, ნაკლი ექნება, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ კეთილსინდისიერი კრიტიკა მისი გასწორების საშუალებას მომცემს“ (წერეთელი 1957: წინასიტყვაობა).

წერეთლის რომის ისტორიის სახელმძღვანელო იყო პირველი ქართული მწყობრად შედგენილი წიგნი. მასში ავტორი საუბარს იწყებს აპენინის ნახევარკუნძულის გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობების აღწერით. ამის შემდეგ ა. წერეთელი დეტალურად მიმოიხილავს ეტრუსკულ ცივილიზაციას, განსაკუთრებულად ეხება მათი ეთნიკური კუთვნილების საკითხს (წერეთელი 1957: 21-52). კარგი იქნებოდა ავტორს ცალკე გამოეყო რომის შესახებ საისტორიო წყაროები და რომის შემსწავლელი ისტორიოგრაფია, თუმცა ამას იმით აკომპენსირებს, რომ იქ სადაც ეხება რომაულ კულტურას, განიხილავს ლათინურ და ძველ ბერძნულ საისტორიო წყაროებს რომის შესახებ, ამასთანვე თვითონ ტექსტში იმოწმებს არა ერთ მეცნიერს, რომლებიც იკვლევდნენ რომის ისტორიის საკითხებს, რითიც მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას უქმნის რომის შემსწავლელი სამეცნიერო სკოლების შესახებ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ წიგნი მდიდარ საისტორიო წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურას ეფუძნება. ამას ადასტურებს შენიშვნებისა და გამოყენებული ლიტერატურის ვრცელი ნუსხა, რომელიც ნაშრომს ერთვის თან.

ისტორიკოსი ვრცლად მიმოიხილავს პუნიკური ომების ეპოქას და სავსებით სამართლიანად ასკვნის: „რომისათვის ამ ომში (ე.ი. პუნიკურ ომში) გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. იტალიის მსხვილი სახელმწიფოდან რომი ახლა უძლიერესი მონათმფლობელური სახელმწიფო, მთელი დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ჰეგემონი გახდა. ამასთან ერთად, იწყება ექსპანსიის ახალი პერიოდი-ელინისტური აღმოსავლეთის მხარეებში შეღწევა, რაშიც მას ელინისტური სახელმწიფოების რთული საერთაშორისო მდგომარეობა და შინაგანი კრიზისი უწყობს ხელს“ (წერეთელი 1992: 87). აქვე კიდევ აღვნიშნავთ ერთ გარემოებას. ალ. წერეთელი კატეგორიული წინააღმდეგი იყო ფორმისა - „კართაგენი“, რომელიც ქართულ ენაში რუსული „Карфаген“-დან დამკვიდრდა. იგი იყენებდა კართაგოს, ისე როგორც მას წარმოთქვამდნენ ლათინები (ლათ. Carthago).

ძველი რომის ისტორიის მეორე ტომში არ არის გაშუქებული სამოქალაქო ომების ეპოქის კულტურა, ისტორიოგრაფია, ლიტერატურა, ხელოვნება. მართალია, სამოქალაქო ომების ეპოქა მოვლენებით უხვად დახუნძლული პერიოდია და ავტორიც ამ პოლიტიკურ საკითხებზე სვამს აქცენტებს, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, რომ მას ეს

საკითხები ყურადღების მიღმა არ დარჩენოდა. ალექსანდრე წერეთელი თავის ნაშრომში, საკმაოდ ვრცლად ეხება რომაელთა სარწმუნოებას და წერს შემდეგს: „ძველ რომაული სარწმუნოება არსებითად ფორმალისტური ხასიათით განირჩეოდა და უმთავრესად წესების ზუსტ შესრულებას მოითხოვდა. როგორც საბერძნეთში, ისე რომში ქურუმთა კასტა არ წარმოქმნილა და გაქვავებული სარწმუნეობრივი დოგმატიზმი არ განვითარებულა. ამიტომ რომაული სარწმუნოების ელინიზაცია არ გამოხატავდა ერთი სახიდან მეორეში გადასვლას, არამედ ტრადიციული რომაული ცნებების ცხოვრების ახალ პირობებთან და ახალ მსოფლმხედველობასთან შეგუებას წარმოადგენდა“ (წერეთელი 1957: 219). სწორედ ამ გარემოებით ხსნიდა ა. წერეთელი იმას, რომ ჯერ კიდევ რომის რესპუბლიკის ეპოქაში თავიანთი დიდი გავლენა რომაულ საზოგადოებაზე მოიპოვეს აღმოსავლურმა კულტებმა. ძვ.წ. III-II საუკუნეების მიჯნაზე, ანატოლიიდან, დიდი დედის კულტი იმდენად გავრცელდა, რომ რომის სენატმა მოქალაქეებს კულტმსახურებაში მონაწილეობა აუკრძალა, ხოლო ძვ.წ. 186 წელს გამოვიდა დეკრეტი, რომელიც სიკვდილით სჯიდა ვაკხანალიებისა და ორგების მონაწილეებს.

ჩვენ საგულდაგულოდ შევაჩერეთ ყურადღება ალ. წერეთლის სახელმძღვანელოები რა დონეზე იყო იდეოლოგიზებული და აღმოჩნდა, რომ ორივე ტომში არც ერთხელ არ არის ნახსენები ვლადიმერ ლენინის სახელი, ხოლო მარქსისა და ენგელსის სახელები პირველი ტომში სამ ადგილას გვხვდება, ისიც სქოლიოში მითითების სახით. აღსანიშნავია ისიც, რომ წერეთელი არსად არ იყენებს ტერმინს „მონათა რევოლუციები“, რაც მიღებული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში და იგი ყველგან წერს „მონათა აჯნყებებს“. ცხადია, ამის მიზეზს წარმოადგენდა ე.წ. „დათბობის“ პოლიტიკაც, მაგრამ უმთავრესი მიზეზი მაინც, თავად, ალ. წერეთლის სამეცნიერო კრედიო იყო. 1930 წელს, როდესაც სსრკ-ში „კონდრატიევშჩინა“ დაიწყო, ალ. წერეთელმა, რომელსაც არამარქსისტობაში დებდნენ ბრალს, ერთ-ერთ სხდომაზე განაცხადა: „მე განათლება ისეთ პირობებში მივიღე, რომ მარქსისტი ვერ ვიქნები და ვერც იმის პირობას მოგცემთ, რომ ხვალ დილას მარქსისტად გავიღვიძებ.“ ეს იმის მაჩვენებელია, რომ ალექსანდრე წერეთლის „ძველი რომი“ იდეოლოგიური დოგმებისაგან მეტწილად თავისუფალი იყო, სწორედ ამიტომაცაა, რომ მას თავისი აქტუალობა არ დაუკარგავს დღესაც, რამეთუ ის ისევ გამოიყენება დამხმარე სახელმძღვანელოდ ქართულ უმაღლეს სასწავლებელში.

რომის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების მიმართულებით იმ ხარვეზების შევსებას, რაც ვერ მოასწრო პროფ. ალექსანდრე წერეთელმა, აქტიურად ცდილობდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი პროფ. ლევან სანიკიძე.

ლევან სანიკიძემ 27 წლის ასაკში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „რომის ექსპანსია პონტოსა და ამიერკავკასიაში (პირველი საუკუნის I ნახევარში)“, ოფიციალური ოპონენტები იყვნენ გიორგი გოზალიშვილი და მაქსიმე ბერძნიშვილი. 1965 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცული სადოქტორო დისერტაციის გამო, „აღმოსავლეთის საკითხი რომის რესპუბლიკის ისტორიაში (ძვ.წ. 200-60წწ.)“, მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1975 წლიდან გარდაცვალებამდე (2001წ.) ხელმძღვანელობდა ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრას. ლ. სანიკიძეს მკითხველთა ფართო საზოგადოება, კარგად იცნობს მისი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომებით საქართველოს ისტორიაში. „უქარქაშო ხმლები“ - იყო წიგნში, რომლითაც 80-იან წლებში მოხერხდა ეროვნული ცნობიერების გაღვიძება. მეცნიერს არა ერთი ნაშრომი ჰქონდა მიძღვნილი რომის ისტორიის საკითხებისადმიც, დავასახალებთ ზოგიერთ მათგანს: „პონტოს სამეფო“, „კეისარიადა“, „მარიუსი და სულა: რომაული ქრონიკები“, „არესის სამსხვერპლოსთან“, „პუნიკური ომების ეპოქა“ და ა.შ.

პროფ. ლ. სანიკიძე იყო რამდენიმე საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს ავტორი რომის ისტორიაში. მან 1970 წელს გამოსცა წიგნი „რომის გვიანდელი რესპუბლიკა“, რომელიც დამტკიცებულ იქნა დამხმარე სახელმძღვანელოდ პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის. „დამხმარე“ იმიტომ დაერქვა, რომ ძირითადი სახელმძღვანელოების გამოშვების პრეროგატივა მხოლოდ ე.წ. მოსკოვის პროფესორებს ჰქონდათ. ნაშრომში რამდენიმე ძირითადი საკითხია გამოყოფილი: რომისა და აღმოსავლეთის ურთიერთობა, გვიანდელი რესპუბლიკის ხანის სოციალურ-ეკონომიკური საკითხები და სამოქალაქო ომები. ნაშრომი იწყება რომისა და აღმოსავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების დახასიათებით. ავტორი ვრცლად განიხილავს ძვ.წ. III-II საუკუნეების ელინისტური სახელმწიფოებისა და ამიერკავკასიის ქვეყნების საშინაო და საგარეო ვითარებას, შემდეგ კი გადადის რომაელთა მიერ წარმოებულ ბრძოლებზე ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და მცირე აზიის დასაპყრობად. სახელმძღვანელოში დიდი ადგილი უკავია რომსა და პონტოს შორის არსებულ დაპირისპი-

რებას, რაც შემთხვევითი არაა, ეს საკითხი ლ. სანიკიძის საკანდიდატო დისერტაციის თემას წარმოადგენდა. ეს საკითხი მით უფრო საინტერესოა, რადგან პონტოს სამეფოში შედიოდა ქართული მოდგმის ტომებით დასახლებული ტერიტორიაც (სანიკიძე 1970: 16-17). სანიკიძის ნაშრომს აქვს გარკვეული ხარვეზებიც, კერძოდ, წიგნს ჰქვია „რომის გვიანდელი რესპუბლიკა“, თხრობა კი მხოლოდ ძვ.წ. 60 წლამდე აღწევს, მართალია, ამ პერიოდში რესპუბლიკური ინსტიტუტები მოშლილია, თუმცა ტრიუმვირების ეპოქა და იულიუს კეისრის დიქტატურა მაინც რესპუბლიკურ ხანას განეკუთვნება, ვიდრე არ დამყარდება ოქტავიანუსის პრინციპატი. ამის გათვალისწინებით წიგნის შინაარსობრივი მხარე, გარკვეულწილად, აცდენილია სათაურს. ასევე წიგნში განილული არ არის გვიანდელი რესპუბლიკის ხანის კულტურა, ისტორიოგრაფია, ხელოვნება. აქცენტები, მთლიანად პოლიტიკურ ისტორიაზეა დასმული.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ლ. სანიკიძის ავტორობით გამოცემულ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებს რომის იმპერიის ისტორიაში. ლევან სანიკიძემ საწყის ეტაპზე რომის იმპერიის სახელმძღვანელო ონ ნაწილად გამოსცა: 1969 წელს გამოცემული წიგნი ეხებოდა პრინციპატის ეპოქას, ხოლო 1972 წელს გამოცემული – დომინატს. ეს წიგნები წარმოადგენდა პირველ მცდელობას ქართულ ისტორიოგრაფიაში რომის იმპერიის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების შექმნისა. შემდგომ მეცნიერმა ორივე წიგნი ერთ სახელმძღვანელოდ გააერთიანა. მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, ამ სახელმძღვანელოს თავისი დროისთვის განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ სახელმძღვანელოებში მარქსისტულ დოგმებს კანტი-კუნტად თუ ვხვდებით. ეს უკვე ის პერიოდია, როცა მარქსისა და ენგელსის ნაშრომთა ციტირება წარმოადგენს ერთგვარ ფორმალობას. სახელმძღვანელოს ძირითადი ჩონჩხი რომის იმპერატორების ქრონოლოგიურ რიგს მიუყვება, რაც მასალას უფრო მარტივად აღსაქმელს ხდის. თუმცა არის გარკვეული ხარვეზებიც, მაგ., პირდაპირ პრინციპატზე საუბრის დაწყება უმართებულოდ მიგვაჩნია, უმჯობესი იქნებოდა ავტორს საკითხის განხილვა იმ ფაქტორებით დაეწყო, რამაც განაპირობა რომში რესპუბლიკური წყობილების დამხობა და პრინციპატის ჩამოყალიბება. ნაშრომში ნაკლებად არის საუბარი რომის იმპერიის რელიგიურ სისტემაზე, არადა ეს უკვე ის პერიოდია, როცა აღმოსავლური კულტები, სერიოზულ ზეგავლენას ახდენენ რომაულ

საზოგადოებასა და თვით იმპერატორებზეც კი. ასევე შეუფერებლად მიგვაჩნია ავგუსტუსის სანიკიძისეული შეფასება: „მთელი მისი ცხოვრება (ე.ი. ავგუსტუსის – ავტ.) ნიღაბაკრული, დაოსტატებული მსახიობის ანგარიშიანი, დაკვირვებული, ცბიერი და დემაგოგიური წიაღსვლებისგან შედგებოდა. იგი მსახიობი იყო საზოგადოებაშიც და ოჯახშიც... მას ღმერთს უწოდებდნენ და ყველაზე უკეთ თვითონ უწყოდა, რომ უბრალო მიწიერი მოკვდავი იყო, უდიდეს სტრატეგოსად თვლიდნენ და მასზე უკეთ არავინ იცოდა, რომ სარდალი, რომელსაც პირადი ხელმძღვანელობით არც ერთი ბრძოლა არ მოუგია, სარდალად არ ვარგოდა. გმირობითა და ვაჟკაცობით ჰერკულესს ადარებდნენ, როცა ავადმყოფური აღნაგობის მქონე გმირს უამინდობისას ატეხილი ელვა-ჭექისგან შიშით გული მისდიოდა...“ (სანიკიძე 1984: 25). ამ გამორჩეული პოლიტიკური ლიდერის ასეთი შეფასება ზედმეტად გადაჭარბებულად გვეჩვენება, როგორც სამეცნიერო სტილის ნაშრომისთვის, ასევე ფაქტოლოგიური თვალსაზრისითაც. ოქტავიანე ავგუსტუსი იყო პრინციპსი, რომელმაც დაამარცხა მარკუს ანტონიუსი, სძლია რესპუბლიკელებს, რომში ახალი სახელმწიფო წყობა დაამყარა, გაატარა მთელი რიგი რეფორმები ეკონომიკასა და რელიგიაში, მისი მმართველობა იყო რომაული კულტურის „ოქროს ხანა“ და სწორედ, ასე უყურებს მას თანამედროვე საისტორიო მეცნიერება და ანტიკოლოგია.

დასვნის სახით მაინც აღვნიშნავთ. მიუხედავად ამ ხარვეზებისა ლევან სანიკიძის ავტორობით გამოსულმა რომის იმპერიის საუნევერსიტეტო სახელმძღვანელომ თავის სამეცნიერო მისიას წარმატებით გაართვა თავი. პოპულარობის ერთ-ერთი მიზეზი იყო მეცნიერის მხრიდან წერის მარტივი პრინციპი. დიახ, ამ მხრივ იგი შეიძლება შევადაროთ თ. მომზენს, რომლის ნასრომები იყო სამეცნიერო გამოკვლევა, მაგრამ იმავდროულად იკითხებოდა, როგორც მხატვრული ლიტერატურის ნიმუში.

ამ უკანასკნელ პერიოდში ქართულმა სამეცნიერო სივრცემ იხილა ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის გრანი ქავთარიას ავტორობით გამოსული რომის ისტორიის საუნევერსიტეტო სახელმძღვანელოები.

გრანი ქავთარიამ 1971 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „იბერიულ (ესპანური)-რომაული ურთიერთობები (ძვ.წ. III-I სს), სერტორიუსი“. 1990 წელს კი დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „ძმები გრაკხუსები“, რომელიც ცალკე წიგნადაც გამოქვეყნდა. 2001-2005 წლებში იკავებდა ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის გამგის

თანამდებობას. არის არაერთი სამეცნიერო და პოპულარული ნაშრომის ავტორი რომის ისტორიაში, იკვლევს რომისა და საქართველოს ურთიერთობის საკითხებს, ასევე გამოსცემდა ჟურნალს „ძველი მსოფლიოს ისტორიის საკითხები.“ გრანი ქავთარია დღესაც აქტიურად აგრძელებს სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ქავთარიას „რომის ისტორიის“ პირველი ტომი მკითხველმა 2016 წელს იხილა, ხოლო 2020 წელს გამოვიდა მეორე ნაწილიც (ქავთარია 2016; ქავთარია 2020). პირველ ტომში განხილულია რომის ისტორია ქალაქის დაარსებიდან ძვ.წ. I საუკუნის 60-იან წლებამდე. წიგნი, ძირითადად მოიცავს რესპუბლიკურ ხანას და ნაჩვენებია ის კანონზომიერებანი, რომელმაც თანთადათან განაპირობა რომის გადაქცევა ჯერ აპენინის ნახევარკუნძულის, ხოლო შემდეგ ხმელთაშუაზღვისპირეთის ჰეგემონად. მეორე ტომი იწყება იულიუს კეისრის მოღვაწეობით და სრულდება დასავლეთ რომის იმპერიის დაცემით. მეორე ტომს თან ერთვის ტერმინების განმარტებანი, ქრონოლოგიური ტაბულა და ილუსტრაციები. ავტორი სანამ უშუალოდ რომის ისტორიაზე დაიწყებს საუბარს, იქამდე ვრცლად ეხება რომაულ წყაროებსა და რომის შემსწავლელ ისტორიოგრაფიას, რაც წიგნს კიდევ უფრო უკეთესს ხდის. კარგი იქნებოდა ავტორს ორიოდ სიტყვით მიმოეხილა ის გეოგრაფიული არეალი და სივრცე, სადაც იშვა რომაული სახელმწიფო, მით უმეტეს, რომ დღეს თანამედროვე მეცნიერება მოყოლებული ფერნან ბროდელიდან, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გეოგრაფიულ ფაქტორს. სახელმძღვანელოში მწირადაა განხილული 12 დაფის კანონები, იმის გათვალისწინებით რომ იგი რომაული სამართლებრივი სისტემის საფუძველს წარმოადგენს უმჯობესი იქნებოდა ავტორს მის შესახებ უფრო ვრცლად მოეთხრო. ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ ავტორი იყენებს ფორმას „ცეზარი“, რომელიც რუსული ენიდან დამკვიდრდა ქართულში, ამის ნაცვლად ალბათ ჯობდა, რომ გამოყენებულიყო კეისარი და ეს სახელი უშუალოდ ლათინურიდან ყოფილიყო გადმოტანილი. მით უმეტეს, რომ მთელ წიგნში საკუთარი სახელები და გეოგრაფიული დასახელებები ლათინური ენის მიხედვით არის გადმოტანილი, გარდა ამ ერთი შემთხვევისა. გრანი ქავთარიას ავტორობით შედგენილი სახელმძღვანელო საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას აწვდის მკითხველს რომაელთა სულიერი ცხოვრების შესახებ. განხილულია რომაული კულტურის, ისტორიოგრაფიის, ლიტერატურის, სარწმუნეობის აქტუალური და პრობლემური საკითხები.

2019 წელს გამოქვეყნდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის კახაბერ სურგულაძის ნაშრომი „ძველი რომი ტ. 1“. ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ.წ. 753-201 წლებში თავსდება. ავტორი სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ „...ძველი რომის შესახებ ზოგადი ხასიათის სხვადასხვა ნაშრომების არსებობა მკითხველს უადვილებს მისი ისტორიის უკეთ გაცნობა-გააზრებას. ეს მით უფრო აუცილებელია, როცა უახლესი ტექნოლოგიების პერიოდში, როდესაც სხვადასხვა საკითხებზე მკითხველს ინტენსიურად მიეწოდება ზღვა ინფორმაციები, ვფიქრობთ, რომ იგი საჭიროებს ისტორიოგრაფიული სიახლეებით და ტრადიციული ფაქტების ახლებური ინტერპრეტაციით გაჯერებული სახელმძღვანელოების არსებობას. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ჩვენის მხრიდან აუდიტორიისათვის ძველი რომის ისტორიის შესახებ ზოგადი ხასიათის ნაშრომის მიწოდება გამართლებული არის“ (სურგულაძე 2019: 5).

ავტორს რომის ისტორიის სახელმძღვანელო ტეტრალოგიის სახით აქვს ჩაფიქრებული. პირველი ტომი, როგორც აღვნიშნეთ მოიცავს ძვ.წ. 753-201 წლებს, მეორე ტომი – ძვ.წ. 201-44 წლებს, მესამე – ძვ.წ. 44-ახ.წ. 476 წლები, ხოლო მეოთხე ტომი მთლიანად დაეთმობა რომის პროვინციულ ცხოვრებას, კულტურას, რელიგიას, სამხედრო საქმეს, რაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. სახელმძღვანელოს ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ღირსებას წარმოადგენს ის, რომ მასში ვრცელი ადგილი ეთმობა ძველი რომის ისტორიის წყაროთმცოდნეობას და ისტორიოგრაფიას. ამგვარი ნაშრომებით ქართული სამეცნიერო სივრცე განებივრებული არ არის, რაც მის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის. სახელმძღვანელოში კარგად არის შენიშნული ის გეოგრაფიული ფაქტორები, რამაც რომის ძლიერებას შეუწყო ხელი (სურგულაძე 2019: 264). სახელმძღვანელოს თან ერთვის სარეკომენდაციო ლიტერატურის ვრცელი ნუსხა და დანართები, სადაც ჩამოთვლილია ძირითადი თარიღები, კონსულები, დიქტატორები, ტრიუმფატორები, პონტიფიქსები და ა.შ. ამრიგად წიგნი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოსათვის დამახასიათებელი კრიტერიუმების მიხედვით სავსებით გამართულია.

როგორც ვნახეთ ქართულმა სამეცნიერო სივრცემ რომის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებზე საკმაოდ დიდი შრომა გასწია. სახელმძღვანელოთა ხარისხი წლიდან წლამდე უმჯობესდებოდა და იხვეწებოდა, მაგრამ მაინც აღვნიშნავთ

ერთ გარემოებას, რომ სახელმძღვანელოებში ნაკლებად ხვდება ის სიახლეები და მიგნებები, რასაც რომის ისტორიის შემსწავლელ უცხოურ სამეცნიერო ცენტრებში აქვს ადგილი, ასევე ნაკლებად ხვდება ის მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მონაცემები, რომლებიც დღიდითლე ნათელყოფენ რომის ისტორიის დღემდე დაფარულ ფურცლებს.

4.3 რომის ისტორიის შესწავლა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში (1921-1991)

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აკად. ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. ახლადდაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ მეცნიერები, რომლებმაც სამეცნიერო განათლება ევროპისა და რუსეთის წამყვან უნივერსიტეტებში მიიღეს. უნივერსიტეტში არსებული მსოფლიოს ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო სკოლა მრავალვარიანტული მიდგომის დამკვიდრებას ცდილობდა. მაგრამ, 1921 წლის თებერვალ-მარტში განვითარებულმა მოვლენებმა, რაშიც უპირველეს ყოვლისა ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან საქართველოს ანექსიას ვგულისხმობთ, ქართულ ისტორიულ მეცნიერებას განვითარებას გეზი უცვალა და ის იდეოლოგიურ მარწუხებში აღმოჩნდა მოქცეული. მიუხედავად ამ იდეოლოგიური მარწუხებისა საბჭოთა პერიოდში რომის ისტორიის შესწავლისა და პოპულარიზაციის მიმართულებით არა ერთი სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა და რომის ისტორიის საკითხებზე ბევრი ღირებული ნაშრომიც დაიწერა. ამიტომაც გადავწყვიტეთ რომის ისტორიის საკითხების შესწავლა-პოპულარიზაცია ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ცალკე ვრცელ თავად განგვეხილა.

საბჭოთა პერიოდში რომის ისტორიის საკითხებზე გამოცემული ნაშრომების გულდასმით შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი ტენდენცია, მიმართულება და საკითხთა ის წრე, რითიც ქართველი ავტორები ინტერესდებოდნენ. საკითხთა ეს წრე სამ ძირითად ნაწილად შეიძლება გავყოთ: 1. ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდებოდა რომის ისტორიის სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე, განსაკუთრებით კი მონობასა და მონათმფლობელურ სისტემაზე რომში. ცხადია, რომ ამ საკითხებით ავტორთა დაინტერესებას, გარდა მათი სუბიექტური ფაქტორებისა ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ საბჭოთა კავშირში გაბატონებული ისტორიული მატერიალიზმის პრინციპი და მარქსისტული მოძღვრება ისტორიის მამოძრევებელ ძალად კლასთა შორის ბრძოლასა და ეკონომიკურ ფაქტორს მიიჩნევდა. სწორედ ამიტომაც, არაერთი ქართველი ისტორიკოსი დაინტერესდა ამ საკითხებით და მათ გამოკვლევებიც უძღვნა; 2. სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გარდა ქართული სამეცნიერო სკოლა წმინდა ემპირიულ საკითხებსაც აქტიურად იკვლევდა. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ის ნაშრომები, რომლებშიც განხილულია ლათინურ და ძველ ბერძნულ წყაროებში დაცული ცნობები ქართული სამეფოებისა და ქართული ტომების შესახებ და ამასთანავე ის ნაშრომები, რომლებიც ქართულ სამეფოებსა და რომის იმპერიას შორის არსებულ ურთიერთობებს შეეხება; 3. ქართველი ისტორიკოსები აქტიურად მუშაობდნენ რომის პოლიტიკური ისტორიის საკითხებზეც, რომაული კულტურისა და ისტორიოგრაფიის თემატიკაზე და ქართული სინამდვილის გათვალისწინებით მათ არაერთი სიახლის შემოტანაც შეძლეს. ასევე ქართულმა სამეცნიერო სკოლამ დიდი შრომა გასწია რომის ისტორიის პოპულარიზაციის მიმართულებით. ქართველმა ისტორიკოსებმა გამოსცეს არაერთი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი, რომელიც მკითხველთა ფართო წრისთვის იყო განკუთვნილი. ცხადია, ეს ნაშრომები წმინდა სამეცნიერო გამოკვლევებს არ წარმოადგენდა, თუმცა აღნიშნული არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ამის გამო ისინი გვერდზე გადავდოთ, პირიქით, ამ პოპულარული სტილით დაწერილმა ნაშრომებმა თავიანთი დიდი როლი შეასრულეს საქართველოში რომის ისტორიის შესწავლის მიმართულებით.

იდეოლოგიური მოსაზრებიდან გამომდინარე საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მონობის საკითხის კვლევა, გარკვეულწილად სავალდებულო იყო და მისთვის გვერდის

ავლას მკვლევარი იშვიათად თუ შეძლებდა. მარქსისტული მეცნიერებისთვის მონაკლასობრივი მახასიათებელი იყო. თუმცა თავად კარლ მარქსისათვის მონობის შესახებ საუბრისას ძირითადი ამოსავალი ამერიკული მონობა იყო. მარქსმა და ენგელსმა ის დებულებები, რაც ამერიკულ მონობაზე გააჩნდათ მექანიკურად გაავრცელეს ძველ ისტორიაზე. საბჭოთა სამეცნიერო სკოლამ, როგორც პროფ. ლევან გორდეზიანი შენიშნავს, „კლასიკოსთა ცალკეული გამონათქვამების აბსოლუტიზაციისა და დოგმებად ქცევის შედეგად მთელი ძველი სამყარო მონათმფლობელურად მონათლა, ხოლო ნებისმიერი არათავისუფალი ამ სამყაროში – მონად“ (გორდეზიანი 1999: 8).

პირველი ქართველი მკვლევარი, რომელიც რომის ისტორიის სოციალურ-ეკონომიკური საკითხებით, კერძოდ, მონობის საკითხით დაინტერესდა იყო ცნობილი მკვლევარი მათე ალექსიშვილი (1910-1975). 1936 წელს მ. ალექსიშვილი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში ძველი ისტორიის განხრით. 1939 წელს მიავლინეს მოსკოვის ისტორიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც პროფ. ვ. სერგეევის ხელმძღვანელობით მოამზადა საკანდიდატო დისერტაცია „ათენის მონათმფლობელური დემოკრატია“ (ლომოური, გოგოლაშვილი 1980: 3). აღნიშნული ნაშრომი შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოიცა (იხ. ალექსიშვილი 1947). 1940 წლიდან მათე ალექსიშვილი მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქვეყნების ისტორიის კათედრაზე ჯერ დოცენტად, ხოლო 1944 წლიდან გარდაცვალებამდე ეკავა ძველი ქვეყნების ისტორიის კათედრის გამგის თანამდებობა. 1968 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ხოლო 1969 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1943-1948 წლებში იკავებდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის სექტორის გამგის თანამდებობას; სხვადასხვა დროს იყო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი (პარტკომი), ისტორიის ფაკულტეტის დეკანი. მის კალამს ეკუთვნის არაერთი ნაშრომი: „ალექსანდრე მაკედონელი“, „გაიუს იულიუს ცეზარი“, „ქრისტიანული რელიგიის გაგებისა და შეფასების საკითხისათვის“, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისთვის“, „კათოლიკური ეკლესია იმპერიალიზმის სამსახურში“ და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, მ. ალექსიშვილი მარქსისტული მეთოდოლოგიის ფარგლებში აქტიურად იკვლევდა ანტიკური მონობის საკითხებს. ამ მიმართულებით მან სამი

სქელტანიანი ნაშრომი წარუდგინა მკითხველს: „აი, რას ამბობს ისტორია“ (1953), „მონობა ანტიკურ ქვეყნებში“ (1971), „მონობა და მონათმფლობელური იდეოლოგია ანტიკურ სამყაროში“ (1974). უკანასკნელი ორი ნაშრომი მათე ალექსიშვილის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა.

წიგნში - „აი, რას ამბობს ისტორია“, მეცნიერი შესავალში წერს, რომ მას ეს ნაშრომი სამ წიგნად ჰქონდა ჩაფიქრებული. „აქედან ჩვენს მიერ დაწერილ წიგნში გადმოცემული ეპოქა ქრონოლოგიურად მოდის ახალი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნემდე (მონათმფლობელური ფორმაციის დამთავრებამდე) და ძირითადად მონათა ეკონომიური მდგომარეობისა და უფლებრივი ყოფის ისტორიის გადმოცემით იფარგლება. ნავარაუდევია ორი მომდევნო წიგნიდან, თითოეული ცალ-ცალკე მიემდგვნება მონობის შემდგომი ფორმაციების (ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი) ძირითად მწარმოებელ კლასთა-ყმა-გლეხებისა და მუშათა კლასის მდგომარეობას. უკანასკნელ მეოთხე წიგნში კი განხილული იქნება ექსპლოატაციის ყოველგვარი ბორკილებისაგან განთავისუფლებული საბჭოთა ადამიანის გმირული შრომა და ბრძოლა კომუნიზმის ასაშენებლად“ (ალექსიშვილი 1953: 3). ავტორმა მხოლოდ პირველი ნაწილის გამოცემა შეძლო. ამ ნაშრომში პოპულარული ენით მოთხრობილია თემური და მონათმფლობელური ფორმაციების ისტორია. საბჭოთა კრიტიკა დიდი ალტაცებით შეხვდა ამ ნაშრომს, ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ წიგნის მთავარ ღირსებას წარმოადგენდა ისტორიის წერის მარქსისტული მეთოდი (გიორგაძე 1953: 17; ზარდალიშვილი 1953: 3). შესაბამისად, ნაშრომი მთლიანად კლასთა ბრძოლის პრინციპზეა აგებული, გარდა ამისა მასში მრავლად გვხვდება ისტორიის სტალინისეული ინტერპრეტაციები, მაგ., ე.წ. „მონათა რევოლუციების საკითხი.“ მათე ალექსიშვილი წერს: „მონათა აჯანყებებმა და რევოლუციებმა ითამაშეს გადამწყვეტი როლი რომის მონათმფლობელურ სახელმწიფოს დაცემაში. ... რომის მონათმფლობელურ, შინაგანი მიზეზებით დასუსტებულ სახელმწიფოს დაცემას აჩქარებდა გარედან ბარბაროსთა შეტევები და თავდასხმები“ (ალექსიშვილი 1953: 407). შემთხვევითი არაა, რომ სტალინის გარდაცვალების შემდეგ ალექსიშვილმა თავისი დამოკიდებულება საკითხისადმი მეტწილად შეიცვალა.

1971 წელს გამოქვეყნდა მეცნიერის ნაშრომი „მონობა ანტიკურ ქვეყნებში“ (რედ. პროფ. ნოდარ ლომოური). აღნიშნული გამოკვლევა ძალზედ განსხვავდებოდა ზემოთ

განხილული ნაშრომისაგან და სრულიად სხვა ტიპისა იყო. გვინდა შევნიშნოთ, რომ იმ მომენტისთვის იგი ერთ-ერთ საუკუეთესო პუბლიკაცია იყო აღნიშნულ პრობლემაზე საჭოთა ისტორიოგრაფიაში. ნაშრომში გაშუქებული იყო ანტიკური მონობის ისეთი საკითხები, როგორცაა მონობის წყაროები, მონობის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია, კლასობრივი ბრძოლის ფორმები, მონათა რაოდენობა, ნაშრომში ასევე ფართოდ არის განხილული ანტიკური მონობის შემსწავლელი ისტორიოგრაფია, თუმცა ავტორი ხელმძღვანელობს პრინციპით, რომ რაც მარქსისტულია, ის კარგია, რაც არა – ცუდი. ნაშრომის ეს ნაწილი პოლემისტური და კრიტიკულ-განმაქიქებელი ტონითაა დაწერილი. მათე ალექსიშვილი თავის ნაშრომში ანტიკურ რომში მონობის არაერთ საკითხს ეხება. ერთ-ერთი ასეთია „მონათა რაოდენობის საკითხი რომში“ (ალექსიშვილი 1971: 237-249). იგი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ რომში მონათა რაოდენობა ბევრად აჭარბებდა ძველ საბერძნეთში მონათა რიცხვს, ამის უმთავრეს მიზეზად კი რომის აქტიურ საგარეო პოლიტიკას ასახელებს, რომელიც მონობის უმთავრესი წყარო იყო. თუმცა გარკვეული ხარვეზები იჩენს თავს, როდესაც ალექსიშვილი ცდილობს დაადგინოს მონათა რიცხვი რომში. იგი ხშირ შემთხვევაში ხელოვნურად ზრდის ამ რიცხვს და არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მონათა სახელის ქვეშ, შესაძლოა, არათავისუფალთა სხვადასხვა კატეგორიები ერთიანდებოდნენ.

ასევე აღსანიშნავია, რომ უკვე ამ ნაშრომში მტკიცება მონათა რევოლუციების შესახებ აღარ გვხვდება. უნდა ითქვას, რომ ბერძნულ მასალასთან შედარებით რომაული მასალა დაჩრდილულია და ნაშრომში რომაულ მონობას უფრო ნაკლები ყურადღება ეთმობა. საერთოდ, სჯობდა რომ ავტორს ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში მონობის საკითხები ცალ-ცალკე განეხილა და არა ერთმანეთში არეულად. აგრეთვე წიგნში საერთოდ არ არის განხილული მონობის საკითხი რომის ადრეული რესპუბლიკის ხანაში. ჩვენი ღრმა რწმენით, ავტორი ამ საკითხის განხილვას შეგნებულად გაურბის, რადგანაც ესაა ის პერიოდი, როდესაც რომში მონური შრომა, ფაქტობრივად არ გამოიყენებოდა და ძირითად მწარმოებელ მასას თავისუფალი მოქალაქეები წარმოადგენდნენ, ხოლო რომის დიქტატორი ლუციუს კვინციუს ცინცინატი მის მფლობელობაში არსებულ 4 იუგერ მიწას (დაახლ. 1 ჰა) საკუთარი ხელით ამუშავებდა (ქავთარია 2016: 125). ამ პერიოდის განხილვა პირდაპირ ამტკიცებდა, რომ იმ პერიოდის რომში მონური

შრომა არ წარმოადგენდა წამყვან ძალას ეკონომიკაში, რაც, თავის მხრივ, წინააღმდეგობაში მოდიოდა კარლ მარქსის ნათქვამთან, რომ რომში მონათმფლობელური წყობილების დასანახავად ყველაზე მკაფიო და ნათელი ვითარება იყო (მარქსი 1952: 22). ასევე რთულია დავეთანხმოთ მ. ალექსიშვილს იმაში, რომ ანტიკურ რომში მონის უფლებრივი სტატუსი იყო ერთნაირი და ის ყოველთვის განიხილებოდა, როგორც ნივთთან გატოლებული (ალექსიშვილი 1971: 6). რომაული სამართლებრივი სისტემის საფუძველი XII დაფის კანონები, მონებს უფლების სუბიექტებად განიხილავს. მონობა სტატიკური ფენომენი არ ყოფილა, ამიტომაც მონათა სტატუსის წარმოდგენა ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული უცვლელი კატეგორიის სახით, უმართებულოდ გვეჩვენება. მიუხედავად ამ ხარვეზებისა, ნაშრომში არის ზოგიერთი ისეთი ნაწილი, რომელსაც სავსებით ვიზიარებთ. მაგ., სპარტის ქალაქ-სახელწიფოს, თესალიისა და ზოგიერთი სხვა ანტიკური სახელმწიფოების შესახებ მათე ალექსიშვილი სავსებით სწორად მიუთითებს, რომ მათში მონათმფლობელური წყობილება არ ყოფილა და ისინი უფრო მეტად ფეოდალურ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ (ალექსიშვილი 1971: 150).

მონობასა და მონათმფლობელურ იდეოლოგიას შეეხება მათე ალექსიშვილის კიდევ ერთი გამოკვლევა, რომელიც 1974 წელს გამოიცა (ალექსიშვილი 1974). ეს ნაშრომი ძირითადად ემთხვევა ზემოთ განხილულ წიგნს „მონობა ანტიკურ ქვეყნებში“. თუმცა არის ისეთი საკითხები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. მაგ., ნაშრომში შევხვდებით ასეთ თავს „რასიზმი რომის მონათმფლობელურ იდეოლოგიაში“, სადაც ავტორი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ რომაელები ბერძნების მიმართ „რასისტულად“ იყვნენ განწყობილნი და ამისთვის რამდენიმე რომაელი მოაზროვნის ციტატას იშველიებს. ამ რამდენიმე ფრაზის მთლიანად რომაულ საზოგადოებაზე გავრცელება დაუშვებლად მიგვაჩნია, ამასთანავე ამ რამდენიმე მოაზროვნის შეხედულება მთელ რომზე რომც გავავრცელოთ მას რასიზმს, თავისი კლასიკური დეფინიციის გათვალისწინებით, ვერ ვუწოდებთ, რადგანაც კატონ უფროსი იქნება ეს თუ გაიუს მარიუსი, ბერძნებისადმი იმიტომ იყვნენ უარყოფითად განწყობილნი, რომ მათ, როგორც დაპყრობილებმა დიდი გავლენა მოიპოვეს დამპყრობლებზე. ამ საკითხის წინ წამოწევა ავტორს სულ სხვა მიზნით დასჭირდა, რადგანაც იმავე ქვეთავში აშშ-ში მოქმედ სეგრეგაციულ კანონებზე იწყებს საუბარს და „იმპერიალისტურ ამერიკასაც“

იმავე ბედს უქადის, რასაც რომის რესპუბლიკას (ალექსიშვილი 1974: 47-54). ნაშრომში განსაკუთრებულად ღირებულია III თავი, სადაც საუბარია შემდეგ საკითხზე: „მონათმფლობელური იდეოლოგია ბედნიერებასა და სათნოებაზე და მისი ეთიკური მოძღვრების ზოგიერთი საკითხი“. ამ ნაწილში ავტორი მიმოიხილავს სტოიკოსებისა და კინიკოსების დამოკიდებულებას მონობისადმი, რაც ნაკლებად არის იდეოლოგიური დოგმებით გაჯერებული და მკითხველს დღესაც გაუწევს დახმარებას.

საბოლოოდ, დასკვნის სახით მათე ალექსიშვილის ნაშრომებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მათ მეტწილად თავიანთი მნიშვნელობა დაკარგული აქვთ, თუმცა ის სამეცნიერო ლიტერატურა და წყაროთა ფართო სპექტრი, რასაც ნაშრომები ეფუძნება, საინტერესო უნდა იყოს დღევანდელი მკითხველისთვისაც.

კიდევ ერთი ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, რომელიც აქტიურად იკვლევდა მონობის საკითხებს ანტიკურ რომში, იყო რუსუდან გოგოლაშვილი. მან არაერთი სტატია უძღვნა ამ საკითხს და თავისი კვლევის შედეგები 1981 წელს მონოგრაფიის სახით წარუდგინა მკითხველს. რუსუდან გოგოლაშვილი ძველი ქვეყნების ისტორიის კათედრაზე მუშაობდა. 1959 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „მონათა განთავისუფლების საკითხი ძველ რომში“ (Гоголашвили 1959).

რ. გოგოლაშვილი მონათა განთავისუფლების საკითხს სხვადასხვა ასპექტში იკვლევდა. 1958 წელს გამოსულ თსუ შრომების 69-ე ტომში რ. გოგოლაშვილი ეხება „მონათა განთავისუფლების საკითხს რომის იმპერიის დასაწყისში“ (გოგოლაშვილი 1958: 225-250). აღნიშნულ სტატიაში მონათა განთავისუფლების საკითხი იულიუს-კლავდიუსების ეპოქის მასალების მიხედვითა განხილული. ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ მონათა განთავისუფლებამ ყველაზე ფართო მასშტაბი რომის რესპუბლიკის მიწურულსა და პრინციპატის დასაწყისში მიიღო (გოგოლაშვილი 1958: 225). ეს იმდენად მასშტაბური მოვლენა იყო, რომ პრინციპსმა ავგუსტუსმა სპეციალური კანონებიც კი გამოუშვა, რომელიც მონათა განთავისუფლების ნორმებს აწესებდა. ამ მოვლენის მასშტაბურობას ისიც ადასტურებს, რომ ამ დროის რომის იმპერიის მმართველობაში მრავლად ვხედავთ ყოფილ მონებს. აგრეთვე ავტორი სავსებით სამართლიანად აკრიტიკებს გერმანელი ისტორიკოსის ლუდვიგ ფრიდლენდერის მოსაზრებას, რომელიც ყოფილი მონების ქვეყნის მართვაში მონაწილეობას მხოლოდ ცალკეული იმპერატორების

პიროვნული ხასიათით ხსნის. მხოლოდ ცალკეულ იმპერატორებზე აქცენტირება დამაჯერებელი არ ჩანს და სრულად ვერ ხსნის ახ.წ. I საუკუნის რომში მიმდინარე პროცესებს. თავის სხვა ნაშრომში რუსუდან გოგოლაშვილი აღნიშნავს, რომ მონური შრომის არა ენტაბელურ შრომად გადაქცევა ახ.წ. პირველი საუკუნიდან იწყება, როდესაც ადგილი აქვს მონების წვრილ იჯარაზე გადაყვანის ცალკეულ ფაქტებს (გოგოლაშვილი 1960: 313). სწორედ, მონების არა რენტაბელურ შრომად გადაქცევა ხელს უწყობდა მათ განთავისუფლებასაც, რამაც ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ „სახელმწიფოს მამებმა“ პროცესი საკანონმდებლო ჩარჩოებით შეზღუდეს. მონური შრომის არა რენტაბელურად ქცევად უკავშირებს რუსუდან გოგოლაშვილი საწარმოო პროცესში ტექნიკის როლის განვითარებასაც, კერძოდ, საწარმოო პროცესში შემოდის გაუმჯობესებული სამკალი, წყლის წისქვილი და მძიმე გუთანის (გოგოლაშვილი 1958: 313-314).

ანტიკური მონობის ზოგიერთ საკითხს ეხება მეცნიერი კიდევ ერთ სტატიაში (გოგოლაშვილი 1968: 369-379), რომელიც მეტწილად გამოხმაურებას და რეცენზიას წარმოადგენს რომის ისტორიის ცნობილი რუსი მკვლევრის ელენა შტაერმანის ნაშრომზე (Штаерман 1964). შტაერმანის ამ ნაშრომში ანტიკური მონობის რომაული სტადია, გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებშია განხილული, კერძოდ, მეორე პუნიკური ომიდან ვიდრე რესპუბლიკის დაცემამდე. მკვლევრის ყურადღების ცენტრში ექცევა რომაული მონობის წყაროები. შტაერმანი მიუთითებდა, რომ მონათმფლობელური ურთიერთობების განვითარებაში მთავარი როლი არა საგარეო ომებმა, არამედ სავალო მონობამ და მონათა შინდაბადებამ შეასრულა (Штаерман 1964: 36-65). რუსუდან გოგოლაშვილი, სავსებით სამართლიანად, არ ეთანხმება შტაერმანის ამ მოსაზრებას და მიუთითებს, რომ სავალო მონობა და მონური ოჯახები „არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო მონობის აქტიურად მოქმედი წყარო“ (გოგოლაშვილი 1968: 378). ასევე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ რუსუდან გოგოლაშვილი სამართლიანად ავლებს ზღვარს „SERVUS“-ის სხვადასხვა კატეგორიებს შორის, განსხვავებით მათე ალექსიშვილისაგან. ამ კატეგორიებს იგი ტერმინოლოგიურ განსხვავებებსა და მონათა განთავისუფლების საკითხში ეძიებს და ასკვნის, რომ სავალო კაბალაში ჩავარდნილი კაცი, რომელიც მონობისგან თავს გაინთავისუფლებდა ხდებოდა არა „Libertinus“, როგორც ეს მონის განთავისუფლების შემთხვევაში იყო, არამედ „Ingenuus“ (დაბადებით თავისუფალი)

(გოგოლაშვილი 1968: 371), ე.ი. იგი სრულად იბრუნებდა თავის სოციალურ სტატუსს. აქვე დავსძენთ, რომ ამ საკითხს ყურადღება ანრი ვალონმაც მიაპყრო თავის ცნობილ ნაშრომში (Валлон 1941: 292).

რუ. გოგოლაშვილის ნაშრომებიდან გამოვარჩევდით კიდევ ერთ სტატიას, რომელიც აღმოსავლურ მონობასა და ანტიკურ მონობას შეეხება (გოგოლაშვილი 1983: 71-81). ამ ნაშრომში ზოგადად არის შედარებული ერთმანეთთან ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიასა და ანტიკურ სამყაროში მონობის საკითხი. ის ვრცელი სტატიები, რაც ზემოთ განვიხილეთ, მოგვიანებით, რუსუდან გოგოლაშვილმა ერთ წიგნად გამოსცა, რომელიც 1981 წელს გამოიცა სახელწოდებით „განთავისუფლებული მონები (ლიბერტინები)“. ამ ნაშრომს დეტალურად აღარ განვიხილავთ, რადგანაც მასში ძირითადად ის საკითხები ექცევა ყურადღების ცენტრში, რაზედაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ერთადერთი აღვნიშნავთ რუსუდან გოგოლაშვილის სავესებით სწორ შენიშვნას ტერმინებთან დაკავშირებით. კერძოდ, იგი მიუთითებს, რომ ქართულში სპარსულიდან შემოსული სიტყვის „აზატის“ გამოყენება განთავისუფლებულ მონასთან დაკავშირებით უმართებულოა, რადგანაც „იგი (აზატი) გამოიყენებოდა მებეგრე გლეხის ბეგარისგან განთავისუფლებისა და მსახურთა კატეგორიაში გადაყვანის აღსანიშნავად. ამრიგად, დასახელებული ტერმინი ქართულ სინამდვილეში ასახავდა ფეოდალური ხანის სოციალურ მოვლენას.“

დასკვნის სახით რ. გოგოლაშვილის ნაშრომებთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ისინი, ცხადია, იდეოლოგიური შტამპებისაგან თავისუფალი არ არის, თუმცა თუ ამ იდეოლოგიურ შტამპებს მის ნაშრომებს ჩამოვაცლით დაგვრჩება, საკმაოდ სწორი მეცნიერული დასკვნები, სწორედ ამ საკითხებზე გავაკეთეთ ჩვენ აქცენტირება, რათა გვეჩვენებინა, რომ რ. გოგოლაშვილის ნაშრომებს გარკვეული თვალსაზრისით დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. ამრიგად ქართული საბჭოთა სამეცნიერო სკოლა აქტიურად იკვლევდა რომის ისტორიის სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს, თუმცა სსრკ-ის ნგრევისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამ საკითხებისადმი ქართველ მკვლევართა ინტერესი მინელდა.

ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული სამეცნიერო სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ძველი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების ცნობებს საქართველოს შესახებ,

ასევე აქტიურად იკვლევდა რომსა და ქართულ სამეფოებს შორის არსებულ ურთიერთობებს. ანტიკურ წყაროებს საქართველოს ძველი ისტორიის რეკონსტრუქციისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მათ ქართული მეცნიერება ადრიდანვე საკმაოდ აქტიურად იყენებდა, თუმცა იმთავიდანვე ანტიკური წყაროებისა და თხზულებების თარგმნა და გამოცემა არ დაწყებულა. ამ მოვლენას დიდად შეუწყო ხელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებამ და მასში მოღვაწე მეცნიერების აქტიურმა მუშაობამ. ამ მიმართულებით განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის მოღვაწეობა, ფაქტობრივად, იგი იყო პირველი ქართველი მეცნიერი, რომელმაც ამ საშურ საქმეს მოჰკიდა ხელი და 1930-იან წლებში დაიწყო ბიზანტიელ მწერალთა ცნობების გამოქვეყნება კრებულის სახით. „გეორგიკა“ რვა წიგნად 1934-1970 წლებში გამოიცა და მასში მოქცეულია ბიზანტიელ მწერალთა ცნობები: ქართველთა წარმომავლობისა და მათი გაქრისტიანების შესახებ, კოლხეთის რიტორიკული სკოლის, პეტრე იბერის მოღვაწეობის, ეგრისის დიდი ომიანობის, საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობათა და სხვა მრავალი საკითხის შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებამ ანტიკური წყაროების გამოცემას კიდევ უფრო ფართო გასაქანი მისცა. მეცნიერებათა აკადემიის ბაზაზე შეიქმნა „საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია“, რომლის ბერძნულ-რომაული წყაროების სერიის რედაქტორი აკად. სიმონ ყაუხჩიშვილი იყო. ამ სერიის ფარგლებში არაერთი ბერძნული და ლათინური ტექსტი ითარგმნა საქართველოს შესახებ, თუმცა ჩვენ ამჟერად საკითხის გათვალისწინებით იმ ავტორებსა და ტექსტებს შევხებით, რომლებიც უძველეს ქართულ სამეფოებსა და რომს შორის არსებულ ურთიერთობებს შეეხება.

ბერძენ-რომაელ მწერალთა შორის, რომელთაც საქართველოს შესახებ მოეპოვებათ ცნობები, ერთ-ერთი საპატიო ადგილი ახ.წ. II საუკუნის მწერალს ფლავიუს არიანეს მიეკუთვნება. ფართოდ განათლებულ არიანეს მაღალი სამოხელეო თანამდებობები ეკავა. ამდენად, სავარაუდოა, რომ მას ხელი მიუწვდებოდა, როგორც ძველ ბერძნულ და რომაულ ლიტერატურაზე, ასევე ოფიციალურ დოკუმენტებზეც. 131-137 წლებში ფლავიუს არიანე იკავებდა კაპადოკიის ლეგატის თანამდებობას, სწორედ ამ პერიოდში მან მოიარა დასავლეთ საქართველოს სანაპიროები და ის, რაც საკუთარი თვალით ნახა, აღწერა ნაშრომში „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“. არიანეს „პერიპლუსში“ შემონა-

ხულია ცნობები ახ.წ. II საუკუნის 30-იანი წლების დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, ეთნიკური შემადგენლობის, პოლიტიკური ისტორიის, სახელმწიფოებრივი წყობისა და სხვა საკითხების შესახებ. არიანეს თხზულებას ქართველი ისტორიკოსები კარგად იცნობდნენ და მის ცნობებს საქართველოს ისტორიის რეკონსტრუქციისათვის იყენებდნენ აკად. ივანე ჯავახიშვილი, აკად. სიმონ ჯანაშია, აკად. გიორგი მელიქიშვილი, პავლე ინგოროყვა და ა.შ. თუმცა პირველი ქართველი ავტორი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ფლავიუს არიანეს ნაშრომი იყო მერი ინაძე. მერი ინაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილების თანამშრომელი იყო. მას ეკუთვნის არაერთი ნაშრომი საქართველოს ძველი ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო მისი 1953 წელს დაცული საკანდიდატო დისერტაცია, სწორედ ფლავიუს არიანეს ნაშრომს შეეხებოდა (Инадзе 1953). ეს გამოკვლევა, მხოლოდ ავტორეფერატის სახით გამოქვეყნდა. ავტორი სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ ფლავიუს არიანე არის ერთადერთი ავტორი, რომელიც იძლევა ცნობებს ახ.წ. I-II საუკუნეების დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ვითარების შესახებ (Инадзе 1953: 3). საკანდიდატო დისერტაციაში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორცაა: კოლხეთსა და რომს შორის ურთიერთობები ახ.წ. I-II საუკუნეებში, ამასთანავე ავტორი ცდილობს არიანესთან მოხსენიებული გეოგრაფიული პუნქტებისა და მდინარეების ლოკალიზაციას და ეთნიკური სურათის აღდგენას, არიანეს ეპოქის, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

მერი ინაძის შემდეგ არიანეს თხზულებით დაინტერესდა ნ. კეჭალმაძე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოური წყაროების კომისიის ეგიდით 1961 წელს გამოიცა წიგნი „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ (ფლავიუს არიანე 1961). თარგმანი, სპეციალური გამოკვლევა, კომენტარები და რუკა შესრულებულია ნათელა კეჭალმაძის მიერ, ხოლო წიგნის რედაქტორია სიმონ ყაუხჩიშვილი. ტექსტსა და თარგმანს წინ უძღვის გამოკვლევა, რომელშიც განხილულია არიანეს ცხოვრება, მისი ნაშრომი და ცნობები საქართველოს შესახებ. თავად ტექსტსა და თარგმანს დართული აქვს დაწვრილებითი კომენტარები. ნაშრომს ღირსებას ჰმატებს ნათელა კეჭალმაძის მიერ შედგენილი რუკა, სადაც დატანილია ყველა გეოგრაფიული პუნქტი და ის

ეთნიკური ერთეული, რომლებიც არიანეს აქვს მოხსენიებული. ამრიგად, ნათელა კეჭაღმაძის მიერ თარგმნილი და გამოცემული ფლავიუს არიანეს ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენი იყო და არის ქართული წყაროთმცოდნეობითი ლიტერატურისათვის. მიუხედავად ამ გარემოებისა, გამოკვლევაში არის მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დახვეწასა და სრულყოფას მოითხოვს. კარგი იქნებოდა ავტორს, სათანადოდ განეხილა ის წყაროები, რომელთაც ფლავიუს არიანე იყენებს. ავტორი მხოლოდ იხსენიებს მენიპე პერგამონელის „შიდა ზღვის პერიპლუსს“, რომელიც მარკიანე ჰერეკლეელთანაა შემონახული (ფლავიუს არიანე 1961: 5). ასევე ავტორი არასწორად ადარებს ერთმანეთს არიანეს თხზულების ჰენიოხებსა და პლინიუსთან და სტრაბონთან მოხსენიებულ ჰენიოხებს (ფლავიუს არიანე 1961: 15-16). არიანესთან მოხსენიებული ჰენიოხები, რომლებიც მაკრონებთან ერთად ქმნიან სახელმწიფოს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, არ არიან იგივენი რაც სტრაბონთან და პლინიუსთან მოტანილი ჰენიოხები, რომლებიც რამდენიმე ტომად არიან დანაწილებულნი და შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლეობენ. ასევე გაუგებარია რატომ აიგივებს ავტორი მდინარე კორაქსს (კორახი) კელასურთან, მაშინ როცა კლავდიუს პტოლემეაიოსი პირდაპირ მიუთითებს, რომ კორაქსი დიოსკურიის ჩრდილოეთით უერთდება ზღვას, ხოლო კელასური დიოსკურიის სამხრეთით მდებარეობს. მდ. კორაქსი ბორის კუფტინმა სავსებით სამართლიანად მიიჩნია მდინარე ბზიფად (Куптин 1949: 124) და ეს მოსაზრება სხვა არაერთმა მკვლევარმაც გაიზიარა. მიუხედავად ამ შენიშვნებისა, ეს თარგმანი და გამოკვლევა უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს საქართველოს ისტორიისათვის.

მითრიდატული ომების კონტექსტში ქართლისა და კოლხეთის როლის გამოსაკვეთად ძვირფას წყაროს წარმოადგენს აპიანე ალექსანდრიელის „მითრიდატეს ომების ისტორია“, რომელიც ქართულ ენაზე თინათინ ყაუხჩიშვილმა თარგმნა (აპიანე 1959). აპიანეს თხზულებას საკმაოდ ბევრი კრიტიკოსი ჰყავს და მას კომპილატორად მიიჩნევენ, თუმცა ეს კრიტიკა გადაჭარბებულად გვეჩვენება. უმთავრესია გავითვალისწინოთ თუ რა ჰქონდა მთავარ მიზნად ჩაფიქრებული აპიანეს, როდესაც თავის ნაშრომს ქმნიდა. იგი ქმნიდა პოპულარულ საისტორიო თხზულებას, რომელიც

რომის სახელმწიფოს სიდიადეს წარმოაჩენდა და რომაული სისტემის უპირატესობას უსვამდა ხაზს (Севастьянова 1950: 258).

თ.ყაუხჩიშვილი მართებულად შენიშნავდა, რომ „აპიანე მეტად საინტერესო ბერძენი მწერალთაგანია, რომელსაც გვერდს ვერ უხვევენ პირველ რიგში საკუთრივ რომის ისტორიის შემსწავლელნი და შემდეგ ამ ისტორიასთან რამენაირად დაკავშირებული სხვა ქვეყნების წარსულით დაინტერესებული პირებიც“ (აპიანე 1959: 9). აღსანიშნავია, რომ აპიანე არ მიყვება რომის ისტორიის ქრონოლოგიურ რიგს, იგი დაპყრობილი მხარეებისა და ქვეყნების ისტორიას მოგვითხრობს. „მითრიდატეს ომების ისტორიაში“ უამრავი საინტერესო საკითხია განხილული, მაგ.: პომპეუსის ლაშქრობა ქართლსა და კოლხეთში, აპიანესთვის ასევე ცნობილი იყო ანტიკურ ეპოქაში და შემდეგაც ფართოდ გავრცელებული შეხედულება ე.წ. „ორი იბერიის“ ნათესაობის შესახებ. მეცნიერი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აპიანეს ცნობას, რომლის მიხედვითაც გამარჯვებულ გნეუს პომპეუსს კოლხეთის მმართველად არისტარქე დაუსვამს. ეს ცნობა დასტურდება არა მხოლოდ ნარატიული წყაროებით, არამედ ნივთიერი მასალითაც, აქ ცხადია ვგულისხმობთ არისტარქე კოლხის მიერ მოჭრილ ვერცხლის დრაქმას.

კიდევ ერთი ძველი ბერძენი ისტორიკოსი, რომლის თხზულებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს რომაულ-ქართული ურთიერთობების შესასწავლად დიონ კასიუს კოკეიანუსია. დიონ კასიუსის მამა ჯერ დაღმაცისა და კილიკიის მმართველი იყო, შემდეგ კი არაერთი სამოხელეო თანამდებობაც ეკავა. თვითონ კასიუსიც, მაღალ სამოხელეო თანამდებობებზე მსახურობდა. ჯერ პრეტორი იყო, ხოლო შემდეგ კონსული. დიონ კასიუსს ეკუთვნის „რომის ისტორია“ 80 წიგნად, რომელიც მოიცავს პერიოდს რომის დაარსებიდან ვიდრე ახ.წ. 229 წლამდე. აკად. სიმონ ყაუხჩიშვილი მიუთითებდა: „კასიუსის შრომის ღირსება ის არის მხოლოდ, რომ მისი ძველი საუკუნეების შემცველი ნაწილი დაწერილია წინადროინდელ ისტორიკოსთა თხზულებების მიხედვით, რომელთაგან ბევრი ჩვენამდე არ მოღწეულა და, ამრიგად, კასიუსმა გადაგვირჩინა ძველი წყაროები. ორიგინალურია მხოლოდ ბოლო წიგნები, რომლებშიც კასიუსის თანამედროვე ეპოქის ამბებია აღწერილი. ძველ ისტორიკოსთა ნაშრომებიდან კასიუსი კეთილსინდისიერად იღებდა ცალკეულ ადგილებსა და თავებს, ხოლო მათ მხატვრულად

აყალიბებდა“ (ყაუხჩიშვილი 1949: 205). ეს გარემოებანი ერთი ორად ზრდის დიონ კასიუსის თხზულების მნიშვნელობას.

დიონ კასიუსის „რომის ისტორიის“ 36-ე, 37-ე, 42-ე, 49-ე, 58-ე, მე-60 და 69-ე წიგნებში საყურადღებო ცნობებია თავმოყრილი იბერიასა და კოლხეთზე. სწორედ, ეს ნაწილები თარგმნა და სათანადოდ გამოიკვლია ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა პროფ. ნოდარ ლომოურმა (კასიოსი 1966). დიონ კასიუსის „რომის ისტორია“ ქრონოლოგიურ პრინციპზეა აგებული და ამბების დასათარიღებლად, რესპუბლიკის პერიოდისათვის, კონსულების მმართველობის წლებს იყენებს, ხოლო იმპერიის ხანისათვის იმპერატორთა ზეობის ინდიქტიონებს. ამის გამო ბევრი მკვლევარი კასიუსის ნაშრომს „ანალებს“ უწოდებს და არა ვიდრე „ისტორიას“, თუმცა ნოდარ ლომოური სავსებით მართებულად მიუთითებს: „დიონ კასიოსი მაინც არ შეიძლება მთლიანად მიეკუთვნოს ანალისტიკის წრეს, რადგანაც ქრონოლოგიურ-ანალისტიკურ მეთოდს ის ზოგჯერ მოვლენების პრაგმატულ-გეოგრაფიულ გადმოცემას უთავსებს“ (კასიოსი 1966: 12).

დიონ კასიუსი თავის თხზულებაში ჩვენი ქვეყნის წარსულის არა ერთ ეპიზოდს ეხება. მას ყველაზე უფრო დაწვრილებითი ცნობები აქვს პომპეუსის ლაშქრობის შესახებ ქართლსა და კოლხეთში. ასევე, როგორც ნოდარ ლომოური აღნიშნავს, 49-ე თავში მოხსენიებულია ანტონიუსის სარდლის პუბლიუს კანიდიუს კრასუსის ლაშქრობა ალბანეთსა და იბერიაში. ამ ლაშქრობის შესახებ ცნობა დაცულია სტრაბონთანაც (ყაუხჩიშვილი 1957: 129). კანიდიუსის ლაშქრობის შესახებ კასიუსის ცნობები უფრო ზუსტია და ზუსტ თარიღსაც გვთავაზობს. დიონ კასიუსის ეს ცნობა იმ მხრივაცაა მნიშვნელოვანი, რომ კასიუსი ასახელებს იბერიის უცნობ მეფეს ფარნაბაზეს (ფარნავაზს). ამ ცნობას სათანადო ყურადღება დაუთმო პავლე ინგოროყვამ, რომელმაც კასიუსის ფარნაბაზე დაუკავშირა „მოქცევაი ქართლისაის“ ბრაცმანს (იგივე ბარაცმანი) და „ქართლის ცხოვრების“ ბარტომს (ინგოროყვა 1939: 261). იბერიის მეფეთა ნუსხის დადგენისთვის ასეთივე მნიშვნელობა აქვს ახ.წ. 35 წლის მოვლენებთან დაკავშირებით ფარსმან პირველის მამის მითრიდატეს მოხსენიებას. სხვა წყაროებისთვის მითრიდატეს სახელი უცნობი იყო და ამითი იბერიის კიდევ ერთი მეფის სახელის დადგენა ხერხდება (კასიოსი 1966: 26).

აქვე აღვნიშნავთ კიდევ ერთი გარემოების შესახებ. ვ. ლატიშევის კრებულში „Scythica et Caucasica“ კანიდიუსის ლაშქრობას უშუალოდ მოსდევს ცნობა დალმაციასა და იბერიაში ძვ.წ. 15 წელს მოწყობილ აჯანყებაზე. ამ აჯანყების მოხსენიებამ კანიდიუსის ლაშქრობასთან არაერთ ქართველ მკვლევარს აფიქრებინა, რომ ეს აჯანყება ქართლში მოხდა (გორგაძე 1920: 63; ჯავახიშვილი 1951: 166-167). ნოდარ ლომოური ასწორებს ამ შეცდომას და ასკვნის, რომ იმ თავში, სადაც აღნიშნულ აჯანყებაზეა საუბარი, ძირითადად მოთხრობილია რომის სამინაო საქმეები ან ევროპის მოვლენები და კავკასია იქ საერთოდ არ ფიგურირებს, აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ ფრაზა „τὰ ἐν τῇ Ἰβηρίᾳ“ კონტექსტის გათვალისწინებით არა ქართლს, არამედ ესპანეთს გულისხმობს (კასიოსი 1966: 27).

ამრიგად, დიონ კასიუსის თხზულებაში დაცული მასალები სერიოზულ ინფორმაციას იძლევა საქართველოს ისტორიის რეკონსტრუქციისათვის, რაც ნოდარ ლომოურის მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული ნაშრომის მნიშვნელობას ერთი ორად ზრდის.

საქართველოს ანტიკური პერიოდის ისტორიის რეკონსტრუქციისათვის კიდევ ერთ ძვირფას წყაროს წარმოადგენს ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ. თავად ტაციტუსის ბიოგრაფიული დეტალების შესახებ ბევრი არაფერი ვიცით. უცნობია მისი praenomen-იც კი, ერთ-ერთ ხელნაწერში იგი მოხსენიებულია პუბლიუსის სახელით, ხოლო მეხუთე საუკუნის მწერალი აპოლინარი და გვიანდელი ტექსტები მას გაიუსად მოიხსენიებს. ტაციტუსის სამოღვაწეო პერიოდი მისი თხზულებიდან ხდება ცნობილი. იგი წერს, რომ კარიერული აღზევება ვესპასიანეს მმართველობისას დაიწყო, რაც ტიტუსის პრინციპსობის ჟამსაც გაგრძელდა, ხოლო კიდევ უფრო წინ წაიწია დომიციანეს მმართველობისას (გოზალიშვილი 1998: 224). ტაციტუსის „ისტორია“, რომელსაც ანალების სახელწოდებითაც თარგმნიან, ფრაგმენტულადაა მოღწეული და ისიც სულ თითო-ორი ხელნაწერის სახით, თუმცა ამ ფრაგმენტულად მოღწეულ თხზულებაშიც კი საკმაოდ საყურადღებო ცნობებია დაცული ანტიკური პერიოდის საქართველოს ისტორიის შესახებ. სწორედ ეს ცნობები თარგმნა, გამოიკვლია და გამოსცა ალ. გამყრელიძემ (ტაციტუსის ცნობები საქართველოს... 1973). ალექსანდრე გამყრელიძე ისე გარდაიცვალა, რომ მას ამ საკითხზე მუშაობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დასრუ-

ლებული, ნაშრომში არსებული ხარვეზები, სწორედ ამით უნდა აიხსნას, თუმცა ეს ხარვეზები ჩრდილს ვერ აყენებს თავად გამოკვლევის მნიშვნელობას. თარგმანსა და გამოკვლევაში კარგად არის ნაჩვენები რომის აღმოსავლურ დაპყრობათა კონტექსტი, სწორედ ამიტომაცაა, რომ ალექსანდრე გამყრელიძე სათანადო ყურადღებას უთმობს რომის დაპირისპირებას პართიასთან, სადაც აქტიურად შემოდის სომხეთის საკითხი, რომელმაც თავის კულმინაციას ახ.წ. 50-იან წლებში მიაღწია, მხედველობაში გვაქვს მითრიდატესა და რადამისტის ცნობილი ისტორია. ტაციტუსის თხზულებაში შემონახული ცნობებიდან, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია ისტორია ანიკეტის აჯანყების შესახებ, როგორც ალექსანდრე გამყრელიძე მიუთითებს, სხვა წყაროები ამ აჯანყებას არ იცნობენ (ტაციტუსის ცნობები საქართველოს... 1973: 9). ასევე ანიკეტის აჯანყებასთან დაკავშირებით არის მოხსენიებული სხვა წყაროებისათვის უცნობი ქართული ტომი სედოხეზები. დამარცხებულ ანიკეტს თავი მდინარე ხობოსთან მცხოვრები სედოხეზების ტომისათვის შეუფარებია. მდ. ხობოსისა და სედოხეზების ტომის ლოკალიზაციის საკითხმა ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. აკად. გ. მელიქიშვილმა (Меликишвили 1959: 369) და ს. ჯანაშიამ (ჯანაშია 1988: 274-275) ხობოსი მდ. ხობისწყალს დაუკავშირეს, ხოლო ფლავიუს არიანეს ცნობების საფუძველზე ლ. ელნიცკიმ (ტაციტუსის ცნობები საქართველოს... 1973: 9) და ნათელა კეჭაღმაძემ (ფლავიუს არიანე 1961: თანდართულ რუკაზე მდ. ხობოსი სწორედ ენგურის ადგილზეა მონიშნული) მდ. ხობოსი თანამედროვე მდინარე ენგურად მიიჩნიეს. ეს უკანსკნელი მოსაზრება უფრო გასაზიარებელია, რადგანაც პლინიუს სეკუნდუსთანაც მდ. ხობოსი, მეტწილად, სწორედ, თანამედროვე ენგურის გეოგრაფიულ სივრცეს ემთხვევა, ვიდრე თანამედროვე ხობისწყლისა. ამრიგად, ტაციტუსთან მოხსენიებული სედოხეზების ტომის ლოკალიზაცია, სწორედ, მდ. ენგურის შესართავთანაა სავარაუდო და ისინი კოლხური მოდგმის ტომებად უნდა მივიჩნიოთ.

მას შემდეგ, რაც ლათინურიდან და ძველი ბერძნულიდან არაერთი ნაწარმოები ითარგმნა, ქართველმა ავტორებმა ქართულ-რომაული ურთიერთობების მონოგრაფიულ შესწავლას მიჰყვეს ხელი. ქართულ-რომაულ ურთიერთობებს ფუნდამენტური გამოკვლევა უძღვნა პროფ. ნოდარ ლომოური (Ломоური 1981). მის მონოგრაფიულ გამოკვლევაში, რომელიც ავტორის სადოქტორო დისერტაციას წარმოადგენდა, განხილულია

საქართველოსა და რომს შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობანი ძვ.წ. I საუკუნის 60-იანი წლებიდან, ვიდრე IV დასასრულამდე. ავტორმა ეს მიჯნა სავსებით სამართლიანად აიღო, რადგანაც მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული ქართულ სამეფო-სამთავროებს ურთიერთობები უკვე აღმოსავლეთ რომის იმპერიასთან, ბიზანტიასთან ჰქონდათ. ნ. ლომოური ქართულ-რომაული ურთიერთობების შესასწავლად იყენებს წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ფართო სპექტრს. იგი ეყრდნობა ბერძნულ-ლათინურ ტექსტებს, აგრეთვე ქართულ და სომხურ მატრიანებს, ნაშრომში სოლიდურად არის წარმოდგენილი ეპიგრაფიკული და არქეოლოგიური მასალა. აღსანიშნავია, რომ ავტორი ქართულ-რომაულ ურთიერთობებს განყენებულად კი არ სწავლობს, არამედ ცდილობს წარმოაჩინოს იმ დროის საერთაშორისო კონტექსტი, სწორედ ამიტომაც საგანგებოდ ჩერდება რომის აღმოსავლურ პოლიტიკასა და წინა აზიაში არსებულ ვითარებაზე [Ломоური, 1981:29-54]. ამის შემდეგ მეცნიერი მიმოიხილავს ეპოქათა მიჯნის საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს. ეს ორი თავი ერთგვარი შესავლის როლს ასრულებს ნაშრომისათვის, სწორედ, მათი განხილვის შემდეგ ავტორი უშუალოდ რომსა და საქართველოს შორის არსებულ კავშირ-ურთიერთობებზე გადადის. წიგნში დეტალურადაა განხილული მითრიდატული ომების ეპოქა და პომპეუსის ლაშქრობა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იულიუს-კლავდიუსებისა და ფლავიუსების ხანის რომის ურთიერთობებს ქართულ სამეფოებთან, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ III-IV საუკუნეების მოვლენები სქემატურადაა გაშუქებული. ნაშრომში უფრო დიდი ყურადღება უნდა დათმობოდა რომსა და სასანიდურ ირანს შორის დაპირისპირებას და იბერიის სამეფოს როლს ამ დაპირისპირებაში, ამასთანავე კარგი იქნებოდა წინ წამოწეულიყო ქრისტიანობა, როგორც ფაქტორი, რომისა და საქართველოს ურთიერთობაში. ამ საკითხების განხილვა ისედაც შესანიშნავ გამოკვლევას კიდევ უფრო გაამდიდრებდა.

საინტერესო ისტორიოგრაფიულ გამოკვლევას წარმოადგენს ომარ ნიშნიანიძის სადისერტაციო ნაშრომი „ანტიკური სამყარო ქართულ შუასაუკუნოვან ისტორიოგრაფიაში (V-XIVსს.)“, რომელიც ავტორმა 1987 წელს დაიცვა. როგორც ომარ ნიშნიანიძე აღნიშნავს, „სამეცნიერო სიახლე ნაშრომისა მდგომარეობს იმაში, რომ საკითხი ანტიკური სამყაროს ქართულ შუასაუკუნოვან ისტორიოგრაფიაში (V-XIVსს.) პირველად

მონოგრაფიულად შესწავლილი. მასში დასმულია საკითხი ანტიკური კულტურული მემკვიდრეობის შემოღწევ გზების შესახებ ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში, მოცემულია ცდა გააზრებული იქნას ანტიკური მწერლობის გავლენის დონე ძველ ქართულ ისტორიოგრაფიაზე.

დისერტაციაში პირველადაა განხილული ის საფუძვლები, რაც განაპირობებდა ანტიკური სამყაროსადმი ინტერესს შუასაუკუნოვანი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. ნაშრომში პირველადაა დასმული და საფუძვლიანად განხილული ანტიკური ისტორიოგრაფიის ფესვების საკითხი საქართველოში“ [ნიშნიანიძე 1987: 11-12).

ავტორი მართალია, როცა ის წერს, რომ დისერტაცია საკითხის შესწავლი პირველი მონოგრაფიული მცდელობაა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ანტიკურობას ქართულ შუასაუკუნოვან მწერლობაში კვლევის საკმაოდ დიდი ტრადიცია გააჩნდა. ამ მიმართულებით პირველ სერიოზულ ნაშრომს წარმოადგენდა აკად. კ. კეკელიძის სტატია „ანტიკის გადანაშთები ძველ ქართულ მწერლობაში“ (კეკელიძე 1944:117-126). აგრეთვე ამ საკითხებს არა ერთი სტატია უძღვნა აკად. თ. ყაუხჩიშვილმა.

ო. ნიშნიანიძის სადისერტაციო ნაშრომში აქცენტები უფრო მეტად ბერძნულ სამყაროზეა გაკეთებული, თუმცა ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ბიზანტიური მწერლობის გავლენის ქვეშ მყოფი შუა საუკუნეების ქართული ისტორიული მწერლობა უფრო მეტად, სწორედ, ძველი ბერძნული კულტური მემკვიდრეობით ინტერესდებოდა, ვიდრე ლათინურით.

დისერტაციის მიწურულს ავტორი მართებულად აღნიშნავს: „...ანტიკური გავლენის ფაქტორი საქართველოში დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, თუმცა ეს იდენტურობა უფრო მეტად ანტიკური ფილოსოფიის გავლენას ეხება, ხოლო ანტიკური ლიტერატურისა და ხელოვნების გავლენა შედარებით ნაკლები იყო“ (ნიშნიანიძე 1987:188). ამგვარი ვითარება, სწორედ, XIV საუკუნემდე გაგრძელდა. ამ პერიოდში მოღვაწე „ასწლოვანი მატთანეს“ ავტორი, რომელსაც აკად. ივანე ჯავახიშვილმა „ჟამთააღმწერელი“ შეარქვა (ჯავახიშვილი 1977:249), არის შუა საუკუნეების ბოლო ავტორი, რომელიც საკმაოდ კარგად იყო განსაწავლული ანტიკურ ლიტერატურასა და ისტორიაში. ის იცნობს ტროას ციკლის გმირებს: პრიამოსს, პარისს, ელენეს,

„ალამენონს,“ „მენელეოსს,“ საუბრობს ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შესახებ, აგრეთვე იცნობს იოსებ ფლავიუსსა და მის ნაშრომს „იუდეველთა სიძველენი“ (ყაუხჩიშვილი 1976:293-299). „ჟამთააღმწერლის“ შემდეგ ინტერესი ანტიკური სამყაროსადმი მინელდა, რაც ქვეყნის მძიმე მდგომარეობით მარტივად აიხსნება. როგორც ზემოთ ვნახეთ, ხელახლა ქართული სამეცნიერო სივრცე ანტიკური და მათ შორის რომაული სამყაროთი XVII-XVIII საუკუნეებში დაინტერესდა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამ სერიოზული მუშაობა გასწია ანტიკური წყაროების დამუშავებისა და ქართულ-რომაული ურთიერთობების კვლევის მიმართულებით. ამ სამეცნიერო გამოკვლევებისა და თარგმანების მნიშვნელობა ქართული ისტორიული მეცნიერებისათვის განუზომელია და საკითხით დაინტერესებული მკვლევრები ვერ შეძლებენ გვერდი აუარონ ამ მაღალ დონეზე შესრულებულ სამეცნიერო თარგმანებსა და გამოკვლევებს.

საბჭოთა პერიოდის ქართულმა სამეცნიერო სკოლამ დიდი მუშაობა გასწია რომის ისტორიის პოპულარიზაციის მიმართულებით. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის არაერთი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი, რომელიც ქართველი ისტორიკოსების მიერ დაიწერა. ამ სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომების ყურადღების ცენტრში ძირითადად ექცეოდნენ გამორჩეული პიროვნებები რომის ისტორიიდან. ერთ-ერთ განსაკუთრებულ სახეს რომის ისტორიიდან წარმოადგენს გაიუს იულიუს კეისარი, რომლის შესახებაც პოპულარული ნაშრომი მ. ალექსიშვილმა გამოსცა (ალექსიშვილი 1961). ავტორი სატიტულო გვერდზე წერს: „წინამდებარე მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომში ავტორს მიზნად აქვს დასახული ცეზარის დროინდელი რომის ისტორიის მღელვარე ეპოქასთან კავშირში მოგვცეს თვით ცეზარის პიროვნებისა და მოღვაწეობის დახასიათება მარქსისტული მეთოდოლოგიის საფუძველზე.“ უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ მათე ალექსიშვილის ამ ნაშრომს, თავად ავტორისგან განსხვავებით, რთულია ვუწოდოთ მონოგრაფია. მონოგრაფია არის ვრცელი მეცნიერული ნაშრომი, რომელშიც სრულად დამუშავებულია ერთი რომელიმე თემა ან საკითხი და მას ერთვის ბიბლიოგრაფია, შენიშვნები და გამართულია სამეცნიერო აპარატით. მათე ალექსიშვილის ეს ნაშრომი კი ამ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს. იგი უფრო პოპულარული ნაშრომია, რომელიც მკითხველს მოკლედ აცნობს კეისარის ბიოგრაფიის ძი-

რითად მომენტებს. ისეთ დიდ ადამიანებზე საუბრისას, როგორც იულიუს კეისარია, თავისთავად დგება საკითხი, პიროვნების როლის შესახებ ისტორიაში. საბჭოთა მეცნიერება ამ საკითხში გამოდიოდა მარქსის შემდეგი პოსტულატიდან: „ადამიანები საკუთარ ისტორიას ქმნიან, მაგრამ არა პირადი ნებიდან გამომდინარე, არამედ იმ გარემოებიდან, რომელიც წარსულმა განაპირობა.“ მათე ალექსიშვილიც, ცხადია, იზიარებს მარქსის ამ შეხედულებას და ამიტომაც ასკვნის: „...ცეზარს არ შეეძლო განესაზღვრა მსოფლიოს ბედი არც თავის დროისათვის და, მით უფრო, არც მომავლისთვის, როგორც ეს ცეზარის კულტით გატაცებულ ისტორიკოსს თეოდორ მომზენს ეჩვენებოდა“ (ალექსიშვილი 1961: 14). ცხადია, მარქსის მტკიცებაში ბევრი რამ არის ლოგიკური, თუმცა პიროვნების როლის ხელაღებით უგულებელყოფა მაინც გაუმართლებლად მიგვაჩნია. სულ სხვა მიდგომით არის დაწერილი ლ. სანიკიძის ნაშრომი „კეისარიადა“. ლევან სანიკიძის ამ ნაშრომში განხილულია ეპოქა ძვ.წ. II საუკუნის მიწურულიდან ახ.წ. I საუკუნის დამდეგამდე. ეს არის პერიოდი, რომელიც ემთხვევა რესპუბლიკის დაცემასა და იმპერიის ჩამოყალიბებას. ლევან სანიკიძემ მთელ ამ პროცესს კეისარიადა შეარქვა, რადგანაც ეპოქის ყველაზე კოლორიტული ფიგურა, სწორედ კეისარი იყო. ნაშრომი სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება. პირველ კარში კეისრის წინამორბედები მარიუსი, სულა და პომპეუსი არიან განხილულნი. მეორე კარი ეხება თავად კეისარს, რაც ნაშრომის ღერძს წარმოადგენს, ხოლო მესამე კარი კეისრის მემკვიდრეებს – ანტონიუსსა და ოქტავიანუსს შეეხება. „გამოკვლევის ენა არის სადა და მიმზიდველი, რის გამოც წიგნი საინტერესოდ იკითხება. ...ამ წიგნს მარტო შემეცნებითი მნიშვნელობა როდი აქვს – იგი ესთეტიკურ სიამოვნებასაც მიანიჭებს მკითხველს“ (სურგულაძე 1990: 4). ლევან სანიკიძის ამ ნაშრომში გადასინჯულია ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულება. იგი აკრიტიკებს ამ შეხედულებას და წერს: „ჩვენებურ საისტორიო აზროვნებაში კვლავაც ხელუხლებლად სუფევს ყბადადაღებული ფორმულა-დოგმა-ისტორიას ხალხი ქმნის, ხალხი მართავს, ხალხი განაგებს, ხოლო ცალკე პიროვნებანი, გმირები, გამოჩენილი ადამიანები, უკეთეს შემთხვევაში ოდენ ისტორიის ანტურაჟს წარმოადგენენ და სხვას არაფერს. ... „უპირვენებოდ“ ისტორია არც იქმნება, არც იწერება ან თუ დაწერილა (ჩვენში, რომ მეგატონობით დაწერილა!), არ წაკითხულა, არც არასოდეს წაიკითხება“ (სანიკიძე 1989:

3). ამ ნაშრომში, ყურადღების ცენტრში უკვე პიროვნება დგას, რომელიც ისტორიული პროცესის შემოქმედად გვევლინება.

რომის ისტორიის ორ გამორჩეულ წარმომადგენელზე მოგვითხრობს ლ. სანიკიძის ნაშრომი „მარიუსი და სულა (რომაული ქრონიკები)“ (სანიკიძე 1970ა). წიგნი პოპულარული ნაშრომია და მკითხველთა ფართო წრისთვის იყო განკუთვნილი. ნაშრომი, როგორც სათაურიდანვე ჩანს, ანტიკური რომის ისტორიის ერთ-ერთ შესანიშნავ დრამატიზმითა და ტრაგიზმით აღსავსე ეპოქას ეხება. ეს არის პერიოდი გააფთრებული ბრძოლისა ოპტიმატებსა და პოპულარებს შორის. წიგნი ორი ნაწილისგან შედგება: „მარიუსის არწივები“ და „სულას აპოთეოზი“. პირველ ნაწილში განხილულია რომის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა ძმები გრაკხუსების დაღუპვის შემდეგ, ხოლო მეორე ნაწილში ავტორი ვრცლად ჩერდება რომის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, განსაკუთრებით მითრიდატე ევპატორთან დაპირისპირებაზე. წიგნში ნაჩვენებია, რომ სულას დიქტატურა რომის პოლიტიკური ისტორიის მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა. სულას დიქტატურამ ნიადაგი მოუმზადა პრინციპატის შექმნას რომში.

ლ. სანიკიძეს ასევე გამოქვეყნებული ჰქონდა მცირე ზომის ნაშრომი: „კვერთხი ეშმაკთა“ (სანიკიძე 1976). სახელწოდება მომდინარეობს შოთა რუსთაველის ცნობილი აფორიზმიდან „ნახეთ თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა.“ ავტორი წარმოგვიდგენს ანტიკური საზოგადოების ზნეობრივ ცხოვრებას და საუბრობს იმ მანკიერებების შესახებ, რასაც „ეშმაკის კვერთხი“ – ოქრო წარმოშობს. სანიკიძე ნაშრომში გვერდს ვერ უვლის ეპოქის კონიუნქტურას და ნაშრომის მიწურულს ასკვნის: „ანტიკური სახელმწიფოების-საბერძნეთისა და რომის დაცემით არ დამთავრებულა საზოგადოებათა სულიერი დაქვეითებისა და დაკნინების ისტორია. ყველა კლასობრივი საზოგადოება, მსგავსად მონათმფლობელური ფორმაციისა, მეტნაკლებად შეპყრობილი იყო ამ მანკიერებით. მომდევნო ფეოდალური და კაპიტალისტური საზოგადოებანი, ისევე როგორც წინამორბედი მონათმფლობელური, ადამიანთა ზნეობრივი დაქვეითება-დაცემის უმძიმეს სურათებს გვიხატავენ“ (სანიკიძე 1976: 70).

კიდევ ერთი რომაელი მოღვაწე, რომელიც ქართველი ისტორიკოსების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა, იყო მარკუს ტულიუს ციცერონი. მარკუს ტუ-

ლიუს ციცერონის ცხოვრებასა და მოღვაწეობას საინტერესო გამოკვლევა უძღვნა პროფ. ალ. წერეთელმა (წერეთელი 1959). პროფ. ალ. წერეთლის ნაშრომი მიძღვნილია ციცერონის გარდაცვალებიდან 2000 წლის შესრულების გამო. ციცერონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა მისი დროინდელი რომის რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობასთან დაკავშირებით არის განხილული. ნაშრომში გაშუქებულია ციცერონის ბიოგრაფია, სულას დიქტატურა, კატილინას შეთქმულება, კატილინას წინააღმდეგ მიმართული სიტყვები, ციცერონის პოზიცია პომპეუსის მიმართ და სიცოცხლის უკანასკნელი წლები. ციცერონზე დაწერილი ნაშრომებიდან აღნიშვნის ღირსია პროფ. კ. სურგულაძის გამოკვლევა „ციცერონი და რომის აზიური პოლიტიკა“ (სურგულაძე 1989). ავტორს ორატორის წერილებით საგანგებოდ აქვს განხილული ერთი კონკრეტული საკითხი, კერძოდ, ციცერონის შეხედულებანი რომის აზიური პოლიტიკის შესახებ, ასევე ნაშრომში შესწავლილია ის პერიოდი, როცა ციცერონი კილიკიის პროვინციის მმართველი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ციცერონისარაერთი სიტყვაა ქართულად თარგმნილი, თუმცა განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მისი სიტყვები კატილინას წინააღმდეგ (სურგულაძე 1989).

საბჭოთა პერიოდში რომის ისტორიის შესახებ გამოსული წიგნებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გრანი ქავთარიას ნაშრომი „ძმები გრაკხუსები“, რომელიც ავტორის სადოქტორო დისერტაციას წარმოადგენდა. ამ გამოკვლევაში ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია წამოწეული, მათ შორის გრაკხუსებამდელი აგრარული რეფორმა, რომელსაც საისტორიო ტრადიცია ლიცინიუსსა და სექსტიუსს მიაწერს. რომაული სინამდვილისა და წყაროების შეჯერების შემდეგ გრანი ქავთარია მართებულად ასკვნის, რომ ძვ.წ. მეოთხე საუკუნეში რომში აგრარული რეფორმის საჭიროება არ იდგა და გრაკხუსებამდე საზოგადო მინდვრების ოკუპაციის ნორმა დადგენილი არ ყოფილა, აქედან გამომდინარე, იგი ეჭვქვეშ აყენებს ლიცინიუსისა და სექსტიუსის აგრარული რეფორმის ნამდვილობას (ქავთარია 1990: 35-65).¹⁰ მეცნიერი მიუთითებს, რომ რომის სენატს პირველი სერიოზული დარტყმა გრაკხუსებმა მიაყენს. აქედან გამომდინარე იგი გრაკხუსებს განიხილავს, როგორც კეისრის წინამორბედებს და აღნიშნავს, რომ ძმებმა

¹⁰ამ საკითხს ავტორმა ცალკე გამოკვლევაც უძღვნა იხ. Об аграрном законе Лициния и Секстия, თბ., 1996.

უდიდესი როლი შეასრულეს მონარქიის გზის გაკვალვაში. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ გრაკხუსების მოღვაწეობაში გამოკვეთილი მონარქისტული მისწრაფებები არ ჩანს, გრანი ქავთარია მაინც მიუთითებს, რომ გრაკხუსებს ერთპიროვნული ძალაუფლებისკენ ჰქონდათ მისწრაფებები, რაც შეუსაბამობას ქმნის.

ვასრულებთ რა რომის ისტორიის შემსწავლელი ქართული საბჭოთა მეცნიერების განხილვას, აშკარაა თუ რაოდენ დიდი შრომა გასწია ქართულმა სამეცნიერო სკოლამ რომის ისტორიის შესწავლისა და პოპულარიზაციის მიმართულებით. ქართულმა ისტორიოგრაფიამ მიუხედავად მძლავრი იდეოლოგიური დოგმებისა, მაინც მოახერხა, მეტწილად, სწორი აქცენტებითა და კატეგორიებით შეესწავლა რომის ისტორიის მთელი რიგი აქტუალური საკითხები, განსაკუთრებით კი რომსა და ქართულ სამეფოებს შორის არსებული ურთიერთობები. სსრკ-ის ნგრევის შემდეგ, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა სამეცნიერო სკოლამ ზოგი მიმართულებით რეგრესი განიცადა, განსაკუთრებით ეს შეეხება რომის ისტორიის სოციალურ-ეკონომიკური საკითხების კვლევას, თუმცა გამოიკვეთა, კვლევის სრულად ახალი მიმართულებებიც, განსაკუთრებით ეს აღსანიშნავია რომის იმპერიის რელიგიური ცხოვრების შესწავლის თვალსაზრისით.

4.5 რომის ისტორიის შესწავლა დამოუკიდებელ საქართველოში (1991 წლიდან დღემდე)

სსრ კავშირის დაშლას თან მოჰყვა ქართული საისტორიო მეცნიერების იდეოლოგიური დოგმებისგან განთავისუფლება. ქართველ ისტორიკოსებს საშუალება მიეცათ უშუალოდ გაცნობოდნენ იმ სამეცნიერო სიახლეებს, რასაც რომის ისტორიის შესწავლის

თვალსაზრისით უცხოეთის წამყვან სამეცნიერო წრეებში ჰქონდა ადგილი. დამოუკიდებელ საქართველოში მოღვაწე მეცნიერებმა გააგრძელეს ის გზა, რომელიც საბჭოთა პერიოდსა და კიდევ უფრო ადრე დასახულ იქნა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში რომის ისტორიის საკითხების შესწავლის მიმართულებით, თუმცა უნდა ითქვას, რომ მთელი რიგი საკითხებისადმი ინტერესიც მინელდა. მაგალითად, სამეცნიერო შესწავლის ინტერესიდან გაქრა რომის ისტორიის სოციალურ-ეკონომიკური საკითხები. საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე მხოლოდ ერთი ნაშრომის მოძიება შევძელით, რომელიც რომის ისტორიის სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს შეეხებოდა, კერძოდ, ეს ნაშრომია კახაბერ სურგულაძის „მონობა ძველ რომში“. ეს არის მცირე ზომის გამოკვლევა, თუმცა მასში ბევრი მნიშვნელოვანი სსაკითხია განხილული: მონობის საკითხი ანტიკურ იდეოლოგიაში, მონობის წყაროები და ა.შ. ავტორი განიხილავს მონათა ცნობილ აჯანყებებს: სიცილიის მონათა პირველ და მეორე აჯანყებას, არისტონიკესა და სპარტაკის აჯანყებას. აღსანიშნავია, რომ კ. სურგულაძე სპარტაკის აჯანყებას კლასობრივი ბრძოლის კონტექსტს კი არ უკავშირებს, როგორც ამას საბჭოთა ისტორიოგრაფია სჩადიოდა, არამედ ცდილობს ამ აჯანყების გამომწვევი მიზეზები სამოქალაქო ომების კონტექსტსა და გლადიატორების მძიმე ხვედრს დაუკავშიროს, რაც უფრო ნათელ სურათს ხატავს. ერთ-ერთი უმთავრესი დებულება, რაც ნაშრომშია წამოყენებული, გახლავთ მარქსისტულ მოძღვრებათა გადასინჯვა. უნდა ითქვას ისიც, რომ ნაშრომში ხელშესახებადაა გამოკვეთილი ის გზა, რაც რომაულმა მონობამ და რომში მონის მდგომარეობამ განვლო და რაზედაც საბჭოთა ისტორიკოსები ხშირ შემთხვევაში, საერთოდ, დუმდნენ. ამ გზის საჩვენებლად მოგვაქვს ვრცელი ციტატა მეცნიერის ნაშრომიდან, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ რომში მონის მდგომარეობა, სავსებით არ ყოფილა ისეთი, როგორც ამას საბჭოთა ისტორიოგრაფია სახავდა: „იმპერატორ ავგუსტუსის დროს ბატონს ჩამოერთვა მონის თვითნებურად წამების უფლება. უფრო ზუსტად, იმპერატორი მეზატონისგან გამოსიყიდა მონას და შემდეგ ხდებოდა მისი წამება. ახ.წ. 47 წელს, იმპერატორ კლავდიუსის კანონით, თავისუფლება ეძლეოდა იმ მონებს, რომლებსაც ავადმყოფობის შემთხვევაში მათი ბატონები არ პატრონებდნენ. ახ.წ. 67 წლის პეტრონიუსის კანონით აიკრძალა საჯაროდ მონების შერკინება ცხოველებთან. ახ.წ. 121 წელს, იმპერატორმა ადრიანემ აკრძალა ბატონის მხრიდან მონის თვი-

თნებურად მოკვლა, ანდა მისი მეძავად და გლადიატორად გაყიდვა. მანვე ცვლილება შეიტანა იმპერატორ ავგუსტუსის მიერ აღდგენილ კანონში, რომელიც ბატონის მოკვლის შემთხვევაში ითვალისწინებდა ყველა მონის დასჯას. ანტონიუსმა ლეგალიზება გაუკეთა ტრადიციას, რომლის დროსაც, ბატონის სიმკაცრისას მონას შეეძლო თავი დაეცვა ტაძარში, ანდა იმპერატორის ქანდაკებასთან დგომით. იმპ. დიოკლეტიანემ საერთოდ აკრძალა თავისუფალთა დაკაბალება, ხოლო იმპ. კონსტანტინე I-მა მონის შემთხვევით მოკვლა გაათანაბრა თავისუფალი ადამიანის მკვლელობასთან“ (სურგულაძე 2013ბ: 19-20). ამრიგად ამ ნათელ ფაქტოლოგიურ მასალაზე თვალის გადევნებაც კი ნათლად აჩვენებს, რომ მონის სოციალური სტატუსი არ იყო ისეთი, როგორადაც მას საბჭოთა ისტორიოგრაფია წარმოგვიდგენდა. აქედან გამომდინარე, ჩვენ სავსებით ვეთანხმებით იმ დასკვნას, რაც ავტორს გამოაქვს: „...აღნიშნული ფაქტები ეწინააღმდეგება მარქსისტულ დებულებას, რომ ძველ რომში მონები შეადგენდნენ „ექსპლუატირებული კლასის“ საფუძველს, რომლებსაც კლასობრივ ბრძოლაში წამყვანი როლი ეკავათ. მთლიანობაში მონები წარმოადგენდნენ მხოლოდ მცირე სოციალურ საყრდენს და კლასობრივ ბრძოლაში ისინი უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ“ (სურგულაძე 2013ბ: 68).

საბჭოთა პერიოდში იდეოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე რომის ისტორიის რელიგიურ სფეროზე ნაშრომები პრაქტიკულად არ იქმნებოდა. სსრკ-ის ნგრევის შემდეგ ეს თემატიკა ნელ-ნელა ქართველ ისტორიკოსთა ყურადღების ცენტრში მოექცა. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პროფ. მარიკა მშვილდაძის ნაშრომი „რომი და აღმოსავლური რელიგიები ახ.წ. I-III სს.“ (მშვილდაძე 2005). ამ გამოკვლევაში, რომელიც ავტორის სადოქტორო დისერტაციას წარმოადგენდა, განხილულია რომის იმპერიის დამოკიდებულება მის წიაღში შემოსული აღმოსავლური კულტებისა და მონოთეისტური რელიგიებისადმი. გამოკვლევა სამ ძირითად ნაწილადაა გაყოფილი პირველი ნაწილი ეხება აღმოსავლური კულტების შესვლას რომში, ხოლო დანარჩენი ორი ნაწილი მონოთეისტურ რელიგიებს იუდაიზმს და ქრისტიანობას შეეხება. ნაშრომი აგებულია მრავალრიცხოვან ნარატიულ წყაროებზე, არქეოლოგიურ და ეპიგრაფიკულ მასალაზე. სწორედ, ამ ფართე მასალაზე დაყრდნობითაა შესწავლილი რომის იმპერიაში გავრცელებული აღმოსავლური კულტები: ეგვიპტური, ანატოლიური, სირიულ-ფინი-

კიური კულტები, არიული მითრა და ორი მონოთეისტური რელიგია. ნაშრომში განსაზღვრულია მათი გავრცელების არეალი და მათი როლი რომის იმპერიის რელიგიურ ცხოვრებაში. უნდა აღინიშნოს, რომ წიგნში გარკვეული ადგილი ეთმობა იმ პერიოდში რომის იურისდიქციაში მყოფი საქართველოს შავიზღვისპირეთის ქალაქებში არსებული რელიგიური სიტუაციის მიმოხილვას. ნაშრომი მეტწილად დიდ შენაძენს წარმოადგენს ქართული ისტორიოგრაფიისთვის, მით უმეტეს, რომ ის საერთოდ რომის იმპერიის რელიგიური ცხოვრებისადმი მიძღვნილი პირველი გამოკვლევაა ქართულ სინამდვილეში. თუმცა არის საკითხები, რომელთა დახვეწა და სრულყოფა კიდევ უფრო გაამდიდრებდა ნაშრომს, მაგ., გამოკვლევაში საერთოდ არ არის განხილული თავად რომაული წარმართული პანთეონი და რელიგია. ჩვენი აზრით, ამ საკითხის დეტალური განხილვა ერთგვარი შესავლის როლსაც შეასრულებდა და ბევრ საკითხს თავის ადგილზე დააყენებდა, რაც წიგნსაც შინაარსობრივად უფრო მდიდარსა და საინტერესოს გახდიდა.

დამოუკიდებულ საქართველოში გაგრძელდა რომაული ისტორიოგრაფიის კვლევა. უნდა აღინიშნოს გივი გამრეკელის სადოქტორო დისერტაცია „ამიანე მარცელინე როგორც ისტორიკოსი და პოლიტიკური მოაზროვნე“. ეს ნაშრომი, მხოლოდ ავტორეფერატის სახით გამოქვეყნდა (გამრეკელი 2004). ამიანე მარცელინე IV საუკუნის ავტორი იყო და დაგვიტოვა ისტორიული ნაშრომი, სახელწოდებით „Res gestae,“ რასაც ჩვეულებრივ



თარგმნიან, როგორც „ისტორიას“. ამიანე მარცელინე თვითონვე გვამცნობს: „აი, მე, ყოფილმა ჯარისკაცმა და შთამომავლობით ბერძენმა, შევძელი ამის მოთხრობა შეძლებისდაგვარად, დავიწყე კეისარ ნერვას მმართველობით და მოვიტანე თხრობა ვალენტის დაღუპვამდე.“ მარცელინე თხრობას აგრძელებს იქიდან, სადაც წყდება ტაციტუსის ნაშრომი. შემთხვევითი არაა, რომ თხრობის მანერასა და მასალის განაწილებაში ამიანე მარცელინე ტაციტუსს მიჰყვება. ამიანე მარცელინე სანდო წყაროდ ითვლება, იგი თვითონვე წერს: „ისტორიკოსი, რომელიც შეგნებულად ჩქმალავს მოვლენებს, იმაზე არანაკლებ სიყალბეს ჩადის ვინც თხზავს იმას, რაც სინამდვილეში არ

ყოფილა.“ ამიანე მარცელინეს თავის თხზულებაში დაცული აქვს საქართველოს შესახებ როგორც ისტორიული, ისე გეოგრაფიული ხასიათის არა ერთი ძვირფასი ცნობა. ეს ცნობები ამდიდრებს საქართველოს ისტორიის წყაროებს, ზოგჯერ აზუსტებს ცნობილ ამბებს, ზოგ შემთხვევაში კი გადმოგვცემს ახალ მასალას (ამიანე მარცელინე და მისი... 1961: 75-165).

რაც შეეხება დისერტაციას, მასში ვრცლად არის განხილული ის ეპოქა, რომელშიც მარცელინე მოღვაწეობს, ასევე ავტორი ეხება იმ წყაროებს, რომლებსაც, შესაძლოა, იყენებდეს ამიანე მარცელინე. დისერტაციის მოზრდილი ნაწილი ეთმობა ამიანეს პოლიტიკურ და რელიგიურ შეხედულებებს. შემთხვევითი არაა, რომ დისერტაციაში ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამიანესა და იულიანე განდგომილის ურთიერთობას. ამიანე მარცელინე, როგორც წარმართი, დადებითად არის განწყობილი იულიანესადმი, რომელმაც წარმართობის აღდგენა სცადა რომის იმპერიაში. სწორედ ამ ფაქტორის გამო, დიდი ხნის განმავლობაში, ამიანე მარცელინე მივიწყებული იყო და მას იშვიათად თუ იხსენიებდნენ. სავსებით სამართლიანად წერს გ. გამრეკელი: „ამიანეს ზურგი შეაქციეს სწორედ იმ მიზეზით, რომ მისი „ისტორია“ წარმართის მიერ იყო დაწერილი, უფრო მეტიც, იგი „აპოსტატად“ – „განდგომილად“ წოდებულ იმპერატორ იულიანეს აპოლოგიას შეიცავდა“ (გამრეკელი 2004: 40). ავტორი საგანგებოდ ჩერდება ამიანე მარცელინეს ცნობებზე საქართველოს შესახებ. საინტერესო დაკვირვებაა მოყვანილი იმის შესახებ, თუ ვინ არის მარცელინესთან მოხსენიებული იბერიის მეფე მერიზანი. მეცნიერი წერდა: „მერიზანი იბერიის ცნობილი მეფე მირიანია, ეს საერთოდ ეჭვს არ იწვევს“ (გამრეკელი 2004: 35). მაგრამ აქ დგება ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: „იბერიის მეფე მერიზანი“ IV საუკუნის 60-იანი წლების ამბებთან არის მოხსენიებული, როდესაც ამიანეს ცნობით სპარსეთი ცდილობდა გადაებირებინა სომხეთი მეფე არშაკი და იბერიის მეფე. შეიძლება კი ამ პერიოდისათვის ცოცხალი ყოფილიყო ქართლის გამაქრისტიანებელი მეფე მირიანი? ამ პრობლემის გასარკვევად უნდა მოვიშველიოთ „ქართლის ცხოვრების“ ცნობა, სადაც პირდაპირ წერია, რომ რომსა და სპარსეთს შორის ომის განახლების მომენტისთვის, ე.ი. 361 წელს, მეფე მირიანი რომაელთა გვერდით იდგა. „ქართლის ცხოვრების“ ეს პასაჟი ადასტურებს ამიანესთან მოყვანილი ამბის ნამ-

დვილობას და ამასთანავე აჩვენებს, რომ მოვსეს ხორენაცის თხზულებაში მოყვანილი ცნობა 338 წელს მირიანის მოკვლის შესახებ არასწორია.

საინტერესო ისტორიოგრაფიული ნაშრომია პროფ. გრანი ქავთარიას რედაქტორობით გამოსული წიგნი „ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები“ [ბერძენი..., 1998], რომელშიც განხილულია ბერძნულ-რომაული სამყაროს გამოჩენილ ისტორიკოსთა ბიოგრაფიები და ძირითადი ნაშრომები; მოთხრობილია იმ როლზე, რომელიც მათ შეასრულეს ანტიკური სამყაროს უკვდავსაყოფად. ნაშრომი გამოიცა როგორც დამხმარე სახელმძღვანელო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის. ამ წიგნში განხილულია რომაული ისტორიოგრაფიის თითქმის ყველა გამორჩეული წარმომადგენელი, ასევე წიგნში შევხვდებით ორი დიდი რომაელი არაისტორიკოსის იულიუს კეისრისა და ციცერონის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ციცერონისა და კეისრის ნაშრომები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ისტორიკოსები არ ყოფილან, გალიის კამპანიისა და რომში მიმდინარე სამოქალაქო ომების პირველწყაროს წარმოადგენენ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საბჭოთა პერიოდის ქართულ საისტორიო მეცნიერებაში განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა ქართულ-რომაული ურთიერთობების კვლევა. ეს ინტერესი არც დამოუკიდებელ საქართველოში განელებულა. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თ. თოდუას, კ. ფიფიასა და თ. დუნდუას ნაშრომები.

თ. თოდუას ნაშრომში „ძველი კოლხეთი და გარე სამყარო“, საკმაოდ, სერიოზული ადგილი ეთმობა რომსა და კოლხეთს შორის არსებულ ურთიერთობებს (თოდუა 2008: 51-173). ნაშრომში გარდა პოლიტიკური საკითხებისა, განხილულია ასევე სამხედრო ისტორიის საკითხებიც, კერძოდ, რომაული გარნიზონების არსებობა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რაც ნაკლებად იყო შესწავლილი ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში. კარგი იქნებოდა ავტორს რომაული ლეგიონების შესახებ საუბრისას განეხილა რელიგიური სიტუაციაც, რადგან, სწორედ, რომაელი ლეგიონერები გვევლინებიან მთელი რიგი კულტების გამავრცელებლებად და ეს ასე იყო კოლხეთის შემთხვევაშიც. რომაულმა ლეგიონებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს მითრას კულტის გავრცელებაში, ამ მხრივ აღსანიშნავია II, V და XV ლეგიონების დამსახურება. XV ლეგიონი (Apollinaris) კი გარკვეული პერიოდი იდგა დასავლეთ საქართველოს ტერი-

ტორიაზე. XV ლეგიონი პირველი იყო, რომელიც ეზიარა მითრას კულტს, ხოლო შემდეგ ეს ლეგიონი მითრას კულტს ავრცელებდა მთელი იმპერიის ტერიტორიაზე. მეთხუტმეტე ლეგიონის გარკვეული ვექსილაციების დგომა დასტურდება დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ქალაქებში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია რომის XV ლეგიონთან დაკავშირებული გემები ბიჭვინთის ნაქალაქარიდან, კერძოდ, ორი გემა დაფნის გვირგვინისა და თუთიყუშის გამოსახულებით (მშვილდაძე 1997: 128-130) და ასევე ციხისძირთან აღმოჩენილი აგური ლათინური დამღით VEXFA, რომელსაც ვადიმ ლექვინაძე შემდეგნაირად კითხულობდა: VEX(ilationis Legionus (XII) F(ulminate) XV A(pollinaris) (Леквинадзе 1967: 799). აქედან, გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ქალაქ პიტუნტისა და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მითრას კულტის გავრცელება რომაულ ლეგიონებთან უნდა იყოს კავშირში. ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ამ საკითხის განხილვა თემურ თოდუას ნაშრომში აუცილებელიც კი იყო.

რომსა და ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის არსებულ ურთიერთობებს წარმატებით იკვლევს პროფ. კახაბერ ფიფია. მის ფუნდამენტურ გამოკვლევას წარმოადგენს „რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს“. მიუხედავად იმისა, რომ საკვლევი პერიოდი დაწვრილებით არის შესწავლილი ნოდარ ლომოურის ცნობილ ნაშრომში, ავტორი ახერხებს ბევრი ახალი საკვლევი სფეროს გამოკვეთას. ნაშრომში წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური, ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე, მონოგრაფიულადაა შესწავლილი რომისა და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ურთიერთობა I-II საუკუნეებში. ამასთან, ეს საკითხი განხილულია რომის საერთო-აღმოსავლური პოლიტიკის კონტექსტში. მონოგრაფიაში ახლებურადაა გაშუქებული რომისა და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის, ისტორიული კოლხეთის სამხედრო-პოლიტიკური კონტაქტების პრობლემები, ნაჩვენებია აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის როლი და მნიშვნელობა რომის პოლიტიკურ სისტემაში. ავტორი გამოკვლევის მთავარ მიზნად ასახელებს შემდეგს: „ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენს სხვადასხვა სახის წყაროების თვისობრივად ახლებური გააზრების საფუძველზე რომისა და კოლხეთის ურთიერთობათა საერთო პროცესის წარმოჩენა, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომის პოლიტიკის მიზნების, ხასიათისა და მასშტაბების დადგენა“ (ფიფია 2005: 5). შეიძლება ითქვას, რომ ავტორმა დასახულ მიზანს წარმატე-

ბით გაართვა თავი. კ. ფიფია სამართლიანად გადასინჯავს მკვლევართა ნაწილში გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ რომის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სასაზღვრო-თავდაცვით ხაზს უწოდებენ „პონტოს ლიმეს“. ლიმესი წარმოადგენს მაღალ ორგანიზებულ თავდაცვით ხაზს და რთულ, კარგად გამართულ საკომუნიკაციო სისტემას, რომელიც გულისხმობს გამაგრებულ საზღვარსა და სასაზღვრო გზების სისტემას, კოლხეთში კი, როგორც ავტორი შენიშნავს „...რომაული კასტელუმების ერთმანეთთან დამაკავშირებელი სამხედრო გზის არც ერთი მონაკვეთი აღმოჩენილი არ არის და მათ შორის კავშირი საზღვაო გზით ხორციელდებოდა, რის შემდეგაც ამ საზღვრის გასწვრივ ლიმესის არსებობაზე საუბარი ზედმეტია. გარდა ამისა, ლიმესებს აშენებდნენ ისეთ ადგილებში, სადაც ბუნებრივი საზღვრები რომსა და „ბარბაროსულ“ სამყაროს შორის არ არსებობდა და რომაულ სამფლობელოებზე მეზობელი ტომების ზეწოლის შესაჩერებლად საჭირო იყო ხელოვნური ბარიერი. კოლხეთის ბარი კი ყველა მხრიდან მძლავრი ბუნებრივი საზღვრებით არის შემოფარგლული და აქ დამატებითი ხელოვნური ბარიერის აგება საჭირო არ იყო“ (ფიფია 2005: 162).

ზემოთ განხილული ნაშრომის გაგრძელებას წარმოადგენს მეცნიერის კიდევ ერთი ნაშრომი „რომაული სამყაროს კრიზისი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი (ახ.წ. IIIს.)“. ნაშრომში სხვადასხვა სახის წყაროების კომპლექსური ანალიზისა და თვისობრივად ახლებური ინტერპრეტაციის საფუძველზე, სათანადო საისტორიო ლიტერატურის გათვალისწინებით, შესწავლილია რომის ურთიერთობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან III საუკუნეში, იმპერიის კრიზისის პერიოდში. როგორც ავტორი მიუთითებს: „გამოკვლევაში ნაჩვენებია იმპერიაში მიმდინარე მწვავე სოციალურ-პოლიტიკური კრიზისისა და ტოტალური სტაგნაციის გავლენა კოლხეთის ტერიტორიაზე არსებულ ცალკეული გაერთიანებების რომთან ურთიერთობაზე, მათ პოლიტიკურ ცხოვრებაზე; გაშუქებულია ამ გაერთიანებების მდგომარეობა რომის სასანიდურ ირანთან და გოთებთან ერთდროულად დაპირისპირების შედეგად რეგიონში შექმნილ ახალ პოლიტიკურ კონიუნქტურაში“ (ფიფია 2006: 6).

კიდევ ერთი ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, რომელიც ქართულ-რომაულ ურთიერთობებს იკვლევს არის თედო დუნდუა. მისი ინტერესის სფეროა ქართულ სამყაროსა და რომს შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობები. ამისთვის, თ.

დუნდუა, გარდა ნარატიული წყაროებისა, იყენებს ნუმეზმატიკურ მასალას. სწორედ, ნუმეზმატიკურ მასალაზე, კერძოდ, არისტარქე კოლხის მიერ მოჭრილი მონეტის ანალიზის საფუძველზე მეცნიერი მიიჩნევს, რომ მონეტის ავერსზე გამოსახული გასხივოსნებული გვირგვინით წარმოდგენილი მარჯვნივ მიმართული უწვერული ადამიანის გამოსახულება ცნობილ რომაელ სარდალს გნეუს პომპეუსს ეკუთვნის (დუნდუა 2009: 53-57). ეს მოსაზრება ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით ანგარიშგასაწევია, თუმცა სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეხედულება თ. დუნდუამდე დიდი ხნით ადრე კ. გოლენკომ წამოაყენა (Голенко 1974: 105-110).

ნუმეზმატიკური და ეპიგრაფიკული მასალის ანალიზის საფუძველზე თ. დუნდუა საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს, მითრიდატე VI ევპატორის ვაჟის, მითრიდატე უმცროსის პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, ავტორი აყენებს საკითხს – იყო თუ არა მითრიდატე უმცროსი რომის მოკავშირე? თედო დუნდუა ამ საკითხის გასარკვევად იყენებს ორ ძირითად წყაროს, კერძოდ, ვანში მოჭრილ ანეპიგრაფიკულ მონეტას ლოტოსისა და რვა ქიმიანი ვარსკვალის გამოსახულებით, რომლის ემისიაც აჯანყებულ მითრიდატე უმცროსს მიეწერება (დუნდუა 1974: 146-157) და ეპიგრაფიკულ ძეგლს, კაპიტოლიუმის სტელას. კაპიტოლიუმის სტელაზე მოხსენიებულ „მითრიდატე ფილოპატორ ფილადელფოსს, მეფე მითრიდატეს ძეს“, რომელიც რომაელთა მეგობრად არის წარმოდგენილი, თედო დუნდუა უკავშირებს, სწორედ, მითრიდატე უმცროსს. ეს შეხედულება ანგარიშგასაწევია. ის, რომ კოლხეთის მმართველად დასმული მითრიდატე მამას აუჯანყდა უდავოა და ამაზე ნათლად მიუთითებს ნარატიული წყაროებიც და არქეოლოგიური მასალაც. აპიანე წერს, რომ მითრიდატე უმცროსი ძალით წაუყვანიათ პონტოში და სიკვდილით დაუსჯიათ. არქეოლოგიურმა გათხრებმა კი ვანსა და ეშერაში, სწორედ, ამ დროით დათრილებული ნამწვარი ფენები აღმოაჩინა. ავტორი მართებულად შენიშნავს: „მითრიდატე VI ევპატორი დიონისე ბედნიერი მამა იყო შვილების მრავალრიცხოვნებით და არა მათი საქციელით; და თანაც, რატომღაც, ყველას კოლხეთში ყოფნისას უნდებოდა მეფისგან განდგომა“ (დუნდუა 2008: 7).

ამრიგად, მეტწილად გასაზიარებელი ჩანს თედო დუნდუას მოსაზრება, რომლის მიხედვითაც კოლხეთის მმართველად დასმული მითრიდატე უმცროსი კავშირში უნდა

ყოფილიყო რომის იმპერიასთან. კიდევ ერთ საინტერესო გამოკვლევას წარმოადგენს თედო დუნდუას ნაშრომი „რომაული ფული საქართველოში.“ ამ მცირე ზომის ნაშრომში ავტორი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი რომაული ფულის ემისიების მიხედვით ცდილობს აღადგინოს რომისა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობების პასაჟები.

დამოუკიდებელ საქართველოში გამოიცა ასევე არაერთი პოპულარული ნაშრომი, რომლებიც, ძირითადად, რომის რესპუბლიკისა და იმპერიის გამორჩეულ მოღვაწეებს შეეხება: ციცერონს, კეისარს, კონსტანტინე დიდს და ა.შ. ეს ნაშრომები, ძირითადად, კომპილაციური სახისაა და მათი შეფასება სამეცნიერო საზომებით გადაჭარბებული გვეჩვენება, ისინი მკითხველთა ფართო წრისთვის არის განკუთვნილი და განსაკუთრებულ სამეცნიერო მნიშვნელობას მოკლებულია, თუმცა, ამგვარი ლიტერატურა დიდ პოპულარიზაციას უწევს რომის ისტორიას ქართველ მკითხველთა შორის.

ამ პოპულარული ნაშრომებიდან ყურადღებას შევაჩერებდით 2011 წელს გამოსულ გიორგი ბუხნიკაშვილის ნაშრომზე „იტალიის ისტორია ტ. 1, ძველი რომი“. წიგნის ავტორი ისტორიკოსი არ არის იგი იტალიური და ინგლისური ენების სპეციალისტია, რასაც შესავალში თვითონვე აღნიშნავს: „გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მე ისტორიკოსი არ გახლავართ. ჩემი წიგნი, რომელიც მკითხველის სამსჯავროზე გამომაქვს, იმ ისტორიული წყაროების ნაკრებია, რომელიც სხვადასხვა იტალიელ ავტორთა ნაშრომებიდანაა შერჩეული და ამოკრეფილი. იგი ფართო მკითხველისთვისაა გათვალისწინებული და ამიტომ, წერის უფრო მსუბუქი და სახალისო სტილი ვარჩიე. თუ რამდენად შევძელი, ეს უკვე მკითხველის განსასჯელია, წიგნი ორენოვანია. იტალიურ ენაზე ამ წიგნის წაკითხვა კი ენის შემსწავლელს ნამდვილად წაადგება. ისტორია ჯერ იტალიურადაა შედგენილი, შემდეგ კი ქართულად ნათარგმნი“ (ბუხნიკაშვილი 2011: 3). ჩვენ წიგნის შინაარსობრივ მხარეზე არაფერს ვიტყვით, თუმცა მაინც აღვნიშნავთ, რომ წიგნი სქემატურია, საერთოდ არ არის განხილული რომაული კულტურა და სოციალურ-ეკონომიკური საკითხები. კრიტიკას ვერ უძლებს ნაშრომის ტერმინოლოგიური მხარე. თავად ავტორი სხვებს საყვედურობს იტალიური ენის სიტყვების დამახინჯების გამო, მაგრამ თვითონ უგულვებელყოფს როგორც ქართულ სინამდვილეში არსებულ ტრადიციას, ასევე ლათინური სახელების წარმოთქმის წესებს და წერს, ისეთ

ფორმებს, რომლებიც კრიტიკას ვერ უძლებენ, მაგ., ოტტავიანო აუგუსტო, ტიბერიო, ადრიანო, მარკო აურელიო, ტეოდოზიო და ა.შ. გ. ბუხნიკაშვილი საერთოდ არ იცავს ლათინურ ენაში დამკვიდრებულ წარმოთქმის წესებს და მთლიანად მისდევს თანამედროვე იტალიურს, ამგვარი ფორმით მოხსენიება ძველი რომაელი მოღვაწეებისა და უშვებლად მიგვაჩნია. ავტორი წერს, რომ იგი ისტორიკოსი არ არის, თუმცა ეს ინდულგენცია ვერ იქნება. თუნდაც ამგვარი პოპულარული ნაშრომების წერა უფრო მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს და ზერეღე მიდგომა მიუღებელია.

რომის ისტორიის პოპულარიზაციის მიმართულებით ქართულ სინამდვილეში განუზომელი როლი შეასრულა ნათარგმნმა სამეცნიერო და მხატვრულმა ლიტერატურამ. ამ მიმართულებით საქმიანობა საქართველოში ჯერ კიდევ გასული საუკუნის გარიჟრაჟზე დაიწყო. 1906 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ეგიდით გამოვიდა ორი, საკმაოდ, მნიშვნელოვანი წიგნი: პოლ გიროს წიგნი „რომაელების ძველი ისტორია“, რომელიც თარგმნა ვ. ლორთქიფანიძემ, ხოლო ნიკოლოზ გვენცელაძემ რუსულიდან თარგმნა „კაი გრაჰი და მისი ძმა ტიბერი“ [სურგულაძე, 2019:114].

საბჭოთა პერიოდში და დამოუკიდებელ საქართველოში ლათინური ლიტერატურის არა ერთი ბრწყინვალე ძეგლი ითარგმნა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პუბლიუს ვირგილიუს მაროს „ენეიდა“, რომელიც რომან მიმინოშვილმა თარგმნა. დამოუკიდებელ საქართველოში მთარგმნელობითი საქმიანობა შედარებით მიწედა, თუმცა 2017 წელს ქართულ ენაზე გამოიცა სექსტიუს იულის ფრონტინუსის საკმაოდ საინტერესო თხზულება „სტრატეგემები“, რომელიც ახალგაზრდა მკვლევრებმა ნიკა ხოფერიამ და ლევან ტავალაშვილმა თარგმნეს. უკანასკნელ პერიოდში გამოცემული თარგმნილი სამეცნიერო ნაშრომებიდან აღსანიშნავია თეოდორ მომზენის „რომის ისტორიიდან“ ის ნაწილები, რომელიც აღმოსავლეთის პროვინციებს შეეხება. აღნიშნული ნაწილები თარგმნა გოდერძი რუხაძემ.

2021 წელს მკითხველმა იხილა კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტის გ. უგულავას ნაშრომი „პოლიტიკური მოტივები რომაულ ლიტერატურაში“ (უგულავა 2021). ნაშრომში განხილულია პოლიტიკური მოტივები გვიანი რესპუბლიკისა და ადრეული პრინციპატის პერიოდის მხატვრულ ლიტერატურაში (მვ.წ.I – ახ.წ.I სს). ნაჩვენებია,

თუ როგორ ხედავენ რომელი ავტორები სახელმწიფოს მოწყობის საკითხებს და რა გავლენა ჰქონდა მათ შემოქმედებაზე პოლიტიკურ და ისტორიულ რეალობას. წიგნი ამ ეპოქის ყველა მნიშვნელოვან ავტორს მიმოიხილავს და სამივე ძირითად ჟანრს – ეპოსი, დრამა, ლირიკა – მოიცავს, რაც დაინტერესებულ მკითხველს საშუალებას აძლევს რომაული პოლიტიკური აზრის განვითარების სრული სურათი აღიქვას.

ამრიგად, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ქართულმა ისტორიოგრაფიამ ამ უკანასკნელ პერიოდში შეძლო რა იდეოლოგიური დოგმებისგან განთავისუფლება, ანტიკური რომის ისტორიის შესწავლის მიმართულებით ახალი ორიენტირებიც გამოკვეთა. გადაისინჯა მარქსისტული სტერეოტიპები, გაგრძელდა ლათინური ლიტერატურის ნიმუშების თარგმნა, ახალ ეტაპზე გადავიდა ქართულ-რომაული ურთიერთობების კვლევა, ამასთანავე შეიქმნა ნაშრომები მიძღვნილი რომის რელიგიური ცხოვრებისადმი. ყველაფერი ეს, ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გათვალისწინებით, საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება და კიდევ უფრო დასაფასებელია ის გარემოება, რომ თანამედროვე საისტორიო მეცნიერება აქტიურად ცდილობს ამ ყველაფრის კიდევ უფრო მეტად დახვეწასა და სრულყოფას.

დასკვნა

როგორც ვნახეთ, ანტიკური რომის ისტორიის შესწავლამ ქართულ რეალობაში საკმაოდ ძნელი გზა განვლო. ჩვენი ხედვით შესაძლებელია განვლილი გზა რამდენიმე ძირითადად პერიოდად შეიძლება დავყოთ:

1. პირველი პერიოდი მოიცავს ადრეული და განვითარებული (შუა) ფეოდალიზმის ხანას, როდესაც ქართული საისტორიო მწერლობა თავისი განვითარების ზენიტშია. ადრეული ქრისტიანობის პერიოდიდან იკვეთება საქართველოს კავშირები ანტიკურ რომთან და შესაბამისად რომაულ სამყაროსან. იგი აისახა კულტურულ-რელიგიურ ცნობიერებაში. ქართული იდენტობა საკმაოდ აქტიურად ინტერესდებოდა ანტიკური რომის ისტორიის საკითხებით. მართალია, ქართული ფეოდალური სახელმწიფო, ხშირად რთულ მდგომარეობაში იყო, თუმცა სიმძნელების მიუხედავად, ადრე და განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ქართულ საისტორიო მწერლობაში საკმაოდ მოიპოვება ანტიკურობის გამოძახილი, ცნობები რომის ისტორიიდან, ლიტერატურიდან, მითოლოგიიდან და ა.შ.

საისტორიო მწერლობაში („ქართლის ცხოვრება“) „რომი“ გამოყენებული არის სხვადასხვა ვარიაციებში („ჰრომნი“...). იგი არის ადამიანის საკუთარი სახელის („ჰრომოსი“), ქალაქის და ქვეყნის აღმნიშვნელად. ქვეყნის სინონიმად საუბრისას მემატიანე „რომის“ ქვეშ მოიაზრებდა ანტიკური რომის იმპერიის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებსაც. არის შემთხვევაც, რომ უკანასკნელის მიმართ მემატიანე ხშირად საბერძნეთსაც მოიაზრებდა. ამ შემთხვევაში ფიქსირდება ისტორიული რეალობა, რადგანაც იმ პერიოდის მსოფლიო რუკაზე ბიზანტია, როგორც სახელმწიფო სუბიექტი არ არსებობდა. რაც შეეხება აღმოსავლეთ რომის იმპერიას, იგივე ბიზანტიას, იგი კრებულში ასევე პიროვნების სახელის და ქალაქის სინონიმით არის წარმოდგენილი.

2. მეორე მნიშვნელოვან პერიოდად უნდა ჩაითვალოს XVIII საუკუნე, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ვახუშტი ბატონიშვილი. XIV საუკუნიდან ვიდრე XVIII საუკუნემდე, ქართული საისტორიო მწერლობა დაქვეითების გზას ადგა. სამეფო-სამთავროებად დაშლილი სახელმწიფოს შიდა პოლიტიკური და მძიმე საგარეო ვითარება, ცხადია, პროპორციულად აისახებოდა ისტორიოგრაფიის განვითარებაზეც. XV-XVIII საუკუნეების ქართული საისტორიო მწერლობა ძლიერ სპარსულ გავლენას განიცდიდა

და მოწყვეტილი იყო იმ ცვლილებებს, რასაც იმ დროის ევროპაში ჰქონდა ადგილი. შესაბამისად, ამ პერიოდის ქართული საზოგადოებრივი აზრი და ისტორიული მწერლობაც ნაკლებად ინტერესდებოდა ანტიკური და მათ შორის, რომის ისტორიის საკითხებით.

XVIII საუკუნეში, ვახტანგ მეექვსის ეპოქაში დაიწერა ე.წ. „ახალი ქართლის ცხოვრების“, რომელიც ახალ ეტაპად მიიჩნევა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში. იმავდროულად სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ქართული მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურა ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც თავის ეპოქალურ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ეხება ანტიკური რომის ისტორიის საკითხებს. მეცნიერი ცდილობს საქართველოს ისტორიის მოვლენებზე საუბრისას პარალელური გაავლოს მსოფლიოს ისტორიასთან ან ანტიკური რომის იმპერიის რომელიმე კვისრის მმართველობასთან.

ასევე გვიან ფეოდალური ეპოქის სიაში შეგვყავს იოანე ბატონიშვილი, რომელიც პირველი იყო ქართულ რეალობაში, რომელმაც ნაშრომში - „ხუმარსწავლა“-ში დიალოგის ფორმით მოკლედ გადმოსცა ანტიკური რომის სამივე პერიოდის ზოგადი ისტორია.

XVIII და XIX საუკუნეების ქართული მოწინავე ინტელიგენცია რუსეთის საშუალებით ეცნობოდა ევროპულ და ანტიკურ მემკვიდრეობას. ქართველთაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო რუსეთი შეიქნა ის ხიდი, რომელიც საქართველოს ევროპულ კულტურასთან და მისი საშუალებით ანტიკურობასთან აკავშირებდა.

3. რომაული სამყაროს შესწავლის მიმართულებით მესამე და ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეპოქას XIX საუკუნე წარმოადგენს. 60-იან წლებამდე ქართველი ისტორიკოსები განიცდიდნენ რუსული ანტიკური საისტორიო სკოლის გავლენას. აქ უდავოა თეიმურაზ ბატონიშვილის საქმიანობა. მისი ინტერესი რომაულ სამყაროს მიმართ. ასევე გამოვყოფთ სულხან ბარათაშვილს, რომელიც ქართული წყაროებით, ბერძნულ და ლათინურ ენაზე შექმნილი საისტორიო თხზულებებით, ნაშრომში - „საქართველოს ისტორია“-ში შეეცადა გაეშუქებინა რომაულ-ქართული ურთიერთობები.

საუკუნის მიწურულს, ევროპული საუნივერსიტეტო განათლების დაუფლების შემდეგ ქართველ სწავლულებში ანტიკური რომის ისტორიის საკითხების კვლევა თანდათან სისტემურ სახეს იღებს. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება რომსა და საქართველოს შორის ურთიერთობების მეცნიერული კვლევა.

4. ანტიკური რომის ისტორიის შესწავლამ ქართულ სინამდვილეში ზენიტს მეოცე საუკუნეში მიაღწია. აქ ცალკე გამოვყოფთ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდს, რომელიც ე.წ. „საქართველოს პატარა ოქროს ხანის“ სახელით [ინასარიძე, 1984] და „ქართული სკოლის მკვდრებით აღდგომის“ პერიოდით არის შეფასებული [საყვარელიძე, 1992:101]. იმჟამად ფართო გასაქანი მიეცა ეროვნული სკოლის მშენებლობას და სწორედ ამ ჩარჩოში ჯდებოდა ანტიკური რომის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემა (დ. უზნაძე და ალ. წერეთელი). ისინი თვისებრივ სიახლეს წარმოადგენდნენ იმ დროის ქართული პედაგოგიური და საისტორიო მეცნიერებისათვის. ამ სახელმძღვანელოებს ნათლად ეტყობოდათ ევროპული ისტორიოგრაფიული სკოლების (გერმანული...) გავლენა. 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოებით, დასრულდა ეს მნიშვნელოვანი ეპოქა და ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარების გეზიც მკვეთრად შეიცვალა.

5. 1921 წლიდან მოყოლებული, მთელი 70 წელი, ქართული საისტორიო მეცნიერება იდეოლოგიურ მარწუხებში აღმოჩნდა მოქცეული, თუმცა სწორედ, ამ პერიოდში ჩამოყალიბდა რომის ისტორიის შემსწავლელი ქართული სამეცნიერო სკოლა. ამ სამეცნიერო სკოლის ჩამოყალიბებაში განუზომელი როლი შეასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ. ქართულ ანტიკურ ისტორიოგრაფიაში სამეცნიერო ინტერესის სამი ძირითადი მიმართულებას გამოვყოფთ: 1. საბჭოთა კავშირში გაბატონებული ისტორიული მატერიალიზმის პრინციპიდან გამომდინარე კვლევა წარიმართა ანტიკური რომის ისტორიის სოციალურ-ეკონომიკური საკითხებზე (კლასთა ბრძოლა, მონობა, მონათმფლობელური მეურნეობის საკითხები...); 2. კვლევა წარიმართა წყაროტმცოდნეობის კუთხით და დაიწყო ლათინურ და ძველ ბერძნულ წყაროებში დაცული საქართველოსტან მიმართებაში ცნობების მკითხველისთვის მიწოდება. ასევე გაჩნდა ნაშრომები, რომლებშიც ქართულ სამეფოებსა და ანტიკური რომს შორის არსებულ ურთიერთობებს შეეხებოდა; 3. ჩნდება ნაშრომები ანტიკური რომის პოლიტიკური ისტორიის, რომაული კულტურისა და ისტორიოგრაფიის თემატიკაზე, რითაც ქართული სინამდვილის გათვალისწინებით მათ არაერთი სიახლის შემოტანაც შეძლეს. საბჭოთა პერიოდში გამოიცა პროფ. ალ.

წერეთლის და ლ. სანიკიძის ავტორობით გამოიცა რომის ისტორიის პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები.

6. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ქართული ანტიკური საისტორიო მეცნიერება იდეოლოგიური დოგმებისგან განთავისუფლდა. გადაიდგა პირველი სერიოზული ნაბიჯები უკვე გადადგმულია. მაგ., გადაისინჯა რიგი მარქისტული დებულებები, კვლევის არეალში მოექცა რომის რელიგიური ცხოვრება, რომელსაც საბჭოთა პერიოდში ნაკლებად იკვლევდნენ, გაგრძელდა ლათინური ლიტერატურული ნიმუშების თარგმნა და ა.შ. ეს ყველაფერი მაინც, საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება, ამასთან, თანამედროვე ქართული ანტიკურ მეცნიერებაში შეინიშნება ტრადიციული თემების დახვეწის და სრულყოფილების ტენდენცია.

ამრიგად, ასეთია ის გზა, რომელიც რომის ისტორიის შემსწავლელმა ქართულმა სამეცნიერო სივრცემ გაიარა. ზიგზაგების მიუხედავად, ქართველ ისტორიკოსთა ნაღვაწი ამ მიმართულებით შთამბეჭდავად გამოიყურება და მათი დაუფასებლობა გაუმართლებლად მიგვაჩნია. ჩვენ შევეცადეთ გამოგვეკვეთა ის შუქ-ჩრდილები, რაც ამ მიმართულებით არსებობდა, თუმცა მათი შეფასებისას ყოველთვის ვცდილობდით გამოგვენახა ის „ოქროს შუალედი“, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გაგვეთვალისწინებინა ის ეპოქის კონიუნქტურა, რომელშიც მათ უწევდათ სამეცნიერო საქმიანობა. ამ ნაღვაწის სწორად შეფასება, იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც სწორედ, ამ წარსულ გამოცდილებაზე უნდა დააფუძნოს მომავალმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ რომის ისტორიის შემდგომი მეცნიერული კვლევა-ძიება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ალექსიშვილი 1953:** მ. ალექსიშვილი, აი, რას ამბობს ისტორია, საბლიტგამი, თბ.;
2. **ალექსიშვილი 1947:** მ. ალექსიშვილი, ათენის მონათმფლობელური დემოკრატია, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.;
3. **ალექსიშვილი 1961:** მ. ალექსიშვილი, გაიუს იულიუს ცეზარი, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ.;
4. **ალექსიშვილი 1971:** მ. ალექსიშვილი, მონობა ანტიკურ ქვეყნებში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.;
5. **ალექსიშვილი 1974:** მ. ალექსიშვილი, მონობა და მონათმფლობელური იდეოლოგია ანტიკურ სამყაროში, გამომცემლობა „განათლება“, თბ.;
6. **ამიანე მარცელინე და მისი... 1961:** ამიანე მარცელინე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბ., გვ. 75-165;
7. **ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია 2009:** ანტიკური ლიტერატურის ისტორია (რომაული ლიტერატურა), შეადგინა, წინათქმა და საკუთარ სახელთა განმარტებები დაურთო ე. კობახიძემ, წ. III;
8. **აპიანე 1959:** აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, ქართულად თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ.;
9. **ასათიანი 1996:** ვ. ასათიანი, ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.;
10. **ასათიანი 1987:** ვ. ასათიანი, ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.;
11. **ასათიანი 2021:** ვ. ასათიანი, ანტიკური კულტურა (ბიზანტია და საქართველო), პროგრამა „ლოგოსი“, თბ.;

12. **ახმეტელი, ლორთქიფანიძე 2019:** ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ისტორია 7 მოსწავლის წიგნი, გამომცემლობა „დიოგენე“, თბ.;
13. **ბარამიძე 1968:** არჩ. ბარამიძე, ისევ ლეონტი მროველის თხზულების ერთი ადგილის განმარტებისათვის, ქართული ისტორიოგრაფია I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1968;
14. **ბარათაშვილი 1895:** ს. ბარათაშვილი, საქართველოს ისტორია, რვეული I, საქართველოს ძველი ისტორია, ქუთ.;
15. **ბარათაშვილი 1895:** ს. ბარათაშვილი, საქართველოს ისტორია, რვეული II, საქართველოს საშუალო საუკუნეების ისტორია, ქუთ.;
16. **ბარამიძე 1971:** ა. ბარამიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №4;
17. **ბასილაძე 2013:** ნ. ბასილაძე, ქართული პედაგოგიკის ისტორია, გამომცემლობა „ლაზარე“, ბათ.;
18. **ბატონიშვილი 1885:** ვ. ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არქეოლოგიურისა და ისტორიული ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ. ნაწილი პირველი, ტფ.;
19. **ბატონიშვილი 1973:** ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ.;
20. **ბატონიშვილი 1848:** თ. ბატონიშვილი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა / ქმნილი საქართველოს მეთცამეტის მეფის გიორგის-ძის თეიმურაზისაგან. სტამბასა შინა სამეცნიერო აკადემიისასა, პეტ.;
21. **ბატონიშვილი 1990:** იოანე ბატონიშვილი, ხუმარსწავლა, წიგნი I, თბილისი, „მერანი“;
22. **ბატონიშვილი 1991:** იოანე ბატონიშვილი, ხუმარსწავლა, წიგნი II, თბილისი, „მერანი“;

23. **ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები 1998:** ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები, რედ. გრანი ქავთარია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.;
24. **ბუხნიკაშვილი 2011:** გ. ბუხნიკაშვილი, იტალიის ისტორია ძველი რომი ტ. 1, გამომცემლობა „თამარიონი“, თბ.;
25. **გაბაშვილი 1969:** ვ. გაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ.;
26. **გამრეკელი 2004:** გ. გამრეკელი, ამიანე მარცელინე როგორც ისტორიკოსი და პოლიტიკური მოაზროვნე, ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ.;
27. **გამყრელიძე, გელაშვილი 2000:** ლ. გამყრელიძე, მ. გელაშვილი, დამოუკიდებელი სამუშაოების, დავალებების და ტესტების კრებული ძველი მსოფლიოს ისტორიაში, VI კლასელთათვის, თბ.;
28. **გიორგაძე 1953:** გ. გიორგაძე, აი, რას ამბობს ისტორია, ჟურნ. დროშა №12;
29. **გოგებაშვილი 1990:** ი.გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი ტ.II, გამომცემლობა „განათლება“, თბ.;
30. **გოგოლაშვილი 1968:** რ. გოგოლაშვილი, ანტიკური მონობის ზოგიერთი საკითხის კვლევისთვის, თსუ შრომები ტ. 127, თბ.;
31. **გოგოლაშვილი 1983:** რ. გოგოლაშვილი, აღმოსავლური და ანტიკური მონობის ზოგი საკითხის შესახებ, თსუ შრომები ტ. 243, თბ.;
32. **გოგოლაშვილი 1981:** რ. გოგოლაშვილი, განთავისუფლებული მონები (ლიბერტინები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.;
33. **გოგოლაშვილი 1960:** რ. გოგოლაშვილი, მონების განთავისუფლება ძველ რომში, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, თსუ შრომები ტ. 87, თბ.;
34. **გოგოლაშვილი 1958:** რ. გოგოლაშვილი, მონათა განთავისუფლების საკითხს რომის იმპერიის დასაწყისში, თსუ შრომები ტ. 69, თბ.;
35. **გოზალიშვილი 1998:** გ. გოზალიშვილი, ტაციტუსი, წიგნში: ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები, რედ. გრანი ქავთარია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.;

36. **გორგაძე 1957:** ალ.გორგაძე, ისტორიის სწავლების მეთოდთა, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ.;
37. **გორგაძე 1920:** ს. გორგაძე, საქართველოს ძველი ისტორია, ქუთ.;
38. **გორდეზიანი 2007:** რ.გორდეზიანი, მედიტერანულ-ქართველური მიმართებები ტ. III, ეტრუსკული, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბ.;
39. **გორდეზიანი 2013:** რ. გორდეზიანი, ძველი რომი და ჩვენ, „ჩემი სამყარო“, №2, გვ. 70-77;
40. **გორდეზიანი 1999:** ლ. გორდეზიანი, B-ხაზოვანი ტექსტების DO-E-RO ძველი სამყაროს სოციალური ისტორიის კონტექსტში, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბ.;
41. **დუნდუა 2008:** თ. დუნდუა, მითრიდატე უმცროსი – იყო თუ არა ის რომის მოკავშირე? გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ.;
42. **დუნდუა 2006:** თ. დუნდუა, რომაული ფული საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ.;
43. **დუნდუა 1974:** გ. დუნდუა, იჭრებოდა თუ არა მონეტა ვანში? მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია №2, გვ.146-157;
44. **დუნდუა 2009:** თ. დუნდუა, გნეუს პომპეუსის პორტრეტი და ქართული ნუმიზმატიკა, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული XIII;
45. **ვახუშტი 1885:** ვახუშტი, საქართველოს ისტორია, განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არქეოლოგიურისა და ისტორიული ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ. ნაწილი პირველი, ტფ.;
46. **ვარდოსანიძე, ჩიმაკაძე, ცქიტიშვილი 1999:** ს. ვარდოსანიძე, ზ. ჩიმაკაძე, ე. ცქიტიშვილი, „ისტორიის სწავლების მეთოდთა“, თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, თბ.;
47. **ზარდალიშვილი 1953:** გ. ზარდალიშვილი, აი, რას ამბობს ისტორია, გაზ. „კომუნისტი“, 19 სექტემბერი;
48. **ზინოვიევი 1950:** მ. ზინოვიევი, ისტორიის სწავლების მეთოდთა საშუალო სკოლაში, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ.;
49. **თარგამაძე 2019:** ზ. თარგამაძე, ქართველთა თვითცნობიერება, ისტორიული ასპექტები, XVIII საუკუნე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ.;

50. **თვალთაშვილი, ჩიკვაძე 1995ა:** ქ. თვალთაშვილი, ც. ჩიკვაძე, ძველი მსოფლიოს ისტორია, I ნაკვეთი ძველი აღმოსავლეთი და უძველესი საბერძნეთი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ.;
51. **თვალთაშვილი, ჩიკვაძე 1995ბ:** ქ. თვალთაშვილი, ც. ჩიკვაძე, ძველი მსოფლიოს ისტორია, II ნაკვეთი ძველი საბერძნეთი და ძველი რომი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ.;
52. **თოდუა 2008:** თ. თოდუა, ძველი კოლხეთი და გარე სამყარო, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.;
53. **ინასარიძე 1984:** კ. ინასარიძე, პატარა „ოქროს ხანა“: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, დაბეჭდილია საბეჭდო მანქანაზე, მიუნხენი;
54. **ინგოროყვა 1939:** პ. ინგოროყვა, ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, ჟურნ. „მნათობი“, №10-11, თბ.;
55. **კავკაზი 1861:** გაზ. „კავკაზი“, №53-70;
56. **კალანდაძე 2013:** კალანდაძე მ., დიმიტრი უზნაძე, როგორც ისტორიკოსი – „ანალები“, №9. თბ. გვ. 87-117;
57. **კალანდაძე 2017:** მ. კალანდაძე, სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ანალები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., გვ. 214-230;
58. **კასიოსი 1966:** დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და კომენტარები დაურთო ნოდარ ლომოურმა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ.;
59. **კეკელიძე 1944:** კ. კეკელიძე, ანტიკის გადანაშთები ძველ ქართულ მწერლობაში, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკის) მოამბე ტ. XIV;
60. **კოვალიოვი 1954:** ს. კოვალიოვი, „ძველი მსოფლიოს ისტორია,“ სახელმწიფო გამომცემლობა, თბ.;
61. **კოროვიკინი 1958:** ფ. კოროვიკინი, „ძველი მსოფლიოს ისტორია,“ გამომცემლობა „განათლება“, თბ.;

62. **ლორთქიფანიძე 1989:** მ. ლორთქიფანიძე. რა არის ქართლის ცხოვრება, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.;
63. **ლომოური, გოგოლაშვილი 1980:** ნ. ლომოური, რ. გოგოლაშვილი, ისტორიკოსი, მკვლევარი (პროფესორ მ. ალექსიშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო), გაზ. კომუნისტი, 29 მაისი;
64. **ლომოური 1971:** ნ. ლომოური, პომპეუსის თავდასხმა იბერიაზე, ძეგლის მეგობარი, N27-28, გვ. 29-33;
65. **მარქსი, ენგელსი 1954:** კ. მარქსი, ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, სახელმწიფო გამომცემლობა, თბ.;
66. **მარქსი 1952:** კ. მარქსი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, სახელმწიფო გამომცემლობა, თბ.;
67. **მაშკინი 1951:** ნ. მაშკინი, რომის იმპერიის ისტორია: სპეციალური კურსი: მეთოდური სახელმძღვანელო, სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ. (თარგმანი ი. ფერაძე, რედაქტორი მ. ალექსიშვილი);
68. **მესხია 1939:** შ. მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ტ. I, თბ.;
69. **მოდეზაძე 2002:** მ. მოდეზაძე, ძველი მსოფლიო ისტორია, VI კლასის დამხმარე სახელმძღვანელო, საგამომცემლო სახლი „ბიზნეს-კურიერი“ თბ.;
70. **მშვილდაძე 2005:** მ. მშვილდაძე, რომი და აღმოსავლური რელიგიები ახ.წ. I-III სს., გამომცემლობა „ენა და კულტურა“, თბ.;
71. **მშვილდაძე 1997:** მ. მშვილდაძე, რომის XV ლეგიონთან დაკავშირებული გემები ბიჭვინთის ნაქალაქარიდან, კრებულში: კულტურის ისტორიის საკითხები III, თბ.;
72. **მიშულინი 1942:** „ძველი მსოფლიოს ისტორია,“ პროფ. ა.ვ. მიშულინის რედაქციით, სახელმწიფო გამომცემლობა, თბ.;
73. **მელიქიშვილი 1984:** ნ. მელიქიშვილი, იოსებ ფლავიოსის „იუდეველთა სიძველეთა“ მთარგმნელის ვინაობისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., №4, გვ. 103-114;
74. **მელიქიშვილი 2014:** ნ. მელიქიშვილი, იოსებ ფლავიუსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი, თბ.;

75. **ნადირაძე 1997:** გ. ნადირაძე, წერილები, მნათობი, №5;
76. **ნიკოლოზიშვილი 2003:** ნ. ნიკოლოზიშვილი, ზაბილონიდან მირიანამდე, კლიო, №17;
77. **ნადირაძე 2012:** ქ. ნადირაძე, ქართული ისტორიოგრაფია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ.;
78. **ნიკოლსკი 1934:** ნ. ნიკოლსკი, „წინაკლასობრივი, საზოგადოება, ძველი აღმოსავლეთი, ანტიკური ქვეყანა,“ ტფ.;
79. **ნიშნიანიძე 1986:** ო. ნიშნიანიძე, ანტიკური სამყარო და ქართული შუასაუკუნეობრივი ისტორიოგრაფია (V-XIV სს.), „განთიადი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, ქუთ., №5;
80. **ნიშნიანიძე 1987:** ო. ნიშნიანიძე, ანტიკური სამყარო ქართულ შუასაუკუნოვან ისტორიოგრაფიაში (V-XIV სს), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ.;
81. **ნუცუბიძე 1958:** შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი;
82. **პლუტარქე 1975:** პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, I, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ.;
83. **რუხაძე 1960:** ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან. (XVI-XVIII სს.), თსუ.;
84. **საბერძნეთისა და რომის... 1937:** საბერძნეთისა და რომის ისტორიის პროგრამა: უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების ისტორიულ ფაკულტეტებისათვის, სახუნტის გამომცემლობა, თბ.;
85. **საბერძნეთისა და რომის... 1939:** საბერძნეთისა და რომის ისტორიის პროგრამა, სახუნტის გამომცემლობა, თბ.;
86. **საზოგადოებათმეცნიერება სკოლაში 1924:** „საზოგადოებათმეცნიერება სკოლაში.“ ა. ეფრემინის და ვად. სმუშკოვის რედაქციით, საქართველოს განათლების მუშაკთა სახლის გამოცემა, ტფ.;
87. **სანიკიძე 1989:** ლ. სანიკიძე, კვისარიადა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.;

88. **სანიკიძე 1976:** ლ. სანიკიძე, კვერთხი ემბაკთა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.;
89. **სანიკიძე 1970ა:** ლ. სანიკიძე, მარიუსი და სულა (რომაული ქრონიკები), გამომცემლობა „ნაკადული“, თბ.;
90. **სანიკიძე 1970:** ლ. სანიკიძე, რომის გვიანდელი რესპუბლიკა, გამომცემლობა „განათლება“, თბ.;
91. **სანიკიძე 1984:** ლ. სანიკიძე, რომის იმპერია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.;
92. **საქართველოს ცხოვრება 1913:** საქართველოს ცხოვრება 1469-1800-მდე ბატონიშვილი ვახუშტის მიერ, თბ.;
93. **საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1970:** საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ.;
94. **საქართველოს მეფეები 2007:** საქართველოს მეფეები, რედაქტორები მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, გამომცემლობა „ნეკერი“;
95. **საყვარელიძე 1992:** გ. საყვარელიძე, მკვდრეთით აღდგომა ქართული სკოლისა (1918-1921), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.;
96. **სერგეევი 1940:** ვ. სერგეევი, ძველი რომის ისტორიის ნარკვევები, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ნაწ. 1, თბ.;
97. **სერგეევი 1941:** ვ. სერგეევი, ძველი რომის ისტორიის ნარკვევები, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ნაწ. 2, თბ.;
98. **სვეტონიუსი 1994:** სვეტონიუს გაიუს ტრანკვილური, თორმეტი კეისრის გხოვრება, თარგმნა მ. გელაშვილმა, ტ. I, თბ.;
99. **სვეტონიუსი 2011:** სვეტონიუსი, კეისტები, თარგმნა და კომენტარები დაურთო მ. გიორგაძემ, თბ.;
100. **სურგულაძე 1990:** ვ. სურგულაძე, ისტორიული ეპოპეა, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 28 ივნისი;
101. **სურგულაძე 2013:** ვ. სურგულაძე, ძველი რომის ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ.;

102. **სურგულაძე 2019:** ვ. სურგულაძე, ძველი რომი, ტ. I., ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი;
103. **სურგულაძე 2013:** ვ. სურგულაძე, მონობა ძველ რომში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ.;
104. **სურგულაძე 1989:** ვ. სურგულაძე, ციცერონი და რომის აზიური პოლიტიკა, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათ.;
105. **სურგულაძე, გამყრელიძე, კიკნაძე, პატარიძე, კერესელიძე 2019:** მ. სურგულაძე, გ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ლ. პატარიძე, ლ. კერესელიძე, ისტორია 7 მოსწავლის წიგნი, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, თბ.;
106. **სურგულაძე... 2022:** ვ. სურგულაძე, ი. ბარამიძე, ხ. დიასამიძე, ტ. კოპალეიშვილი, 2022. კათოლიკობა და კათოლიკეები საქართველოში, გამბა „უნივერსალი“, თბ.;
107. **ტაციტუსის ცნობები საქართველოს... 1973:** ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებითურთ გამოსცა ალექსანდრე გამყრელიძემ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ.;
108. **უგულავა 2021:** გ. უგულავა, პოლიტიკური მოტივები რომაულ ლიტერატურაში, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბ.;
109. **უზნაძე 1920:** დ. უზნაძე, ძველი ისტორია სისტემური კურსი წ. II რომის ისტორია, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა, ტფ.;
110. **ფიფია 2006:** ვ. ფიფია, რომაული სამყაროს კრიზისი და აღმოსავლეთ შავი ზღვის სპირეთი (ახ.წ. III ს.), თსუ-ს სოხუმის ფილიალის გამომცემლობა, თბ.;
111. **ფიფია 2005:** ვ. ფიფია, რომი და აღმოსავლეთ შავი ზღვის სპირეთი I-II სს. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ.;
112. **ფლავიუს არიანე 1961:** ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაღმაძისა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ.;
113. **ქავთარაძე 2009:** გ. ქავთარაძე, არიან-ქართლის საკითხისათვის, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები IX;

114. ქავთარია 2010: გ. ქავთარია, არისტარქე – კოლხეთის მეფე, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, №57;
115. ქავთარია 2010: გ. ქავთარია, ოლთაკე – კოლხეთის მეფე, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, №52;
116. ქავთარია 1998: გ. ქავთარია, ძველი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები, თსუ.;
117. ქავთარია 2016: გ. ქავთარია, რომის ისტორია, ტ. I, თსუ გამომცემლობა, თბ.;
118. ქავთარია 2020: გ. ქავთარია, რომის ისტორია ტ. II, თსუ გამომცემლობა, თბ.;
119. ქავთარია 2018: გ. ქავთარია, ფარნავაზი, გამომცემლობა პალიტრა L;
120. ქავთარია 1990: გ. ქავთარია, ძმები გრაკხუსები, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
121. ქართლის მოქცევა 2009: ქართლის მოქცევა, ახალ ქართულზე გადმოღებული ტექსტი და ძველი ვერსიების რედაქცია ელგუჯა გიუნაშვილისა, გამოკვლევა, მიმოხილვა და კომენტარები ვახტანგ გოილაძისა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ.;
122. ქართლის ცხოვრება 1955: ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. სახელგამი, თბ.;
123. ქართლის ცხოვრება 1959: ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. სახელგამი, თბ.;
124. ქართლის ცხოვრება 1973: ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ.;
125. ქართლის ცხოვრება 2012: ქართლის ცხოვრება, ტ. I, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ.;
126. ქართლის ცხოვრება 2012: ქართლის ცხოვრება, ტ. II, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ.;
127. ქართლის ცხოვრება 2012: ქართლის ცხოვრება, ტ. III, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ.;

128. **ყაუხჩიშვილი 1957:** თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ.;
129. **ყაუხჩიშვილი 1949:** ს. ყაუხჩიშვილი, ძველი ბერძნული ლიტერატურის ისორია, ტ. 2, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.;
130. **ყაუხჩიშვილი 1976:** თ. ყაუხჩიშვილი, ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში, ჟამთააღმწერელი, ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ.;
131. **ყორანაშვილი 2020:** გ. ყორანაშვილი, ძველი სამყაროს მესაიდუმლე პროფესორ ალექსანდრე წერეთლის დაბადების 130-ე წლისთავის გამო, გაზ. ლიტერატურული საქართველო №1, თბ.;
132. **შარაძე 1972:** გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, ცხოვრება, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ.;
133. **შესტაკოვი, ვოლობუევი 1979:** ძველი მსოფლიოს ისტორია მხატვრულ სახეებში, შემდგ. ა.ვ. შესტაკოვი და ო. ვ.ვოლობუევი, გამომცემლობა „განათლება“, თბ.;
134. **შველიძე 2013:** დ. შველიძე, 1832 წლის შეთქმულებითი მოძრაობა (და არა – შეთქმულება), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VII, თბ., გვ. 247-260;
135. **ცაიშვილი 1946:** ს. ცაიშვილი, სულხან ბარათაშვილი, მნათობი, 1946, №8;
136. **წერეთელი 1959:** ა. წერეთელი, მარკუს ტულიუს ციცერონი: ცხოვრებისა და პოლიტიკური მოღვაწეობის მიმოხილვა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.;
137. **წერეთელი 1918:** ა. წერეთელი, მსოფლიო ისტორია, ნაწ. 1, პირველდაწყებითი კურსი. ძველ საუკუნეთა ისტორია. „განათლების ამხანაგობის გამოცემა, ქუთ.;
138. **წერეთელი 1920:** ა. წერეთელი, ძველ საუკუნეთა ისტორია, ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის გამოცემა, ტფ.;
139. **წერეთელი 1957:** ა. წერეთელი, ძველი რომი ტ. 1, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.;
140. **წერეთელი 1992:** ა. წერეთელი, ძველი რომის ისტორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.;

141. **ჭანტურია, ქადაგიძე, მელიქაძე 2020:** გ. ჭანტურია, მ. ქადაგიძე, გ. მელიქაძე, სასკოლო განათლების ისტორია 1990-2020 წწ., სტამბა „კოლორი“, თბ.;
142. **ჯავახიშვილი 1979:** ი. ჯავახიშვილი, თბულებანი თორმეტ ტომად, ტომი I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.;
143. **ჯავახიშვილი 1977:** ი. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, თბულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.;
144. **ჯავახიშვილი 1951:** ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია წ. 1, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.;
145. **ჯანაშია 1988:** ს. ჯანაშია, შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, შრომები. ტ. VI, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ.;
146. **ჯანელიძე 2005:** ო. ჯანელიძე, საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი;
147. **Алеврас 2010:** Алеврас Н. Предмет историографии: Версии современной науки, с. 173-190 (<https://elar.urfu.ru/bitstream/10995/76094/1/im-16-7-i-4-2010.pdf>);
148. **Гоголашвили 1959:** Р. Гоголашвили, К вопросу об освобождении рабов в древнем Риме, Автореф. дис.на соискание учен. степ. канд. ист. наук, Изд-во ТГУ, Тб.;
149. **Голенко 1974:** К. Голенко, Аристарх Колхидский и его монеты, Вестник Древней Истории №4, 1974,
150. **Валлон 1941:** Валлон А., История рабства в античном мире, ОГИЗ ГОСПОЛИТИЗДАТ, М.;
151. **Инадзе 1953:** М.Инадзе, К истории Грузии античного периода (Флавии Арриан и его сведения о Грузии), Автореф. дис., представ. на соискание учен. степ. канд. ист. наук, Изд-во ТГУ, Тб.;
152. **Историография античной истории 1980:**Историография античной истории / под ред. В. И. Кузищина. М.;
153. **Крист 1972:** Крист К., Эдуард Гиббон (1737-1794), Пер. Э. Фролова (из книги: Karl Christ. Von Gibbon zu Rostovtzeff. Leben und Werk führender Althistoriker der Neuzeit. Darm., 1972) (<http://centant.spbu.ru/centrum/publik/frolov/frol030.htm>);

154. **Куфтин 1949:** Б. Куфтин, Материалы к археологии Колхиды т.1, „Техника да Шрома” Тб.;
155. **Леквинадзе 1967:** В. Леквинадзе, „Римский кирпич со штампом из Цихисдзири,“ Сообщения АНГССР, т. 45, №3, 83. 799;
156. **Ломоури 1981:** Н. Ломоури, Грузино-римские взаимоотношения. Ч. 1, Политические взаимоотношения, Изд-во Тбил. ун-та, Тбилиси;
157. **Махлаюк 2011:** Махлаюк А. Античная историческая мысль и историография в отечественных публикациях 2000-2010 гг. (Материалы к библиографии), Нижний Новгород, с. 202-230;
158. **Меликишвили 1959:** Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Изд-во АН Груз. ССР, Тб.;
159. **Нишнианидзе 1987:** Нишнианидзе, О., Античный мир в грузинской средневековой историографии (V-XIV вв.). Автореф. дис. на соиск. учен. степ. канд. ист. наук. Тбилиси: Мецниереба;
160. **Севастьянова 1950:** О. И. Севастьянова, Аппиан и его „Римская история“, ВДИ №2;
161. **Словарь... 1989:** Словарь античности / Иршмер Й., Йоне Р., Пер. с нем. М.: Прогресс;
162. **Феро 2010:** М. Феро, Как рассказывают историю детям в разных странах мира, Пер. с французского Е.И. Лебедевой, „Книжный Клуб 36.6“, М.;
163. **Фролов 2006:** Фролов Э. Русская наука об античности: историографические очерки. Изд-во СПбГУ, 2-е изд. СПб.;
164. **Фролов 2002:** Фролов Э. Исповедь великого ученого: к публикации латинской автобиографии Ульриха фон Виламовиц-Меллендорфа, ВДИ, №3, с. 191-199;
165. **Фролов 2004:** Фролов Э. Итальянский историк-парадоксалист Гульельмо Ферреро, Парадоксы истории-парадоксы античности, СПб., с. 367-376;
166. **Фролов 2004:** Фролов Э. Римская история в трудах французского классика Гастона Буассье, Парадоксы истории - парадоксы античности, СПб., с. 343-366;
167. **Штаерман 1964:** Е. Штаерман, Расцвет рабовладельческих отношений в Римской республике, „Наука“, М.;

168. **Чернобаев 2014:** Чернобаев А. Историография истории России (https://studme.org/59578/istoriya/istoriografiya_istorii_rossii)
169. **Grimal 1981:** Grimal P. Jérôme Carcopino, un historien au service de l'humanisme, P., 1981;
170. **Christ 1972:** Christ K. Von Gibbon zu Rostovtzeff. Leben und Werk führender Althistoriker der Neuzeit. Darmstadt;
171. **Faries 2018:** Faries R. Ancient Rome in the English Novel: A Study in English Historical Fiction (Classic Reprint) Hardcover.

ინტერნეტ რესურსები:

1. ქრისტიანთა მეათე დევნა – martlmadidebloba.ge/eklesiis_istoria_31.html ბოლოს დამოწმებულია 10.07.2021;
2. <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00007073/> – ვახუშტი ბატონიშვილის ბიოგრაფია. ბოლოს დამოწმებულია 31.08.2021.